კვირის პალიტრა

მზე

37(170) 11/IX.-17/IX.2003.
ასი 60 თ.

1168
2003

„მივხვდი, რომ არ უნდა დავრჩენილიყავი, მაგრამ უკვე გვიანი იყო...“

ალის
ოტაცება –
ბალდაგა შეღნიერების. იმედის

ემი სახელია თინა – ქმრისაგან მალულად გაჩენილი შვილი

სასიკო – ირაკლი გოგავა:
ვერ მოვახერხე,
ცივილიზებულად
დავშორებოდი
ინგა გრიგოლიას

რისთვის შეიძინეს
იაპონელებმა
მაწვნისა და
სულგუნის ლიცენზია

ᲙᲘᲠᲘᲚᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ
ᲒᲖᲐ
№37 (170)
11 – 17 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ 2003
ᲤᲐᲡᲘ 60 ᲗᲗᲘᲠᲘ

ᲛᲘᲜᲘᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘ
„ᲤᲡᲘᲥᲝ“-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ „ᲓᲕᲘᲥᲝᲙ“-ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘ ᲐᲜᲣ ᲔᲜᲘᲗ ᲒᲐᲜᲐᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ 3
ᲔᲠᲗᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ 4
ᲗᲐᲠᲘᲦᲘ
ᲙᲐᲢᲐᲡᲢᲠᲝᲤᲘᲡ ᲐᲛᲡᲐᲮᲕᲔᲚᲘ 1800 ᲒᲕᲔᲠᲓᲘ... 6
ᲡᲐᲡᲘᲫᲝ
● ᲡᲝᲤᲝᲛ ᲚᲔᲕᲐᲜᲡ ᲨᲔᲡᲗᲐᲕᲐᲖᲐ – ᲗᲣ ᲒᲘᲜᲓᲐ, ᲨᲔᲜᲡ ᲒᲐᲩᲣᲥᲔᲑᲝ... 7
● ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲒᲝᲒᲐᲕᲐ: „ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ ᲠᲝᲛ ᲩᲐᲘᲕᲚᲘᲡ, ᲪᲝᲚᲡ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲛᲝᲕᲘᲛᲧᲕᲐᲜ...“ 8
ᲛᲐᲠᲩᲘᲔᲚᲘ
ᲤᲝᲢᲝᲡᲣᲠᲐᲗᲘ – ᲑᲔᲓ-ᲘᲦᲑᲚᲘᲡ „ᲛᲝᲙᲐᲠᲜᲐᲮᲔ“ 10
ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲘ
● ᲑᲝᲠᲝᲢᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘ ᲙᲐᲪᲡ ᲥᲣᲠᲗᲣᲙᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲙᲚᲐᲕᲓᲜᲔᲜ 12
● ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲝᲠᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲔᲑᲘ ᲑᲐᲜᲓᲘᲢᲣᲠᲘ ᲓᲐᲯᲒᲣᲤᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲜᲔᲜ 13
● ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ 15
ᲗᲔᲛᲐ
ᲥᲐᲚᲘᲡ ᲛᲝᲢᲐᲪᲔᲑᲐ – ᲫᲐᲚᲐᲓᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲭᲓᲐᲕᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ 16
ᲐᲚᲡᲐᲠᲔᲑᲐ
ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑᲐᲪ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲐᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲛ ᲘᲪᲝᲓᲐ... 20
ᲓᲔᲢᲔᲥᲢᲝᲠᲘ
ᲞᲝᲔᲖᲘᲐ, ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲛᲞᲠᲝᲛᲘᲡᲔᲑᲘ ᲓᲐᲗᲝ ᲛᲐᲦᲠᲐᲫᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ 22
ᲮᲛᲐ ᲨᲝᲠᲔᲗᲘᲓᲐᲜ
ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲙᲕᲘᲠᲐᲝ ᲡᲙᲝᲚᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ 24
ᲙᲝᲜᲢᲐᲥᲢᲔᲑᲘ
ᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲔᲡ ᲘᲐᲞᲝᲜᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲛᲐᲬᲕᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲚᲒᲣᲜᲘᲡ ᲚᲘᲪᲔᲜᲖᲘᲐ 25
ᲐᲜᲢᲘᲓᲔᲞᲠᲔᲡᲐᲜᲢᲘ
ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲣᲚ-ᲨᲔᲛᲔᲪᲜᲔᲑᲘᲗᲘ ᲙᲝᲚᲐᲟᲘ ᲒᲝᲩᲐ ᲓᲕᲐᲚᲘᲡ ᲣᲑᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲐᲙᲘᲓᲐᲜ 26
ᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘ
ᲥᲛᲠᲘᲡᲒᲐᲜ ᲛᲐᲚᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲨᲕᲘᲚᲘ, ᲡᲐᲮᲘᲨᲐᲗᲝ „ᲛᲔᲡᲘᲯ-ᲞᲐᲙᲚᲝᲜᲘᲙᲝᲑᲐ“ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲐᲒᲑᲐᲠᲘ ᲥᲘᲒᲝᲚᲝ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲛᲨᲘ 28
ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ
„ᲦᲛᲔᲠᲗᲡ ᲕᲔᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ, ᲛᲝᲛᲘᲢᲔᲕᲝᲡ ᲓᲐᲨᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲐᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲡ...“ 30

ᲥᲐᲚᲘᲡ ᲛᲝᲢᲐᲪᲔᲑᲐ – ᲫᲐᲚᲐᲓᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲭᲓᲐᲕᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ

შესაძლებელია თუ არა, ძალადობა, სიყვარულისა და მყარი ოჯახის საფუძველი გახდეს? ერთი შეხედვით, ამ კითხვაზე მხოლოდ კატეგორიულად უარყოფითი პასუხი უნდა გაიცეს. მაგრამ ცხოვრება ბევრად უფრო მრავალფეროვანია, ვიდრე ნებისმიერი თეორია...

16

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲒᲝᲒᲐᲕᲐ: „ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ ᲠᲝᲛ ᲩᲐᲘᲕᲚᲘᲡ, ᲪᲝᲚᲡ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲛᲝᲕᲘᲛᲧᲕᲐᲜ...“



რაც შეეხება ინგა გრიგოლიას – ჩვენ 7 წელი ვმეგობრობდით. ამ სიტყვაში მე სულიერ და ფიზიკურ მეგობრობას ვგულისხმობ. ინგა „მოქალაქეთა ახალგაზრდულ კავშირში“ გავიცანი. ხან ჯოკერს ვთამაშობდით, ხან ვსაუბრობდით. ინგა ძალზე ყურადღებიანი იყო, გემრიელ ყავასაც გვიდუღებდა...

8

ᲑᲝᲠᲝᲢᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘ ᲙᲐᲪᲡ ᲥᲣᲠᲗᲣᲙᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲙᲚᲐᲕᲓᲜᲔᲜ

უცნობი გოგონა შევნიშნეთ. გოგონა ტიროდა და ამბობდა, რომ ცუდად იყო. მე და გოჩა მასთან მივედით და ვეკითხებოდით, თუ რა დაემართა, როცა დაახლოებით რვა უცნობი ბიჭი წამოგვადგა თავზე და გვითხრა – თქვენთან სალაპარაკო გვაქვსო.

12

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲠᲩᲔᲕᲐ ᲛᲘᲢᲝᲕᲔᲑᲣᲚ ᲥᲐᲚᲔᲑᲡ

მაშ ასე: ყველაზე საყვარელი ადამიანი თქვენგან წავიდა და გეჩვენებათ, რომ ცხოვრებამ აზრი დაკარგა. ფსიქოლოგების აზრით, თუ თქვენს რჩეულს უკვე სხვა უყვარს, ბედს უნდა შეურიგდეთ და შეეცადოთ, ის ადამიანი დაივიწყოთ, რომელმაც მიგატოვათ.

54

საქმიანი ქალი

პირად ცხოვრებაში მიღებული სტრესი საქმიანობით იკურნება 32

ბაზარი

დილის და საღამოს ლოცვათა განმარტება 34

სახე

კინოდან წასულმა გეიდარ ფალავანდიშვილმა უმაღლეს რომანტიკას ინქინრობაში მიაგნო 35

სიმაღლე

პარაპლანი – ახალი ხილი, რომელსაც ქართველები არ ეტანებიან... 37

ვარსკვლავი

კენტად დარჩენილ მილა იოვოვიჩს საშინელებათა ფილმში იღებენ 38

ფავორიტები

ბუფონი – ფორვარდთა მომთვინიერებელი 40

საფეხბურთო მინდვრებზე 41

რომანი

რუსუდან ბერიძე. დაგვიანებული რეისი მოსკოვი-თბილისი (გაგრძელება) 42

გადასალებ მოედნებზე 46

სცენებსა და კულისებში 47

სპორტული მოზაიკა 48

ავტო 51

შოუბიზნესი 52

საკითხავი ქალებისათვის 54

ჯანმრთელობა

- პანკრეატიტი თუ ფერმენტთა ნაკლებობა? 56
- ქალის 4 ასაკი 57
- მედიცინის სიახლეები 58

ცხოველთა სამყარო 59

ჰოროსკოპი

კვირის (15-21 სექტემბერი) ასტროლოგიური პროგნოზი 60

სკანვორდი 61

იუმორი 62

ტესტი

სწორად იცავთ თუ არა დიეტას? 63

ქალეიდოსკოპი

ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი

მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

რისთვის შეიძინეს იაპონელებმა მაწვნისა და სულგუნის ლიცენზია

ერთი კილო ხორცი 200-დან 500 დოლარამდე ღირს. ასეთი ძვირი იმიტომაა, რომ იაპონიაში მესაქონლეობას, საძოვრების უქონლობის გამო ვერ მისდევენ. ახალდაბადებულ ხბოს ჩაბნელებულ, ხმაგაუმტარ ოთახში აჩერებენ და ლუდს ასმევენ...

25

„ვიაიპი“ საცვლების ამარა...

ახალი კლიპი, საკმაოდ ინტიმური შინაარსისაა. მასში ჯგუფის წევრები მხოლოდ ღამის საცვლების ამარა ჩნდებიან.

„ვიაიპიმ“, დათო ხუჯაძესთან ერთად, დუეტიც ჩაწერა. სიმღერის ავტორები, თავად დათო და მისი პროდიუსერი, მიკი, არიან.

53

კენტად დარჩენილ მილა იოვოვიჩს საშინელებათა ფილმში იღებენ

მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ 22 წლის მილა და მასზე 16 წლით უფროსი ლუკი დაქორწინებას აპირებდნენ... მაგრამ მათი ქორწინება, საკმაოდ სწრაფად დაირღვა. თუმცა, ერთად ყოფნის დროს, ბესონმა თავისი ლამაზი ცოლის კიდევ ერთხელ გადაღება მაინც მოასწრო.

38

დაგვიანებული რეისი მოსკოვი-თბილისი

კარი უხმაუროდ გაიღო და დეამაც მაშინვე შვებით ამოისუნთქა: მართალია, ზუსტად აღარც კი ახსოვდა, რა და რამდენი იყო, მაგრამ სიზმარში ნანახი, ფირუზისთვლიანი ბეჭედი უმალ იცნო და ანგარიშმიუცემლად, მარჯვენა ხელის არათითზე წამოიცვა.

42

„ფსიქო"-მინისტრები და „დვიჟოკ"-პოლიტიკოსები ანუ ენით განათებული საქართველო

არ ჰქონიათ შუქი ვაჟა-ფშაველას და ეგნატე ნინოშვილს, მაგრამ ერთი საყვედური მაინც თუ წაგიკითხავთ ენერგეტიკის მინისტრის მიმართ ნათქვამი მათ შემოქმედებაში?!. ჩვენ კი გადმოგვიგდია ენები და საყვედურებით ვეღარ ვძღებით: იაპონიის ენერგეტიკის მინისტრის კაბინეტში ტონიანი ჭაღია ჭერზე მიმაგრებული ელექტრომაგნიტით და ერთი წამითაც რომ გაითიშოს დენი, ჭაღი თავზე დაეცემაო — არგუმენტად რომ მოგვყავს, იაპონიას ვედრებით ჩვენ? სად გვყავს მაგიდაზე დასასრესი მინისტრები?! ან სად სცალია ჩვენი ენერგეტიკის მინისტრს კაბინეტში დასაჯდომად? კაცი „კოკწებისა" და რეზინის ხელთათმანების გარეშე ადის „სტოლბაზე" და შიშველი ხელით აბამს გაწყვეტილ კაბელებს...

ანდა, აშშ-ის მაგალითი ავიღოთ: ერთხელ ჩაქრა შუქი და პანიკამ მოიცვა მთელი ქვეყანა — ლამის, გლოვის დღე გამოაცხადეს. ჩვენთან პირიქით, მთელი დღის განმავლობაში ერთხელ მაინც რომ არ ჩაქრეს შუქი, იმდენ ადამიანს გაუსკდება გული სიხარულისაგან, რომ მართლა გლოვის დღე გვექნება გამოსაცხადებელი. ნუთუ, ვერ ვხვდებით, რომ ჩვენი მინისტრები უმაღლესი რანგის ფსიქოლოგები არიან და ჩვენც ფსიქოლოგიურად გვაძლიერებენ რთულ პირობებში ცხოვრებით. ეს მეთოდი ამერიკელებსაც დასჯდომიათ ჭკუაში და მათ პრეზიდენტს უთხოვია ჩვენი მარჩენალისთვის — მათხოვე ცოტა ხნით შენი მინისტრებიო... „მამაჩვენს" უთქვამს — სუყველა წაიყვანე და ერთ წელიწადში ვინ ვის შეეხვეწება — გარღვეული ბიუჯეტი შემავსებინეო, — მაგასაც ვნახავო... მაგი აჯობებს ჩვენს მამას და მარჩენალს ჭკუით?! კაცი, დუმბაძის არ იყოს, „რაც მე-11 სართულზეა, ორი იმდენი — ბუნკერშია"...



რა გვიჭირს ქართველებს იმის ფასი, რომ ხან ამერიკელებს და ხან რუსებს ვეხვეწებოდეთ უშუქობის პრობლემის მოგვარებას, როცა ქართველი ადამიანი თვითონაა დენის წყარო?! მარტივად რომ აგიხსნათ, ყველასათვის ნაცნობი ადამიანის მაგალითს მოვიყვან: ერთი ტელეწამყვანია — ნამდვილი „ქალი-IX ბლოკი", ოღონდ იმ განსხვავებით, რომ იმ უკანასკნელისგან განსხვავებით, მუდამ მწყობრშია; პირდაპირ 220 ვოლტი აქვს ენაზე და ისეთ ენერგიას აფრქვევს, რომ მისი გადაცემის დროს მთელი ქალაქი რომ გათიშო, ტელევიზორი მაინც აჩვენებს...

არანაკლები „დვიჟოკ"-პოლიტიკოსებიც გვყავს: ფიზიკაში ყველას გვისწავლია დინამო. ეს ის მარტივი ხელსაწყოა, რომელიც მექანიკურ ენერგიას, ელექტროენერგიად გარდაქმნის. ჰოდა, ერთი პატარა დინამო რომ დავუყენოთ პირზე თუნდაც, საკრებულოს „უსტაბაშს", ნახევარ თბილისს გაანათებს. მეორე ნახევარი, მის დაუძინებელ მეტოქეს — „მშრომელთა პარტიის" „მთავარ უროს" დავუთმოთ და ერთმანეთის ჯინაზე იმდენს ილაპარაკებენ, რომ უშუქობა კი არა, ნათურებს დახეთქავს დენი.

ჩვენ კი, არ ვიყენებთ ამ უნიკალურ რესურსს და სხვის ლანძღვაზე ვართ გადასულები. რას ვერჩით „რაო-ეეს"-ს, რომელმაც დიფერენცირებული ტარიფიც კი შემოიღო ჩვენდა საშეღავათოდ: 100 კილოვატზე მეტს ვინც არ დაწვავს, გაძვირება არ შეეხება. არადა, 100 კილოვატი, ერთი კოკას ყურება, სამი ჭიქა ჩაის ადუღება და ორი კვერცხის მოხარშვაა და ვინც ამდენსაც არ ხარჯავს, ის ცოცხლებშიც აღარ წერია — ე.ი. მიცვალებულებზე დენის ტარიფის გაძვირება არ ვრცელდება... ცოცხლებს კი, ისღა დაგვრჩენია, რომ ეკონომიურად ვხარჯოთ: ნახევრად ჩავახრახნოთ ნათურები „პატრონაში", ცალი თვალით ვუყუროთ ტელევიზორს და გრილი უთოთი ვაუთოოთ ცივ წყალში „გამოხარშული" თეთრეული.

მაგრამ არც ეკონომია ვიცით ქართველებმა: აბა, დადექით ღამით ფანჯარასთან და გადახედეთ მეზობელ კორპუსებს. დაინახავთ, რომ კაცს, რომელიც მარტო ცხოვრობს, ერთდროულად უნთია შუქი სასადილოშიც და ტუალეტშიც. დავიჯერო, ასე სწრაფად უმუშავებს კუჭ-ნაწლავი?!.

ა, ასეა: არაფრის ყადრი არ ვიცით და თან ვყვირით: კორუმპირებული მინისტრის ბრალია, შუქი რომ არ გვაქვსო... არ იქნება ჩვენი საშველი!..

P.S. სატელეფონო საუბარი:

— გაიგე, ალტაგრასია (ხომ გახსოვთ — ერთ-ერთი სერიალის გმირია?) რომ ყოფილა იუდას ქალი?

— საიდან გავიგებდი? შუქი არ მოსულა და გაზზე არ მუშაობს ჩემი ტელევიზორი.

— შუქი არც ჩემთან იყო, მაგრამ გენერატორი ჩავრთე და ისე ვუყურე.

— ხომ არ გაგიჟდი! გენერატორით ნაჩვენებს ვენდობი?! სანამ ნამდვილი დენი არ მოვა და ჩემი თვალით არ ვნახავ, ვერ დავიჯერებ...

პროვოკატორი

„ტრეფიკინგი ის არის, როდესაც ბავშვს ძალით აშვილებენ...“

— *შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოვლენილი იქნა ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი, რომელიც წლების მანძილზე, მცირეწლოვანი ბავშვებით ვაჭრობდა. რას გვეტყვით ამ კონკრეტული ფაქტის შესახებ და კიდევ, როგორ ფიქრობთ — უწყობს თუ არა ხელს ტრეფიკინგს საკანონმდებლო ბაზის დაუხვეწაობა?*

აკაკი გუდალაშვილი, *გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსი:*

— თქვენ მიერ ნახსენებ ფაქტთან დაკავშირებით, დაკავებულნი არიან: მარიზა წიფურია — რომელიც ჯგუფის ორგანიზატორი იყო და რომლის ბინაშიც ხდებოდა ახალშობილების „რეალიზება“, — ლია ხოსიტაშვილი, მარიამ ნაპირელი და ეთერ უტიაშვილი. ბოლო 6 თვის მანძილზე, მათ 7 ჩვილი გაშვილეს უკანონოდ — 1 კანადაში და 6 — ამერიკაში. გაშვილებას არავინ კრძალავს, არსებობს სპეციალური კანონი, მაგრამ ეს კანონი ბავშვის ყიდვა-გაყიდვას არ გულისხმობს. მშობლებმა, რომლებსაც უჭირთ შვილის გაზრდა და მისი გასხვისება სურთ, უნდა მიმართონ სახელმწიფო დაწესებულებებს. ეს არც ისეთი რთული პროცესია, როგორიც ზოგს ჰგონია... დაკავებული ჯგუფის წევრები საქართველოს რეგიონებში ეძებდნენ უმწეო, გაჭირვებულ ოჯახებს, მმაჩის ბიუროებში ამზადებდნენ ყალბ დოკუმენტებს, მიჰყავდათ ვიღაც ქალი, რომელსაც ბავშვის დედად ასაღებდნენ და მისგან იღებდნენ თანხმობას გაშვილების თაობაზე...

რუსუდან ბერიძე, *შუწყალების კომისიის თავმჯდომარე:*

— ბოლო წლებში, გაშვილებული ბავშვების რაოდენობა გაიზარდა. შარშან, 117 ბავშვი იქნა გაშვილებული. სამოქალაქო კოდექსში არსებობს მუხლი, რომელიც მშობელს ბავშვის გაშვილების უფლებას აძლევს. მშობელი არ არის ვალდებული, შვილი ბავშვთა სახლში ჩააბაროს. შუამავის საშუალებითაც შეუძლია გაშვილება. ეს ტრეფიკინგი არ არის. ტრეფიკინგად ის ითვლება, როდესაც ბავშვს მოიპარავენ ან დედის სურვილის საწინააღმდეგოდ, ძალით გაშვილებენ!

■

„ჟვანია შევარდნაძის პირველივე დაძახებაზე, მასთან გაიქცევა...“

— ***უკვე ხმამაღლა განაცხადეთ იმის თაობაზე, რომ საბოლოოდ განუდექით ზურაბ ჟვანიას. „ბურჯანაძე-დემოკრატებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ თანამშრომლობას წერტილი დაესვა. რა გახდა ოპოზიციური გაერთიანების დაშლის რეალური მიზეზი?***

მიხეილ სააკაშვილი, *საკრებულოს თავმჯდომარე:*

— „დემოკრატების“ ლიდერი ფლუგერივით იცვლის პოზიციებს. დარწმუნებული ვარ, რომ ის შევარდნაძის პირველივე დაძახებაზე, მასთან გაიქცევა. ამ დასკვნამდე სამთვიანი მოლაპარაკებების შედეგად მივედი. ვერც ერთ პრინციპულ საკითხზე ჟვანიასთან შეთანხმებას ვერ მივაღწიეთ. აქამდე, ვერიდებოდი „ბურჯანაძე-დემოკრატებთან“ გაერთიანების თემაზე ღიად საუბარს, მაგრამ ხალხმა სიმართლე უნდა იცოდეს. დასანანია, რომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების დროს, ამ ბლოკში მთავარ ფიგურას სწორედ ჟვანია წარმოადგენს!.. მას არა აქვს მყარი პოზიცია და არც შევარდნაძესთან საბრძოლველად არის მზად. გარდა ამისა, როგორ უნდა ვითანამშრომლოთ ბურჯანაძის გუნდის ისეთ თვალსაჩინო წარმომადგენლებთან, როგორიც თუნდაც, დავით სალარიძეა?! სალარიძე — შევარდნაძის რეჟიმის პოლიციის ყოფილი შეფი — კორუმპირებულია! რა სიკეთეს უნდა ველოდოთ ასეთი ადამიანებისგან? ჩვენი პარტია შეძლებს, რომ დამოუკიდებლად, სხვისი დახმარების გარეშე აღადგინოს ქვეყანაში კანონის უზენაესობა და დაამყაროს კანონის დიქტატურა.

■

„ოქტომბრის ბოლოს, ქალაქის გაზის ქსელი სრულად დაიტვირთება“

— ***ამ დღეებში, თბილისის ზოგიერთ რაიონს გაზის მიწოდება აღუდგა. როდის დაიტვირთება სრულად ქალაქის ქსელი?***

ვახტანგ ცაავა, *„თბილგაზის“ გენერალური დირექტორი:*

— გაზის შეწყვეტის ერთადერთი მიზეზი სარეაბილიტაციო სამუშაოები იყო, რომლის პირველი ეტაპი უკვე დამთავრდა. ამის შედეგი ის არის, რომ გლდანის, კრწანისის, დიდუბე-ჩუღურეთისა და სამგორის რაიონებს უკვე ვაწვდით ბუნებრივ აირს. საბურთალოს მაშინ აღუდგება გაზის მიწოდება, როდესაც საექსპლუატაციოდ ჩავიბარებთ მის ქსელს. რაც შეეხება თბილისის სხვა უბნებს — დაახლოებით ოქტომბრის ბოლოს, სარეაბილიტაციო სამუშაოები ყველა რაიონში დამთავრდება და ქალაქის ქსელი სრულად დაიტვირთება.

■

„თითოეული ლარი დანიშნულებისამებრ დაიხარჯება“

— 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნები სახელმწიფოს 6 მლნ 400 ათასი ლარი დაუჯდება. ფინანსთა მინისტრი ამ თანხის გამოყოფის აუცილებლობას ვერ ხედავს და შესაბამის დოკუმენტაციას მოითხოვს. რამ გამოიწვია არჩევნების ჩასატარებლად საჭირო თანხების ასე მკვეთრად ზრდა?

ნანა დევდარიანი, *ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე:*

— თუ ფინანსთა სამინისტრო ამ თანხას არჩევნებამდე არა უგვიანეს 50 დღით ადრე არ გადმოგვირიცხავს, არჩევნები ან ჩაიშლება, ან გადაიდება! ეს არჩევნები კი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერი ბარიერი, თუნდაც რაიმე ობიექტური მიზეზის გამო, აღიქმება, როგორც საარჩევნო პროცესისთვის ხელის შეშლა. პოლიტიკური პარტიების ლიდერებმა, არჩევნების გაყალბების თავიდან ასაცილებლად, სხვადასხვა დამცავი მექანიზმის გამოყენება მოითხოვეს. ამან განაპირობა საარჩევნოდ თანხების გაზრდის აუცილებლობაც. თუ გოგიაშვილს დანიშნავენ ცესკოს თავმჯდომარედ, მაშინ მან შეამციროს საარჩევნო თანხები!.. ეს თანხა საჭიროა მარკირებისთვის, სპეციალური ქაღალდებისა და სხვადასხვა საჭირო ნივთის შესაძენად. საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და მეგობარი ქვეყნებიდან დახმარების მიღების იმედი მაქვს. ამ შემთხვევაში, ხარჯები მნიშვნელოვნად შემცირდება. საარჩევნო ყუთების შესაძენად ძალზე დიდი თანხაა საჭირო. საერთაშორისო ორგანიზაციები გვპირდებიან, რომ ამ ყუთებით მოგვამარაგებენ. ესეც შეღავათი იქნება. როგორც იცით, არჩევნების დღეს, საქართველოში რეფერენდუმიც ჩატარდება და სურს თუ არა მოსახლეობას პარლამენტართა რაოდენობის შემცირება, მაშინ გაირკვევა. ჩემი მოთხოვნით, რეფერენდუმი 2 ნოემბერს იმიტომ დავამთხვიეთ, რომ ამით ხარჯი შემცირდება — საამისოდ, სულ 24 ათასი ლარი დაემატება, რადგან მხოლოდ ბიულეტენების დაბეჭდვა იქნება საჭირო. რეფერენდუმი ცალკე რომ ჩატარებულიყო, ყველა პროცედურის გავლა თავიდან გახდებოდა საჭირო და ეს თანხა მილიონებს მიაღწევდა. ვერ ვხედავ იმის ეჭვის მიზეზს, რომ გამოყოფილი თანხა არამიზნობრივად შეიძლება დაიხარჯოს. პირობას ვდებ, რომ თითოეული ლარი დანიშნულებისამებრ დაიხარჯება... ■

„კონტრაბანდული სიგარეტის დიდი ნაწილი რადიაციულია...“

— საბაჟო დეპარტამენტისა და საგადასახადო დეპარტამენტის ხელმძღვანელები, ცილისწამების ბრალდებით, სასამართლოში გიჩივიან. რატომ?

დავით მესხიშვილი, *თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნული ცენტრის წევრი:*

— ჩვენ პიროვნულად, დავით თარხან-მოურავისა და იასე ზაუტაშვილის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს. თვენახევრის წინ, ისინი კონტრაბანდული სიგარეტის მფარველობაში დავადანაშაულეთ, რასაც მათი მხრიდან მწვავე რეაქცია მოჰყვა. სასამართლოში უფრო არგუმენტირებულად დავასაბუთებთ იმას, თუ როგორ შემოდის საქართველოში კონტრაბანდული სიგარეტი, რომლის დიდი ნაწილიც რადიაციულია და ბევრ მომწამლავ ნივთიერებას შეიცავს. სიგარეტის ბიზნესიდან სახელმწიფო ბიუჯეტში, ჩვენი გამოთვლებით, 143 მლნ უნდა შესულიყო, სტატისტიკის დეპარტამენტის გამოთვლებით — 140 მლნ, ფინანსთა სამინისტრომ კი ეს თანხები 40 მლნ-მდე დაიყვანა; ვფიქრობ, დასკვნების გამოტანა ამითაც შეიძლება... ■

„საქართველოს ტელეკომის“ გაყიდვა ქვეყნისთვის ზიანის მომტანი იქნება“

— საქართველოში უკვე საკმაოდ ბევრი სტრატეგიული ობიექტია გასხვისებული. „თელასის“ გაყიდვის შემდეგ, ჯერი „ტელეკომზე“ მიდგა, რასაც ქართული პოლიტიკური სპექტრი ეწინააღმდეგება. „ტელეკომის“ გაყიდვის შემთხვევაში, თქვენ სადამსჯელო ღონისძიებებით იმუქრებით. რას გულისხმობთ სადამსჯელო ღონისძიებებში და თქვენი აზრით, მოჰყვება თუ არა მას რაიმე შედეგი?

გიორგი ბარამიძე, *„გაერთიანებული დემოკრატების“ საპარლამენტო ფრაქციის ლიდერი:*

— აღშფოთებული ვარ „საქართველოს ტელეკომის“ გაყიდვის მცდელობით! ამასთან დაკავშირებით, ოფიციალური წერილი გავუგზავნე პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მინისტრს, კავშირგაბმულობის მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარეს და კონკრეტული ზომების მიღებისკენ მოვუწოდე. „ტელეკომის“ გასხვისება ისეთივე მოღალატური გეგმაა, როგორიც „თელასთან“ დაკავშირებით განხორციელდა. „საქართველოს ტელეკომის“ საკონტროლო პაკეტის რუსეთის „როსტელეკომის“ ხელში ჩაგდება, ქვეყნისთვის ზიანის მომტანი იქნება. პრივატიზაციის წინააღმდეგი არა ვართ, მაგრამ თუ საქართველოს სტრატეგიული ობიექტები გაიყიდება და საკონტროლო პაკეტი რუსეთის ხელში აღმოჩნდება, ამას ვერ შევეგუებით! ჩვენს პარტიას ამ საკითხთან დაკავშირებით, შემუშავებული აქვს კანონპროექტი, მაგრამ ამ მოწვევის პარლამენტი მის განხილვასა და დამტკიცებას ვეღარ მოასწრებს. თუ საჭირო იქნება, ამ კანონპროექტს კიდევ უფრო გავამკაცრებთ.

ვანო მერაბიშვილი, *„ნაციონალური მოძრაობის“ წევრი:*

— „საქართველოს ტელეკომის“ გაყიდვის მცდელობა კიდევ ერთხელ მიანიშნებს იმაზე, რომ უნდათ, ყველაფერი რუსეთს ჩაუგდონ ხელში! „ტელეკომის“ გაყიდვაში (ადრე, ამერიკული „მეტრომედია ჯგუფისთვის“ 30%-ის მიყიდვას ვგულისხმობ) უდიდესი წვლილი ფრიდონ ინჯიას მიუძღვის! ■

„სვანეთს თავს აფარებენ 12 კრიმინალი და მე-5 იზოლატორიდან გაქცეული პატიმრები...“

— გავრცელებული ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს დამატებითი ძალები სვანეთში შევიდნენ. იმასაც ამბობენ, რომ რთული კრიმინოგენური სიტუაციის გამო, უახლოეს მომავალში, იქ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები ჩატარდება. რა შეგიძლიათ დამატებით გვითხრათ დაგეგმილი ზომების შესახებ?

რუბენ ასანიძე, *შს მინისტრის მოადგილე:*

— სვანეთში დამატებითი ძალების შეყვანის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას არ ვადასტურებ. მესტიაში სპეცოპერაცია უკვე რამდენიმე წელია, რაც მიმდინარეობს. დამატებითი ძალები რომ შეგვეყვანა, რატომ დავმალავდით? თუმცა, ისიც უნდა გითხრათ, რომ იქ დამატებითი ძალების შეყვანა საჭიროა, აბა, ემზარ კვიციანი ხომ არ შეებრძოლება კრიმინალებს?! ჩვენი ინფორმაციით, სვანეთს თავს აფარებენ 12 კრიმინალი და მე-5 იზოლატორიდან გაქცეული პატიმრები. მათი დაკავება პრეზიდენტის რწმუნებულს არ შეუძლია, ამიტომაც, არავისთვის არ უნდა იყოს გასაკვირი და მოულოდნელი, თუ სვანეთში ჩვენი პოლიციური დანაყოფი იმუშავებს. მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ — ეს არ ნიშნავს იმას, რომ იქ ფართომასშტაბიანი სპეცოპერაცია დაიწყება...



კატასტროფის ამსახველი 1800 გვერდი...

ესოფლიო სავაჭრო ცენტრის შენობებში 2001 წლის 11 სექტემბერს, 2792 ადამიანი დაიღუპა. ცნობილია, რომ ბევრმა მათგანმა, დაღუპვამდე ცოტა ხნით ადრე, დასამშვიდობებლად ახლობელს დაურეკა. მანამდე, მომხდარით გაოგნებული ზოგიერთი ადამიანი სხვადასხვა სამსახურს მიმართავდა, რათა გარკვეულიყო, თუ რა მოხდა, ან რჩევა მიეღო... ერთ-ერთი უმსხვილესი ამერიკული გაზეთი — „ნიუ-იორკ ტაიმსი“ დიდი ხნის მანძილზე მოითხოვდა 11 სექტემბრის მსხვერპლთა სატელეფონო ჩანაწერების გაშიფვრასა და გამოქვეყნების უფლებას, რასაც ქალაქის ხელმძღვანელობა ეწინააღმდეგებოდა იმ მოტივით, რომ ეს გაუმძაფრებდა ტკივილს დაღუპულთა ოჯახების წევრებსა და ახლობლებს... ამ ცოტა ხნის წინ — ტრაგიკულ თარიღამდე ორიოდე კვირით ადრე, გაზეთის დაჟინებული მოთხოვნისა და საქმეში სასამართლოს ჩარევის შედეგად, ნიუ-იორკის მუნიციპალიტეტი, ბოლოს და ბოლოს, დათანხმდა სატელეფონო საუბრების გაშიფვრაზე და რედაქციას გადაეცა მასალები.

„ნიუ-იორკ ტაიმსს“ სულ 1800 გაშიფრული გვერდი გადაეცა, რომელიც 11 სექტემბრის ტრაგედიის შემზარავ სურათს გადმოგვცემს. აი, რამდენიმე ნაწყვეტი სხვადასხვა ადამიანის სატელეფონო საუბრიდან:

„მსოფლიო სავაჭრო ცენტრი. ვიმეორებ — რაღაც მოძრაობს სავაჭრო ცენტრის ზედა ნაწილში...“;

„მსოფლიო სავაჭრო ცენტრი აფეთქდა!“;

„გარეთ! გარეთ გავიდეთ!“;

„ისინი სამხრეთის მხრიდან, პირველი შენობის ფანჯრებიდან ხტებიან!..“

ადამიანები უმეტესად, მსოფლიო სავაჭრო ცენტრის მფლობელი კომპანიის — Port Authority of New York and New Jersey — პოლიციურ სამმართველოში რეკავდნენ, რომელსაც პოლიციელთა საკუთარი რაზმი ჰყავს. სწორედ ამ რაზმის 37 წევრი დაიღუპა იმ დღეს. უმრავლესობას კარგად ცნობენ ხმებით მათი თანამშრომლები.

ყველაზე დიდი საშინელება ის იყო, რომ თავდაპირველად, ვერავინ მიხვდა, თუ რა მასშტაბის კატასტროფა მოხდა. ბუნებრივია, ყველა ცდილობდა, გარკვეულიყო, თუ რასთან ჰქონდათ საქმე. გაოგნებული მამაკაცი გაჰყვირის: „ირგვლივ ათეულობით გვამია! ხალხი პირდაპირ შენობიდან ხტება!“ მას ოპერატორი-ქალის ხმა ეკითხება: „სერ, ვინ ხტება შენობიდან?“ — „ადამიანები! გვამები პირდაპირ ზემოდან ცვივა, ზედა სართულებიდან!“

ერთ-ერთი თვითმხილველი, ვიღაცას აგრეთვე უყვება, რომ ადამიანთა სხეულები შენობიდან ცვივა და შენობის გარშემო, 5 კვარტალის რადიუსში იფანტება... მართლაც — შემდგომ, პოლიციის ანგარიშებში აღნიშნული იყო, რომ ქარი იტაცებდა და უახლოესი კვარტალებისკენ მიაქანებდა სხეულებს. ზოგი, ხელიხელჩაკიდებული, წყვილად ხტებოდა ფანჯრიდან...

სამწუხაროდ, ვერავინ შეძლო, შენობაში მყოფი ადამიანებისთვის ეთქვა, თუ რა უნდა ელონათ. 92-ე სართულზე მყოფი მამაკაცი კითხულობს: „აქ დავრჩეთ თუ ევაკუირება ვცადოთ? თქვენს პასუხს ველოდები“. პოლიციელი პასუხობს: „თქვენს ადგილას, მითითებებს დაველოდებოდი“. — „კარგი. ეი. ადგილზე დავრჩეთ“... მეორე მამაკაცი ეკითხება კომპანიის პოლიციელს: „64-ე სართულზე ვიმყოფები, ჩემ გვერდით 20 ადამიანია, რას გვირჩევთ?“ პოლიციის სერჟანტი ეუბნება, რომ უმჯობესი იქნება, თუ ისინი კიბის სიახლოვეს დაელოდებიან პოლიციელებს. ეს საბედისწერო რჩევა იყო: გავიდა ერთი საათი და იმავე მამაკაცმა სერჟანტს აცნობა, რომ 64-ე სართული კვამლში იყო გახვეული და დასძინა: „გვინდა, კიბით ვცადოთ ჩასვლა. რას გვირჩევთ?“ — „სცადეთ“, — მოკლედ პასუხობს სერჟანტი. მაგრამ ძვირფასი დრო უკვე დაკარგულია...

როგორც შემდგომ გაირკვა, ცათამბჯენებში მყოფ არც ერთ ადამიანს არ ეგონა, რომ შენობები შეიძლებოდა ჩამონგრეულიყო — ყველა დარწმუნებული იყო, რომ „თვინსი“ („ტყუპი“) ნებისმიერ დარტყმას გაუძლებდა. მაგალითად, ერთი მამაკაცი ამბობს: „მას ხომ უმძლავრესი სახურკველი აქვს, თანაც — შენობა დრეკადია და მას რხევის ამპლიტუდა აქვს...“ მეორე ხმა: „ჩვენ გვითხრეს, რომ შენობა „ბოინგ-747“-ის დაჯახებასაც კი გაუძლებს...“ ადმინისტრაციის წარმომადგენლის პასუხი: პირდაპირი დარტყმაც კი არ დაანგრევს ამ შენობას“. მაგრამ ამ საუბრიდან რამდენიმე წუთში, „თვინსი“ ჩამოინგრა... ■

მკითხველს მოეხსენება, რომ „გზის“ წინა ნომრის „სასიძო“, პაროდისტი ლევან შენგელია გახლდათ. საკმაოდ საინტერესო გამოხმაურებები მიიღო და ერთ-ერთ თაყვანისმცემელს შეხვდა კიდეც. ამის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ გიამბობთ, მანამდე კი, ჯერ გამარჯვებული გოგონასა და ზოგიერთი სხვა მკითხველის „მესიჯებს“ გაგაცნობთ.

სოფო ლევანს შესთავაზა — თუ გინდა, ფენს გაჩუქებო...

მარი ჯაფარიძე

„ლევან, ოდესმე, კუბოდან „პერერივზე“ ამოსული გოგო გინახავს? თუ სიცოცხლე მოგბეზრდა, მნახე... სოფო“.

„გამარჯობა, ლევან, შენმა პიროვნებამ სასიამოვნო მოგონებები ამიშალა. რომელი? — ალბათ ხვდები, რომ ამას ვერ გავამხელ. ძალიან მიყვარს ხმამაღალი მუსიკა. ამის გამო, არა მარტო მშობლები, მეზობლებიც მსაყვედურობენ (კედელზე მიბრახუნებენ ხოლმე). რომ მხედავენ, უკვირთ — ნუთუ ეს არის ჩვენი სიმშვიდის დამრღვევიო?!. მიყვარს როკი და ყველა, ვისაც ვან ჰალენი და ჯენის ჯოპლინი უყვარს. ინტუიცია მკარნახობს, რომ კარგი ტიპი ხარ. სიამოვნებით გაგიცნობ, თუმცა, გათხოვებას ჯერ არ ვაპირებ, თანაც — სოფლელი არა ვარ... ნატკა“.

„უკვე რამდენი კვირაა, ველოდები „გზის“ ფურცლებზე ლევან შენგელიას გამოჩენას... მე ვარ ანანო, ქუთაისიდან. ლევან, მინდა გითხრა, რომ სიგიჟემდე მიყვარხარ. ძალიან მინდა შენი გაცნობა“.

„ძალიან მიყვარს ლევან შენგელია. ვეცდები, მისი თავი არავის დავუთმო. ახლაც, როცა ამ წერილს ვწერ, მისი სურათი გულში მაქვს ჩაკრული. ცნობისთვის, სოფელში ვცხოვრობ. მიყვარხარ და გკოცნი“.

„ჩემო ლევან, ძალზე სამწუხაროა, რომ თბილისში ვცხოვრობ, შენ კი სოფლელ გოგოს ეძებ ცოლად. დიდი სურვილი მაქვს, ცოტა ხნით მაინც, შენ გვერდით ვიყო და ხელი შეგახო. სიყვარულით, ნინო.“

„ლევან, ცილინდრი გიხდება, მაგრამ „კომბლეს“ ამპლუაში უფრო მშვენიერი ხარ. მხარზე ჯოხგადებული რომ გნახე, წარმოვიდგინე, რომ ახლა ჩამოხვედი მთიდან, ცხვარში ნამყოფი, გადაღლილი და მზეზე გარუჯული. ჰოდა, ძალიან მომინდა შენი გაცნობა და არ დაგიმალავ, ახლო ნაცნობობაზეც არ ვიტყოდი უარს...“

„ლევან, ისეთი ადამიანი ჩანხარ, შეუძლებელია, ვინმეს არ უყვარდე. სილამაზეში კი არა უნდა ეძებო ადამიანი, ადამიანში უნდა ეძებო სილამაზე. დიდი სიყვარულით, ტატა“.

„ლევან, დედას გაფიცებ, ბლანჟე მოიპარსე და მერე დამირეკე. მომწონხარ, თანაც მაგრად, მაგრამ აი, ეგ „ტეხავს“. თუ ჩემი სიყვარულის გულისთვის ამ მსხვერპლს გაიღებ, წინ ვერაფერი დაგვიდგება. დამიჯერე, უფრო მეტი ვღირვარ. გკოცნი, ნინი“.

„ლევან შენგელია, აბა, რა გითხრა... თითქმის ყველა „სასიძოს“ გამოვეხმაურე, მხოლოდ ერთთან გამიმართლა, მაგრამ სამწუხაროდ, მასთან შეხვედრა ვერ მოვახერხე, რადგან იმ დროს, თბილისში არ ვიყავი. ხომ ხედავ, პირდაპირ გეუბნები, რაც მჭირს. იქნებ შენთან მაინც გამიმართლოს?“

„შენი ინტერვიუ რომ ვნახე, გულმა ბაგაბუგი დამიწყო. ნეტავ იცოდე, როგორ მიყვარხარ. ბოლომდე სანამ ჩავიკითხავდი, ერთი სული მქონდა. გამიათკეცდა შენი სიყვარული. რომ გაჩვენა, რამდენი სურათი მაქვს შენი, გაგიჟდები. შენთან ერთადაც მაქვს გადაღებული სურათი. შენ იდექი, ვიღაც ბიჭს ელაპარაკებოდი, მე ისე დავდექი, რომ კადრში შენც გამოჩენილიყავი. ისეთი საყვარელი გამომეტყველება გაქვს, თვალს ვერ გაცილებ. ჩემო კარგო, იქნებ, გადაწყვეტილება მიიღო და დამირეკო? ბედნიერი ვიქნები, თუ გნახავ“.

ლევანმა ყველა „მესიჯი“ წაიკითხა, საჩვენებელი თითით ჰაერში წრე შემოხაზა და სწორედ იმ გზავნლს დაადო, რომელშიც ყველაზე მეტი ინტრიგა იყო. მისი რჩეული, 18 წლის მშვენიერი გოგონა, სოფო აღმოჩნდა. პირველი, რაც ლევანმა მისი ნახვისას თქვა, იყო — ეს არის, საფლავიდან „პერერივზე“ წამოსულიო?..

შეხვედრა ერთ-ერთ თბილისურ კაფეში შედგა. ლევანმა ხელსახოცისგან ექსპრომტად, მშვენიერი ვარდი შექმნა და სოფოს მიართვა. კარგა ხანს ისაუბრეს. თავიდან, გოგონა ძალზე მორცხვობდა, მაგრამ შემდეგ გაუშინაურდა ლევანს და ხუმრობით ისიც კი შესთავაზა — თუ გინდა, ფენს გაჩუქებო... ლევანმა „გადახოტრილ“ თავზე გადაისვა გაშლილი ხელისგული და აღნიშნა — კარგი იუმორის გრძნობა აქვსო.

შემდეგ ლევანმა იქვე, პიანინოზე რამდენიმე სიმღერა შეუსრულა, მომავალი შაბათისთვის პემანზეც შეუთანხმდა და სასწავლებელში ლექციაზე გააცილა. მე კი გამიმხილა, რომ აღფრთოვანებულია სოფოს გარეგნობითა და იუმორის გრძნობით. მადლობაც გადამიხადა, ასეთი კარგი გოგოს გაცნობისთვის... დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს. სოფოს თხოვნით კი, ფოტოსურათს ისე ვბეჭდავთ, რომ ახლობლებმა ვერ იცნონ: ის ჯერ მხოლოდ 18 წლისაა და მაინც მშობლების რეაქციას უფრთხის — „უცხო მამაკაცთან“ შეხვედრისთვის შეიძლება, დასაჯონ...

■



ირაკლი გოგავა:

ვფიქრობ, ირაკლი გოგავას ვინაობა საიდუმლოს არავისთვის წარმოადგენს, მაგრამ მაინც შეგახსენებთ, რომ ის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა პარლამენტარია და, რაც მთავარია — უცოლო. მოარული ხმების ავტორები იმასაც ამბობენ, რომ ერთ-ერთ გაცნობის კლუბს, ახალგაზრდა გოგონამ 5 ათასი დოლარი შესთავაზა, თუკი მას ირაკლიზე გაათხოვებდა... ჩვენს მკითხველებს კი, ამის შანსი უფასოდ ეძლევათ...

ვრჩევნეჯი რომ ჩვიკლილ, ცოლს ვეძინ ამოვიუვვნ...

მარი ხაფარიძე

— ბატონო ირაკლი, ზოდიაქოს რომელ ნიშანს მიეკუთვნებით და ამართლებთ თუ არა ამ ნიშნის მონაცემებს?

— ზოდიაქოთი გახლავართ კირჩხიბი, მაგრამ ასტროლოგიას დიდ ყურადღებას არ ვაქცევ.

— რამდენი წლის ხართ?

— 29-ის. დავიბადე 1974 წლის 10 ივლისს.

— რატომ არ ხართ დაოჯახებული?

— ადრეულ ასაკში, ამისთვის ფსიქოლოგიურად არ ვიყავი მზად. გარდა ამისა, მყარი მატერიალური მდგომარეობაც არ მქონდა. ახლაც, ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობ. მოგეხსენებათ, ბათუმელი გახლავართ. თბილისში ჯერჯერობით ბინა არ მიყიდია. ახლა, ნელ-ნელა ვაგროვებ საჭირო თანხას იმისთვის, რომ ბინა შევიძინო, მერე კი ოჯახის შექმნაზეც ვფიქრებ.

— ყველაზე მეტად ვინ გსაყვედურობთ ხოლმე, კენტად რომ ხართ?

— დედა და მეგობრები. ყველა მეუბნება, რომ უნდა დავაჩქარო ცოლის მოყვანა. მაგრამ ამასაც თავისი პლუსი აქვს: ადრეულ ასაკში რომ დავოჯახებულიყავი, შესაძლოა, ეს არასტაბილური ქორწინება ყოფილიყო. ახლა, უკვე ჩამოყალიბებული პიროვნება ვარ და ქარაფშუტულ გადაწყვეტილებას არ მივიღებ...

— როგორი ხართ შეყვარებულობისას?

— მინდა გითხრათ, რომ არ ვიცი, რადგან ჯერ სერიოზული სიყვარული არ მწვევია, მხოლოდ გატაცებები მქონდა... ვფიქრობ, რომ ყურადღებიანი და თავაზიანი კავალერი ვიქნები.

— საინტერესოა, რომ 29 წლის კაცს სიყვარულში გამოცდილება არა გაქვთ...

— ისე არ გაიგოთ, თითქოს სიყვარული არ შემიძლია. უბრალოდ, არც ერთი ჩემი გატაცება დიდ გრძნობაში არ გადაზრდილა...

— როგორმა ქალბატონმა შეიძლება მიიპყროს თქვენი ყურადღება?

— ლამაზმა, დახვეწილი მანერებისა და გემოვნების მქონემ. აუცილებელია, რომ თბილი და ყურადღებიანი იყოს.

— გარეგნობას უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ თუ ხასიათს?

— საუკეთესი ვარიანტი ის იქნება, რომ ორივე ეს თვისება იყოს შერწყმული იმ ქალში, რომელსაც ცოლად შევირთავ.

— რაზე დახუჭავთ თვალს, თუ ამას საჭიროება მოითხოვს?

— ერთადერთი, რასაც ქალს ვერ ვაპატიებ, ეს არის ტყუილი. ოღონდ არ მომატყუოს და დანარჩენს ყველაფერს ვაპატიებ.

— თქვენ თუ „გეხერხებათ“ ტყუილის თქმა?

— არა, არ „მეხერხება“. თუ სიმართლის თქმა არ შეიძლება, საერთოდ არ გავცემ კაცს პასუხს, მაგრამ არ მოვატყუებ.

— როგორი გაბრაზება იცით? გინება თუ გჩვევიათ?

— როდესაც ვბრაზდები, არ ვყვირი, მუშტებს არ ვიქნევ და არც ვიგინები. ამ დროს უბრალოდ, ვჩუმდები. საერთოდ, ხმამაღალი ლაპარაკიც კი არ მჩვევია. წყნარი, გაწონასწორებული პიროვნება ვარ და ამას ყველა ჩემი ნაცნობი დაგიდასტურებთ. ტონის აწევას მირჩევნია, სიტყვათა ისეთი წყობით ავაგო წინადადება, რომელიც ჩემს უკმაყოფილებას გამოხატავს...

— მუშტი-კრივი არასდროს გაგიმართავთ?

— ბავშვობაში, როგორ არა?! „ბირჟაზეც“ ვმდგარვარ. მახსოვს, ყმაწვილობისას, გარკვეულ ძველბიჭურ ტრადიციებსაც საკმაოდ ერთგულად ვიცავდი. თუმცა, ყოველთვის კარგ მოსწავლედ ვითვლებოდი. ის პერიოდი კი, ორწლიანი კალაპოტიდან ამოვარდნა იყო... შემდეგ მივხვდი, რომ „ბირჟაზე“ დგომა და „მაზიანზე“ თამაში ცხოვრებაში არ გამომადგებოდა და გადავწყვიტე, სხვა გზა ამერჩია. სწავლას უფრო მეტად დავუდე გული.

— ძილისგუდა თუ ხართ?

— საერთოდ, ძალიან გვიან — ასე, ღამის 3-4 საათზე ვიძინებ ხოლმე, რადგან მხოლოდ ღამით, 12 საათის შემდეგ მაქვს ხოლმე საშუალება, მივუჯდე კომპიუტერს და ჩემი საქმე გავაკეთო. ამის გამო, დილის 10 საათამდე ვერ ვიღვიძებ. დაახლოებით ათი წელია, ამ რეჟიმით ვცხოვრობ.

— ნასვამი, როგორი ხართ?

— 22-23 წლამდე, ცოტა აგრესიული ვხდებოდი ხოლმე. პირველი ბოთლი ლუდი მე-11 კლასში დავლიე, სკოლის გამოსაშვებ ბანკეტზე კი, პირველად დავთვერი. აგრესიულობა იმაში კი არ გამოიხატებოდა, რომ ვინმეს ვცემდი — უბრალოდ, ძალის მოზღვავებას ვგრძნობდი ხოლმე... ახლა, ხასიათი გამომეცვალა: როცა დავლევ, უფრო თბილი და ალერსიანი ვხდები, ახლობლებს ლამაზ და თბილ სიტყვებს ვეუბნები ხოლმე.

— ეროტიკულ სიზმრებს თუ ხედავთ ხოლმე?

— არ ვიცი, რადგან სიზმრებს ვერ ვიმახსოვრებ. სულ ორი სიზმარი მახსოვს, რომელიც ოდესმე მინახავს. კარგა ხნის წინ პოსეიდონის ზღვიდან ეტლით ამოსვლა დამესიზმრა. ძალიან მაგარი სიზმარი იყო...

— რის გამო შეიძლება, შეგებრალოთ ქალი?

— ძალიან მეცოდება მიტოვებული ქალი...

— ჰობი თუ გაქვთ?

— დიახ, ძალიან მიყვარს კალათბურთის თამაში. ხშირად ყოფილა შემთხვევა, რომ მარტოსაც კი მითამაშია. ძალიან მომწონს დაივინგი — აკვალანგით ყვინთ-

ვა. შარშანწინ ჩავყვინთე პირველად და წარუშლელი შთაბეჭდილება დამრჩა. მიყვარს ცხენით ჯირითი. საკუთარი ცხენი არა მყავს, მაგრამ ჰყავს მეგობარს და ხშირად ვჯირითობ ხოლმე. კიდევ, ძალიან მიყვარს კითხვა. ბავშვობაში უამრავ წიგნს ვკითხულობდი, მაგრამ დრო არ მქონდა: სკოლაო, სპორტიო და რა ვიცი... ჰოდა, ხშირად მინატრია — ნეტავ, სამი წლით ციხეში ჩამსვა და იქ ბევრი წიგნი მომცა-მეთქი... მოკლედ, მშვიდი და იზოლირებული პირობები მჭირდებოდა, რომ ბევრი მეკითხა.

— ახლა, თქვენ შესახებ ერთ ჭორს გეტყვით და შემდეგ თქვენ მიამბეთ, თავად რა გსმენიათ საკუთარ თავზე... ამბობენ, ერთ-ერთი სამაჭანკლო ფირმისთვის ახალგაზრდა გოგონას 5 ათასი დოლარი შეუთავაზებია თუკი თქვენზე გაათხოვებდა...

— ეს მეც გამიგონია, მაგრამ არ ვიცი, რამდენად შეეფერება სიმართლეს. ყველა მაშაყირებდა ამის გამო. ჩემი მეგობრები მეხუმრებოდნენ ხოლმე — უნდა მივაგნოთ იმ გოგონას და ფულს ვიშოვითო... თუ იპოვიდნენ, თანხა შუაზე უნდა გაგვეყო. მაგრამ ვერ დავადგინეთ ერთი რამ: ის გოგო ჩემს გაცნობაში იხდიდა ამხელა თანხას თუ მაინცდამაინც ცოლად უნდა მომეყვანა *(იცინის)*. რაც შეეხება ჭორებს — ძირითადად ჩემი და ვინმე ქალის რომანის შესახებ მსმენია ხოლმე...

— ასეთი ჭორი ერთ-ერთ ცნობილ ტელეჟურნალისტთან დაკავშირებითაც დადიოდა...

— საერთოდ, მიმაჩნია, რომ პირად და ინტიმურ საკითხებზე პრესაში საუბარი მიუღებელია. რაც შეეხება ინგა გრიგოლიას — ჩვენ 7 წელი ვმეგობრობდით. ამ სიტყვაში მე სულიერ და ფიზიკურ მეგობრობას ვგულისხმობ. ინგა „მოქალაქეთა ახალგაზრდულ კავშირში“ გავიცანი. ის პრესსამსახურის თანამშრომელი გახლდათ. გვყავდა საერთო სამეგობრო წრე. ხან ჯოკერს ვთამაშობდით, ხან ვსაუბრობდით. ინგა ძალზე ყურადღებიანი იყო, გემრიელ ყავასაც გვიდუღებდა... მაშინ დაიწყო ჩვენი ურთიერთობა. შემდეგ მან გადაინაცვლა ჟურნალისტიკაში. პირველი მისი საინფორმაციო გადაცემის სცენარი ჩემს კომპიუტერშია აკრეფილი... საკმაოდ სერიოზულ ჟურნალისტად ჩამოყალიბდა. ხშირად ვეხმარებოდი გადაცემის მომზადებაში, ასე ვთქვათ, მისი მბეჭდავი ვიყავი ხოლმე. ძალიან ვწუხვარ, რომ ვერ მოვახერხეთ, ცივილიზებულად დავშორებოდით ერთმანეთს და მეგობრებად დავრჩენილიყავით. რაც შეეხება დაშორების მიზეზს — ამაზე საუბარი არ მინდა და მიზანშეწონილად არ მიმაჩნია, ასეთ თემაზე ხმამაღლა ლაპარაკი.

— თაყვანისმცემლები თუ გაწუხებენ?

— ხანდახან ხდება ხოლმე, რომ მირეკავენ და სიმპათიას გამოხატავენ, მაგრამ სამწუხაროდ, არჩევნების ციებ-ცხელების დროს, ამისთვის არ მცალია. არჩევნები რომ ჩაივლის, ცოლს მაშინ მოვიყვან.

— როცა ქალისგან თქვენდამი სიმპათიას გრძნობთ, როგორ ექცევით ხოლმე, მას?

— ბევრ ჩემს ახლობელს სჩვევია, რომ ასეთ დროს, ქალს ირონიულად უყურებს და აშკარად აგრძნობინებს, რომ დასცინის. მე ასე არ შემიძლია. თუ ვხედავ, რომ ამ ურთიერთობას პერსპექტივა არ გააჩნია, ვცდილობ, მეგობრული ურთიერთობა შევინარჩუნო და წინ ნაბიჯს არ ვადგმევინებ, რომ ურთიერთობა არ გაღრმავდეს და შემდეგ, ასე ვთქვათ, „გატეხილში“ არ დარჩეს...

— როდესაც ცოლის მოყვანაზე მიდგება საქმე, მიანიჭებთ თუ არა მნიშვნელობას იმას, რომ მისთვის პირველი მამაკაცი უნდა იყოთ?

— არ ვიცი, ეს კარგია თუ ცუდი, მაგრამ მე ტრადიციულ, ქართულ ოჯახში გავიზარდე, ამიტომ, ამას გარკვეულწილად, მნიშვნელობას ვანიჭებ. მაგრამ წინასწარ არავინ იცის, ცხოვრება რას უმზადებს და მომავალში როგორ მოვიქცევი, ძნელი სათქმელია. თუმცა ვაღიარებ, რომ ცუდი განცდა არ არის, როცა შენი მეუღლისთვის პირველი მამაკაცი ხარ. ეს თითქოს, რაღაც ფსიქოლოგიურ ასპექტში, გარკვეულ უპირატესობას განიჭებს...

— მაჭანკლობას როგორ უყურებთ? გარიგებით თუ შექმნილით ოჯახს?

— რატომაც არა? მაგრამ აქ არსებობს ერთი „მაგრამ“: ამ შემთხვევაში, უნდა გაგიმართლოს — გარიგების შემდეგ, უნდა გაჩნდეს სუფთა და რომანტიკული გრძნობა და არავითარ შემთხვევაში არ უნდა იჩინოს თავი ანგარებამ.

— თქვენი მომავლით თუ დაინტერესებულხართ და მკითხავისთვის თუ მიგიმართავთ?

— არა, არასოდეს. მე მკითხავების არ მწამს. ნალექიან ყავას არ გეახლებით, რომ ჭიქა გადავაბრუნო. ისე, ერთი მარტივი პასიანსი ვიცი: ჩავიფიქრებ ხოლმე სურვილს და გავშლი კარტს; მაინტერესებს, გამოვა თუ არა და აქედან გამომდინარე, ამისრულდება თუ არა ჩანაფიქრი.

— რჩევას თუ ეკითხებით ვინმეს და ვის აზრს აქვს თქვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა?

— გადაწყვეტილებას ყოველთვის დამოუკიდებლად ვღებულობ. თუმცა, მამაჩემი საკმაოდ ჭკვიანი და ნაკითხი კაცია და ხშირად, სტრატეგიულ საკითხებზე კონსულტაციებს ვიღებ ხოლმე. რაც შეეხება პირად საკითხებს — იშვიათად მივმართავ ხოლმე მეგობრებს.

— მოფერება გიყვართ?

— კი, რატომაც არა?! რა მეტყობა იმისი, რომ მოფერება არ მიყვარს?!. დედა, მთლად პატარა ბავშვივით — არა, მაგრამ მაინც ხშირად მეფერება ხოლმე. მეც მიყვარს, როცა სითბოს გამოვხატავ, მაგრამ მთლად ერბო-ქონივით დნობა — არა.

— ეჭვიანი ხართ?

— კი, ძალიან ეჭვიანი ვარ, მაგრამ თუ ადამიანმა ჩემი ნდობა მოიპოვა, მასზე აღარ ვეჭვიანობ ხოლმე. ისე არ იფიქროთ, რომ ავადმყოფურად ვეჭვიანობ. ამ გრძნობას მე უფრო, ყურადღებასა და სიფრთხილეს დავარქმევდი.

— რისი გეშინიათ?

— ნემსის. ძალიან მეშინია — მართლაც, სერიოზულად. თუ ავად ვხდები, ყველანაირად ვცდილობ ხოლმე, რომ წამლებს და მით უმეტეს, ნემსის გაკეთებას ავარიდო თავი.

ვფიქრობ, საკმაოდ გულახდილი საუბარი გამოგვივიდა. ვისაც მისი თანაგრძნობის მოპოვება სურს, დამიკავშირდეს ტელეფონის ნომერზე: 8(77)45.68.61. როგორც ნახეთ, ახალგაზრდა პოლიტიკოსი არჩევნების შემდეგ აპირებს ცოლის მოყვანას. თადარიგი წინასწარ უნდა დაიჭიროთ... ■

კაცს, რომელიც საკუთარი ერუდიციისა და განათლების დემონსტრირებას ცდილობს, არც ერთი აქვს და არც მეორე.

ერნესტ ჰემინგუეი

ფრაზა გენიალური

ფოტოსურათი – პულ-იოპლის «მოკარნახე»

ლელა ჭანკოტაძე

ალბათ ბევრი გსმენიათ, ფოტოსურათებით მკითხაობის შესახებ. ერთ-ერთი მათგანი, ვინც ამბობს, რომ შეუძლია, ფოტოზე მკითხაობით ადამიანის მომავალი იწინასწარმეტყველოს, ნატაშა სპორიოსო�sვა. ჩემი სტუმრობა და მით უფრო, სურვილი — ემარჩიელა ცნობილი ადამიანების ფოტოსურათებით — არ გაჰკვირვებია. უფრო მეტიც, გამიმხილა: პოპულარული ადამიანები ჩემთან ჩუმ-ჩუმად დადიან, ისინიც ისეთივე ცნობისმოყვარენი არიან, როგორებიც სხვებიო.

აი, რა გვითხრა ნატაშამ რამდენიმე ცნობილი ადამიანის: შალვა ნათელაშვილის, დათო ხუჯაძის, ვახტანგ რჩეულიშვილის და იგორ გიორგაძის შესახებ:

„შალვა ნათელაშვილი საქართველოს პრეზიდენტი ვერ გახდება!"

— როგორი აურა აქვს შალვა ნათელაშვილს?

— სუფთა და არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ გულიც სუფთა აქვს. თვალები ნათელი აქვს — ცუდს ვერაფერს ვხედავ. მომავალში, ხიფათი ელოდება — მის მოკვლას განიზრახავენ, მაგრამ ეს გეგმა ჩაიშლება. მისი ფოტოდან ჩანს, რომ მტრები ჰყავს...

— ტერაქტს მოუწყობენ?

— მე მგონი, მისი მოკვლა ერთხელ უკვე სცადეს. ის ბევრს ყელში ძვალივით ჰყავს გაჩხერილი... ფრთხილად უნდა იყოს. თუმცა, იმდენად სუფთა აურა აქვს, რომ მტერი ვერაფერს დააკლებს.

— როგორი ხასიათი აქვს?

— კონფლიქტური. საუკეთესო მეგობრებთანაც კი, კონფლიქტები მოსდის ხოლმე. ადამიანებს იოლად კარგავს, იოლად იმტერებს... ვხედავ მისი ბავშვობის მეგობრებს, ერთგულ, პატიოსან ადამიანებს. მათ დახმარება სჭირდებათ, მაგრამ ამის თქმას ვერ უბედავენ.

— როგორი მომავალი ელის?

— პრეზიდენტი ვერასდროს გახდება, თუმცა, პოლიტიკიდან არასდროს წავა. მისი პრობლემა ის არის, რომ ზურგი არა აქვს, უკან არავინ უდგას, მარტოა. გულისნადებს არავის უზიარებს, ცოლსაც კი.

— ქალებთან ურთიერთობისას როგორია?

— ბევრი ქალია მასზე შეყვარებული. თავად არავინ უყვარს. ცოლს არ ღალატობს, მისი ერთგულია. გარეთ სულ იცინის, შინ — მკაცრია, ძალიან მკაცრი.

— არჩევნებში წარმატებას თუ მიაღწევს?

— არც ისეთს, როგორსაც ელოდება. პირველ ადგილზე, სხვასთან ერთად გავა. ორი პოლიტიკოსი თანაბარ ხმებს დააგროვებს. ვეცდები დავაკონკრეტო: მგონია, რომ არჩევნებში 21%-ს მიიღებს.

— ნათელაშვილის ოჯახზე კიდევ რისი თქმა შეგიძლიათ?

— ვხედავ გულჩვილ ქალს, რომელიც ხშირად ტირის. ვხედავ გამხდარ ქალსაც, რომელსაც შალვა ძალიან უყვარს. ვხედავ სამ შვილს — ორ ვაჟსა და ერთ გოგონას.

— მას ორი შვილი ჰყავს...

— მე სამს ვხედავ... ერთი ბიჭი პოლიტიკაში წავა, მეორე — იურისტი გახდება. მას ბევრ ფულთან ექნება შეხება — ალბათ ბანკში იმუშავებს...

„დათო ხუჯაძე ესტრადიდან პოლიტიკაში გადაინაცვლებს"

— როგორია დათო ხუჯაძე?

— თბილი, რბილი და იოლად სამართავი მამაკაცია. ის შეიძლება, იოლად აღმოჩნდეს გამოცდილი და ჭკვიანი ქალის ტყვეობაში... ირგვლივ უამრავი შეყვარებული ქალი ჰყავს. დათო ყველას მიმართ გულგრილია.

— პოპულარული გოგონებიდან თუა ვინმე მასზე შეყვარებული?

— დიახ. ვხედავ გამხდარ, მოკლეკაბიან გოგონას. ქერაა და ყველანაირად ცდილობს, დათოს გული მოინადიროს. თუმცა, ამას არ ეუბნება, მხოლოდ აგრძნობინებს. დათო მის მიმართ გულგრილი არ არის, მაგრამ მათი ერთად ყოფნა გამორიცხულია, რადგან დათოს სულ მალე, ბედნაცვალ ქალთან რომანი ექნება.

— ეს ქალი მისი ბედია?

— არა. დათო არ ჩქარობს. მისთვის ცოლის შერთვა ჯერ ნაადრევია. ჯერ დიდი რომანი ელის, რაც ძალიან შეაშინებს ორ ქალს: მსუქან, პირმრგვალ და გამხდარ, გათხოვილ ქალს. ეს ქალები დათოს სისხლით ნათესავები არიან.

— რა ელის მომავალში?

— დიდი პოპულარობა. ის ნომერ

პირველი ქართველი მომღერალი გახდება. ორ წელიწადში, დათო ყველაზე შემოსავლიანი და კომერციულად წარმატებული მომღერალი იქნება. თუმცა, მას ფულში ბედი არ წყალობს. როცა საქმე ფულს ეხება, ყოველთვის იმედგაცრუებული რჩება. სულ მალე მას დიდი შენაძენი ელოდება.

— უფრო შორეული მომავლის დანახვა თუ შეგიძლიათ?

— დათო პროფესიას გამოიცვლის. მან ერთხელ უკვე შეიცვალა სპეციალობა: თეთრ ხალათს ვხედავ — ალბათ ექიმობა უნდოდა და ამაზე უარი თქვა ან არ გაუმართლა. მომავალში, თავის ცხოვრებაში კიდევ ერთ ცვლილებას შეიტანს — ესტრადიდან პოლიტიკაში წავა. ეს მოხდება მას შემდეგ, რაც ბედს ბიზნესშიც მოსინჯავს. შემიძლია გითხრათ, რომ ბიზნესისკენ ცალი ფეხი უკვე გადადგმული აქვს... მას ძალიან ნათელი მომავალი აქვს.

— კიდევ რაიმე ხომ არ შეგიძლიათ გაანდოთ დათოს ფანებს?

— არის ბევრი რამ, რასაც ჩემთვის დავიტოვებ, რადგან მეც დათოს ფანი ვარ. ძალიან მიყვარს, კარგი მომღერალია. მასში ზომიერადაა შერწყმული თანამედროვე და ძველი, კაცური ჰარმონია, მელოდია და სტილი.

„ვახტანგ რჩეულიშვილს პოლიტიკაში წარმატება არ უწერია"

— ვახტანგ რჩეულიშვილზე რას გვეტყვით?

— თუ მას რაიმე ყოველთვის ექნება, ეს ფულია. ამ მხრივ უმართლებს. „ფულის გზა" მისთვის ხსნილია. მხარჯველიცაა, ძალიან მაგარი მხარჯველია.

— რაზე ოცნებობს?

— მისი დიდი ოცნება, დიდი სკამია. სავარძლისკენ მიილტვის, მაგრამ მის ამ ოცნებას განხორციელება არ უწერია. ყოველთვის, უმაღლეს ხელისუფალთა გვერდით იქნება...

— მისი ინტიმური სამყარო როგორია?

— ბევრ ქალს ვხედავ. ცოლის გარდა, სხვა ქალებისკენაც გაურბის თვალი, მაგრამ ძალიან უყვარს ცოლი. მის თვალებში დიდი სიყვარულია. წვრილ-წვრილ რომანებს ვხედავ, დამთავრებულ რომანებს... უკან არასდროს იხედება. წარსულში მომხდარ ამბებს არ ნანობს. სულ წინ იყურება.

— როგორი მომავალი აქვს? არჩევნებში რას იზამს?

— მომავალი პარლამენტის დეპუტატიც იქნება. კარგა ხანს დარჩება პოლიტიკაში. მის გვერდით ფულიან ქალს ვხედავ, რომელსაც მცირე უსიამოვნება ელის: ფულს დაკარგავს, მაგრამ არა იმხელა თანხას, რომ სერიოზულ ნერვიულობად ღირდეს. მათ მომავალში ახალი წევრი შეემატებათ: ახალშობილს ვხედავ, თანაც — ერთს კი არა, ორს.

„იგორ გიორგაძე უშიშროების მომავალი მინისტრია"

— იგორ გიორგაძე დაბრუნდება საქართველოში?

— აუცილებლად. როგორც კი შევარდნაძე პოსტიდან წავა, ის დაბრუნდება. მოიწვევენ, დაბრუნებას სთხოვენ. ქართულ პოლიტიკაში ისევ მოიკიდებს ფეხს.

— მასაც პრეზიდენტობა უნდა, რას იტყვით, გაუმართლებს?

— არა. მისი პრეზიდენტობა არ შეიძლება, რადგან ის ძალიან გულნატკენია. საერთოდ, დარდიანია. მისი შვილები დიდ განსაცდელში არიან. მისი ცოლი სულ გზაშია — ალბათ ხშირად ჩამოდის ხოლმე საქართველოში... იგორის გზას მისი ქალიშვილი გააგრძელებს. ის პოლიტიკოსადაა დაბადებული. იგორს, კი ისევ უშიშროების მინისტრობა ელოდება.

— მის გულში რა ხდება?

— ტკივილს გრძნობს. სისხლით ნათესავები ენატრება. საქართველოში ჩამოსვლას ვერ ბედავს.

— ამბობენ — ჩამოვიდაო?..

— მე ამას ვერ ვხედავ... ვგრძნობ, რომ ძალიან შორსაა, ალბათ — უფრო შორს, ვიდრე რუსეთია. მას ციხე არ ელოდება. საქართველოსთვისი საჭირო იქნება და ჩამოიყვანენ.

— კიდევ რას ხედავთ?

— ალბათ შვილს დააქორწინებს. ჭირის სუფრა უკვე ჰქონდა, ახლა მის ოჯახს ლხინის სუფრა ელოდებათ — რძალს წაიყვანენ საქართველოდან... ■

ფრაზები გენიალური

საზოგადოება არასდროს განიცდის ისეთი თვალებისა და ყურების დეფიციტს, რომელსაც სხვისი საიდუმლო აინტერესებს.

ლეონარდო და ვინჩი

9 სექტემბერს, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ სამ განსასჯელს — 26 წლის რუსლან დუმბაძეს, 21 წლის მალხაზ გოჩიაშვილსა და 22 წლის გერასიმე ფაცაციას გამოუტანა განაჩენი. პროკურატურა სამივეს, ყაჩაღობასა და განზრახ მკვლელობის მცდელობაში ადანაშაულებდა.

ბოროტმოქმედები კაცს ქურთუკის გამო კლავდნენ

ბოროტმოქმედებმა ქურთუკის გამო განიზრახეს მოქალაქის დაყაჩაღება, თუმცა, მხოლოდ ამ დანაშაულით არ შემოიფარგლნენ და დაზარალებულის მოკვლაც სცადეს. საქმის სასამართლო განხილვის შემდეგ, სახელმწიფო ბრალმდებელმა დუმბაძისთვის 17 წლით, გოჩიაშვილისთვის 12 წლით, ხოლო ფაცაციასთვის 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა.

აღსანიშნავია, რომ განსასჯელთაგან ერთი – რუსლან დუმბაძე წარსულში ნასამართლევია. 1996 წელს, იგი ქურდობისთვის ფოთის სასამართლომ გაასამართლა და 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. 1997 წლის 24 მაისს, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე, იგი სასჯელის მოხდისგან პირობით, ვადამდე ადრე გათავისუფლდა. 1998 წელს, დუმბაძე პროკურატურამ გაუპატიურებაში დაადანაშაულა, რისთვისაც იგი კვლავ ფოთის სასამართლომ გაასამართლა და სასჯელის ზომად, 6 წლითა და 6 თვით პატიმრობა განუსაზღვრა. მეორე შემთხვევაშიც იგი ვადამდე ადრე გათავისუფლდა.

2003 წლის 11 იანვარს, რუსლან დუმბაძემ მორიგი დანაშაული – ამჯერად, თბილისში ჩაიდინა. რკინიგზის ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიაზე იგი მალხაზ გოჩიაშვილს, გერასიმე ფაცაციასა და გამოძიებით დაუდგენელ, კიდევ რამდენიმე პირს შეხვდა. საუბრისას, დუმბაძემ მათ, რომელიმე მოქალაქისთვის ქურთუკის წართმევა შესთავაზა. ამ წინადადებას ყველა დათანხმდა.

დაახლოებით საღამოს 8 საათისთვის, მათ მოქალაქეები – როგორც მოგვიანებით გაირკვა, გოჩა პავლიაშვილი და მამუკა ბერუაშვილი გააჩერეს. გამვლელების ყურადღება რომ არ მიექციათ, პავლიაშვილი მიწისქვეშა გადასასვლელში ჩაიყვანეს. დუმბაძემ მას ყელზე დანა მიაბჯინა და ტყავის ქურთუკის გახდა უბრძანა. პავლიაშვილი მაშინვე დაემორჩილა მას და ქურთუკთან ერთად, ბოროტმოქმედებს საფულეც გადასცა.

ამის შემდეგ, ბერუაშვილს მიუბრუნდნენ. ამ უკანასკნელმა წინააღმდეგობის გაწევა სცადა, რის გამოც ცემა დაუწყეს, დუმბაძემ კი სხეულში დანა რამდენჯერმე ჩაარტყა. ბერუაშვილის დაჭრის შემდეგ, მისთვის ქურთუკის წართმევაზე ხელი აიღეს და მაშინვე გაიქცნენ შემთხვევის ადგილიდან.

დაჭრილი ბერუაშვილი პავლიაშვილმა და იქვე შეკრებილმა ხალხმა საავადმყოფოში გადაიყვანეს. საბედნიეროდ, ჭრილობები სასიკვდილო არ აღმოჩნდა. იმავე დღეს, პავლიაშვილმა მომხდარის შესახებ, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის შინაგან საქმეთა სამმართველოს თანამშრომლებს აცნობა. ცოტა ხანში, პოლიციამ გოჩიაშვილი და ფაცაცია ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიაზე დაიკავა, დუმბაძე კი, დაკავებულთა მითითებით, მის მიერ ნაქირავებ ბინაში აიყვანა.

აღსანიშნავია, რომ დაკავებამდე, დუმბაძეს გატაცებული ქურთუკის რეალიზაცია მოუსწრია. დეზერტირების ბაზარზე ის 20 ლარად გაუყიდია.

ეჭვმიტანილად დაკითხვის დროს, სამივემ აღიარა დანაშაული და პროკურატურას მომხდართან დაკავშირებით დეტალური ჩვენება მისცა.

„...დავინახე, რომ მეორე ბიჭი (ბერუაშვილი. – ავტ.) *ჩემს ნაცნობებს ეკამათებოდა. მივედი და ვკითხე – რა ხდება-მეთქი? – შენ ვინ გეკითხებაო?! – მიპასუხა. ამის გამო შევკამათდით და ერთმანეთს ხელი ვკარით. იმ ბიჭმა ჯიბი მომიქნია. მაშინ დანა ამოვიღე და მისკენ რამდენჯერმე მოვიქნიე. ვიგრძენი, რომ დანა სხეულში მოხვდა, ამიტომაც, იქიდან საჩქაროდ გავიქეცი. წართმეული ქურთუკი კი, ფაცაციას გადავეცი...“* – წერს ეჭვმიტანილად დაკითხვის დროს, რუსლან დუმბაძე.

ბერუაშვილი, დაზარალებული:

„იმ დღეს, ჩემს მეგობარ – გოჩა პავლიაშვილთან ერთად, სასტუმრო „კოლხეთის“ ახლოს მდებარე კაფეში შევედი. ალკოჰოლური სასმელი დავლიეთ. საღამოს 8 საათისთვის გამოვედით კაფედან და ფეხით წავედით სადგურის მიმართულებით. ბანკ „ემ-ბი-ჯი“-ს რომ მივუახლოვდით, უცნობი გოგონა შევნიშნეთ. გოგონა ტიროდა და ამბობდა, რომ ცუდად იყო. მე და გოჩა მასთან მივედით და ვეკითხებოდით, თუ რა დაემართა, როცა დაახლოებით რვა უცნობი ბიჭი წამოგვადგა თავზე და გვითხრა – თქვენთან სალაპარაკო გვაქვსო. ბიჭების ნაწილმა გვერდით გამიყვანა, ნაწილმა კი, გოჩა წაიყვანა, თუმცა სად, ვერ დავინახე. ვინც ჩემთან დარჩა, მათ ფული მომთხოვეს.

ცოტა ხანში, გოჩაც დავინახე, მიწისქვეშა გადასასვლელიდან ამოვიდა, ქურთუკი აღარ ეცვა. სამი თუ ოთხი ბიჭი მოჰყვებოდა. მეც მომთხოვეს ქურთუკის გახდა... მე უარს ვამბობდი და წინააღმდეგობას ვუწევდი მათ. ერთ-ერთს, რომელსაც ჯინსის ქურთუკი ეცვა, ხელში დანა ეჭირა. მას საუბრისას რუსლანად მოიხსენიებდნენ. ყველამ ერთად დამიწყო ცემა, მან კი დანა ფეხში ჩამარტყა. ძირს დავეცი. ჩემს ცემას მაინც განაგრძობდნენ. რაღაც მომენტში, წამოვდექი და სწორედ მაშინ, გოჩას ყვირილი მომესმა – დანა არ დაარტყათო. მიუხედავად ამისა, ჯინსისქურთუკიანმა რამდენჯერმე სხეულის სხვადასხვა ადგილში ჩამარტყა დანა. წავიქეცი. უცნობი ბიჭები გაიფანტნენ. ქურთუკის წართმევა ვერ მოახერხეს, ისე გაიქცნენ შემთხვევის ადგილიდან.

წამოდგომა და წასვლა ვცადე, მაგრამ როგორც კი რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი, გონება დავკარგე. გონს რომ მოვედი, საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში ვიყავი“.

პროკურატურის მიერ ბრალდების წარდგენისას, არც ერთმა ბრალდებულმა თავი დანაშავედ არ ცნო. მაშინ სამივემ უარი თქვა ჩვენების მიცემაზე და დუმილის უფლება გამოიყენა. სასამართლოს, მართალია, ჩვენება მისცეს, მაგრამ დანაშაული მაინც არ აღიარეს.

სისხლის სამართლის კოლეგიამ განსასჯელთა პოზიცია არ გაიზიარა. მათ მიერ ჩადენილი დანაშაული, სასამართლო გამოძიების შედეგად, დადასტურებულად ჩათვალა, თუმცა მათ ისეთი მკაცრი სასჯელი, როგორსაც სახელმწიფო ბრალმდებელი მოითხოვდა, არ განუსაზღვრა. დუმბაძეს კოლეგიამ 15 წლითა და ექვსი თვით, გოჩიაშვილსა და ფაცაციას კი – 9-9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

■

სამხედრო პროკურატურის პროკურორის მკვლელები ბანდიტური დაჯგუფების წევრები აღმოჩნდნენ

უზენაესი სასამართლოს წინაშე მორიგი ბანდა წარდგა. ის პროკურატურის მიერ განსაკუთრებით მძიმე და საშიშ დანაშაულებშია მხილებული. გამოძიების ინფორმაციით, ბანდიტური დაჯგუფების წევრები ორგანიზაციებს, ოჯახებსა და ქუჩაში ავტომანქანებით მოძრავ მოქალაქეებსაც ესხმოდნენ თავს. ამჟამად, სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგია ბანდის სამ წევრს — თამაზ გაბროშვილს, ალექსანდრე ფარმანიანსა და დიმიტრი აბრამიშვილს ასამართლებს. გაბროშვილს არაერთგზის ჩადენილ, განზრახ მკვლელობაში ედება ბრალი. საბრალდებო დასკვნის თანახმად, მან ერთ-ერთი ყაჩაღური თავდასხმის დროს, ავტომატით დაცხრილა საქართველოს მთავარი სამხედრო პროკურატურის განყოფილების პროკურორი — ზაზა ნაყეური.

41 წლის თამაზ გაბროშვილი უცოლო და წარსულში სამჯერ ნასამართლევი გახლავთ. 1987 წელს, ის პირველად, ყაჩაღობისთვის გაასამართლა და სასჯელის ზომად ცხრა წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა მცხეთის რაიონის სასამართლომ. 1992 წელს, გაბროშვილი ციხიდან ვადამდე ადრე გათავისუფლდა, მაგრამ ერთი წელიც არ იყო გასული, რომ კვლავ სამსჯავროს წინაშე წარდგა. 1993 წელს, თბილისის გლდანის რაიონის სასამართლომ მას ცხრა თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, მაგრამ ვინაიდან განაჩენის გამოცხადების მომენტისთვის, აღნიშნული ვადა გაბროშვილს, წინასწარი პატიმრობისას მოხდილი ჰქონდა, ის პირდაპირ დარბაზიდან გაათავისუფლეს. 1996 წელს, გაბროშვილი მესამედ – ამჯერად, ფეთქებადი ნივთიერების უკანონო შენახვისთვის – კვლავ გლდანის რაონის სასამართლომ გაასამართლა და ორი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. გაბროშვილი ციხიდან პირობით, ვადამდე ადრე გათავისუფლდა.

გათავისუფლების შემდეგ, თამაზ გაბროშვილმა ცეცხლსასროლი იარაღის მთელი არსენალი, საბრძოლო მასალა და ფეთქებადი ნივთიერებები შეიძინა. როგორც პროკურატურა აღნიშნავს, მას ბანდიტური დაჯგუფების ჩამოყალიბება და ახალი დანაშაულების ჩადენა ჰქონდა განზრახული.

საბრალდებო დასკვნის თანახმად, გაბროშვილი დაუკავშირდა დიმიტრი აბრამიშვილს, მევლუდ ჭიჭიაშვილს, აწ გარდაცვლილ გაიოზ სეხნიაშვილსა და სხვა პირებს და მათთან ერთად ჩამოაყალიბა შეიარაღებული ბანდა, რომლის მიზანი, ორგანიზაციებსა თუ ცალკეულ პირებზე ყაჩაღური თავდასხმა და ამ გზით მოპოვებული ქონების ერთმანეთში განაწილება იყო.

1998 წლის 19 მარტს, დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, შუაღამისას, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული გაბროშვილი და ბანდის სხვა წევრები გლდანში მდებარე ერთ-ერთ საცხოვრებელ კორპუსთან მივიდნენ. ეზოში სწორედ იმ ავტოფარეხს მიადგნენ, სადაც წინა დღეებში, გაიოზ სეხნიაშვილს წინასწარ ჰქონდა შეთვალიერებული „უაზის“ მარკის ავტომანქანა. ლითონის საჭრელის გამოყენებით შეაღწიეს ავტოფარეხში, შემდეგ ავტომანქანის სადენები გადააერთეს და ძრავაც აამუშავეს. მანქანა, რომელიც მათ იმ ღამით გაიტაცეს, მოქალაქე მალხაზ მესხიას ეკუთვნოდა. საბრალდებო დასკვნის თანახმად, ეს იყო გამოძიების მიერ გამოვლენილი პირველი დანაშაული, რომელიც გაბროშვილმა ბანდის წევრებთან ერთად ჩაიდინა. მას შემდეგ, როგორც პროკურატურა აცხადებს, ბანდიტები უქმად არ ჩერდებოდნენ და ერთმანეთის მიყოლებით სჩადიოდნენ მოქალაქეთა დაყაჩაღებებს. ბრალდების თანახმად, ბანდამ 10-მდე ასეთი დანაშაული ჩაიდინა, მათგან რამდენიმეს, ტრაგიკული შედეგი – დაზარალებულის სიკვდილი მოჰყვა.

1999 წლის იანვარში, გაბროშვილმა, აბრამიშვილმა, ჭიჭიაშვილმა, დობაძიშვილმა და სეხნიაშვილმა საგარეჯოში, სათავის ქუჩაზე მცხოვრები ზურაბ პეტრიაშვილის ოჯახის დაყაჩაღება განიზრახეს. ბანდიტებმა ჩათვალეს, რომ ამ საქმისათვის, ავტომატის გარდა, მათ პისტოლეტიც დასჭირდებოდათ. პრობლემის მოგვარება გაბროშვილმა ითავა. გაახსენდა, რომ პატარძეულში ერთ-ერთ მის მეგობარსა და თანასოფლელს „მაკაროვის“ პისტოლეტი ჰქონდა. გაარკვია, რომ იგი ამ იარაღს თავისი სახლის ეზოში, თონის გვერდით მდებარე სათავსში ინახავდა, ერთხელ ღამით,აღნიშნულ ადგილას მიიპარა, პისტოლეტი ვაზნები ჩუმად წაიღო.

მალე გაირკვა, რომ დაყაჩაღებისთვის ავტომანქანაც სჭირდებოდათ. ამიტომ შეიარაღებულებმა, დაახლოებით საღამოს 9 საათისთვის, სათავის ქუჩაზე, „ნივა“ გაიტაცეს. საავტომობილო გზაზე მოძრაობისას, ისინი პოლიციელებს გადაეყარნენ. პოლიციელებმა „ნივის“ მძღოლს ანიშნეს, გაჩერებულიყო, მაგრამ ბანდიტები მოთხოვნას არ დაემორჩილნენ. ამან სამართალდამცავები დააეჭვა და გადაწყვიტეს,

„ნივაში“ მსხდომნი შეემოწმებინათ. ბოროტმოქმედებმა, როცა შეატყვეს, რომ პოლიცია ასე ადვილად არ მოეშვებოდა მათ, ცეცხლი გახსნეს.

სროლების შედეგად, პოლიციელთაგან ერთ-ერთმა – ქურხულმა თავის არეში ორი სასიკვდილო ჭრილობა მიიღო და ადგილზევე გარდაიცვალა. როგორც საქმის მასალებშია დაფიქსირებული, ბანდიტებმა ხელყუმბარაც ააფეთქეს. აფეთქების შედეგად, ოთხი პოლიციელი დაშავდა – ჭიაბერაშვილი, ჯოხაძე, კოჭლამაზაშვილი და გოგოლაური. მათ სხეულის სხვადასხვა ადგილას მსუბუქი ხარისხის დაზიანებები მიიღეს.

შეტაკებისას, პოლიციელებმა საპასუხო გასროლების შედეგად, ბანდის ერთ-ერთი წევრის – გაიოზ სეხნიაშვილის ლიკვიდირება მოახდინეს, მეორე – დობაძიშვილი კი, გულმკერდის არეში დაჭრეს. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დობაძიშვილის სხეულზე დაფიქსირებული ჭრილობა მსუბუქი აღმოჩნდა. თუმცა, ჭრილობამ მას მაინც შეუშალა ხელი გაქცევაში და პოლიციელებმა იგი დააკავეს. რაც შეეხება გაბროშვილს, აბრამიშვილსა და ჭიჭიაშვილს – პოლიციელთა ჯგუფმა მათი აყვანა ვერ შეძლო. ისინი შემთხვევის ადგილიდან გაიქცნენ და მიიმალნენ.

საქმის მასალების მიხედვით, ამ ამბიდან ერთი კვირის თავზე, ბანდიტები პანკისის ხეობის სოფელ დუისში ჩავიდნენ. იქ კარგა ხანს დაყვეს და პერიოდულად, გამოძიებით დაუდგენელ ქისტ პირთა ოჯახებში ცხოვრობდნენ. დუისში ყოფნისას, გაბროშვილმა საგარეჯოდან, შემთხვევის ადგილიდან წამოღებული ავტომატი და საბრძოლო მასალა გაყიდა.

2000 წლიდან, ბანდას ახალი წევრი – ადრე მძიმე დანაშაულისთვის ნასამართლევი ალექსანდრე ფარმანიანი შეემატა. ამავე წლის ივნისში, ის და გაბროშვილი შეთანხმდნენ, რომ ჯვრის მონასტერთან ასულიყვნენ და იქ მისული, ნებისმიერი მოქალაქე დაეყაჩაღებინათ.

2000 წლის 5 ივნისს, დაახლოებით დღის 2 საათზე, გაბროშვილი და ფარმანიანი გლდანიდან, სოფელ გლდანულას გავლით ფეხით ავიდნენ ჯვრის მონასტერთან. შესაფერისი ადგილი ყოფილი სამხედრო ნაწილის მიტოვებულ ტერიტორიაზე შეარჩიეს და დაღამებას დაელოდნენ. კარგა ხანი იცადეს, მაგრამ მათთვის საინტერესო არავინ გამოჩნდა. ბოლოს, უკან გაბრუნება გადაწყვიტეს. სწორედ ამ დროს, სასაუზმე „ფიჭვებთან“, საპირისპირო მხრიდან მათკენ მოძრავი ავტომანქანა შენიშნეს. მანქანამ გზიდან აუხვია. გაბროშვილი და ფარმანიანი იმავე ასახვევს ფეხით აუყვნენ. დაახლოებით 300 მეტრში მათ გაჩერებული „ფოლკსვაგენ-პასატი“ დაინახეს და მაშინვე, მისი გატაცება განიზრახეს. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ავტომანქანის საჭეს მისი მფლობელი, სამმართველოს მთავარი სამხედრო პროკურატურის ერთ-ერთი განყოფილების პროკურორი – ზაზა ნაყეური მართავდა, მის გვერდით კი, მეგობარი ქალი იჯდა.

ავტომატითა და პისტოლეტით შეიარაღებული ბანდიტები მანქანას მიუახლოვდნენ. მძღოლი მაშინვე მიხვდა, რაშიც იყო საქმე და თავისი ტაბელური იარაღი მოიმარჯვა. ბოროტმოქმედებმა ეს რომ შენიშნეს, უმალვე, ავტომანქანის სალონის მიმართულებით ცეცხლი გახსნეს.

ნაყეურმა ცეცხლსასროლი იარაღით მრავალი დაზიანება მიიღო და, მიუხედავად მისთვის აღმოჩენილი, დროული სამედიცინო დახმარებისა, გარდაიცვალა. რაც შეეხება მის მეგობარ ქალს – დაზიანება არ მიუღია. სროლისას ფარმანიანი და გაბროშვილიც დაიჭრნენ, თუმცა შემთხვევის ადგილიდან მიმალვა მაინც მოახერხეს. ავტომანქანა მათ არ გაუტაციათ. მოგვიანებით, გაბროშვილმა ნაყეურის მკვლელობის დროს გამოყენებული იარაღი დუისში 200 დოლარად და 50 ლარად გაყიდა.

გარკვეული ხნის შემდეგ, პოლიციამ ბანდის სამი წევრი – გაბროშვილი, 36 წლის ფარმანიანი და 34 წლის აბრამიშვილი დაიკავა. აბრამიშვილიც და ფარმანიანიც წარსულში ნასამართლევები არიან, რაც შეეხება ჭიჭიაშვილს – პოლიციამ მისი ადგილსამყოფელი ვერ დაადგინა. დაუდასტურებელი ინფორმაციით, ის ამჟამად რუსეთში იმყოფება.

ნაყეურის მკვლელობასთან დაკავშირებით, გაბროშვილმა პროკურატურას ასეთი ჩვენება მისცა:

„...ვინაიდან წვიმიანი ამინდი იყო, ჯვრის მონასტრის მახლობლად მიტოვებული სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე შევედით. შენობას შევაფარეთ თავი. თან თვალყურს ვადევნებდით ტრასაზე მოძრავ მანქანებს. ავტომატი და „მაკაროვი“ გვქონდა წაღებული. მოსახერხებელ მომენტს ველოდით, მაგრამ მთელი დღე არავინ გამოჩნდა...

ის-ის იყო, უკან გაბრუნებას ვაპირებდით, როცა ერთი მანქანა შევნიშნეთ. ასახვევში აუხვია და ჩვენც ავყევით ფეხით. 300 მეტრში სხვა მანქანა დავინახეთ. მაშინ ფარმანიანს „მაკაროვი“ მივეცი. მე ავტომატი დავიჭირე და მანქანას მივუახლოვდი, კაპოტთან დავდექი. ფარმანიანმა ავტომანქანის უკანა კარი გამოაღო, მაგრამ მაშინვე მიხურა, რადგან, მძღოლის საეჭვო მოძრაობა შენიშნა; მივხვდით, რომ იარაღი ჰქონდა. ამავდროულად, სროლა დავიწყეთ. მძღოლი მანქანიდან გადმოვიდა. ფარმანიანმა მას დაუყვირა – არ ისროლოო! – მაგრამ მან რამდენჯერმე მაინც ისროლა. საპასუხო სროლები ჩვენც ვაწარმოეთ. ბოლოს, მძღოლმა სროლა შეწყვიტა. ფეხში ვიყავი დაჭრილი და ფარმანიანის დახმარებით მოვახერხე იქიდან გაქცევა. ცოტა ხანში, ხელის არეში სისველე ვიგრძენი. მივხვდი, რომ ხელშიც დავჭრილვარ“.

გაბროშვილის ჩვენების თანახმად, შემთხვევის ადგილიდან ისინი ავჭალის დასახლებაში მივიდნენ. მეგობრის მანქანით კი, იმავე დასახლებაში მცხოვრებ ნაცნობს მიაკითხეს და მის სარდაფში გაათიეს ღამე. 2000 წლის 6 ივნისს, იმავე მანქანით წავიდნენ გლდანში, გაბროშვილის მიერ ნაქირავებ ბინაში.

პროკურატურამ გაბროშვილს, ისევე, როგორც ბანდის დანარჩენ ორ წევრს, ბანდიტიზმში, განზრახ მკვლელობებსა და მკვლელობის მცდელობაში, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონოდ ტარებაში, შენახვასა და გასაღებაში და პოლიციელთათვის წინააღმდეგობის გაწევაში დასდო ბრალი.

განსასჯელები თავს ნაწილობრივ დამნაშავედ ცნობენ. როგორც გაბროშვილი და ფარმანიანი აცხადებენ, ნაყეურის მკვლელობა მათ განზრახ არ ჩაუდენიათ. როგორც ამბობენ, იძულებულები გახდნენ, მისგან თავი დაეცვათ და ამიტომაც გახსნეს საპასუხო ცეცხლი.

სასამართლოსთვის განსასჯელებს ჯერ ჩვენება არ მიუციათ. ამჟამად, მოწმეთა დაკითხვა მიმდინარეობს. წინა სასამართლო სხდომაზე, დაზარალებული – ნაყეურის მეგობარი ქალი დაიკითხა. მისი ჩვენების თანახმად, ბოროტმოქმედები მანქანას მოულოდნელად დაესხნენ თავს და პირდაპირ სროლა აუტეხეს. *„ბანდიტებისგან მხოლოდ ერთს მოვკარი თვალი“*, – აღნიშნა მოწმემ. მისი თქმით, სავარაუდოდ, ის ფარმანიანი იყო.

■

ტყიბულში მამა-შვილი ჩაცხრილეს

5 სექტემბერს, ტყიბულში საშინელი მკვლელობა მოხდა. ერთ-ერთ ოჯახში სტუმრად მყოფი მამა-შვილი – გვენეტაძეები გამთენიისას, უცნობმა პირებმა ჩაცხრილეს. როგორც გაირკვა, გვენეტაძეები ქუთაისიდან ტყიბულში დროებით ჩავიდნენ. ერთ-ერთი ვერსიით, მკვლელობა პირადი ანგარიშსწორების გამო მოხდა. მკვლელობაში ერთ-ერთი ეჭვმიტანილი უკვე დაკავებულია. იგი ვინმე კახა აბჟანდაძე, მეტსახელად – ლამაზოა. როგორც სამართალდამცავები აცხადებენ, აბჟანდაძე სავარაუდოდ, მარტო არ მოქმედებდა. პოლიციაში იმასაც ამბობენ, რომ დანარჩენ ეჭვმიტანილთა ვინაობაც ცნობილია, თუმცა, მათ შესახებ ინფორმაციის გავრცელებისგან ამ ეტაპზე, თავს იკავებენ. ნაპოვნია „ჟიგულის“ მარკის ავტომანქანა, რომლითაც, გამოძიების ვერსიით, დამნაშავე პირები მოძრაობდნენ.

რაც შეეხება აბჟანდაძეს – ის 30 წლის გახლავთ, თერჯოლის რაიონის მკვიდრია და წარსულშიც ნასამართლევი ყოფილა ყაჩაღობის მუხლით.

სიძემ სიმამრს ყელი გამოსჭრა, ცოლი კი სასიკვდილოდ დაჭრა

8 სექტემბერს, პოლიციამ მეუღლის მკვლელობასა და სიმამრის მკვლელობის მცდელობაში ეჭვმიტანილი, ქუთაისელი გურამ ნაფეტვარიძე დააკავა. სამართალდამცავთა ცნობით, იმ დღეს, დილის 9-ის ნახევარზე, მან სასიკვდილოდ დაჭრა მეუღლე – ლამარა ესაძე და სიმამრი – შოთა ესაძე. ამ უკანასკნელს ნაფეტვარიძემ ყელი გამოსჭრა, მაგრამ იგი სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს.

როგორც ამბობენ, ტრაგედია ოჯახურმა კონფლიქტმა, კერძოდ – ცოლ-ქმარს შორის არსებულმა განხეთქილებამ გამოიწვია. ბოლო დროს, გურამ ნაფეტვარიძე და ლამარა ესაძე ერთად არ ცხოვრობდნენ, შემთხვევის დღეს კი, ქმარი ცოლსა და სიმამრს შინ მიუვარდა...

8 მარტს, შვილს მშობელი დედა მოუკლავს

ქუთაისის საოლქო სასამართლომ, დედის მკვლელობაში ბრალდებულის – დავით ხითარიშვილის საქმის განხილვა დასრულა. ჩადენილი დანაშაულისთვის მას 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. როგორც ცნობილია, ხითარიშვილმა დედა 8 მარტს გამოასალმა სიცოცხლეს. მსჯავრდებული და მისი ადვოკატები განაჩენით უკმაყოფილონი არიან, რადგან ირწმუნებიან, რომ გამოძიების მასალებში რეალური ფაქტები არაა გადმოცემული. ადვოკატების თქმით, პროკურატურის მიერ წარდგენილ ბრალდებაში ხითარიშვილის დანაშაული დამტკიცებული არ არის და ისინი განაჩენის გასაჩივრებას აპირებენ. თუმცა, როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, დავით ხითარიშვილი მშობელ დედას – მაყვალა ხითარიშვილს ხშირად სცემდა. მეზობლებმაც, ქალის სიკვდილის შემდეგ, ეჭვი დავითზე მიიტანეს.

სპეცოპერაციის დროს, ძებნილი შენობაში დაიწვა

9 სექტემბერს, ქუთაისში სამართალდამცავთა მიერ განხორციელებული სპეცოპერაციის დროს, რომელიც მკვლელობისთვის ძებნილის აყვანას ისახავდა მიზნად, ძებნილი – 23 წლის მამუკა ხვადაგიანი დაიღუპა. ოპერაცია დილის 5 საათიდან ტარდებოდა. ხვადაგიანი პოლიციას არ ჰბარდებოდა, რის გამოც სამართალდამცავებმა, ზუსტად 11-ის ნახევარზე, ცეცხლი გაუხსნეს მას. ამის შედეგად, შენობაში, რომელსაც ხვადაგიანი აფარებდა თავს, ძლიერი ხანძარი გაჩნდა. ხვადაგიანი ადგილზევე დაიწვა.

პოლიციის ინფორმაციით, მამუკა ხვადაგიანი 3 აგვისტოს ჩადენილი მკვლელობისთვის იძებნებოდა. როგორც ამბობენ, ცაგერში მან მეზობელი მოკლა და მას შემდეგ იმალებოდა.

ცივსისხლიანმა მკვლელმა ახალი ქორწინებისთვის, მთელი ოჯახი ამოჟლიტა

კრიმინალური ქრონიკის ბევრი ინტერნეტული საიტი საოცარი დანაშაულის ამსახველმა ინფორმაციამ მოიარა: უკრაინის ქალაქ დონეცკში მცხოვრებმა, „სასწრაფო დახმარების“ მძღოლმა ალექსანდრ დუგამ ნაჯახით მოკლა ცოლი, სიდედრ-სიმამრი და თავისი 5 წლის ქალიშვილი!.. გვამებს ბოროტმოქმედი პოლიეთილენის პარკში ახვევდა და ავტოფარეხში მარხავდა... როცა ამ გზით, ყველა ხელისშემშლელი „ცოცხალი ბარიერი“ გადალახა, ყოფილი ცოლის ბინაში ახალი რჩეული მიიყვანა და გაიფრთხილა – არც ზარებს უპასუხო და არც კარი გაუღო ვინმესო (თუმცა, გამოძიებამ ვერ დაადგინა, იცოდა თუ არა დუგას მეორე ცოლმა მის მიერ ჩადენილი მხეცური მკვლელობების შესახებ), მეზობლებს კი აცნობა: მთელი ოჯახი ნათესავის გასვენებაზე რუსეთში წავიდა და იქ დარჩენა გადაწყვიტაო.

დამნაშავე, მისი სიდედრის დედის, ახლომდებარე სოფელში მცხოვრები მოხუცის განგაშის წყალობით ამხილეს. ალექსანდრ დუგას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს.

რუბრიკა მოამზადა მეგი ცანავამ

„კვირის პალიტრის“ სასწავლო კომპიუტერული ცენტრი

გთავაზობთ კომპიუტერის შემსწავლელ ინდივიდუალურ კურსებს:

საოფისე, საგამომცემლო, გრაფიკული და ანიმაციური პროგრამები.
პროგრამირება და ვებ-დიზაინი.
შეისწავლება აგრეთვე პრინტერთან, სკანერთან და ქსელში მუშაობა, ინტერნეტი.
საგამომცემლო პროგრამების შესწავლისას მსურველები პრაქტიკას გაივლიან „კვირის პალიტრის“ გამოცემებში.
დამწყები და მოქმედი ჟურნალისტებისთვის ისწავლება აუცილებელი კომპიუტერული კურსი.



მსმენელთა მიღება ყოველდღე, კვირის გარდა
15⁰⁰-დან 18⁰⁰ სთ-მდე „კვირის პალიტრის“ ოფისში.
მისამართი: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან).
დამატებითი ცნობებისთვის დარეკეთ:
33-27-99; 38-68-77; 8(77) 44-24-74.

შესაძლებელია საუკეთესო მსმენელთა დასაქმება



ქალის მოტაცება

— ძალადობით გამჟღავნებული სიყვარული

შესაძლებელია თუ არა, ძალადობა, სიყვარულისა და მყარი ოჯახის საფუძველი გახდეს? ერთი შეხედვით, ამ კითხვაზე მხოლოდ კატეგორიულად უარყოფითი პასუხი უნდა გაიცეს. მაგრამ ცხოვრება ბევრად უფრო მრავალფეროვანია, ვიდრე ნებისმიერი თეორია...

სიტყვა „მოტაცებას“ სულხან-საბა ასე განმარტავს — ძალად მიხმა. „მიხმა“ წართმევას ნიშნავს. არ გეგონოთ, პოლიტიკაში ან კიდევ, კრიმინალში ვაპირებ ჟურნალისტურ შეჭრას და პიტერ შოუსა თუ პეტრე ცისკარიშვილის გატაცებაზე მსჯელობას შემოგთავაზებთ. ამჯერად, ჩვენი საუბრის თემა ქალის მოტაცება გახლავთ.

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, ცოლის შერთვის ამ ველურ ხერხს კავკასიელი ხალხებისთვის დამახასიათებელ წესად მიიჩნევენ. საინტერესოა, რამდენად ტრადიციული და ორგანულია იგი ქართველებისთვის? ამის დასაზუსტებლად, მოდით, ჯერ ისტორიკოსს, ბატონ **ჯაბა სამუშია** *მოვუსმინოთ, შემდეგ კი — თავად იმ ქალებს, რომლებიც თავის დროზე მოიტაცეს...*

მარი ჯაფარიძე

— ბატონო ჯაბა, რამდენად ქართულია ქალის მოტაცების წესი?

— შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, საქართველოს ისტორიაში ასეთი ფაქტები აღრიცხული არ გახლავთ. წინათ ახალგაზრდები ქორწინდებოდნენ 12-13 წლის ასაკში. სწორედ ამიტომ, ასეთი წლოვანების ყმაწვილს არ ეწინააღმდეგებოდა იმის საშუალება, გულის სწორი რომ მოეტაცებინა. ძველი, ქართული სამართლის წიგნები რომ ნახოთ, იქ ვერ იპოვით მუხლს, რომელიც ასეთი ქმედებისთვის დასჯას ითვალისწინებდა. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ასეთი სახის დანაშაული არც ხდებოდა. სამაგიეროდ, იმავე სამართლის წიგნებში არსებობს მუხლი, რომელიც გათხოვილი ქალის მოტაცებას („წაგვრას“) კრძალავდა. მაშასადამე, ჩვენი წინაპრები გათხოვილ, დაოჯახებულ ქალებს იტაცებდნენ და ხელმეორედ ქორწინდებოდნენ მათზე. ასე რომ, მოტაცება ძველი, ქართული ადათი კი არა, მე-19-20 საუკუნეების სენია. თუმცა, მოგეხსენებათ — იყო დრო, როდესაც ქალებს მონად გაყიდვის მიზნით იტაცებდნენ. ეს განსხვავებული ქმედებაა და კანონი მკაცრად სჯიდა დამნაშავეს. ღღევანდელობასთან დაკავშირებით შემიძლია გითხრათ, რომ სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მოტაცებით შექმნილი ოჯახების 50% ინგრევა. დაძალებული, არაფერი ვარგა, მით უმეტეს — ოჯახი.

ვფიქრობ, ამ დასკვნას მკითხველთა უმრავლესობა გაიზიარებს. მის სამართლიანობას ჩვენს წერილში მოტანილი ამბებიც ადასტურებს. თუმცა, ყველა შემთხვევა გამორჩეულია, რადგან თითოეული ადამიანი სრულიად განსხვავებულად იქცევა ამა თუ იმ სიტუაციაში, მით უმეტეს — ექსტრემალურ შემთხვევაში, როცა მისი ბედი წყდება და მხოლოდ მისი ინდივიდუალური თვისებები განსაზღვრავს, თუ რა გზას, რა გამოსავალს აირჩევს... ჩვენმა პირველმა რესპონდენტმა — საქორწინო კაბების მაღაზიის დირექტორმა, 23 წლის **ლელა ცალუღელაშვილმა** *თავის დროზე, ბედთან შეგუება ამჯობინა და ახლა ფიქრობს, რომ შეცდომა დაუშვა.*

— 15 წლის ვიყავი, როდესაც ჩემი მომავალი მეუღლე გავიცანი. მაშინ ის 19 წლის იყო, შემთხვევით, მე და ჩემს მეგობარს სატელეფონო საუბარში ჩაგვერთო. გამომკითხა ვინ ვიყავი, სად ვსწავლობდი და რამდენიმე დღის შემდეგ, სკოლაში მომაკითხა. გამიცნო და შემდეგ, ხშირად მოდიოდა ხოლმე ჩემს სანახავად. გავიდა ორი თვე და ჩემს დაბადების დღეს დამირეკა, მომილოცა, კაფეში დამპატიჟა. უარი არ მითქვამს, მაგრამ კაფეს ნაცვლად, სოფელში ამომაყოფინა თავი...

— როდესაც მიხვდით, რომ მოგიტაცეს, როგორი რეაქცია გქონდათ?

— არ მიტირია და სახე არ ჩამომიკაწრავს. ერთადერთი, რასაც ვთხოვდი, შინ დამაბრუნე-მეთქი. ვაფრთხილებდი — იცოდე, მაინც არ დავრჩები შენთან და ნურც მე გამაუბედურებ, ნურც საკუთარ თავს-მეთქი. არ დამიჯერა. სოფელში მალე ჩამომაკითხეს მშობლებმა. მამას ხმა არ ამოუღია. საერთოდ წყნარი, მშვიდი ადამიანია. დედაჩემმა ცოტა იტირა, ცოტა იყვირა. როდესაც მკითხეს — რას იზამ, შინ წამოხვალ თუ აქ დარჩებიო? — ჩემმა მეუღლემ ისეთი საცოდავი თვალებით შემომხედა, ისე შემებრალა, რომ — ვრჩები-მეთქი, — ვთქვი. ჩემი მშობლების წასვლის შემდეგ კი, ორი დღე და ღამე ვტიროდი. ვინანე, მივხვდი, რომ არ უნდა დავრჩენილიყავი, მაგრამ უკვე გვიანი იყო... მასთან სულ 9 თვე ვიცხოვრე... მალე დავფეხმძიმდი და 9 თვის ორსულმა, ქმარი და ოჯახი მივატოვე.

— მიზეზი? რა მოხდა ისეთი, რომ შვილის გაჩენამდეც ვერ მოიცადეთ?

— ძალიან ცუდი ხასიათი ჰქონდა. უსაშველოდ ეჭვიანი გახლდათ. შინიდან თითქმის არ გავდიოდი, მაგრამ მაინც ეჭვიანობდა. რამდენჯერმე, ფიზიკურადაც შემეხო ფეხმძიმე ქალს, რომ დათვრებოდა, თავის ქმედებებს ვეღარ აკონტროლებდა. არადა, ძალზე ხშირად სვამდა. თვითონ ისეთი მექალთანე იყო, თუ ვინმეს კაბიანს დაინახავდა, ხელიდან არ გაუშვებდა. ამაში თავისი ფიზიკური მონაცემებიც ხელს უწყობდა — საკმაოდ კარ-

გი გარეგნობის მამაკაცი გახლდათ. ხშირად მქონია ეჭვიანობის საბაბი, მაგრამ სცენებს არ ვმართავდი. ჩემთვის სულერთი იყო, ვისთან წავიდოდა და მიღალატებდა. ამას თვითონაც ამჩნევდა და უკვირდა. სულ ვფიქრობდი, მომეძებნა სერიოზული მიზეზი, რომ ოჯახიდან წამოვსულიყავი. ერთ დღეს კი, ეს მიზეზი თვითონ მომცა: ორსულობის მე-9 თვეში გახლდით. ექიმთან ვიზიტი მქონდა დაგეგმილი. შინიდან გასვლისას ვუთხარი, რომ იქიდან დედაჩემთან გავივლიდი და შინ გვიან დავბრუნდებოდი. მერე გეგმა შევცვალე: ვიცოდი, რომ ჩემი ქმარიც უნდა გასულიყო შინიდან და ვიფიქრე – მარტო, წყნარად დავისვენებ-მეთქი. კარში საკეტი გადავატრიალე და საძინებლიდან ხმა მომესმა. კარი რომ შევაღე, ვნახე, რომ ჩემი მეუღლე ჩემს დაქალთან ერთად „ეორაობდა“ ლოგინში... გამოვიხურე კარი და კიბეზე დავეშვი. ის დედიშობილა გამომეკიდა. მეუბნებოდა – დაბრუნდი ეს ის არ არის, რაც შენ გგონიაო, – მაგრამ მე მის ხვეწნას ყური არ ვათხოვე, ისე წავედი დედასთან. მესამე დღეს ვიმშობიარე, ბიჭი შემეძინა და ამის შემდეგ ქმარს აღარც დავბრუნებივარ...

— თვითონ თუ გთხოვთ ხოლმე შერიგებას ან შვილთან თუ აქვს კონტაქტი?

– ბავშვს კატეგორიულად არ ნახულობს... ის უკვე 6 წლისაა და უნდა ითქვას, მამას არც იცნობს. რამდენიმე დღის წინ მთხოვა: დედა, მოდი, მამასთან დავრეკავ – მის ხმას გავიგონებ და ტელეფონს გავთიშავო. წელს სკოლაში შევიყვანე. მის ყველა თანაკლასელს ორივე მშობელი ახლდა. ვხედავდი, ჩემი შვილი როგორი ინტერესით აკვირდებოდა მამებს და მას თვალებში სინანულსაც ვამჩნევდი. გული დამწყდა, მაგრამ რას ვიზამთ?! რაც შეეხება შერიგებას, მინდა, გითხრათ: მიუხედავად იმისა, რომ ჩემმა ყოფილმა მეუღლემ ჩემ შემდეგ სამი ცოლი გამოიცვალა, დღესაც მე „მომტირის“. მესამე ცოლი გვერდით უზის, ის კი მირეკავს და მეუბნება, შემირიგდი და ბავშვთან ერთად ჩემთან გადმოდი, მაგრამ თუ ჩემ გვერდით არ იქნები, არც შვილი მინდა – შვილი შენ გამო მინდაო...

— გამოდის, მართლა ჰყვარებიხართ...

– შესაძლოა, მაგრამ მე მასთან ვერ ვიცხოვრებ.

— ახალი ოჯახის შექმნას ხომ არ აპირებთ?

– არა, არ ვაპირებ. თაყვანისმცემლები მყავს, მაგრამ არავითარი სურვილი არა მაქვს, ოჯახი შევქმნა.

— აქ, მალაზიაში, ამდენ საქორწილო კაბას რომ უყურებთ, მათი მოზომვის სურვილი არ გიჩნდებათ?

– არა, არავითარი სურვილი არ მიჩნდება, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მინდოდა, მქონოდა ქორწილი და სადედოფლო კაბაც მცმოდა. მაგრამ არც ერთი მეღირსა და არც მეორე. ძალიან მიხარია, ბედნიერი წყვილი რომ შემოდის კაბის საყიდლად. თუმცა, ისეც ხდება, რომ რამდენიმე თვის შემდეგ, ამ ბედნიერი წყვილის დაშორების ამბავს ვგებულობთ ხოლმე. მოგვაკითხავს გოგონა და გვეტყვის: იცით, ქმარს გავცილდი და კაბას ხომ არ დაიბრუნებთო?

— თქვენმა შვილმა რომ მოტაცებული გოგონა მოგიყვანოთ შინ, რას იზამთ?

– აუცილებლად დავუბრუნებ მშობლებს – ყოველ მიზეზგარეშე!

ლელასგან განსხვავებით,28 წლის **ნინო სვანიძე** *(გვარ-სახელი შეცვლილია) ბედს არ შერიგებია და თავის მომტაცებელს ცოლად არ გაჰყოლია. თუმცა, ის შემდგომშიც, ლელასგან განსხვავებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. გაგიკვირდებათ და, მაშინ გაწეული წინააღმდეგობის გამო, დღეს მის ხმას სინანული შეჰპარვია...*

– ბებიასთან ვისვენებდი ზაფხულში, უკვე სტუდენტი გახლდით. ერთ იქაურ ბიჭს მოვწონდი, მაგრამ მე არ ვწყალობდი. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს, სოფლის ორღობეში მიმავალს მტაცეს ხელი და მანქანაში შემაგდეს. ბევრი ვიკივლე, ბევრი ვიტირე, მაგრამ არაფერი გამომივიდა. მანქანაში იმ ბიჭის მამიდაშვილი გოგონა ოჯდა, რომელიც ბიჭებს განგებ წამოუყვანიათ, მარტოდ რომ არ მეგრძნო თავი. ეს გოგონა მამშვიდებდა, მაგრამ არავისი არაფერი მესმოდა. მთელი ხმით გავკიოდი. ბებიაჩემი გორის რაიონის ერთ-ერთ სოფელში ცხოვრობდა და ჩემმა გამტაცებლებმა გეზი ცხინვალისკენ აიღეს. თუმცა, ცხინვალის ტერიტორიაზე შესვლას ვერ ბედავდნენ – იქ არეულობა იყო. სადღაც, ტყის მახლობლად, მანქანა გაგვიფუჭდა. ბიჭებმა შეკეთება სცადეს, მე კი, აუცილებელი საჭიროების მომიზეზებით, გავცალკევდი, არც ის გოგონა არ გავიყოლე და როგორც კი თვალს მივეფარე – ჰაიდა! – ისე გავიქეცი, რომ მგონი, რეაქტიული სიჩქარე განვავითარე; არც ვიცოდი, სად მივრბოდი. ხანდახან შევჩერდებოდი, ვისვენებდი და ისევ გავრბოდი, ვიდრე რაღაც შენობის ნანგრევებს არ მივაღწიე. იქ შევაფარე თავი. შემდეგ ვიფიქრე – აქაც მომაგნებენ-მეთქი, – და გადავწყვიტე, ხეზე ავსულიყავი. იქვე, დანგრეული ნასახლარის ეზოში, ლობიოს რამდენიმე ძირი ამოსულიყო. მოგეხსენებათ, მისი ფოთლები ისეთია, რომ ტანზე ადვილად გეკრობა. ყვითელი მაისური მთლად ავიჭრელე ლობიოს მწვანე ფოთლებით და ხეზე ისე ავძვერი, რომ ძნელად შესამჩნევი ვყოფილიყავი. მოსაღამოვდა. ხის ტოტზე გარდიგარდმო გადამჯდარი, ხეზე ხელებმოხვეული ვიჯექი და შიშით ვკანკალებდი. მთელი ღამე ასე გავათენე. მშობლები მეძებდნენ, ჩემს მომტაცებელს მიაგნეს, მე კი – ვერა. ძალიან ნერვიულობდნენ. თურმე დათო გაიძახოდა – ნეტავ, ვიპოვო და უკან დაგიბრუნებთ თქვენს შვილს, ეს რა დღეში ჩამაგდოო?! ეშინოდათ – თუ ცხინვალის ტერიტორიაზე გადავიდა, ანგელოზივით გოგონას ან წამალზე გაცვლიან, ან რაიმე აუტეხონ... მერე ქართველი სამხედროებისთვის უთხოვიათ დახმარება და გამთენიისას, დავინახე, რომ ტყეს უამრავი ჯარისკაცი უახლოვდებოდა, ძლიერი განათების ფარნების შუქით. შიშისგან ენა ჩამივარდა, რადგან არ ვიცოდი, თუ ვინ იყვნენ. ჩამოვძვერი ხიდან და გაქცევა რომ დავაპირე, სწორედ მაშინ დაინახეს ჩემი ლანდი, ერთგან ალყაში მომაქციეს და დამიჭირეს. ერთ-ერთმა ჯარისკაცმა იღლიაში ამომიჩარა და ისე მიმგვარა ჩემებს. მე კი, ვიდრე მშობლებს დავინახავდი, ხელებს და ფეხებს ვაფართხალებდი და გამიშვით-მეთქი, – გავყვიროდი. მაშინვე შინ წამომიყვანეს.

— ვიცი, რომ დღემდე გაუთხოვარი ხართ...

– დიახ, უკვე 28 წლის ვარ. ჯერჯერობით და ალბათ ვერც ახლო მომავალში გავთხოვდები, მაგრამ იმედი მაქვს, ჩემი ბედი ადრე თუ გვიან, მაინც გამოჩნდება.

— ხომ არ ნანობთ, რომ იმ ბიჭს არ გაჰყევით ცოლად?

– არც კი ვიცი, რა გითხრათ. ეგ არავინ იცის, როგორ ჯობდა...

მოტაცებული ქალი, მასზე შეყვარებული მოძალადის მიმართ ისეთი აგრესიულობით შეიძლება განმსჭვალოს, რომელიც შემდგომში, ხანგრძლივი დროის მანძილზე, ყველა სხვა მამაკაცზეც ვრცელდება. თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, ერთისგან დაჩაგრული ქალი, მფარველის პოვნის მოთხოვნილებას განიცდის და მამაკაცებთან დაახლოებას მხოლოდ იმის გამო ერიდება, რომ მისი „სირცხვილი“ არ გამჟღავნდეს.

ელზა გაბრიჭიძე, *30 წლის:*

ლელა ცალუღელაშვილი: „ნიკუშა წელს სკოლაში მივიყვანე... ვხედავდი, ჩემი შვილი როგორი ინტერესით აკვირდებოდა მამებს და მას თვალებში სინანულსაც ვამჩნევდი. გული დამწყდა...“

— როდესაც ჩემი მოტაცების ამბავს ვიხსენებ, ვგრძნობ, რომ გული რაღაცნაირად მეწურება, მინდა ეს ეპიზოდი საერთოდ ამოვშალო ჩემი ცხოვრებიდან. მარტო მეხსიერებიდან კი არა — მთელი ცხოვრებიდან, რადგან ჩემ გარდა, ეს ამბავი რამდენიმე ადამიანმაც იცის და მინდა, არც მათ ახსოვდეთ. მოკლედ, 16 წლის ვიყავი, როდესაც ჩემთვის თითქმის უცხო მამაკაცმა მომიტაცა. საკმაოდ ლამაზი გოგონა ვიყავი. გავიზარდე კახეთის ერთ-ერთ სოფელში. თამაზი ჩემს მეზობლად, სტუმრად იყო ჩამოსული და სულ ერთი-ორჯერ თუ მყავდა ნანახი. ჩემზე 7 წლით უფროსი იყო და საერთო არაფერი გვქონდა. მაშინ ჩემთვის არც სიყვარული გაუმხელია, არც მიგრძნია, რომ მოვეწონე. თბილისში რომ დაბრუნებულა, გადაუწყვეტია, ცოლი უნდა მოვიყვანო და ეს ან ელზა იქნება, ან არავინო. ჩამოვიდა სოფელში, სკოლაში მომაკითხა, გამიმხილა თავისი გულის ნადები, მაგრამ სასტიკ უარზე დავდექი: ჯერ ერთი, არ მიყვარხარ, მეორეც — ჯერ სკოლა უნდა დავამთავრო-მეთქი. გაკვეთილების შემდეგ, შინ მიმავალს მტაცეს ხელი და მანქანაში მიკრეს თავი. გზაში

კასპში ჩამიყვანეს, იქ კი, მეორე სართულზე, სულ ძალით ამათრიეს, მაგრამ უკვე ბნელოდა, მეზობლებიდან ვერავინ დამინახა და არც ჩემი წიოკისთვის მიუქცევია ვინმეს ყურადღება...

სულ ფეხსაცმლით ვცემე ორი ბიჭი — მძღოლი და ჩემ გვერდით მჯდომი, მაგრამ ვერაფერს გავხდი. კასპში ჩამიყვანეს, იქ კი, მეორე სართულზე, სულ ძალით ამათრიეს, მაგრამ უკვე ბნელოდა, მეზობლებიდან ვერავინ დამინახა და არც ჩემი წიოკისთვის მიუქცევია ვინმეს ყურადღება... შინ არავინ დაგვხვდა, დაკეტილი ბინა იყო. ცოტა ხანში ყველა თანმხლები შემოგვეფანტა და მარტონი დავრჩით. თამაზი ისეთი თვალებით მიყურებდა, შიშისგან ოფლმა დამასხა. ჩემ გვერდით გადმოჯდა და სცადა, ხელით შემხებოდა. წამოვხტი და მეორე ოთახში გასასვლელ კარს მივაწყდი, მაგრამ დაკეტილი დამხვდა და თამაზმაც იქ მიმიმწყვდია. ჩემს ზურგს უკან გასაღებით გააღო იმ ოთახის კარი და პირდაპირ იატაკზე დაგებულ ხალიჩაზე დავვარდი. თამაზმა ისე უცებ მოახერხა ჩემი გაკავება, რომ გონზე მოსვლაც ვერ მოვასწარი. იატაკზე დაგდებული, ხელებგაკავებული ვებრძოდი, მაგრამ არაფერი გამომივიდა... მთელი ღამე ტირილში გავათენე. მეორე დღეს, დაბრუნებულ ძმაკაცებს გამოუცხადა — ელზა ჩემია და ვერავინ წამართმევსო. მობუზული ვიჯექი და ხმას არ ვიღებდი. ქვედა ყბა მიკანკალებდა. ბიჭებს შევეცოდე და უთხრეს: გავაგებინოთ მის მშობლებს, მოვიდნენ შვილის სანახავადო. იქიდან თამაზის მშობლებთან წამიყვანეს. დედამისი მეფერებოდა; ასეთ მდგომარეობაში რომ მნახა, შვილი წყევლით „ამოაგდო“... ჩემი მშობლები მოვიდნენ თუ არა, მაშინვე ვიკივლე — შინ წამიყვანეთ, მე აქ არ გავჩერდები-მეთქი!.. ისტერიკაში ჩავვარდი, როცა დედაჩემმა მითხრა: კარგად მოიფიქრე — იქნებ ჯობდეს, გათხოვდეო... ქვა ავაგდე და თავი შევუშვირე — არა-მეთქი. რაღას იზამდნენ? — შინ წამიყვანეს. ჩემი გაუპატიურების ამბავი შეძლებისდაგვარად დამალეს. სკოლა დავამთავრე, სტუდენტობისას კი, ერთი ბიჭი შემიყვარდა. მასაც ვუყვარდი, მაგრამ ახლოს არ ვიკარებდი, გავურბოდი: როგორ უნდა გამემხილა მისთვის ჩემი ამბავი, არ ვიცოდი. ერთ დღესაც, დამიმარტოხელა და მითხრა: ან ნებით გამომყვები ცოლად, ანდა მოგიტაცებო. უცებ ჩავიკეცე და იატაკზე მოვადინე ბრაგვანი. ძლივს მომასულიერა. შემდეგ ავუხსენი მიზეზი, თუ რატომ გავურბოდი და რატომ იმოქმედა ასე მოტაცების ხსენებამ. ჩამიხუტა და მითხრა, ჩათვალე, რომ არაფერიც არ მომხდარა — ეგ ხომ სიზმარი იყო და შენ როგორ დაიჯერეო?!. დღეს ცოლ-ქმარი ვართ. ჩემი საიდუმლო თავის ოჯახს არ გაუმხილა. ორი შვილიც მყავს და ბედნიერად ვცხოვრობ...

— **თამაზი აღარ გამოჩენილა?**

— არა, მისთვის თვალიც არ მომიკრავს. თუმცა მეზობელმა (რომელთანაც სტუმრად ჩამოდიოდა ხოლმე) ერთხელ მითხრა — გალოთდა, არც ოჯახი შეუქმნია და ასე გაუბედურებული დადისო..

— **როგორ ფიქრობ — ის რომ კარგად მოგქცეოდა, მაინც წამოხვიდოდი მისგან?**

— ვფიქრობ, რომ არა... შესაძლოა, დღეს მისი ცოლი ვყოფილიყავი...

მაგალითები შორეული წარსულიდან მუდამ რომანტიზმითაა განმსჭვალული. ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ ათწლეულების წინ მომხდარ გატაცებებსაც, როგორც წესი, არ აღვიქვამთ, როგორც ძალადობას... თუმცა, კეთილშობილება, შინაგანი პატიოსნება და რაინდული სული ასეთ ამბებში გაცილებით მეტად იგრძნობა, ვიდრე დღევანდელი პერსონაჟების ქცევებში. ამის საუცხოო დამადასტურებელია 87 წლის ვერო ბებოს ნაამბობი. თავისი მოტაცების შესახებ მოყოლა რომ ვთხოვე, ღიმილით დამთანხმდა. საუბრისას კი ვხედავდი, როგორ უბრწყინავდა თვალები და ისეთი განცდა დაეუფლა, თითქოს სულ რაღაც ორი დღის წინ მომხდარ ამბავს ჰყვებოდა...

— 12 წლის ვიყავი, ჩემმა ქმარმა რომ მომიტაცა. ის მაშინ 19 წლის იყო. მაშინ, შვილო, სოფელიც „ყრუ“ იყო და ქალაქიც. შინ რომ მიმიყვანა, ჩემი დედამთილი გაგიჟდა...

— **როგორ მოგიტაცათ? ცხენით?**

— არა, ცხენით არა. ის ჩემს უბანში, რამდენიმე მოსახლის იქით ცხოვრობდა. მე ჩვენი ეზოს ღობესთან ვთამაშობდი. თედოს ოჯახს ვირი ჰყავდა. იმ ვირისთვის აღვირში ხელი წაევლო და ჩამოიარა. მითხრა — გინდა, ვირზე შეგსვაო? — კი-მეთქი, — თავი დავუქნიე. ჰოდა, ორივე ხელი იღლიებში ჩამჭიდა და ვირზე დამსვა. ნელა-ნელა გაუყვა გზას. მერე კი თვითონაც უკან მომიჯდა და მეზობელ სოფელში, ბებიასთან წამიყვანა. დედამისი იქ გახლდათ სტუმრად ჩასული. სოფლის დედაკაცებმა რომ შეიტყვეს, მოდიოდნენ ჩემს სანახავად — ნწუ-ნწუო, — თავს დანანებით გადააქნევდნენ და მიდიოდნენ.

— **თქვენმა მშობლებმა რა თქვეს?**

— რაღას იტყოდნენ?!. ქორწილი არ გადაგვიხადეს, მაგრამ რამდენიმე სტუმართან ერთად დაგვლოცეს და შინ წავიდნენ. არ გეგონოთ, ამ პატარა ბავშვს კაცი მომიწვინეს გვერდით. ის თავისთვის, ცალკე იძინებდა, მე კი ჩემს დედამთილს ჩავეხუტებოდი და ისე ვიძინებდი. დილით ის საქმეებზე მიდიოდა, დედამთილი საოჯახო საქმეს აკეთებდა, მე კიდევ, „კუკლანავჭერაობას“ ვთამაშობდი (თოჯინებს კაბებს ვუკერავდი). ჩემი დედამთილი დანანებით გადმომხედავდა ხოლმე, ამოიოხრებდა და იტყოდა — ეჰ, თედო, შენ მოგეცა ამის ცოდვა, რა დროს ამის მოტაცება იყოო?! 15 წლის რომ გავხდი. იმ დღეს დედამთილმა მაუწყა: ამაღამ თედოსთან უნდა დაწვეო. უკვე დიდი გოგო ვიყავი. თედო შემიყვარდა კიდეც ამასობაში და ჩუმ-ჩუმად თვალსაც ვაპარებდი ხოლმე მისკენ... გამიხარდა. ამის შემდეგ, უკვე სრულფასოვანი ოჯახი გვქონდა. შვილებიც შეგვეძინა — 5 გოგო და 2 ბიჭი, ახლა კი შვილიშვილები და შვილთაშვილებიც მყავს.

— **ვერო ბებო, რატომ გაწითლდით?**

— უიმე, ქა, ე რეები მამაგონებინე, შე ეშმაკის ფეხო, ჰა? ვენაცვალე ჩემს თედოსა! მთელი ცხოვრება გუგულებივით ვიყავით. ახლა კიდევ, დამტოვა და წავიდა — 7 წელია, მის გარეშე ვცხოვრობ. დროა, წამიყვანოს, არ მოვენატრე, ნეტავ?..

■

NOKIA



სიახლე!

3-დან 6 თვემდე
საგარანტიო მომსახურება
Nokia-ს (ნოკია)
სერვის ცენტრში შეძენილ
მობილურ ტელეფონებზე

მობილური ტელეფონების და აქსესუარების ფართო არჩევანი

სერვისული მომსახურება
კვალიფიციური კონსულტანტები



კონსულტაციები უფასოა:
ტელ: 94-24-12,
ტელ/ფაქსი: 94-15-66

ცენტრალური ოფისის მისამართი:
თბილისი, აღმაშენებლის გამზ. №71
ფილიალები: მარჯანიშვილის ქ. №15, ტელ: 95-80-03
რუსთაველის გამზ. №31, ტელ: 99-53-83
E-mail: nokia@geo.net.ge
nokia_info@geo.net.ge
Nokia (ნოკია) სერვის ცენტრი

ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ,

რომლის შესახებაც დღემდე, მხოლოდ სამეგობრო იცოდა...

ცნობილი ადამიანები პირად ცხოვრებაზე საუბარს თავს არიდებენ, რადგან მიაჩნიათ, რომ საკუთარი ცხოვრების ინტიმური მხარეების აფიშირება მათთვის წამგებიანია. ამიტომაც აინტერესებს მკითხველს მათი ცხოვრებისეული წვრილმანები. ეს ინტერვიუ ადვოკატ ᲔᲙᲐ ᲑᲔᲡᲔᲚᲘᲐᲡᲗᲐᲜ მისი ინიციატივით შედგა: ის ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში გამოქვეყნებულ წერილს — „სამსახურებრივი რომანი — ნებაყოფლობითი ყულფი“ — გამოეხმაურა...

ᲚᲔᲚᲐ ᲭᲐᲜᲙᲝᲢᲐᲫᲔ

ადვოკატ ეკა ბესელიას კაბინეტში უამრავი სასიყვარულო წერილია შენახული. პატიმრები მას ლექსებს უძღვნიან და სიყვარულს უხსნიან. ზოგი ბარათი ისე მგზნებარედაა დაწერილი, შეუძლებელია, არ მოიხიბლო იმ მამაკაცით, რომელსაც გრძნობების ასეთი სინაზითა და სიმძაფრით გამოხატვა შეუძლია. მაგრამ პატიმრისადმი საპასუხო გრძნობის გამჟღავნება ეკა ბესელიასთვის წარმოუდგენელია და ამას მარტივი მიზეზი აქვს: ის უკვე შეყვარებულია. მისი გული ერთ-ერთ მოსამართლეს ეკუთვნის. მასთან შეხვედრის პირველი დღის შესახებ ეკა ღიმილით გვიამბობს.

— 1999 წლის ზაფხული იყო. სასამართლო პროცესი საქართველოს ერთ-ერთ რაიონში უნდა გამართულიყო. მოსამართლეს არ ვიცნობდი, მხოლოდ მისი სახელი და გვარი ვიცოდი. სასამართლომდე რამდენიმე დღით ადრე, რამდენიმე ახლობელთან ერთად ვსაუბრობდი. ერთ-ერთი ჩემი კოლეგა სიყვარულზე ალაპარაკდა. მან ახსენა ის მოსამართლე, რომელთანაც პროცესი მქონდა დანიშნული. მან ასეთი რამ თქვა: მეგობარი მყავს მოსამართლე, რომელმაც ერთხელ მითხრა — შენ არ იცი, რა არის სიყვარული და რისი გაკეთება შეუძლია შეყვარებულ კაცსო... ცხადია, ეს დამამახსოვრდა. მეორე დღეს, ამ მოსამართლეს დავურეკე და ვთხოვე, რომ პროცესი დანიშნულ დროზე ცოტა გვიან გადაეტანა. მიპასუხა: ძალიან ბევრი მსმენია თქვენზე, ამბობენ, ძალიან ჭკვიანი და მომხიბვლელი ქალბატონი ბრძანდებით, მაგრამ მიუხედავად ამისა, მე როცა გადაწყვეტილებას ვიღებ, მერე აღარ ვცვლიო... ერთი სიტყვით, უარს მეუბნებოდა. მაგრამ ბოლოს, მაინც დავითანხმე. გამომიტყდა, რომ ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა საკუთარი სიჯიუტე დასძლია.

— პირველი შეხვედრაც ასე კარგად დაგამახსოვრდათ?

— ჩავედი პროცესზე. დამხვდა ჩვეულებრივი მამაკაცი, რომელიც უფრო არ მომეწონა, ვიდრე მომეწონა. ერთი შეხედვით, ის იყო ძალიან მკაცრი და თვალებით მტუქსავდა, მაგრამ ერთი რამ მესიამოვნა: მასთან რომ შევედი, თავისი სავარძლიდან წამოდგა და ჩემ წინ მაგიდასთან დაჯდა. ამით უშუალო გარემო შექმნა. ძალიან კარგი და აქტიური მოსაუბრე აღმოჩნდა. მე ვაღიარე, რომ ის კეთილშობილი ადამიანი იყო. მასაც მოვეწონე. პროცესზე ეტყობოდა, რომ დადებითი განწყობილება ჰქონდა. ძალიან მომეწონა თუ როგორ წარმართავდა სასამართლო პროცესს — იმპროვიზებულად, არაორდინარულად. ის პროცესი მოვიგე. ამითაც კმაყოფილი დავრჩი, რადგან დიდი პრინციპულობა გამოიჩინა, არავის მითითებას არ დაემორჩილა და საოცრად ობიექტური აღმოჩნდა, რითიც ჩვენ, ადვოკატები, მოსამართლეებისგან განებივრებულები არა ვართ.

— თქვენი რომანი როგორ დაიწყო?

— მისგან მიღებული კომპლიმენტები თავიდან სერიოზულად არც ჩამითვლია, რადგან საკმაოდ აქტიური ადამიანია. ვიფიქრე, რომ ეს უბრალოდ, წესად ჰქონდა შემოღებული, მაგრამ მოგვიანებით კომპლიმენტები გადაიზარდა ხშირ მოკითხვაში, სატელეფონო ზარებში, განსაკუთრებულ ყურადღებაში. ეს არ გაუკეთებია შემაწუხებელი ფორმით. რადგან იმდენად ამაყი და თავმოყვარეა, რომ თუ შემხვედრი განწყობა არ დაინახა, შენკენ ნაბიჯსაც არ გადმოდგამს. მახსოვს, ჩემი დაბადების დღე იყო. დამირეკა და მომილოცა, ხოლო ხუთი წუთის შემდეგ, კარი შემოაღო, შემოვიდა და დიდი თაიგული მომართვა სუნამოსთან ერთად. ეს ისე ლამაზად გააკეთა, რომ ძალიან მომეწონა. შემდეგ შვიდ იანვარს ვნახეთ ერთმანეთი. უკვე მეც შეპყრობილი ვიყავი საოცარი სურვილით, რომ შობას მენახა. სწორედ მაშინ შევხვდი გრძნობის არაშაბლონურ, არასტანდარტულ გამოხატვას... ერთი სიტყვით, დამაჯერა, რომ ღირს ამ კაცის სიყვარული. ვერ გეტყვით, როგორ ვაღიარე, რომ ეს ადამიანი მიყვარდა, მაგრამ ახლა ფაქტია, რომ ძალიან მიყვარს.

— ახლაც რაიონში მუშაობს?

— არა, ახლა აქ არის. უნდა გამოგიტყდეთ, რომ მერჩივნა ჩემს სისტემაში არ ემუშავა იმ კაცს, რომელიც მეყვარებოდა. ძალიან ბევრი ემოციური დატვირთვა მივიღე. ერთხელ გადავწყვიტე კიდეც, რომ დავშორებოდი. შვიდი თვის მანძილზე შევძელი, არ მენახა. მერე თვითონ გადმოდგა ნაბიჯი. აღმოჩნდა, რომ მეც მზად ვიყავი შესარიგებლად... ასაკით ჩემზე უფროსია... ხასიათებით ერთნაირები ვართ: ემოციურები, ამბიციურები, კატეგორიულები, ხშირად, ერთმანეთთან ურთიერთობისას, პრობლემებიც გვიჩნდება. ძალიან იოლად ვბრაზდებით. ასეთ დროს, არც თვითონ უყვარს შესარიგებლად ნაბიჯის გადმოდგმა და არც მე. ვუცდით ხოლმე რაღაც საბაბს, რომ შევრიგდეთ.

— როცა გაიცანით, ცოლი ხომ არ ჰყავდა?

— არა. ცოლი არ ჰყავს. ჰყავს ერთი შვილი. მის ვაჟთან საკმაოდ კარგი ურთიერთობა მაქვს. მას ჩემს ოჯახშიც იცნობენ...

— თქვენი რომანი დაოჯახებით თუ შეიძლება დაგვირგვინდეს?

— ჯერ არ გადამიწყვეტია, რადგან ძალიან მომწონს ასეთი ურთიერთობა. მგონია, რომ ამას განსაკუთრებული ხიბლი აქვს, მაქსიმალურად ვახანგრძლივებ ამ პერიოდს. აქამდე,

ჩვენთვის გადამწყვეტი იყო მანძილი: ის რაიონში მუშაობდა. მე — თბილისში. აქამდე, თვეში ერთხელ ან ორჯერ ვხვდებოდით ხოლმე. ერთსაათიანი შეხვედრა დიდ გასაქანს არ იძლევა... ყველაფერს აქვს თავისი განვითარების ეტაპი — სიყვარული ხომ კარდიოგრამასავითაა.

— ის მოსამართლეა. თქვენ — ადვოკატი. ეს თუა ხელისშემშლელი თქვენი სიყვარულისთვის?

— არ ვმონაწილეობ მის პროცესებში, რადგან ის არ მალავს, რომ ჩემდამი გულგრილი არ არის. არ მინდა, ჩემი პირადი ცხოვრება სამსახურებრივ საქმიანობაში ავურიო. ასე რომ, ჩვენ უბრალოდ, იურისტები ვართ.

— როგორია ახლომყოფთა რეაქცია?

— არაერთგვაროვანი. ასაკობრივი ბარიერი ბევრს აკომპლექსებს. მე კი, სტაბილურ, ცივილიზებული, ინტელექტუალურ ადამიანთან კავშირი მირჩევნია, თუმცა ყველა ასე არ ფიქრობს.

— თუ ცდილობთ, ზოგჯერ თქვენ ურთიერთობა შენიღბოთ?

— კი. არ მიყვარს პირადი ცხოვრების აფიშირება. ამ თემაზე ახლა პირველად ვსაუბრობ. საერთოდ, ვერ წარმოვიდგენდი, თუ ამაზე ვისაუბრებდი, არ ვიცი, რითი დამაინტრიგეთ, მაგრამ ფაქტია, რომ ვიწრო, სამეგობრო წრის გარდა, აქამდე ეს არავინ იცოდა... მე იმ კატეგორიის ადამიანი არა ვარ, რომელიც კულუარებში იმალება. მყოფნის ნებისყოფა, რომ ის არ გავაკეთო, რაც მიღებელია. თუ რამეს ვაკეთებ, მაქვს ჩემი სიმართლე და ახსნა. იმდენად თავმოყვარე ვარ, რომ არასოდეს ვდგამ უღირს ნაბიჯს და ზნეობასთან კომპრომისზე არ მივდივარ. თუ მიყვარს, არა მგონია, ეს უხერხული იყოს, მით უმეტეს — ღირსეული ადამიანის სიყვარული. ჩემი მეგობარი საოცრად იმპერატიულია და ძლიერი ხასიათით გამოირჩევა. მიუხედავად იმისა, რომ სულ „რევოლუციურ" განწყობაზე ვარ, შინაგანად ვაღიარებ მის ნებას, გარეგნულად კი... ამბობს, რომ სულ ჩემს „მოთვინიერებაშია", მაგრამ ამაოდ...

— თუ იყო ვინმე ისეთი, ვისაც თქვენთვის ხელის შეშლა უცდია?

— კონკურენტები მყავს. ეს არც მიკვირს. რადგან არ შეიძლება, ასეთი კაცი არ გიყვარდეს. ის არ არის ისეთი მამაკაცი, რომლის აღმოჩენაც ძნელია — მზა მასალაა, რომელიც მხოლოდ უნდა დაინახო და მერე ყოველმხრივ იგრძნობ, რომ ღირსეული ადამიანი გიდგას გვერდით. ასე რომ, ცხადია, კონკურენტები მყავს, მაგრამ არა ღირსეული. უთავმოყვარეო მეთოდებით ცდილობენ ბრძოლას, ინტრიგებით, სატელეფონო ზარებით. მამშვიდებს და მეუბნება, რომ არაფერი მაქვს სანერვიულო... სხვათა შორის, არასდროს ვყოფილვარ ეჭვიანი, მეუღლესთან ხუთი წელი ვიცხოვრე. დაოჯახებამდე ხუთი წელი ვუყვარდი, ამ ათი წლის მანძილზე, არასდროს მიეჭვიანია. ცხოვრებაში პირველად ვეჭვიანობ და ამაზე ძალიან ვღიზიანდები. ამას რომ გამოვხატავ, თავმოყვარეობა მელახება, მაგრამ რა ვქნა?..

კონკურენტები მყავს. ეს არც მიკვირს. რადგან არ შეიძლება, ასეთი კაცი არ გიყვარდეს.

— ეჭვიანობის გარდა, კიდევ რა თვისება შეგძინათ სიყვარულმა?

— აღმოვაჩინე, რომ თურმე შემიძლია, იმ მამაკაცის გამო, რომელიც მიყვარს, ბევრი რამე გავაკეთო, ბევრ რამეზე ვთქვა უარი. თანაც, მუდამ ძალზე დამოუკიდებელი ვიყავი. ახლა ჩემი ცხოვრება მის გარშემო ავაწყვე. ერთი რამ ნამდვილად ვიცი — ეს კაცი იმდენად მიყვარს, რომ მის გამო ბევრი რამის გაკეთება შემიძლია, თუმცა, თუ მისი მხრიდან ინდიფერენტულობას ვიგრძნობ — რის ფასადაც არ უნდა დამიჯდეს, ამ სიყვარულზე უარს ვიტყვი. ძალიან თავმოყვარე ვარ.

— იქნებ, ნამდვილი სიყვარული იქ იწყება, სადაც თავმოყვარეობა მთავრდება...

— ამაზე მეც მიფიქრია... მე ასე მესმის: თავმოყვარეობის დაკარგვამდე არ უნდა გიყვარდეს, მაგრამ არც თავმოყვარეობას უნდა ანაცვალო გრძნობა. მამაკაცი უნდა გრძნობდეს, რომ თავმოყვარე ქალს უყვარს.

— როგორია თვითონ? როგორ ართმევს თავს ინტრიგებს, ჭორებს?

— რომ გითხრათ — ჩემზე ჭორაობენ-მეთქი, — ტყუილი იქნება: მე არ გამიგონია, რომ ეთქვათ: ეკას ვიღაცასთან რომანი აქვსო... მაგრამ თვითონ მაინც ეჭვიანობს. სამწუხაროდ, ძალიან ეჭვიანია, ამას არც მალავს. თუ ტელეფონით ვიღაცას თბილად დაველაპარაკები, შეიძლება ფერი დაკარგოს. საერთოდ, ბუნებით ძალიან თბილი ადამიანი ვარ. ჰოდა, თუ მამაკაცი გადავკოცნე, მას დაახლოებით სამი წლის სიცოცხლე დააკლდება. არ მისაყვედურებს, მაგრამ იმ დღეს აუცილებლად მეტყვის: რა საჭიროა, კისერზე ჩამოკიდება და ხვევნა-კოცნაო?.. თუ ტელეფონით ვსაუბრობ, შემეკითხება: ხელს ხომ არ გიშლიო?.. ზოგჯერ მავიწყდება, რომ ეჭვიანია და რომელიმე შემხვედრს (რა თქმა უნდა, მეგობარს ან კარგ ნაცნობს) გადავკოცნი ხოლმე. გვერდით რომ მივიხედავ, ის ფერდაკარგული დგას.

— რჩევებს თუ გაძლევთ, როგორც მოსამართლე — ადვოკატს?

— ის დიდი ხანია მუშაობს. იურიდიულ სამყაროში ძალიან ცნობილი პიროვნებაა. პროფესიონალია. ჩემი ასაკის სტაჟი აქვს, სულ ნერვიულობს იმაზე, რომ რაიმე არ დამემართოს. ახლა მეხვეწება: საჭესთან ჯდომისას, ტელეფონით ნუ ლაპარაკობ, რადგან ისე ემოციურად ლაპარაკობ, რომ თავს ვეღარ აკონტროლებო... უნდა, რომ ვიყო ზომიერი და არა — რადიკალური. ჩვენი ურთიერთობა გამიჯნულია სამსახურებრივი სფეროსგან. მე არ დავუშვებ, რომ ჩემმა განწყობამ ან მისმა დამოკიდებულებამ რომელიმე საქმეში იჩინოს თავი. ამ ზღვარს პრინციპულად ვიცავ. ასე და ამრიგად, ჩვენ, ორი ცივილიზებული ადამიანი, ვახერხებთ ინტელექტუალურ ურთიერთობას... მე მიყვარს, ვიცი, რომ მას ვუყვარვარ და ამ გრძნობით ამაყი და უშიშარი ვარ... ■

ცხოვრებაში პირველად ვეჭვიანობ და ამაზე ძალიან ვღიზიანდები. ამას რომ გამოვხატავ, თავმოყვარეობა მელახება, მაგრამ რა ვქნა?..

ხათუნა მაღრაძე



პოეზია, თანამდებობა და კომპრომისები დათო მაღრაძის ცხოვრებაში

ეს არის სტრიქონებს შორის გაჟღერებული სიყვარული, რომელზეც პოეტ დათო მაღრაძეს, ხმამაღლა საუბარი არ სურს, განცდილ ინტიმურ გრძნობებს მალავს და უფრთხილდება, სიტყვებმა რომ არ გაცვითოს იგი. იმას კი გვიმხელს, რომ მრავალჯერ იყო შეყვარებული. პირველი განცდა, უძილო ღამეები და აღსარება, სკოლის წლებში, უნივერსიტეტში და ვინ იცის, კიდევ რამდენი ემოცია, თუნდაც იქ, „სადაც ბელინსკის ქუჩის შვიდია, დღის თორმეტიდან დღის თორმეტამდე, დაყრილი ფრთების პანაშვიდია“. პარლამენტიდან ხმაურით წამოსული დეპუტატი, მომავალ არჩევნებში მონაწილეობას არ აპირებს და იმ კომპრომისებზე საუბრობს, რომლის წაშლით (შესაძლებელი რომ იყოს) სიამოვნებით დაიწყებდა ცხოვრებას თავიდან.

— ვერისუბანში გავიზარდე, ეზოში, სადაც ძველი არისტოკრატიის წარმომადგენლები ცხოვრობდნენ. ჩემმა ბავშვობამ მათ თვალწინ ჩაიარა. დღესაც მიკვირს, როცა მახსენდება ის საზოგადოება — გაწვალებული, ნატანჯი ხალხი, საოცარი ღირსების გრძნობა, ურთიერთობის არაჩვეულებრივად ლამაზი ფორმა და ტრადიციები რომ ჰქონდათ შენარჩუნებული. მშობლებმა 53-ე სკოლაში შემიყვანეს, ყოფილ მე-7 ვაჟთა გიმნაზიაში. ასაკოვანი პედაგოგები მუშაობდნენ, ბევრი იყო ისეთი, რომელიც მამაჩემსაც ასწავლიდა. როცა იმ პერიოდს ვიხსენებ, ყოველთვის ჩემი ქართულის მასწავლებელი მიდგება თვალწინ. ჩემზე საოცარ შთაბეჭდილებას ახდენდა მისი წაკითხული ლექსები. მწეველი ქალი იყო, თამბაქოს ხავერდოვანი ეკალი ჰქონდა ხმაში, სტრიქონებს ზედმეტი პათეტიკისა და პირადი ემოციების გარეშე წარმოთქვამდა, სასიამოვნო ტემბრით, „სამკაულების“ გარეშე. ჩემს თავს ვამჩნევ — დღესაც, როცა ლექსს ვკითხულობ, ვცდილობ, რომ მის ხმას მივამსგავსო...

— როცა მარტო ხართ, სარკის წინ ხომ არ კითხულობთ ხოლმე ლექსებს?

— თუ სურვილი გაქვს, ნებისმიერ ადგილზე შეიძლება წაიკითხო ლექსი — ეს შენი განწყობა და შენი ინტიმია. თუ ხასიათზე არა ვარ, როგორც არ უნდა მთხოვონ, ერთ სტროფსაც ვერ წარმოვთქვამ, ზოგჯერ კი, სრულიად მარტოდ მყოფს მიჩნდება ხოლმე ამის სურვილი.

— თქვენზე გავიგე — ცუდი ყოფაქცევის გამო, რამდენიმე სკოლა გამოიცვალაო...

— *(იცინის)* ცუდი მოსწავლე არ ვყოფილვარ, მაგრამ ოთხი სკოლის გამოცვლა მომიწია. ძირითადად, ხან პედკოლექტივთან მომდიოდა კონფლიქტი, ხან დირექტორთან. პროტესტის გრძნობა მქონდა ხოლმე შემოთავაზებული ურთიერთობების მიმართ. მაშინ ისეთი სკოლები იყო, ყველა ერთმანეთს რომ ჰგავდა. პედაგოგებს ბატონყმური დამოკიდებულება ჰქონდათ მოსწავლეებთან, მე კი ამას ვერ ვეგუებოდი. როცა პირველად მივედი სკოლაში, შალვა კვინტრაძემ, რომელიც მაშინ სერიოზულ თანამდებობაზე იყო, ხელმძღვანელობას შესთავაზა — ჩემი შვილის კლასს მე თვითონ დავკომპლექტებო და თავისი მეგობრის შვილები ერთ ჯუგფში შეგვკრიბა. შემდეგ ჩვენმა კლასმა საერთო უკმაყოფილება გამოიწვია. პედსაბჭოს სხდომები ჩვენზე აუგის თქმით იწყებოდა და მთავრდებოდა. ამიტომ გადაწყვიტეს, დავეშალეთ. ამის გამო ისე მეტკინა გული, ჩემი სკოლისკენ გახედვაც კი აღარ მინდოდა და მთაწმინდაზე მდებარე. 47-ე სკოლაში გადავედი. მერე იყო და, ჩემმა მეგობარმა საკლასო ოთახი დააზიანა, თვითონ კარადის უკან დაიმალა და მასწავლებელი რომ შემოვიდა, მე შევრჩი ხელში. ხომ არ ვეტყოდი — დანაშავე კარადის უკანაა-მეთქი?! — და ახალი სკოლის მოძებნა დამჭირდა...

— მამათქვენი — ბატონი ელგუჯა არ ბრაზობდა, სკოლიდან სკოლაში რომ „მოგზაურობდით“?

— მამა, მაინცდამაინც სკოლაში მოსიარულე კაცი არ იყო, მაგრამ მეოთხე სკოლა რომ გამოვიცვალე, გამაფრთხილა: კიდევ ერთხელ თუ გაგრიცხეს, უსწავლელს დაგტოვებ და აღარ დაგეხმარებიო, — ამიტომ კარგად ვიქცეოდი და, როგორც იქნა, სკოლაც დავამთავრე.

— ასეთი აქტიური ახალგაზრდა, შინ ვჯდომის დიდი მოყვარული არ იქნებოდით...

— ბავშვობა არასოდეს უკონფლიქტოდ, ხავერდოვნად არ ჩაივლის ხოლმე, მაგრამ, არც ერთ საზოგადოებაში თავს ცუდად არ ვგრძნობდი. თუმცა მინდა ვთქვა, რომ „ქუჩის აკადემიის“ „წევრ-კორესპონდენტი“ არ ვყოფილვარ — მე ბევრად უფრო საინტერესო გარემო მიზიდავდა. ჩემი აზრით, ვინც აცხადებს — „ქუჩის აკადემია“ დავამთავრეო, — რაღაცა კომპლექსის დაფარვას ცდილობს ამით... პარლამენტშიც იმიტომ გვაქვს კარგად საქმე, ეს „აკადემიკოსები“ ახლა პოლიტიკაში რომ მოვიდნენ და თავ-პირს ამტვრევენ ერთმანეთს... მე თუ მკითხავთ, მთავარია, ღირსება არ გაცვალო რამეზე. როცა გაჩნდები, რამდენად ძვირფასია შენთვის ეს გრძნობა, სახელის მოსაპოვებლად „ლაგერების“ „შემოვლა“ არ არის საჭირო.

— ახლა, სტუდენტობის პერიოდი გავიხსენოთ — ის დრო, სერიოზულად შეყვარებული რომ იყავით...

— შეყვარებული სკოლიდანვე ვიყავი. ეს ის პერიოდია, როცა ყველას ვიღაცა უყვარს და როცა გგონია, რომ სწორედ ეს განცდაა ნამდვილი სიყვარული; არ ვიცი, იქნებ ასეც არის; ყოველ შემთხვევაში, სკოლის წლებში არაერთი ბავშვური გატაცება მქონია, უძილო ღამეებითა და ოცნების ნეტარი წუთებით.

— თქმას ბედავდით თუ მხოლოდ წითლდებოდით მის დანახვაზე?

— უთქმელადაც ხვდებოდნენ, დიდი ახსნა-განმარტება არ სჭირდებოდათ *(იცინის)*... ჭაბუკობაში, როცა ასეთ რამეს გრძნობ, გინდა, რომ ყველას გაანდო. ერთ მეგობარს ეტყვი, მეორეს, მესამეს და მალე, მთელმა სკოლამ იცის. რაც შეეხება გოგონებს — შემდგომ წლებშიც, ზოგს ვეუბნებოდი ჩემი განცდების შესახებ, ზოგს კი — არა.

— ზოგს — კი და ზოგს — არა? მაინც რამდენი გიყვარდათ?

— რას იზამ, განწყობა იცვლება და სხვა გიყვარდება... ისე, რაც დრო გადის, ცვალებადობის რიტმმა იკლო: ახლა ისე ხშირად აღარ ვარ შეყვარებული. სიმართლე გითხრათ. ეს ისეთი თემაა, ლაპარაკით არ უნდა გაცვითო. მე ჩემი სიყვარულიც და განცდაც ლექსით მაქვს გამოხატული, იმაზე უკეთესს ვერაფერს ვიტყვი.

— მაშინ ლექსად გვითხარით.

— *„... ჩემი სამრეკლო უნდა ვუჩვენო,*
თუნდ ხრინწიანი ზარი გაისმას
და თუ სიცოცხლეს შესძლებს უჩემოდ,
უჩემოდ სიკვდილს მაინც არ იზამს...“

— მეუღლე სად გაიცანით?

— ჩემი მეუღლე — ნესტან ციციშვილი ზღვაზე, ბიჭვინთაში გავიცანი. ის ფილოლოგიური ფაკულტეტის პირველ კურსზე სწავლობდა, მე კი მეხუთეს ვამთავრებდი. მალევე დავქორწინდით და ორი გოგონა შეგვეძინა.

— ალბათ ბიჭებს ელოდებოდით, მაგრამ ნატა და ელენე დაიბადნენ.

— დიდი მამულების პატრონი რომ ვიყო, ალბათ გული დამწყდებოდა — ვაჟიშვილები რატომ არ შემეძინა-მეთქი? — მაგრამ ამ სიტუაციაში დიდად გამეცადინებული არ ვყოფილვარ, რომ მაინცდამაინც ბიჭები მყოლოდა. ღმერთმა რაც მაჩუქა, იმისთვისაც მადლობელი ვარ. ნატა უკვე 17 წლისაა, ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე სწავლობს, ელენე კი სკოლის მოსწავლეა.

— ბატონო დათო, იყო დრო, როცა „მხედრიონზე“ მხოლოდ აუგს ამბობდნენ და თქვენც მასთან ერთად მოიაზრებოდით...

— არ ვიცი, ვინ რას მოიაზრებდა, მაგრამ მე არაჩვეულებრივი ურთიერთობა მქონდა ვაჟა იოსელიანთან, ჩვენ მეგობრები ვიყავით და ეს მეგობრობა გრძელდება. მიმაჩნია, რომ ძალიან საინტერესო მწერალი და კარგი პიროვნება იყო. რაც შეეხება თავად „მხედრიონს“ — რადგან საომარი მოქმედებების დაწყების დროს ქვეყანაში არ იყო რეგულარული არმია, შეიქმნა სახალხო ლაშქარი; მერე ისე მოხდა, რომ ყველას ერთნაირი პასუხი მოეთხოვა, ინდივიდუალური მიდგომა გამორიცხა და მთელი უსამართლობაც ეს იყო. მეორე მხრივ კი, ვინც სიცოცხლეს დებდა სამსხვერპლოზე, მათ მიმართ საზოგადოების მხრიდანაც უმადური დამოკიდებულება გაჩნდა, რამაც ჩემი პროტესტი გამოიწვია და ეს გულისტკივილი არ დამიმალავს.

— როგორც ამბობენ, სწორედ ვაჟა იოსელიანმა გადაწყვიტა კულტურის მინისტრად თქვენი დანიშვნის საკითხიც.

— სიმართლე გითხრათ, მაშინ ამაზე არ ვფიქრობდი. ჟურნალი „ცისკრის“ რედაქტორად ახალი დანიშნული ვიყავი და გეგმებიც ამის შესაბამისად მქონდა შემუშავებული. მაშინ კულტურის მინისტრის პოსტზე, ცნობილი ადამიანები იყვნენ წარდგენილნი, რომლებიც გარკვეულ სახელოვნებო ჯგუფებს წარმოადგენდნენ. მათ ერთმანეთში არ ჰქონდათ ხავერდოვანი ურთიერთობა, ამიტომ ერთმანეთი ჩაძირეს. საჭირო იყო ახალი კანდიდატურა, აქცენტი ახალგაზრდა ასაკის ადამიანზე გაკეთდა და ამ პოსტზე მე დამამტკიცეს. რამდენადაც ვიცი, ჯაბასთან ერთად ბატონმა თენგიზ სიგუამაც დამიჭირა მხარი და შევარდნაძემ დამნიშნა, კიტოვანი კი ასეთ საკითხებში არ ერეოდა.

— პრეზიდენტის წინაშე ვალში ყოფილხართ. კატასტროფაში რომ მოყვეს და სისხლი დასჭირდეს, გადაუსხამთ თუ არა?

— თუ შეითვისებს რაიმე კარგს ჩემი გენეტიკიდან, კატასტროფის გარეშეც ახლავე მზად ვარ, გავიღო სისხლი *(იცინის)*...

— კულტურის სამინისტროში წარმოქმნილი პრობლემების გამო, საკუთარი ნებით დატოვეთ თანამდებობა, შემდეგ — დეპუტატის მანდატიც. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ მუდმივად გაურბიხართ სირთულეებს?

— ასე ნამდვილად არ მიმაჩნია, რადგან ამ ამ გადაწყვეტილებების მიღება, მატერიალური თვალსაზრისით, უფრო მეტ პრობლემას მიქმნიდა: რაც შეეხება ზნეობრივ კოდექსს — აქაც ყველაფერი პირიქითაა. პარლამენტი ჩემთვის არ არის ის ერთადერთი ტრიბუნა, საიდანაც პოზიციის გამოხატვას შევძლებ, რეალურად რაიმის შეცვლის ბერკეტები კი, საკანონმდებლო ორგანოში, მხოლოდ იდეის დონეზეა, ამის განხორციელება ჩვენს პირობებში ფაქტობრივად, წარმოუდგენელია. მე ჩემი საზოგადოებისგან არსად გავრბივარ, პირიქით — უნდა ვეცადოთ, რომ ის ხალხი გაიქცეს, ვინც ხელისუფლებაში ყოფნას არ იმსახურებს... მიმაჩნია, რომ საამისოდ საზოგადოებრივი ასპარეზიდან უფრო მეტს გავაკეთებ, ვიდრე პარლამენტიდან.

— ვიცი, ზოგადად სიკვდილით დასჯის წინააღმდეგი ხართ, მაგრამ ვინაიდან, ზემოთ ხსენებულ პირებზე ჩამოვარდა საუბარი, ერთი-ორ გამონაკლისს ხომ არ დაუშვებდით?

— არა, გამორიცხულია! ეს სამართლის დამყარების ველური ფორმაა და მე, ოლღა გურამიშვილის სიტყვების იქით ვერ წავალ, რომელმაც ილიას მკვლელების შეწყალება მოითხოვა. ყველას თვითონ მოეთხოვება პასუხი, სხვისი სიცოცხლის ხელყოფის უფლება ჩვენ არა გვაქვს.

— ბატონო დათო, ბოლო დროს, „კარის მწერლები“ ისევ გააქტიურდნენ...

— 40-იან წლებში გამოვიდა დადგენილება — რეპრესიების შემდეგ „მავნებლები“ რომ მოაკლდა სახელოვნებო სამყაროს, მათი რიგების შესავსებად გაწვევა უნდა მოხდეს ფაბრიკა-ქარხნებიდანო. მერე დადგენილების გარეშე გრძელდებოდა ეს პროცესი — ხალხი თვითონ სთავაზობდა თავის სამსახურს იმას, თუ ვინ რა თემაზე „იმუშავებდა“. სამწუხაროდ, „გაწვევის“ პროცესი დღესაც გრძელდება, ახალგაზრდა პოლიტიკოსებიც კი ცდილობენ, დაიახლოონ ასეთი „ნიჭიერი“ ხალხი და ლექსების სანაცვლოდ, კეთილდღეობას ჰპრიდებიან. სწორედ ფაბრიკა-ქარხნებიდან გაწვეული მწერლების სულიერი შთამომავალნი არიან დღევანდელი „კარის მწერლებიც“.

— თითქმის ყველა ადამიანს, ვინც კი საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევა, სერიოზულ კომპრომისზე უხდება წასვლა. თქვენ რომელი კომპრომისი არ გაძლევთ მოსვენებას?

— თუ იმის გაგება გინდათ, რას შევცვლიდი ჩემს ცხოვრებაში, გულწრფელად გეტყვით — უამრავ რამეს. ვერ ვიტყვი, რომ აღფრთოვანებული ვარ ჩემ მიერ განვლილი გზით. ხელახლა რომ დამაყენონ იმ არჩევანის წინაშე, რომელიც სხვადასხვა დროს გამიკეთებია, ალბათ სრულიად განსხვავებულ გადაწყვეტილებებს მივიღებდი. კომპრომისია თუნდაც ის, რომ იღებ ცხოვრების წესს, რომელსაც საზოგადოება გთავაზობს, რადგან შეუძლებელია, გამუდმებით იბრძოლო იმისთვის, რომ არ დაემსგავსო ყველას, თვისებებით, რომელიც არ მოგწონს, და მერე, როცა ამ ფაქტის წინაშე აღმოჩნდები, არაფრის შეცვლა აღარ შეგიძლია...

მაგრამ და ისევ მაგრამ, ჩემთვის ბრძოლის გარეშე სიცოცხლეს ფასი არა აქვს. ■

ნატა

ელენე

ქართული საკვირაო სკოლა გერმანიაში

ეს წერილი გერმანიის ქალაქ მინდენში მყოფ ქართველთა სახელით გადმოგვცა ქალბატონმა, რომლის შვილი, გერმანიაში ახლახან გახსნილი, ქართული საკვირაო სკოლის მოსწავლეა.

მაია ნიკოლოზაშვილი

„...წმინდა ნინოს და ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი აუცილებლად ვნახოთ“.

„მცხეთა და ალავერდიც მოვინახულოთ“...

„მე შავ ზღვაზე არ წავალ, დედიკო, ოღონდ, საქართველოში რომ ჩავალთ, ყოველდღე იორზე გამიშვი ხოლმე“...

ეს სიტყვები გერმანიის პატარა ქალაქში მცხოვრებ ქართველ ბავშვებს ეკუთვნით, რომლებიც საქართველოში არ იზრდებიან, იძულებით არიან გადახვეწილნი სამშობლოდან. ჩვენი ქვეყნის ისტორიას დასაბამიდან მოსდევს ქართველთა მოწყვეტა მშობლიური მიწა-წყლიდან. რარიგ წარმოუდგენელია, რომ ჩვენმა შვილებმა დაივიწყონ თბილისი, მცხეთა, უჯარმა, ვანი, რომ სიტყვების — „ბებია“ და „ბაბუა“ — წარმოთქმა ისეთივე სითბოს მომგვრელი არ იყოს, როგორიც ჩვენთვის და ჩვენი წინაპრებისთვის ყოფილა...

სხვა ერები ქვეყნის დასალიერში ეძებენ თავიანთი სამშობლოდან გაქცეულ-გაფანტულებს და ყოველნაირად ეხმარებიან მათ უკან დაბრუნებაში. არადა, ეს ხომ მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული — ჩვენს ნებაზე, ჩვენს სურვილსა და ძალისხმევაზე...

სამშობლოდან გადახვეწილს, თავი სიზმარში მეგონა, როცა შევიტყვე, რომ გერმანულ ქალაქ მინდენში ქართული საკვირაო სკოლის გახსნა იყო დაგეგმილი. „ღმერთო, დალოცე და ხელი მოუმართე ბატონ მერაბ ჯაფარიძეს (გერმანიაში ქართული საზოგადოების — „ოქროს საწმისის“ თავმჯდომარეს), რომ ეს სიზმარი ცხადად მოგვივლინოს!“ — ეს იყო ნატვრა გერმანიაში მყოფი თითოეული ქართველისა.

და აი, ამ გაზაფხულზე, მარტში გერმანიაში გაიხსნა ქართული სკოლა, სადაც სამშობლოს სიყვარულით გულანთებული ბავშვები და მათი მშობლები იყრიან ხოლმე თავს. იქ ტარდება გაკვეთილები „დედაენაზე“, სამშობლოზე, მონატრებაზე, სიყვარულსა და სიკეთეზე. ქართველი ბავშვები გერმანიის ამ პატარა ქალაქში სწავლობენ მშობლიურ ენას, წერა-კითხვას (პედაგოგი ლია თავშავაძე), მოზრდილები — ქართულ ლიტერატურას, ისტორიას (პედაგოგი შალვა წიკლაური). ქართული ცეკვისა და სიმღერის გაკვეთილებს (პედაგოგები გ. ერაძე და ლ. გიორგაძე) კი, განსაკუთრებით მოუთმენლად ელიან პატარები...

„ოქროს საწმისის“ წევრებმა, მასპინძლებთან ერთად, მადლობის ნიშნად დავრგეთ ვაშლის ხე, რომელიც ნაყოფიერების სიმბოლოა — ისევე, როგორც იქ მყოფი ქართველებისთვის, ამ საზოგადოების არსებობა.

მიხარია და ჩემს სიხარულს არა აქვს საზღვარი, იმიტომ, რომ ჩვენი შვილები აღარ დაუძახებენ დედას, მამა-ს. ისინი ქართულ სკოლაში დადიან, ქართველი აღმზრდელები ჰყავთ და კვლავ ქართული სისხლი უჩქეფთ ძარღვებში... ■

სამეჯლისო სპორტული ცეკვების სტუდია "ბრაცია"

იწვევს ბავშვებს 5-15 წლამდე
უფროსებს 15-დან 35 წლამდე
ესპანური, ევროპული და
ლათინურ-ამერიკული
ცეკვების შესასწავლად.
ვალსი, ტანგო, სამბა, სალსა
მამბო, რუმბა, როკენ-როლი
მისამართი: დიმიტრი უზნაძის 59
(ყოფილი კაბოს)
23-ე საშუალო სკოლის მე-2
სართული საპატრო დარბაზი.
ტელ.: 61 73 18, 93 13 45,
64 46 60, მობ. 899 55 16 09

კურსდამთავრებულები მიიღებენ შესაბამის დიპლომს

რისთვის შეიძინეს იაპონელებმა მანქანისა და სალგაზის ლიცენზია

ნინო ჯავახიშვილი

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ ბატონი კარლო ქველაძე ძალზე საინტერესო პიროვნებაა. ოდესღაც, სათხილამურო სპორტით ყოფილა გატაცებული, დღეს კი მისი ჰობი, მოგზაურობა, ნადირობა და თევზაობაა. ამჟამად, ბატონი კარლო საქართველო-იაპონიის კულტურული ურთიერთობის ასოციაციის პრეზიდენტია. მსოფლიოს მრავალ კუთხეში ყოფილა და მიაჩნია, რომ იაპონია ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და მრავალფეროვანი ქვეყანაა. იმის შესახებ, თუ როგორ შეარცხვინა კარლო ქველაძე იაპონელების ქორწილში ნეკა სებისკვერაძის შერჩეულმა ყანწმა, გემრიელია თუ არა ლოკოკინა და რატომ არ აძლევდა მატარებლის გამცილებელი ქართული დელეგაციის წევრებს სიგარეტის მოწევის უფლებას, ინტერვიუდან შეიტყობთ.



— ბატონო კარლო, თავდაპირველად თქვენ შესახებ გვიამბეთ და ისიც გვითხარით, თუ როდის და რატომ დაინტერესდით იაპონიით?

— ვარ ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, კვების მრეწველობის სფეროში 40-მდე გამოგონების ავტორი. 1965 წლიდან ვიყავი საქართველო-ჩეხეთის (ჯერ — ჩეხოსლოვაკიის), ხოლო 1990 წლიდან — საქართველო-იაპონიის კულტურული ურთიერთობის ასოციაციის პრეზიდენტი. საერთოდ, ძალიან მიყვარს მოგზაურობა. 20 წლის მანძილზე, თითქმის ყოველ ზაფხულს, საკუთარი მანქანით, ცოლ-შვილთან ერთად რომელიმე ქვეყანაში მივდივარ ხოლმე სამოგზაუროდ. სანამ ჩემი შვილები პატარები იყვნენ, საჭესთან სულ მე ვიჯექი. ზოგჯერ, დღეში 1000 კმ-ს გავდიოდი ხოლმე. ნამყოფი ვარ დანიაში, ნორვეგიაში, შვეციაში, ალჟირში, მაროკოში, ტუნისში, იტალიაში, საბერძნეთში, კანადაში, ამერიკაში, საფრანგეთში, გერმანიაში, ბელგიაში. იაპონიაში პირველად, 1965 წელს ვიყავი მივლინებით. 1990 წელს კი, როგორც საბჭოთა კავშირის საკავშირო საორგანიზაციო კომიტეტის წევრმა, მონაწილეობა მივიღე იაპონიაში მოწყობილ გამოფენაში. მოგეხსენებათ, ეს ის პერიოდი იყო, როცა საბჭოთა კავშირი იშლებოდა. როდესაც საქართველო-იაპონიის კულტურული ურთიერთობის ასოციაციის შექმნა გადაწყდა, აღმოჩნდა, რომ ამ ქვეყანასთან ყველაზე მეტი კონტაქტი მე მქონდა. ამიტომაც შემომთავაზეს ასოციაციის პრეზიდენტობა.

— მოკლედ რომ ვთქვათ, რა საქმიანობას ეწევა თქვენი ასოციაცია?

— პირველად, ჩვენმა საზოგადოებამ თბილისში იაპონური ენის შემსწავლელი კურსები გახსნა. იაპონიიდან მოვიწვიეთ პროფესორები. ვმუშაობ წიგნზე, რომელიც ეხება საქართველო-იაპონიის კულტურულ ურთიერთობებს. მონაწილეობა მივიღეთ ევრაზიის ქვეყნების ფორუმში — „XXI საუკუნე — მშვიდობის საუკუნე". ასევე იაპონიაში ჩატარებულ, მსოფლიოს ხალხთა ფოლკლორულ ფესტივალში, რომელშიც მონაწილეობდნენ ეკა კახიანი, ნინი ბადურაშვილი, ნეკა სებისკვერაძე და თაკო გაჩეჩილაძე. მათ იქ დიდი წარმატება ხვდათ წილად. ამასთან დაკავშირებით, ერთი კურიოზიც გამახსენდა და მოგიყვებით. წინასწარ ვიცოდით, რომ ჩვენი ასოციაციის იქაური წევრი ქორწინდებოდა. ქორწილში, რა თქმა უნდა, ჩვენც მიგვიპატიჟეს. ნეკას, უშველებელი ყანწი ჰქონდა წამოღებული. დიდი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტეთ, რომ ნეფე-პატარძლისთვის ეს ყანწი გვეჩუქებინა. თარჯიმანს მილოცვის ტექსტი წინასწარ დავაწერინე. ავდექი და ვთქვი: მინდა, ეს ორიგინალური სასმისი საჩუქრად მოგართვათ-მეთქი. ეს განვაცხადე და მოვითხოვე, ყანწი შეევსოთ. იაპონელები გაოცებულები მიყურებდნენ — ისინი ხომ ძალზე ცოტას სვამენ. დამისხეს თუ არა ღვინო, ყანწიდან ღვინო ჩამოიწვეთა — თურმე გასდიოდა. ხომ წარმოგიდგენიათ, რა დღეში ჩავვარდებოდი?! რა უნდა მექნა? ყანწს მეორე ხელი შევუშვირე — ის ხელი, რომელშიც მილოცვის ტექსტი მეჭირა. „შპარგალკა", რა თქმა უნდა, ვეღარ გამოვიყენე და იაპონურად ვეღარაფერი ვთქვი. ჰოდა, მეც ავდექი და ქართულად დავლოცე სიძე-პატარძალი... აი, ასეთი მარცხი მომივიდა.

— იაპონელებზე რისი თქმა შეგიძლიათ? როგორი ხალხია?

— იაპონელები რომ გაიცნო, აღიარებ, რომ გერმანელებზე უფრო შრომისმოყვარენი არიან. გერმანელმა, თუ მუშაობა იცის, ისვენებს კიდეც, იაპონელს კი დასვენება არ სჩვევია... ძალიან მგრძნობიარე ხალხია. ერთ ამბავს მოგიყვებით: რამდენიმე წლის წინ, გაზაფხულზე, ხოძიო სინია — იაპონელი ჟურნალისტი მესტუმრა. ხომ იცით ქართველების სტუმართმოყვარეობის ამბავი... რამდენიმე დღეში, სამშობლოში გაემგზავრა. გზიდან რომ დამირეკა და მითხრა — სინია ვარო, — ვიფიქრე, ალბათ მადლობის გადახდა უნდა და მეტყვის: ბატონო კარლო, დიდი მადლობა, ასე რომ შეწუხდით, ძალიან დამავალეთო. ნურას უკაცრავად! იცით, რა მკითხა? — უთქვენოდ ფუნიკულორზე ავედი; საბაგიროსთან ახლოს, ხელმარჯვნივ, ძალიან ლამაზი, აყვავებული ხე დავინახე, მაგრამ ვერ გავიგე, რა ხე იყო და თუ შეიძლება, მითხარითო. აი, ასეთი უცნაური ხალხია... ძალიან უყვართ ბუნება. ყველა ეზოში უამრავი ყვავილია გაშენებული. ძალიან მოწესრიგებულები არიან. ხოძიო დამპირდა, საქართველოზე რა სტატიებსაც გამოვაქვეყნებ, ყველას გამოგიგზავნიო. მისი სტუმრობის შემდეგ, მალე მომიხდა იაპონიაში წასვლა. მოსკოვიდან დავურეკე: სად არის დაპირებული სტატიები-მეთქი? ძალიან

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

1. „პაუზა“ ბერძნულად დასვენებას ნიშნავს.

2. დავითი დოდო აბაშიძის ნამდვილი სახელია.

3. ლენინის ორდენს მკერდის მარცხენა მხარეს ატარებდნენ.

4. პატეფონი, მონგოლფერი და მაუზერი ძმების გამოგონილია.

5. ჯენოა, უეკლო, ლისბონი და ვილაფრანკა, ლიმონის ჯიშებია.

6. ალპინიზმის ისტორია ალპებში მონბლანზე ასვლით იწყება და ამიტომაც ჰქვია ალპინიზმი.

7. ალბერტ აინშტაინი ელექტროტექნიკურ ხელსაწყოთა მაღაზიის მფლობელის ოჯახში დაიბადა.

8. დავით აღმაშენებელს ყივჩაღთა მთავრის, ათრაქა შარაღანის ძის ქალიშვილი, გურანდუხტი ჰყავდა ცოლად.

9. ძველად საქართველოში უშვილობისას ან ბავშვის ავადმყოფობის დროს, ხატს პატარა აკვანს სწირავდნენ.

10. „საქართველო ყვავილების ქვეყანაა და არა არჩევნების“, – განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში ნანა დევდარიანმა.

11. სამხრეთამერიკელი ინდიელები მტაცებელი თევზის, პირანიის ყბებს მაკრატლის მაგივრად ხმარობდნენ.

12. ვეფხვი და იაგუარი კატისებრთა ოჯახის ერთადერთი წარმომადგენლები არიან, რომელთაც წყალი უყვართ.

13. იმპერატორ ნერონის ფარული ბრძანებით, რომში გაჩენილ ხანძარს 14 უბნიდან მხოლოდ 4 გადაურჩა.

14. რადგანაც ქარს ყველა მხრიდან შეუძლია იქროლოს, ინდიელები ქარის ღმერთის სადიდებლად მრგვალ ტაძრებს აგებდნენ.

15. „ზოგიერთი დიდი თანამდებობა ციცაბო კლდესა ჰგავს: ან არწივი უნდა იყო, რომ ადრინდ, ან ქვემრომბ, რომ აცოცდ“, – ამბობდა ტალეირანი.

16. ბელადის შუბი, სტალაგმიტი, იმპერატორის კვერთხი, ჯადოქრის ჯოხი, „სიმბოლოთა ენციკლოპედიის“ თანახმად, მამაკაცურ საწყისს გამოხატავს. ამ სიმბოლოს ყველაზე მარტივი სახე ვერტიკალური შტრიხია.

17. სახელგანთქმული „ცეკვა ფუნუშებით“ ჩარლი ჩაპლინმა ფილმში – „ოქროს

შეწუხდა – არ მიგიღიათო?! მკითხა, რამდენ ხანს გავჩერდებოდი იაპონიაში და დამემშვიდობა... ჩავედი ტოკიოში, მერე იქიდან – ქალაქ მაებასში გავემგზავრე. საქმიან შეხვედრაზე ვიმყოფებოდი, როდესაც ერთი იაპონელი მოვიდა ჩემთან და მითხრა: თქვენი ნახვა სურთო... ხოძიოს ვიღაცისთვის გამოუტანებია კონვერტი, რომელშიც ყველა მისი სტატია იყო თავმოყრილი. წარმოიდგინეთ, მან არც კი იცოდა, მაებასში თუ ვაპირებდი წასვლას და მაინც მომძებნა. აი, რა ოპერატიულად მოიპოვებენ იაპონელები მათთვის საჭირო ინფორმაციას...

— ყველაზე მეტად რამ გაგაოცათ იაპონიაში?

– თუნდაც იმან, რომ თეატრში ისე ვერ შეხვალ, თუ ფეხსაცმელს გარეთ არ გაიხდი და ფაჩუჩებს არ ჩაიცვამ... კიდევ – იაპონელები ყოველდღე დებენ ფიცს, რომ კეთილსინდისიერად იმუშავებენ და მაღალხარისხიან პროდუქციას გამოუშვებენ!.. ყველგან საოცარი სისუფთავეა. ვთქვათ, ქუჩაში წვიმამ მოგისწრო და სასტუმროს შეაფარე თავი. თუ უკან მალე უნდა გამოხვიდე, ქოლგას სპეციალურ საცავში ჩადებ და ისე შეხვალ სასტუმროში; თუ დიდი ხნით რჩები, სპეციალურ ავტომატში გაატარებ, მას ცელოფანის საფარი გაუკეთდება და ისე აიტან ნომერში. ერთი წვეთი წყალიც კი არ უნდა დაეცეს იატაკს... ერთხელ, საქართველოს დელეგაციის წევრები მატარებლით ვმგზავრობდით. სიგარეტის მოწევა დავაპირეთ, მაგრამ გამცილებელმა უმაღლესი კლასის სიგარეტი შემოგვთავაზა და მოგვიბოდიშა: იაპონელები საბჭოთა თამბაქოს სუნს ვერ იტანენ, არ გეწყინოთ, მაგრამ თუ შეიძლება, თქვენი სიგარეტი შეინახეთ და ეს მოსწიეთო.

— იქ მცხოვრებ ქართველებზე რას იტყვით?

– დღეისათვის, იაპონიაში დაახლოებით 80-მდე ქართველი ცხოვრობს. ისინი ძირითადად, ტოკიოში, ოსაკაში, იოტოსა და ნარაში ცხოვრობენ. ოსაკაში ცხოვრობენ და მოღვაწეობენ მუსიკოსები: გოგი ბაბუაძე, ზაზა გოგუა და გია ხევოშვილი. ისინი სიმფონიურ ორკესტრში უკრავენ. გარდა ამისა, მათ შექმნეს ასოციაცია „მეგობრობა“. ორ კვირაში ერთხელ ხვდებიან იაპონელებს და საქართველოს შესახებ უყვებიან. იაპონიაში ჩასულ სუმოისტებს შორის, ყველაზე მეტად, ქართველმა ლევან ცაგურიამ გაითქვა სახელი. ის ძალზე ცნობილი მოჭიდავეა. იაპონიაში ყველა იცნობს დიმიტრი ანთაძეს და მის მეუღლეს – ქეთევან ანთაძეს. დიმიტრი მხატვარია, სტაჟირებას ტოიამას უნივერსიტეტში გადის. მის გამოფენებს იქაურ პრესაში ყოველთვის დიდი გამოხმაურება და კარგი რეცენზია მოჰყვება ხოლმე.

— იაპონურ სამზარეულოზე რას გვეტყვით? მოგწონთ იქაური კერძები?

– იაპონელების საყვარელი საჭმელია ბრინჯი და თევზი. ბრინჯის 500 სახეობა არსებობს. ტოკიოს თევზის ბაზარში კი, რამდენიმე ასეული ათასი სახეობის თევზი იყიდება. ხორცს მაინცდამაინც არ წყალობენ. ერთი კილო ხორცი 200-დან 500 დოლარამდე ღირს. ასეთი ძვირი იმიტომაა, რომ იაპონიაში მესაქონლეობას, საძოვრების უქონლობის გამო ვერ მისდევენ. ახალდაბადებულ ხბოს ჩაბნელებულ, ხმაგაუმტარ ოთახში აჩერებენ და ლუდს ასმევენ, რომ მისი ხორცი გემრიელი იყოს. იაპონიაში რამდენიმე მილიონ კაცს ხორცი საერთოდ არ ექნება გასინჯული. სამაგიეროდ, ძალიან უყვართ კუს, გველის, ცხენის ხორცი... ერთმა იაპონელმა რესტორანში დამპატიჟა. ლოკოკინა რომ გადახსნა, ის ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და მოძრაობდა. იაპონელმა კი, ძმარი დაასხა, მდოგვი წაუსვა და გემრიელად მიირთვა. შარშან, მე და

ეკა კახიანი, თაკო გაჩეჩილაძე, ნეკა სებისკვერაძე და ნინი ბადურაშვილი კარლო ქველაძესთან ერთად იაპონიაში

იაპონელები ყოველდღე დებენ ფიცს, რომ კეთილსინდისიერად იმუშავებენ და მაღალხარისხიან პროდუქციას გამოუშვებენ!..

ჩემი მეუღლე გახლდით იაპონიაში. რესტორანში რაღაც ბულიონი მოგვიტანეს. მე ბარდის „სუპი“ მეგონა და გემრიელად გეახელით, მაგრამ ბოლოს, რაღაც არ მესიამოვნა... შიგ ლოკოკინის მაგვარი რაღაც ეგდო... სხვათა შორის, იაპონიაში ყველა – მდიდარიცა და ღარიბიც, შესვენების დროს, რესტორანში ან კაფეში სადილობს. სამსახურის შემდეგ, იაპონელების 50% მიდის აბანოში ან ისეთ დაწესებულებაში, სადაც ემოციებისგან განიტვირთება. არსებობს სპეციალური ადგილები, სადაც შეგიძლია მიხვიდე და რაც გინდა, ის დაამტვრიო! ეს მაშინ, თუ ან ვინმეზე, ან რამეზე ხარ განრისხებული და გინდა, გული მოიფხანო...

— ამბობენ, იაპონელები ისეთი ტანმორჩილები აღარ არიან, როგორებიც ადრე იყვნენო...

– ეს მართლაც ასეა. ახალგაზრდებში უკვე იშვიათად მოიძებნება დაბალი კაცი. არაოფიციალურად მითხრეს, რომ იაპონელი ქალები, რომლებიც უცხოეთში ცხოვრობდნენ, ცდილობდნენ, ევროპელებთან გაებათ რომანი და მათგან გაჩინათ შვილები, რათა გენეტიკა შეცვლილიყო... ტანადობის პრობლემა ძალიან აწუხებთ, ამიტომაც იყო, რომ ჯერ კიდევ 30-იან წლებში, საქართველოში ჩამოსული იაპონელები პირველად, გენეტოლოგიის ინსტიტუტში მიდიოდნენ: აინტერესებდათ, თუ რაში მდგომარეობდა ქართველების სიმაღლის საიდუმლოება. ჩვენგან იყიდეს მაწვნისა და სულგუნის ლიცენზია – მათი აზრით, მაწონი და სულგუნი ხელს უწყობს ადამიანის სიმაღლეში ზრდას და სიცოცხლის გახანგრძლივებას.

— ვიცი, რომ კარგი მონადირეც ხართ...

– დიახ, ეს სამი ირემი ჩეხეთში მყავს მოკლული, თხები – კავკასიონზე, დათვი – ქსნის ხეობაში *(მანიშნებს ფიტულებზე, რომელიც სამუშაო კაბინეტში აქვს. – ავტ.)*. თევზაობაც მიყვარს. ამ ზაფხულს, ქობულეთში დღეში 12 კილო თევზს ვიჭერდი ანკესით.

— ნადირობასთან დაკავშირებით, რაიმე საინტერესო ამბავს ხომ არ გაიხსენებთ?

– ჩეხოსლოვაკიისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტები რომ დამეგობრდნენ, მისი ორი ლექტორი – ვლადიმირ მედუნა და ვლადიმერ ენენკო ჩამოვიდა სტუმრად. ორივე ძალიან კარგი მონადირე იყო და მათთვის პატივი რომ გვეცა, გადავწყვიტეთ, სანადიროდ ყაზბეგში წაგვეყვანა. ჯიხვის მოკვლა უნდოდათ, მაგრამ აბა, იმდენი ჯიხვი სად იყო, რომ ფეხის ყოველ გადადგმაზე შეგვხვედროდა?.. ავდექით და თხა გავუშვით კავკასიონის ქედზე. მედუნას თოფი მისცეს და „ჯიხვი“ დაანახვეს: მიდი და ესროლეო. მოარტყა. იქაურმა მონადირეებმა თავმოჭრილი თხა მიჰგვარეს, რომ ვერ ეცნო. მედუნას, ცოტა არ იყოს, გაუკვირდა: თავი რატომ მოაჭერითო? დაამშვიდეს: საქართველოში ასეთი წესია – ნადირს სადაც მოკლავ, თავი იქ უნდა დატოვოო. ამაში სტუმარს ეჭვი შეეპარა და მოიწყინა. „გე-პე-ი“-ს რექტორმა ყაზბეგის რაიკომის მდივანს უთხრა: იცოდე, ამაღამ ერთ ჯიხვს თუ არ მოკლავთ, სამსახურიდან ყველას მოგხსნითო. შეკრიბეს მონადირეები და იმ საღამოს, მართლაც მიართვეს სტუმარს მოკლული ჯიხვი, თან უთხრეს: ამ ერთხელ, თქვენს პატივსაცემად გადავუხვიეთ ჩვენს ადათ-წესებს და ჯიხვი თავიანად მოგართვითო...

■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალი
უბის წიგნაკიდან:

ციებ-ცხელება“ წარმოადგინა. ფილმის დემონსტრირების დროს ამ ეპიზოდს ბისზე უჩვენებდნენ ხოლმე.

18. აფრიკის სახელმწიფო – ბოტსვანა – 1885-1966 წლებში დიდი ბრიტანეთის პროტექტორატი იყო და ბეჩუანალენდი ერქვა.

19. „არც ერთი ორგანო არ საჭიროებს ამ რაოდენობით კუნთებს. მასში, როგორც ცნობილია, 24 კუნთია, თუ არ ჩავთვლით იმას, რომელიც მე აღმოვაჩინე, ხოლო თავისუფლად მოძრავ ორგანოთა შორის მოძრაობათა რაოდენობის მიხედვით იგი ყველას აღემატება“, – წერდა ლეონარდო და ვინჩი ადამიანის ენის შესახებ.

20. ფრინველთა დასაჭერად განკუთვნილ ძუის მახეს ქართლში კაკანათი ჰქვია, ფშავში – სასხიპურა, ხევსურეთში – საჩიტურა, თუშეთში – ბალუ და სასხლეტი, სვანეთში – ნეჯიდ და ღერენჯიკა.

21. ჩვენი წელთაღრიცხვის VIII საუკუნეში, ჩინელები საცხოვრებელი სახლების კარის წინ უზარმაზარ ჩარჩოებს დგამდნენ, რომელზეც ძაფებით ზანზალაკები იყო შებმული. ასეთი საშუალებით ისინი მძარცველებისგან იცავდნენ თავს.

22. ძველ რომში ღვინის კასრებს აკრავდნენ იარლიყს, რომელზეც ამა თუ იმ იმპერატორის სახელი ეწერა. იმპერატორთა სახელები ღვინის დამზადების თარიღს აღნიშნავდა.

23. ნაპოლეონთან ომის დროს, ფრანგულ ყაიდაზე აღზრდილი რუსი თავადი ოფიცრები იძულებულნი იყვნენ, სასწრაფოდ ესწავლათ მშობლიური ენა, რათა სიბნელეში თავიანთივე ჯარისკაცებს არ მოეკლათ.

24. დეგუსტატორებს უფლება არა აქვთ, ჭამონ ცხარე საჭმელი, დალიონ მაგარი სასმელები და მოსწიონ თამბაქო.



25. ძველ სპერძნეთში, არეოპაგის სხდომების დროს, განსასჯელის ბედი ფარული კენჭისყრით წყდებოდა. ყოველი მსაჯული აგდებდა თეთრ კენჭს „შეწყალების ურნაში“ ან შავს – „სიკვდილის ურნაში“. თუ ურნებში კენჭების რაოდენობა თანაბარი აღმოჩნდებოდა, განსასჯელს ათავისუფლებდნენ, რადგან „შეწყალების ურნაში“ აგდებდნენ კიდევ ერთ კენჭს, ქალღმერთ ათენას სახელით.

■

გაგზავნილი ვიდეო, სანიშვნოთ „ვესიჯ-ჰაკერობა“ და

ყველაზე მაგარი ჟიგოლო მსოფლიოში

მკითხველები ხშირად მაოცებენ ხოლმე თავიანთი ფანტაზიის უნარით, რომელსაც მართლაც არა აქვს საზღვარი. მაგალითად, ხომ უნდა მოფიქრება იმას, რომ ღამის სამ საათზე დაურეკო ჟურნალისტს და სთხოვო — ჩემი ოჯახის წევრის ტელეფონის ნომერს გეტყვით, თუ შეიძლება, დაურეკეთ და უთხარით, რომ შინ მოვიდეს, მე რომ ვრეკავ, ტელეფონი გამორთული აქვსო... საინტერესოა, რატომ უნდა იყოს ის ტელეფონი ჩემთვის ჩართული, როცა მისთვის გამორთულია?!. მინდა გითხრათ, რომ ამ მკითხველის საბედნიეროდ, იმ დროს არ მეძინა, მე და ჩემი „მუზა“ მორიგ სტატიას ვამზადებდით. ასე რომ არ ყოფილიყო, შესაძლოა, მას ჩემი რისხვა დასტყდომოდა თავს... ჩემთვის სხვა დროსაც დაურეკავთ მკითხველებს გვიან ღამით თავ-თავიანთი პრობლემების გასაზიარებლად და ამას ჩემში გაღიზიანება არ გამოუწვევია — ზემოთ, მხოლოდ „ფანტაზიორ“ მკითხველებზე მქონდა საუბარი და ამასთან დაკავშირებით, ერთი ანეკდოტი მინდა მოგიყვეთ.

მარი ჯაფარიძე

მიხოს მკვლელობისთვის ასამართლებენ. მკვლელობის მიზეზს კი, დამნაშავე ასე ხსნის: ვიჯექი შინ არხეინად და გაზეთს ვკითხულობდი. დავინახე, რომ ღობეზე ვიღაც კაცი გადმოძვრა და ღობე დამიზიანა. მე მაგის „ალპინისტი“ დედაცმეთქი... — გავიფიქრე და კითხვა განვაგრძე. ცოტა ხნის შემდეგ, კარის საკეტმა გაიჩხაკუნა. მე მაგის ქურდი დედაცმეთქი... — და ისევ განვაგრძე კითხვა. ჩემი შვილი პიანინოზე უკრავდა, ჰოდა, მივიდა და გააუპატიურა. მე მაგის „კომპოზიტორი“ დედაც-მეთქი, — ვიფიქრე და გაზეთს მივუბრუნდი... ჰოდა, მერე, ჩემი გაუპატიურებაც რომ მოინდომა, — მაგის „ფანტაზიორი“ დედაც-მეთქი, — ვიფიქრე და... მოკალი!..

ახლა კი „მესიჯი“, რომლის ახალგაზრდა ავტორიც ორი უახლოესი ადამიანის დაკარგვის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა.

„ჩემი შეყვარებული ჩემს დას დაუახლოვდა...“

„გამარჯობათ. აღარ ვიცი, რა ვიფიქრო. გადავწყვიტე, თქვენ გაგიმხილოთ ჩემი საწუხარი. მყავს შეყვარებული, რომელიც ძალიან მიყვარს. დარწმუნებული ვიყავი, რომ მასაც ასევე ძლიერი გრძნობა ჰქონდა ჩემ მიმართ, მაგრამ ამ ბოლო დროს, ძალიან დაუახლოვდა ჩემს დას. თითქოს, სანერვიულო არაფერია, შესაძლოა, მეჩვენება კიდეც, მაგრამ ვფიქრობ, ისინი ზომაზე მეტად დაუახლოვდნენ ერთმანეთს. ხშირად შემინიშნავს, რომ ერთმანეთს ეხუტებიან და სულ რაღაცაზე ჩურჩულებენ. მოკლედ, ძალიან „ამხანაგობენ“. რა უნდა ვიფიქრო? არადა, ჩემს დასაც ჰყავს შეყვარებული. აშკარაა, რომ ჩემი ორი ყველაზე საყვარელი ადამიანის ურთიერთობა არ მომწონს და ძალზე მაღელვებს. უკვე აღარ ვიცი — მეჩვენება თუ მართლაც ასეა? — მაგრამ ჩემი შეყვარებული ჩემ მიმართ იმდენად ყურადღებიანი აღარ არის. როგორ უნდა მოვიქცე?“

ძნელია, რაიმე დასკვნის გამოტანა — აკი, შენ თვითონაც ეჭვობ — მართალია თუ მეჩვენებაო... მე მაინც მგონია, რომ შენს დას უნდა დაელაპარაკო, ტაქტიანად და დელიკატურად გაუზიარო შენი ეჭვი. იქნებ, სულ ტყუილად ნერვიულობ?! თუ არა და... შეუძლებელია, უახლოესმა ადამიანებმა არ იპოვოთ გამოსავალი.

„შვილი გავაჩინე ქმრისგან მალულად...“

„ახლა ისეთ რამეს გიამბობთ, რაც მარტო ჩემი საიდუმლოა და თქვენი საშუალებით მთელი ქვეყანა შეიტყობს. ვარ 32 წლის. ჩემი სახელია თინა. ოჯახი 21 წლის ასაკში შევქმენი დიდი სიყვარულის საფუძველზე. ერთი გოგონა მყავს, 10 წლის, და ერთიც ბიჭი — 7 თვის. ჩემს შვილებს სხვადასხვა მამა ჰყავთ, უფროსმა კი, უმცროსის არსებობის შესახებ არაფერი იცის. მგონი, გაურკვევლად ვწერ, ამიტომ თავიდან დავიწყებ. ბედნიერი ოჯახი მქონდა. ვცხოვრობდით, ვმუშაობდით, ვიცინოდით, ვტიროდით, გვიჭირდა და გვილხინდა ისევე, როგორც ყველას. მე და ჩემს მეუღლეს უზომოდ გვიყვარდა ერთმანეთი, ერთ-ერთს რაიმე რომ გასჭირვებოდა, მეორე გიჟს ჰგავდა. სამი წლის წინ, ცოლშვილიანი მამაკაცი გადამეკიდა და მოსვენება არ მომცა. მატერიალურად საკმაოდ ძლიერი გახლდათ და ათასგვარ სიურპრიზსა და თავგადასავალს მიწყობდა. ქმრის მიმართ სიყვარული გამინელდა, იმ კაცის გარეშე კი, ვეღარ ვძლებდი. მოკლედ, ფარ-ხმალი დავყარე და დავნებდი. ვგრძნობდი, რომ მასაც ძალიან ვუყვარდი. სასტუმროში ვხვდებოდით ხოლმე ერთმანეთს. ბოლოს, მოსწყინდა ასე წანწა-*

ლი, ვერაზე ოროთახიანი ბინა იყიდა და ავეჯითა და ათასგვარი ნივთით მოაწყო. მოკლედ, ისე გამოვიდა, რომ მეორე ოჯახი გამიჩნდა. დამაწყებინა საქმე, რომელმაც ფინანსური წარმატება მომიტანა და დღეს, ერთ-ერთი ფირმის ხელმძღვანელი ვარ. მოხდა ისე, რომ 2002 წლის მაისში, დავფეხმძიმდი. მეხვეწებოდა – შვილი გამიჩინეო. მე სასტიკად წინააღმდეგი ვიყავი. ბოლოს, ორივემ გადავწყვიტეთ, ოჯახები დაგვენგრია და ახალი ოჯახი შეგვექმნა, ეს ბავშვიც დაიბადებოდა. ვაწყობდით გეგმებს – როგორ მოგვეხერხებინა, რომ ჩვენი ოჯახებისთვის ნაკლებად მტკივნეული ყოფილიყო. აგვისტოში ცოლ-შვილი დასასვენებლად წაიყვანა და ვიდრე ისინი იქ იქნებოდნენ, აქ უკვე ყველაფერს მოვაგვარებდით. მაგრამ მოხდა ისე, რომ უკან, გზაში მომავალი, ავტოავარიაში დაიღუპა. დავრჩი ასე. ჯერ კიდევ არ იყო გვიანი, ბავშვი მომეცილებინა, მაგრამ იმდენად მიყვარდა მისი მამა, რომ შვილი გავაჩინე, თანაც, ქმრისგან მალულად. ეს როგორ მოვახერხე, ამის მოყოლა შორს წაგვიყვანს. ერთი სიტყვით, ბავშვს ძიძა ავუყვანე და ვერაზე, ჩვენს ბინაში ერთად ცხოვრობენ. მე კი ჩემს ოჯახში ვარ. ბავშვს ყოველდღე ვნახულობ, არაფერს ვაკლებ, მაგრამ ვიტანჯები, რომ ჩემთან არ მყავს. თანაც, ამხელა საიდუმლოს ტარება ძალზე დამთრგუნველია. უკვე აღარ ვიცი, რა ვქნა. აი, ეს იყო სულ, რისი თქმაც მინდოდა. რჩევას არ გთხოვთ, უბრალოდ, გული გადაგიშალეთ. თუ რაიმე გადაწყვეტილებას მივიღებ, აუცილებლად შეგატყობინებთ. პატივისცემით, თინა“.

„იქნებ, „გზავნილებმა" მიშველოს..."

როგორც მიმდინარე კვირაში მოსული, მოკლე გზავნილები გვიჩვენებს, ჩვენს ნებაყოფლობით რესპონდენტებს პოეტური მუზა მოეძალათ. თუმცა, უმრავლესობა მაინც პროზას ამჯობინებს და ტრადიციისამებრ, თავის გაჭირვებასა თუ სიხარულს გვიზიარებს.

„გიმესიჯებთ“ ავსტრიიდან. უკვე სამი წელია, აქ ვარ. ყველანი მენატრებით. „გზის“ კითხვის დროს, ნოსტალგია ვიგრძენი და გადავწყვიტე, შეგხმიანებოდით. თამუნა, 22 წლის“.

„ბაადურ ფრანგიშვილო, მორჩი გოგოების დევნას. გაგახსენდეს, რომ „ცოლები“ გყავს და უკვე ორმოცდაათს უკაკუნებ. ხომ იცი, შენი ადგილი სადაც არის? პატივისცემით „ჭ“.

„თემო, ჩემო სიხარულო, რატომ მიღალატე? ნუთუ ამის საბაბი გქონდა? შენ ხომ ჩემგან ზუსტი პასუხი არ მიგიღია? ენებს რატომ აჭყევი და ყველაფერი რატომ გაფუჭე? იმედი მაქვს, რომ დავრეკო, დამელაპარაკები. „ალთეჯი“.

„ინგა ბაქრაძეს – იცი, რატომ მიყვარს მე ეს სიცოცხლე? შენ რომ არსებობ და მე რომ გიპოვე. ანზორი“.

„შენი თვალები მზის თვალებია, შენი ცრემლებით ფითრდება ღამე და ამის მერე ხომ სირცხვილია, რომ შემეკითხო, რად შეგიყვარე? – თამუნა ლოლუას! მიყვარხარ. დათა“.

„დათო ბეგაძეს. დასაბამიდან გეძებდი, კარგო, გეძებდი ქვეყნის გაჩენის დღიდან, ცხოვრებამ მტანჯა, მაგრამ არ ვდარდობ, ცხოვრება მარტო შენ გამო ღირდა. სოფო „პოპოლა“.

„დავით არჯევანიძეს – ორი თვეა, არ მინახიხარ, რაც ჩემთვის ორ წელს უდრის. ვერანაირად ვერ გიკავშირდები. იქნებ, „გზავნილებმა“ მიშველოს. ქეთი“.

„ჯონი, გაიგე, რომ სიყვარული ერთადერთი ზღაპარია, რომელიც არ იწყება „იყო და არა იყო რა“-თი, მაგრამ ასე მთავრდება“.

„ნინიკო, ჩემო სიცოცხლევ, უსაზღვროდ მიყვარხარ და მენატრები. სიამოვნებით მახსენდება რომანტიკული დღეები მცხეთაში. „გზის“ საშუალებით მაინც მიპასუხე – როდის შემხვდები? შენი ბაჭია“.

„მიმი, მიყვარხარ! ნუ აჰყვები ბოროტი ხალხის ბოროტ ენებს. გაიხსენე ჩვენი ლამაზი დღეები და დამიბრუნდი. ნუ იმალები. დამირეკე ან მარის საშუალებით დამიკავშირდი. სიკვდილამდე შენი გელა“.

„თქვენი საშუალებით მინდა, ჩემს ქმარს მივმართო – იქნებ, გონზე მოვიდეს. ირაკლი შ-ს: სიყვარულით შევქმენით ოჯახი და მინდა, ბედნიერები ვიყოთ. შენი ტყუილებითა და უხეშობით შესაძლოა, ყველაფერი დავკარგოთ. მომექეცი ისე, როგორც შენ გინდა, რომ მოგექცე. შენი სისულელეების გამო ჩემი დაკარგვა გიღირს? იქნებ, ამ მოულოდნელმა წერილმა ჩემს გულში ჩაგახედოს. შენი კნეინა“.

„მინდა, ვუთხრა რუსთაველ გვანცა წიწაკაშვილს, რომ ძალიან მიყვარს და არასოდეს – გესმის? – არასოდეს არ დაგანებებ თავს, ძალიანაც რომ გინდოდეს. მარად შენი „ცისფერთვალა“.

„ბესო შ-შვილო, რატომ დამტოვე გაურკვეველ სიტუაციაში? შემპირდი, სამ დღეში დაგირეკავო და უკვე ერთი თვე გავიდა. უზომოდ მენატრები. ველი შენს ზარს. სხვანაირად ვერ გეკონტაქტები და მივმართე „გზავნილებს“. შენი თიკუშა, „ბასტი“.

„ლევან ჭავჭავაძეს – ნაცრისფერ ცაში დაფარფატებს თეთრი ფიფქები, გაღვიძებულან შენზე ფიქრები. მიყვარხარ, ფისო“.

„გიო ნიკოლაძე, გეყო „მესიჯ-პაკლონიკობა“. ფრთხილად იყავი, მახეში არ გაება. შენი მორიგი „მსხვერპლი“.

„მირჩიეთ რამე. მამაჩემმა ჩემი შეყვარებულის და მონათლა. ეს გოგო ჩემი ნათესავი გამოდის? გთხოვთ, დამეხმარეთ. დათო გ.“

„ჩემი ნათლულის გარე ბიძაშვილი მომწონს. შეიძლება, რაიმე მოხდეს ჩვენ შორის?“

ამ „მესიჯების“ ავტორებს მინდა ვუთხრა, რომ ორივე შემთხვევაში, ქრისტიანული, მართლმადიდებლური წესით, ქორწინება დაუშვებელია...

„ეკა ალდამიძეს. მე შენ გამუდმებით გწერ „მესიჯებს“. შენ არ იცი, ვინ ვარ. მგონი, ვერასოდეს გაიგებ, მაგრამ ყოველთვის შენ გვერდით უხილავად ვიქნები. „5244“.

„ყველას, ყველას, ყველას! გილოცავთ წლის ყველაზე საოცარი პერიოდის, შემოდგომის მოსვლას!“

„გია მარგიანო, შენ ყველაზე მაგარი ჟიგოლო ხარ მსოფლიოში. ვეცემი შენთან ლოგინში. ვლოცავ ჩვენს ბედნიერებას!.. მარი, გეპატიჟებით ქორწილში“.

აი, ასე – ქორწილში მიწვევაც მივიღე... კვლავ ველით თქვენს „მესიჯებს“ ტელეფონზე: 8(77) 45.68.61. გემშვიდობებით, შემდეგ ხუთშაბათამდე. ■

ჩემი ფეხები არც ისეთი ლამაზია — უბრალოდ, მე კარგად ვიცი, რა მოვუხერხო მათ.

მარლენ დიტრიხი

ფრაზა

გენიალური

«ღმერთს ვევედრები, მომიტევოს დაშვებული შეცდომები და გამომავჯანმრთელოს...»

ტელეფონზე შემოსულ ზარს ვუპასუხე. ახალგაზრდა გოგონას მავედრებელი ხმა შეხვედრას მთხოვდა: არაფრის გამო, თავი დავიღუპე, მინდა, გული გადაგიშალოთო. მეტყველება უჭირდა. ძლივს გავიგე, თუ რას მთხოვდა... შევხვდით. ჩემ წინ მშვენიერი, ლამაზი გოგონა იჯდა და თავის მიერ დაშვებულ, ცხოვრებისეულ შეცდომებზე მელაპარაკებოდა. აღმოჩნდა, რომ მას სიარულიც უჭირს, ხელებსაც ძლივს იმორჩილებს, ლაპარაკის დროს კი, ქვედა ტუჩს თითებით სწევს ქვემოთ და ისე საუბრობს, რადგან ენას ვერ იმორჩილებს... ძლივს ახერხებდა, ჩემთვის გაურკვეველი სიტყვები ფურცელზე დაეწერა და ამ გზით დამხმარებოდა, გამეგო, თუ რის თქმას ცდილობდა. ის ჯერ მხოლოდ 20 წლისაა და ერთი ცხოვრების გავლა უკვე მოუსწრია. ახლა ცდილობს, ყველაფერი თავიდან დაიწყოს...

მარი ჯაფარიძე

— ორი წლის წინ, ერთი ბიჭი გავიცანი. მას ბაჩო ერქვა. ერთმანეთი შეგვიყვარდა. რამდენიმე ხნის შემდეგ შევნიშნე, რომ ნარკომანი იყო. ამის გამო ხშირად ვკამათობდით. დედამისსაც ვუთხარი — თქვენი შვილი კაიფობს-მეთქი, — მაგრამ მისი მხარდაჭერა ვერ მოვიპოვე. ასე მითხრა — ის თავისუფალი ბიჭია და რასაც უნდა, იმას გააკეთებსო. შემდეგ — მე თვითონაც არ ვიცი, როგორ — მეც წამალზე „დამსვა“. ალბათ სპეციალურად მოიქცა ასე, ჩემი საყვედურები რომ აეცილებინა თავიდან. 6 თვე მეც აქტიურად ვკაიფობდი. ნელნელა, ნერვული სისტემა მომეშალა, ბოლოს კი, ლოგინად ჩავვარდი. აი, ამის შედეგია, დღეს რომ ასეთ მდგომარეობაში ვიმყოფები.

— კი, მაგრამ ვიცი, რომ ხალხი წლების მანძილზე ნარკომანია და ასეთ მდგომარეობაში არ არის...

— ჩვენ არ ვიკეთებდით არც „სუფთას“, არც „შავს“. კუსტარულად ვამზადებდით წამალს და იმას ვიკეთებდით... 6 თვის შემდეგ, ნევროლოგიურ განყოფილებაში მოვხვდი, დამბლადაცემული. თვეების განმავლობაში ვმკურნალობდი. სულ ახლახან დავიწყე სიარული, ხელების მოძრაობა და ლაპარაკი, თორემ, საჭმელსაც ვერ ვყლაპავდი, ისეთ მდგომარეობაში ვიყავი.

— ბაჩო როგორ არის?

— ის ჩემზე უარესადაა. ჩვენთან ერთად მისი ბიძაშვილი იკეთებდა ხოლმე „წამალს“ და ისიც ამ დღეშია. ლოგინიდან თითქმის ვერ დგება და გაურკვევლად ლუღლუღებს. თუმცა, ბაჩო მაინც დაქორწინდა...

— ეს როგორ?

— ბაჩო თავის მეზობელ გოგონასაც უყვარდა. ერთხელ, მეც შემხვდა ის გოგო, ლისის ტბაზე ამიყვანა სალაპარაკოდ და კატეგორიულად მომთხოვა, ბაჩოსთვის თავი



დამენებებინა. ჰოდა, ეს გოგო, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც გაჰყვა ცოლად. როგორც ჩანს, მართლა ძალიან უყვარდა ბაჩო. როგორი ცოლქმრობა აქვთ, არ ვიცი, მაგრამ ის კი ვიცი, რომ მასთან დიდხანს ვერ გაძლებს...

— საავადმყოფოში მკურნალობა დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ვინ დაგეხმარა? ოჯახი?

— მყავს დედა, გათხოვილი და და 14 წლის ძმა. მამა ოთხი წლის წინ დაიღუპა სიმსივნისგან. ოჯახში არავინ მუშაობს. ჩემი მკურნალობა მართლაც, ძვირი დაჯდა. დღემდე ვმკურნალობ, ნემსებს ვიკეთებ *(ჩანთიდან მოზრდილი პაკეტი ამოიღო, რომელიც სავსე იყო შპრიცებითა და ცერებროლიზინისა და აქტოვეგინის ამპულებით. — ავტ.)*. პირველ ხანებში კი, ისეთი პრეპარატი დამჭირდა, რომელიც საქართველოში არ იშოვება და საზღვარგარეთიდან ჩამოტანილი, 1 ამპულა 100 დოლარი ღირს. ამ ყველაფერს ჩემი ოჯახი ვერ გასწვდებოდა. მყავს ნათლია, რომელიც საკმაოდ გავლენიანი ადამიანია. ის საქართველოს ერთ-ერთი მხარის გუბერნატორია, მისი მეუღლე კი, მამის მხრიდან ახლო ნათესავად მერგება. რომ არა ეს ადამიანი, მე ალბათ არაფერი მეშველებოდა.

— კარგია, რომ ძლიერი პატრონი გამოგჩენია...

— დიახ, მაგრამ მან არ იცის მიზეზი, რის გამოც ეს უბედურება მჭირს. სიმართლე რომ იცოდეს, არა მგონია, რომ კვლავ შერჩენოდა სურვილი, დამხმარებოდა. ამიტომ ვერიდები სახელის, გვარის დასახელებას და სურათის გამოქვეყნებასაც, თორემ, დასამალი არაფერი მაქვს!.. ახლა ჭკუა ვისწავლე, ცხოვრებამ თავისი საშინელი სახე დამანახვა და შეცდომას არავითარ შემთხვევაში აღარ დავუშვებ.

— ბოლომდე გამოჯანმრთელების იმედს თუ გაძლევენ ექიმები?

— კი, მაგრამ დრო და მკურნალობა მჭირდება. ფარ-ხმალს არ ვყრი. ყოველ დილით, კუს ტბაზე დავდივარ სავარჯიშოდ. დავრბივარ, ხელებს ვავარჯიშებ, ასევე — ქვედა ყბის ვარჯიშებს ვაკეთებ, რომ ბოლომდე ავამოძრავო. ექიმები ასეთ შედეგსაც არ ელოდნენ... ცხოვრების ფერხულსაც არ ჩამოვრჩები. წინათ, ძალზე მხიარული და სიცოცხლით აღსავსე ვიყავი. ახლა გულჩათხრობილი და სევდიანი ვარ, თუმცა, ვცდილობ, გაღიმებული სახით ვიარო. ძალიან ხშირად დავდივარ ეკლესიაში, ღმერთს ვევედრები, მომიტევოს დაშვებული შეცდომები და გამომავჯანმრთელოს. თავისუფალ დროს კი, ინტერნეტკაფეში დავდივარ და კომპიუტერით ვერთობი. მეგობრები შემომეფანტნენ. აღარავის ვუნდივარ, მგონი, საკუთარ დედასაც კი. ძმა წარამარა მეჩხუბება და მცემს. წინააღმდეგობას ვერ ვუწევ. თითქმის მარტო დავრჩი. აი, ასე დავიღუპე თავი. ბაჩოს დედამ კი, დედაჩემს უთხრა, თითქოს, მე უკვე ნარკომანი ვიყავი, როცა მისი შვილი გავიცანი. სინამდვილეში, ნემსის გაკეთების ისე მეშინოდა, როგორც რაღაც საშინელების.

— რატომ მოისურვე ჩემთან შეხვედრა?

— ვიცი, რომ უამრავი ახალგაზრდა იღუპავს თავს. დღეს თუ კარგად გრძნობენ თავს ხუთწუთიანი კაიფის შემდეგ, გაივლის დრო და ჩემნაირი პრობლემები გაუჩნდებათ — ჯანმრთელობასაც დაკარგავენ, მეგობრებსაც და ოჯახის წევრებსაც. გაითვალისწინონ ჩემი მაგალითი და თუ ერთ ადამიანს მაინც გადავარჩენ ჩემი აღსარებით, ეს დიდი სიკეთე იქნება... ■

გრეიპფრუტი

როდესაც ჩვეულებრივი ცხოვრება არაჩვეულებრივი ხდება

„გრეიპფრუტის დიეტა“ კაფსულებში გაგათავისუფლებთ ჭარბი ცხიმებისაგან, რომლებიც გროვდება მუცელზე, მკლავებზე, ფეხებზე და დუნდულებზე. იგი ასევე დაიცავს უჯრედებს ახალი ცხიმებით გაჯერებისაგან და გადატვირთავს მათ კუნთებში, სადაც ხდება ცხიმების სრული წვა. ამგვარად, სხეული სრულიად თავისუფლდება დეპოზიტური ცხიმებისაგან.

როგორ მოქმედებს „გრეიპფრუტის დიეტა“?

როგორც სამედიცინო კვლევებმა აჩვენეს, ორგანიზმში ფიზიოლოგიური ქოლესტერინის დონე მცირდება დღიური რაციონით pectin-ის მნიშვნელოვანი რაოდენობის მიწოდებით. ამ pectin-ებს შეიცავს გრეიპფრუტის კანი, რომელიც ძირითადად იყრება და არ გამოიყენება საკვებში.

თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ ამ pectin-ის საჭირო რაოდენობა „გრეიპფრუტის დიეტის“ კაფსულების სახით. ხოლო მასში შემავალი ვაშლის ძმარი დაგეხმარებათ ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებაში.

ამრიგად, ეს გახლავთ გახდომის ნატურალური მეთოდი.

რჩევები და რეკომენდაციები:

ჩვენ გირჩევთ „გრეიპფრუტის დიეტის“ მიღებისას საუკეთესო შედეგის მისაღწევად:

1. შეეცადეთ მიიღოთ ეს პრეპერატი 2-3 თვის მანძილზე
2. მიიღეთ 2-2 კაფსულა 3-ჯერ დღეში საჭმელთან ერთად
3. შეამცირეთ საკვები რაციონი
4. ოდნავ გაიაქტიურეთ ცხოვრება და შემდეგ
5. დაისვენეთ! ნუ მიეჯაჭვებით სასწორს ყოველდღე და ნუ იდარდებთ თუ პირველ დღეებში წონის შემცირებას ვერ შეამჩნევთ. ჩვენი დაკვირვებები ცხადყოფენ, რომ ზოგი მომხმარებელი პირველ დღეებში ვერ ამჩნევს კლებას, მაგრამ შემდეგ ერთიანად აღმოაჩენს კილოგრამების გაუჩინარებას. ბევრი მათგანი კი პირველივე კვირაში ამჩნევს ტანსაცმლის მიხედვით საკუთარი ზომის შემცირებას.
6. მიიღეთ წყალი დიდი რაოდენობით! დღეში 5-8 ჭიქა მაინც. ეს დაგეხმარებათ ორგანიზმიდან ცხიმებისა და ტოქსინების გამოდევნაში.



ყურადღება!!!

„გრეიპფრუტის დიეტის“ კაფსულები არ არის წამალი. იგი აბსოლუტურად უვნებელია თქვენი ჯანმრთელობისათვის. მისი ნატურალური ინგრედიენტები გადაგიწყვეტავთ ჭარბი წონის პრობლემას არა ქიმიურად, არამედ ბიოლოგიურად. ამგვარად, მას არ გააჩნია გვერდითი მოვლენები. ვინაიდან ეს კაფსულები ფაქიზად ახდენენ ორგანიზმში ტოქსინებისა და ჭარბი ცხიმების ლიკვიდირებას, თქვენ ყოველდღიურად იგრძნობთ თავს უკეთესად, ენერგიულად და მსუბუქად.

მეტიც! გაითვალისწინეთ, რომ "გრეიპფრუტის დიეტის" კაფსულები გამოიყენება ასევე ზოგადად ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად. ეს არის ნატურალური ბოჭკოებისგან დამზადებული ნუტრიცევტიკი, რომელიც აწესრიგებს ქოლესტერინის შემცველობას ორგანიზმში, აუმჯობესებს მამაკაცებში პროსტატის ჯანმრთელობას, გაწვდით ვიტამინებს, მინერალებს და ამინომჟავებს.

ვაშლის ძმარი კი არეგულირებს მონელებისა და ნივთიერებათა ცვლის პროცესს. ხოლო ორივე ერთად ხელს უწყობს მადის დაქვეითებას.

გამოკვლევების შედეგები, ჩატარებული 200 კაცის მონაწილეობით, რომლებიც პასუხობდნენ ქვემოთ მოყვანილ ორ პირობას მაინც:

- ისინი ვერ ახერხებდნენ გახდომას და წონის შენარჩუნებას
- ისინი ვერ ახერხებდნენ დიეტის დაცვას
- ისინი ვერ ახერხებდნენ ზედმეტი სანტიმეტრების მოცილებას წელიდან და მუცლიდან.

გამოკვლევებმა აჩვენეს:

„გრეიპფრუტის დიეტის“ კურსის შეწყვეტა არ იწვევს წონის ახალ ზრდას. თუ შენარჩუნებული იქნა კვების რეჟიმი, წონა სტაბილური რჩება.

ზედმეტი კილოგრამები წარსულს ჩაჰბარდება.

კომპანია „ნუტრიმენტ ჰაუს“-ში თქვენ გელით საუკეთესო სპეციალისტების გულისხმიერება და მზრუნველობა.

ნუტრიმენტ ჰაუსი
NUTRIMENT HOUSE

მის: დ. აღმაშენებლის 150
ტელ: 95-65-03; 96-06-67
სამუშაო საათები:
ყოველდღე კვირის გარდა
10.30 - 18.00,
www.shopge.com

*საქმიანი ქალის იმიჯი **სოფო ჭყონიამ** პირველად, საკმაოდ ადრე — ჩვიდმეტი წლის ასაკში მოირგო. როგორც თავად ამბობს, სტუდია „დერიტაში“ მუშაობა, გართობას უფრო ჰგავდა, მაგრამ მაინც დიდი სერიოზულობით ეკიდებოდა ამ საქმეს. სამოდელო სააგენტო „ამსას“ მფლობელმა საკუთარი ძალების მოსინჯვა მამამისის ბიზნესშიც გადაწყვიტა და „კოკა-კოლას“ შემოქმედებით სამსახურს ჩაუდგა სათავეში. თურმე საქმის კეთების სურვილი ყოველთვის აქვს, მაგრამ იმასაც ამბობს, რომ საქმიანი ადამიანებისთვის დამახასიათებელი, რაღაც განსაკუთრებული თვისებებით ვერ დაიტრაბახებს.*

ჰირად ცხოვრება მილეკული ცხრილი საქმიანობით იკუნძება

ემა ტუხიაშვილი

— ძალიან ზარმაცი ბავშვი ვიყავი და ახლაც მახასიათებს სიზარმაცე. მეზარებოდა ყველაფერი — სკოლაში სიარული, გაკვეთილებზე ჯდომა — მოკლედ, ყველაფერს იძულებით ვაკეთებდი. ხუთი-ექვსი წლის მანძილზე დედას მუსიკაზე დავყავდი, მაგრამ ახლა რომ ინსტრუმენტთან დამსვა, ვერაფერს დავუკრავ. თოჯინებით თამაშისას, უსათუოდ „დირექტორი“ უნდა ვყოფილიყავი, თანაც აუცილებლად — „ქმართან გაყრილი“. ვითომ მანქანა მყავდა და „შვილს“ სულ ვიღაცასთან ვტოვებდი. ამიტომ ჩემთან თამაში ბავშვებს საკმაოდ მოსაწყენად ეჩვენებოდათ.

— თქვენ თუ იზრდებოდით საქმიანი ქალების გარემოცვაში?

— ჩვენს ოჯახში, ყოველთვის „მატრიარქატი“ იყო — ქალი მართავდა ყველაფერს. ბებიაჩემი იმდენად საქმიანი იყო, რომ საკუთარი საქმეების გარდა, ვერაფრისთვის იცლიდა. ის საკმაოდ ცნობილი ქირურგი გახლდათ და სამზარეულოში მოფუსფუსე არასდროს მინახავს. ყოველთვის მეუბნებოდა — ქალს ჯერ საკუთარი საქმე — სამსახური უნდა ჰქონდეს და მხოლოდ შემდეგ უნდა ჰყავდეს ქმარი, ოჯახი და შვილები, და კიდევ — საქმეც და ოჯახიც ერთნაირად უნდა გიყვარდესო... შინ დამჯდარი რომ დამინახოს, ალბათ ხმას არ გამცემს. მართალია, ჩვენი ოჯახის ყველა ქალბატონმა იცოდა სადილის მომზადება და სხვა საოჯახო საქმეების კეთება, მაგრამ მოუცლელობის გამო ეს მოვალეობები ყოველთვის მოსამსახურეს ჰქონდა დაკისრებული.

— ალბათ არც შვილების ალაზრდელად ეცალათ?

— ჩვენ ძიძა გვზრდიდა გარკვეულ ასაკამდე, მაგრამ არც შემდეგ დაგვითხოვია ის ქალი და როდესაც ძიძა აღარ გვჭირდებოდა, უბრალოდ, თვალყურს გვადევნებდა.

— მუშაობის სურვილი როდის გაგიჩნდათ?

— ყოველთვის მინდოდა, რომ რაღაც ჩემი საქმე მქონოდა. უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს, როდესაც თავად ვქმნი რაღაცას. ეს არ არის ჩემთვის იძულებითი საქმიანობა და სამსახურში მხოლოდ იმისთვის არ მივდივარ, რომ „ტაბელი გადავაბრუნო“.

— თქვენთვის საქმიანი იმიჯის შექმნაში მამას თუ მიუძღვის რაიმე წვლილი?

— მამა არასდროს არაფერს მაძალებს, უბრალოდ, ხელს მიწყობს ყოველი ახალი საქმის წამოწყებისას. ფული, რომელიც სამოდელო სააგენტოს შექმნას დავახარჯე, შემეძლო, ჩემი სიამოვნებისთვის გამომეყენებინა, რაც ბედნიერად ცხოვრების შესაძლებლობას მომცემდა და სულ არ დამჭირდებოდა დილით ადრე ადგომა და სამსახურში სიარული. მე უბრალოდ, გამოვიყენე ის შესაძლებლობები, რაც ღმერთმა მამაჩემის სახით მომცა და არ დამჭირვებია ქუჩაქუჩა რაღაცის ძებნა. რაც შეეხება საქმიან იმიჯს — თავად შევიქმენი.

— როგორ ფიქრობთ — რა თვისებებით უნდა გამოირჩეოდეს საქმიანი ქალი?

— ის თვისებები, რაც მე მაქვს, ნამდვილად არ უნდა ახასიათებდეს საქმიან ადამიანს. როდესაც ბებია, ჩემი მომავალი საქმიანობის გეგმებს აწყობდა ხოლმე, ყოველთვის წინააღმდეგობას ვუწევდი, რადგან მეგონა, რომ საქმიანი ქალი მკაცრი, მოუვლელი და მამაკაცური უნდა ყოფილიყო. ახლა მივხვდი, რომ იყო საქმიანი — სულაც არ ნიშნავს იმას, რომ „გადაბმული“ წარბებითა და გაჩეჩილი თმით იარო. მიმაჩნია, რომ საქმიანი ქალი ჯანმრთელი უნდა იყოს — ანუ სპორტული ცხოვრებით უნდა ცხოვრობდეს — და ამასთანავე, დისციპლინირებული და მიზანდასახული.

— თქვენი მეუღლე როგორ ეგუებოდა საქმიანი ცოლის მოუცლელობას?

— ვერ ვიტყვი, ძალიან მოსწონდა-მეთქი, რომ ვმუშაობდი, მაგრამ ვერც წინააღმდეგობას მიწევდა. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ძალიან ძნელია, ამიკრძალო იმის კეთება, რაც მე მინდა. ასეთ შემთხვევაში, როგორც

| მოხალული და ბურთებად შეკრული სიმინდი | ბილიარდის ჯოხი | ჰომეროსი — „ილიადა“ და „...“ | მდინარე იტალიაში | ნაყოფიერ. ქალღმ. ინდ. მითოლოგიაში | იგივეა, რაც ფსიქოპათი | | |

არ უნდა მიყვარდეს ადამიანი, კარს ვუღებ ხოლმე ფართოდ და გარეთ ვუშვებ: უნდა გიყვარდე ისეთი, როგორიც ვარ და ვიქნები, საქმიანი თუ უმუშევარი. ჩემი დაკვირვებით, არც ერთ მამაკაცს არ სიამოვნებს, როდესაც ქალი ზედმეტად ემანსიპირებულია. რატომღაც მიაჩნიათ, რომ მათ ნაკლებ დროს უთმობ, თანაც — უამრავ ხალხთან გაქვს ურთიერთობა და შეიძლება, გაიჩინო კიდეც ვინმე, ისეთი, ვინც შინ ქვაბის ხეხვისას ნამდვილად არ მოგაკითხავს, მაგრამ მხოლოდ ქართველ მამაკაცებს როდი ახასიათებთ ამ საკითხისადმი ამგვარი მიდგომა. ერთი მოსკოველი ნაცნობი ბიჭი მყავდა, რომელთანაც საკმაოდ კარგი ურთიერთობა მქონდა. სულ იმაზე მეკამათებოდა, რომ ყველაფრისთვის თავი უნდა დამენებებინა და ქმრისთვის მიმეხედა. მილანშიც ხშირად მომსვლია კამათი იტალიელ მამაკაცებთან, რომლებიც მიმტკიცებდნენ, რომ გათხოვილმა ქალმა დიდი დატვირთვით აღარ უნდა იმუშაოს.

— დიასახლისის ამპლუაში თუ ყოფილხართ ოდესმე?

— არასდროს. როგორც კი ბავშვი გავაჩინე, ერთ კვირაში გადავწყვიტე, რომ ფორმაში უნდა ჩავმდგარიყავი და რატომღაც, სწორედ, მაშინ მომინდა იმ ყველაფრის კეთება, რაზეც მანამდე არასდროს მიოცნებია. ვფიქრობ, ჩემი მხრიდან ეს ნაბიჯი არასწორი იყო და ყველაფერს თავისი დრო აქვს.

— სადილი თუ მოგიმზადებიათ?

— გამიკეთებია, მაგრამ ისეთი უგემური გამომდის... ოღონდ, ისეთი სახით მივართმევ ხოლმე ადამიანს და თან დავაყოლებ — აი, ამ საქმისთვისაც მოვიცალე და ძალღონე არ დავიშურე-მეთქი — იძულებულები არიან, მიირთვან... ამიტომ ჯერ არ შემხვედრია ისეთი ადამიანი, რომელსაც უარი უთქვამს, გაესინჯა ჩემი მომზადებული კერძი და შემდეგ მადლობა არ გადაეხადა *(იცინის)*...

— აღნიშნეთ, რომ შეუძლებელია, ვინმემ გაიძულოთ, რაიმის გაკეთება. რამდენად გიშლით ხელს ან პირქით — იქნებ, გეხმარებათ ეს თვისება?

— დამთმობი იშვიათად ვარ და სიჯიუტეს ხშირად შეუშლია ჩემთვის ხელი პირად ცხოვრებაში, მაგრამ სამსახურში ეს თვისება უფრო სასიკეთოდ მადგება.

— რის გამო შეიძლება თქვათ უარი საკუთარ საქმეზე?

— შეიძლება, ისეთი შეყვარებული ვიყო, რომ მის გარდა, ირგვლივ ვერაფერს ვამჩნევდე. რომ მთხოვოს — შინ დაჯექიო, — შეიძლება დავემორჩილო კიდეც. მაგრამ ვიცი, რომ ერთ კვირაში, უკან გამოვიქცევი და ის კაციც შემზიზღდება... საერთოდ, საამისოდ არანაირი მიზეზი არ არსებობს, ვინაიდან ამჟამად ჩემი ფიქრების 98 პროცენტი სამომავლო საქმიანობას ეთმობა.

— პირად ცხოვრებაში განცდილი ემოციები თუ ახდენს გავლენას თქვენს საქმიანობაზე?

— ეს არის ჩემი ერთ-ერთი ცუდი თვისება და ამით განვსხვავდები მამაჩემისგან. იმდენად სერიოზულად და მტკივნეულად განვიცდი ხოლმე იმას, რაც ჩემ გარშემო ხდება, რომ არაფრის კეთების სურვილი არ მიჩნდება, ყველაფრისთვის თავის დანებება მინდება და მხოლოდ რაღაც ახალი საქმიანობის ძიებით გამომყავს თავი სტრესული მდგომარეობიდან.

— თქვენთვის, როგორც საქმიანი ქალისთვის, რამდენად მნიშვნელოვანია, რომ გყავდეთ პირადი მდივანი, მძღოლი, დაცვა და ა.შ.?

— დაცვა მყავს, ვინაიდან მხოლოდ წელს, სამჯერ დამესხნენ თავს... ერთხელ ნიღბიანებმა ჩანთა წამართვეს და იარაღით მემუქრებოდნენ. ძალიან შევშინდი და ამიტომ ავიყვანე პირადი დაცვა. მძღოლი არ მჭირდება, ვინაიდან მანქანის საჭესთან ჯდომა უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს. მდივანი მყავს, მაგრამ უფრო სწორი იქნება, თუ მას ასისტენტს ვუწოდებ, ვინაიდან ჩვენ შორის მეგობრული ურთიერთობა უფროა, ვიდრე ოფიციალური.

— რა ნივთები გჭირდებათ ყოველდღიური საქმიანობისთვის?

— მჭირდება ძალიან ცოტა რამ, მაგრამ თან დავატარებ აბსოლუტურად ყველაფერს. ორი ჩანთით დავდივარ: ერთ ჩანთაში აუცილებელი პირადი ნივთები მიდევს. მათ შორის — არ გაგიკვირდეთ — ზოგჯერ სამოსიცაა — თუ საღამოს წვეულებაზე ვარ წასასვლელი; მეორე ჩანთაში კი, სამი ბლოკნოტი, ათი კალამი და ა.შ. ეს ნამდვილად არ არის საქმიანი ქალის თვისება და ადამიანის მოუწესრიგებლობაზე უფრო მიანიშნებს.

— ფულის ხარჯვა თუ გიყვართ?

— საშინლად არაეკონომიური ვარ. თუმცა, ყოველთვის ვანგარიშობ ხოლმე, მეყოფა თუ არა ფული მომავალ ხელფასამდე. ძალიან მიყვარს სუვენირებისა და ნაკლებად გამოსადეგი ნივთების შეძენა — მაგალითად, უცხოეთიდან შეიძლება ჩამოვიტანო საქაღალდე, მაგიდაზე დასადგამი რაღაც ნივთი და უამრავი „ხარახურა“. ფული ასეთ წვრილმანებში იხარჯება.

— მამაკაცებთან საქმიანი ურთიერთობისას თუ გეხმარებათ ის, რომ ქალი ხარ?

— საქმიანი ურთიერთობა ძირითადად, უცხოელ პარტნიორებთან მაქვს და ის, რომ ქალი ვარ, მათ ნაკლებად აინტერესებთ. საქართველოში კი ხშირად, არასერიოზულად აღგიქვამენ და ზოგჯერ ვერ წარმოუდგენიათ, რომ მე საქმეზე უნდა ვესაუბრო.

— როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი იმ ასაკში, როდესაც უკვე ჩამოცილებული იქნებით საქმეს?

— ჩემი მეგობრები ხშირად ხუმრობენ ხოლმე, რომ მათი წარმოდგენით, ასაკოვანს, ბევრი პლასტიკური ოპერაცია მექნება გაკეთებული სახეზე და ხელში პატარა ძაღლი მეჭირება; ამას ისეთი დარწმუნებით ამბობენ, რომ შეიძლება, მეც დავიჯერო... მე კი მინდა, რომ ბევრი შვილიშვილი მყავდეს, მაგრამ მაინც ყოველთვის ჩემთვის, დამოუკიდებლად ვცხოვრობდე.

■

| | | |

მორენა მერკვილაძე

დილის და საღამოს ლოცვათა განმარტება

განვაგრძობთ „გზის“ წინა ნომერში დაწყებულ საუბარს დილისა და საღამოს ლოცვების შესახებ. შეგახსენებთ, რომ დილის და საღამოს ლოცვებთან დაკავშირებული საკითხები, განმარტებულია „მოკლე კატეხიზმოს“ „დილის და საღამოს ლოცვათა განმარტებანის“ და სხვა რელიგიურ ლიტერატურაში.

დილის ლოცვებზე საუბარი 50-ე ფსალმუნით დავასრულეთ. 50-ე ფსალმუნის შემდეგ იკითხება სიმბოლო სარწმუნოებისა – „მრწამსი“. „მრწამსი“ არ არის ლოცვა, მაგრამ დილის ლოცვებში შესულია მართლმადიდებლური ცნობიერების სუფთად შენახვისათვის. საღმრთო წერილისა და საღმრთო გადმოცემის სწავლება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა სწამდეს მართლმადიდებელ ქრისტიანს ღმერთი, რა არის საჭირო მისი სულის საცხონებლად, მკაფიოდ და მოკლედ არის გადმოცემული სარწმუნოების სიმბოლოში ანუ, როგორც ქართულად ეწოდება – „მრწამსში“ (ქართული სახელწოდება „მრწამსი“ წარმომდგარია „მრწამსის“ პირველი სიტყვიდან). „მრწამსი“ შედგენილია ნიკეის 325 წლის (პირველი) და კონსტანტინეპოლის 381 წლის მეორე მსოფლიო საეკლესიო კრებებზე, წმინდა მამების მიერ. იგი შეიცავს საღმრთო წერილისა და საღმრთო გადმოცემაზე დაფუძნებულ სწავლებას სამების პირველ პირზე – მამა ღმერთზე, რომელმაც შექმნა ცა და ქვეყანა და განაგებს მას; სამების მეორე პირზე – ძე ღმერთზე, რომელიც განხორციელდა მარიამ ქალწულისაგან; სამების მესამე პირზე – სულიწმიდაზე; ქრისტეს ეკლესიაზე, საიდუმლოებაზე, მკვდრეთით აღდგომაზე და მომავალ ცხოვრებაზე. „მრწამსი“ იყოფა 12 წევრად – ანუ მუხლად.

„მრწამსის“ შემდეგ წარმოსათქმელი ორი ლოცვა ეკუთვნის მე-4 საუკუნის ეგვიპტელ მოღვაწეს – ღირს მაკარი დიდს. მაკარი დიდის პირველი ლოცვის კითხვისას, შევთხოვთ უფალს განგვწმინდოს ცოდვილნი, რამეთუ არ გვიქმნიეს კეთილი წინაშე ღვთისა და ვთხოვთ ღმერთს, გვიხსნას განსაცდელისაგან და სხვა. მომდევნო ლოცვაში კი უფალს მადლობას ვწირავთ მშვიდობიანი ღამისთვის, იმისათვის, რომ დაგვიფარა ყოვლისაგან განსაცდელისაგან და ბოროტისაგან და შევთხოვთ უფალს, „გამოაბრწყინოს გულთა შინა ჩუენთა ჭეშმარიტი ნათელი“ და ღირსგვყოს ზეციური სასუფევლისა“.

შემდეგი ლოცვა – „ლოცვა ბასილი დიდისა“ შედგენილია საეკლესიო მოღვაწის – ბასილი დიდის მიერ. ეს ლოცვა გვახსენებს უფლის სიდიადეს, რომელმაც იცის ჩვენი ნებსითი და უნებლიე ცოდვები. ლოცვა მოგვიწოდებს სინანულისკენ. შევთხოვთ უფალს, მოგვიტევოს ყოველი შეცოდებანი, საქმითნი, სიტყვითნი, გონებითნი, ცნობითნი და უმეცრებითნი. ამასთანავე შევთხოვთ, გაგვათავისუფლოს სიზარმაცისაგან და გადაარჩინოს ჩვენი სულები.

ლოცვა – „მფარველი ანგელოზისადმი სამარადისო“ შთაგვაგონებს, რომ ღვთის ნების გამოცხადებას, ჩვენში ღვთისთვის სათნო, წმინდა, კეთილი აზრების გამღვიძებლის, მფარველი ანგელოზისაგან ვიღებთ. ქრისტიანს ყოველთვის უნდა ახსოვდეს თავისი მფარველი ანგელოზი, ლოცვით სთხოვდეს შუამდგომლობას ღვთის წინაშე, რათა მიიღოს და შეინარჩუნოს კეთილი საქმეებისათვის საჭირო ძალა და მადლი, ითხოვოს შენდობა მისი შეურაცხმყოფელი ყველა ცოდვისათვის. სწორედ ამიტომ ვევედრებით ლოცვის წარმოთქმისას მფარველ ანგელოზს შემწეობას, ცოდვათა შენდობას და განსაცდელისაგან დაცვას.

შემდეგ წარმოვთქვამთ „ლოცვას ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისადმი“, რომლის კითხვის დროს ყოვლადწმინდა ქალწულს ვთხოვთ მფარველობას და შუამდგომლობას ღმრთისადმი.

„მოკითხვა მთავარანგელოზისა მიერ ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლისა“ – ამ ლოცვის წარმოთქმა გვამცნობს, რომ ხარების დღე არის „საწყისი ჩვენი გადარჩენისა“.

ღვთისმშობლის მოკითხვის შემდგომ ვკითხულობთ ლოცვას: „ლოცვით მოწოდება წმიდისა, რომლის სახელიცა გვაქვს“, ე.ი. ლოცვით მივმართავთ ჩვენს მოსახელე წმინდანს. წმინდანებს აქვთ ჩვენთვის ლოცვის კადნიერება ღვთის წინაშე, მათგან ჩვენთვის ყველაზე ახლობელია წმინდანი, რომლის სახელიც ნათლობის დღიდან გვაქვს მონიჭებული.

„ტროპარი ჯვრისა და ლოცვა ერისა და მამულისათვის“ გვახსენებს მაცხოვრის ჯვარზე გაკვრით ჩვენს გამოსყიდვას და გვაძლევს ძალას, ვიტვირთოთ საკუთარი ჯვარი. ამის შემდგომ კი, ვლოცულობთ ცოცხალთათვის და მიცვალებულთათვის. ამ ლოცვებით ქრისტიანები განიმტკიცებენ ურთიერთსიყვარულს, სულიერ კავშირს და ეხმარებიან ერთმანეთს სულის გადარჩენაში.

ლოცვები ძილად მისვლის წინ

საღამოს ლოცვის დაწყებისას, ისევე, როგორც დილის ლოცვების დაწყების დროს, შემწეობას ვითხოვთ ღვთისაგან და ვადიდებთ მას. ძილად მისვლის ლოცვების დასაწყისის შემდეგ იკითხება სინანულის ტროპარები: „მიწყალენ ჩვენ, უფალო, შემიწყალენ ჩვენ“... ამ ტროპარების კითხვით, შემწეობას ვითხოვთ უფლისგან და ვასრულებთ მოკლე ლოცვის – „უფალო შეგვიწყალენ“ – 12-ჯერ წაკითხვით (ამ ლოცვის დილით და საღამოს თორმეტჯერ წაკითხვა, დღე-ღამის ყოველი საათის კურთხევას ნიშნავს).

„უფალო შეგვიწყალენ“-ის შემდეგ იკითხება წმინდა სამების თითოეული პირისადმი მიმართული სამი ლოცვა: „წმიდისა დიდისა მაკარისა ღვთისა მამისადმი“; „უფლისა იესო ქრისტესი“; „სულისა წმიდისადმი“. მამა ღმერთისადმი მიმართულ ლოცვაში წმინდა მაკარი გვასწავლის, როგორ ვითხოვოთ გასული დღის განმავლობაში ჩადენილი ცოდვების მიტევება, ამასთანავე შევთხოვოთ ღმერთს, მოგვცეს მშვიდობიანი ღამე, გვიხსნას ამაო გულისთქმათა და ბოროტთა საწადელთაგან. ძე ღმრთისადმი მიმართული ლოცვის დროს კი ვითხოვთ, რომ უფალმა განგვაშოროს „უჯერო“ აზრებს. სულიწმიდისადმი მიმართული ლოცვისას, დახმარებისათვის ვევედრებით სულიწმიდას, ცხოვრების მომნიჭებელ ზეცათა მეუფეს, რათა შეგვინდოს, ნებსით თუ უნებლიეთ ქმნილი ცოდვები, რომ ჩვენი სული დამშვიდდეს და ვადიდებდეთ მის სახელს...

შემდეგ ლოცვაში: „უფალო, ღმერთო

ჩვენო, რაიცა შეგცოდე დღეინდელსა ამას დღესა...“ — ისევ და ისევ ცოდვათა შენდობას და წყალობას ვითხოვთ, რათა სათნო ვეყოთ ღმერთს, მშვიდად დავიძინოთ, გავთავისუფლდეთ ბოროტი აზრებისგან და დილით სამადლობელი ლოცვა აღვავლინოთ უფლის მიმართ.

ლოცვაში: „წმიდისა ანგელოსისა მიმართ“ — ვითხოვთ მფარველობას ჩვენი სულისა და ხორცისადმი და დაცვას ეშმაკისაგან, რამეთუ მფარველი ანგელოზის ქომაგებით შეიძლება გავხდეთ ღვთის წყალობის ღირსი.

„კონდაკი ღვთისმშობლისა“, რომელიც იწყება სიტყვებით: „ზესთამბრძოლისა ჩემისათვის“ — სამადლობელ ჰიმნად იწოდება. ამ ლოცვის წარმოთქმისას, მლოცველის გულს თანდათან განეშორება სევდა და სულიერ სიმაღლეზე ადის. „კონდაკი ღვთისმშობლისა“ შედგენილია 626 წელს, ბერძნული სახელმწიფოს სპარსთა და ხუნძთა შემოტევისაგან სასწაულებრივი გადარჩენის შემდეგ, კონსტანტინეპოლის პატრიარქის — სერგის მიერ.

ამის შემდეგ იკითხება ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი, ორი მოკლე ლოცვა: „უფროსად დიდებულო და მარადის ქალწულო“ და „ყოველი სასოება ჩემი შენზედა დამიძს“. ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ ლოცვებს მოსდევს ღირსი იოანიკე დიდის მიერ შედგენილი ლოცვა: „სასოება ჩემდა მამა“. შემდეგ იკითხება „ღირს არსი“ და სამი მოკლე ტროპარი, რომელშიც შევთხოვთ ღმერთს, რომ ჩვენი ბუნებრივი ძილი არ გადავიდეს ფიზიკურ სიკვდილში და არ გარდავიცვალოთ მოულოდნელად, სინანულის გარეშე. ბოლო ტროპარი — „ღვთისმშობლისა“ — ეძღვნება წმინდა მარიამს, რომელიც გამუდმებით ლოცულობს ჩვენი გადარჩენისათვის.

ამის შემდეგ ვისახავთ პირჯვარს და წარმოვთქვამთ ლოცვას: „პატიოსნისა და ცხოველსმყოფლისა ჯვრისადმი“, მასში გამოვხატავთ მტკიცე რწმენას პატიოსანი ჯვრის მიმართ, რომ ჯვრის ძალით განიდევნება ბოროტი ძალა და ა.შ.

მოკლე ლოცვით თხოვნაში: „გვიხსენ, გვილხინე“ — გამოვხატავთ ერთგულებას ზეციური მამისადმი, ვლოცულობთ „მოძულეთა და მაჭირვებელთა ჩვენთათვის“, კეთილისმყოფელთა ჩვენთათვის, სნეულთათვის ვითხოვთ კურნებას და სხვა.

ძილად მისვლის წინ, მორწმუნენი ჯვარს გადასახავენ საწოლს და ამბობენ მოკლე ლოცვას, რომლის დროსაც თავის სულს მიანდობენ ღმერთს და იძინებენ როგორც მშობლის ხელში: „ხელთა შენთა შევევედრებ სულსა ჩემსა, უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩემო, მაკურთხე, შემიწყალე და ცხოვრებაი საუკუნო მომმადლე, ამინ“. ■

კინოდან წასულმა გეიდარ ფალავანდიშვილმა უმაღლეს რომანტიკას ინჟინრობაში მიაგნო

ლელა ჯიყამშვილი



როცა გეიდარ ფალავანდიშვილთან ინტერვიუს ჩასაწერად მივდიოდი, თვალწინ მედგა მის მიერ „ალავერდობაში“, „მთვარის მოტაცებაში“, „ვედრებაში“, „ჯვარცმულ კუძნულში“ განსახიერებული გმირები. ვაუკაცური პერსონაჟების მოხდენილი სახეები, შეუპოვარი გამოხედვა, მოქნილი სხეული, გაუტეხელი სული თითქოს გაიგივებული მქონდა თავად ბატონ გეიდართან. მიუხედავად იმისა, რომ ფილმები მისი ცხოვრების ერთი უმცირესი ნაწილია, ძირითად ინტერესს კი მისთვის, მაინც საკუთარი პროფესია — ინჟინრობა წარმოადგენს, ვიცოდი, თავს ვერ დავაღწევდი სურვილს, დაუსრულებლად მესაუბრა კინოზე... მაგრამ ერთი რამეც მეგულებოდა ბატონ გეიდართან, როგორც ცდუნება. ეს იყო მისი წარმომავლობა, ოჯახი... მართლაც, წარმოუდგენელია, ისაუბრო მასთან და არ შეეხო ფალავანდიშვილებსა და ციციშვილებს, არ გაიხსენო მარად ახალგაზრდა გურამ რჩეულიშვილი, რომლის დაც, ქალბატონი მარინე, ბატონი გეიდარის მეუღლეა, თვალწინ არ დაგიდგეს ბატონი გეიდარის დისშვილი — ლიკა ქავჟარაძე და კიდევ ერთხელ არ იგრძნო რომ ქართული გენი მშვენიერია... საუბარი წინაპრებით დავიწყეთ:

— ყველა ოჯახს თავისი წინაპრები ჰყავს, მათი ღირსეული საქმეები ხდება სამსჯელო... ჩვენს ოჯახშიც ასე იყო. დედა ციციშვილი მყავდა, მამა — ფალავანდიშვილი. პაპა, არც ერთი არ მახსოვს. მახსოვს ის ნათესავები, რომლებთანაც ურთიერთობა გვქონდა: ალექსანდრე და პავლე ციციშვილები, მამაჩემის ბიძაშვილი — მირანდა ფალავანდიშვილი... ვახო, ბეჟან, კალე ფალავანდიშვილები. ჩვენს მხარესთან — საფალავანდიანოსთან ჩემს ბავშვობაში, უკვე აღარ მქონდა ურთიერთობა. იმ დროს, ფალავანდიშვილებსაც ჩამორთმეული ჰქონდათ მიწები და ციციშვილებსაც. ახლაც დგას ფრონეს ხეობაში ჩვენი სახლი, სადაც სკოლაა გახსნილი. საფალავანდიანოს ნაწილი იმ ტერიტორიაზეა, რომელსაც დღეს, სამაჩაბლოს ვეძახით, ნაწილი კი — ქართლის მიწებია. სხვათა შორის, ფრონეს ხეობაში დარჩა ჩვენი საგვარეულო ციხე, რომელიც ანანურის ციხეს ჰგავს და ფალავანდიშვილების საფლავები...

XVII-XVIII საუკუნიდან მოყოლებული, ჩვენი გვარის ქალები, სილამაზით განთქმულები ყოფილან. მამაკაცებზე კი, იოანე ბატონიშვილი ამბობს — ავები იყვნენო. მთლად მასე არ იყო, კარგი, კეთილი ხალხიც იყო... ჩვენს გვარში ბავშვებს უმეტესად, ალექსანდრეს, კონსტანტინეს, გიორგის არქმევდნენ.

— ეი. თქვენ გამონაკლისი ხართ, არა?

— მე მართლაც გამონაკლისი ვარ ოღონდ, წლების შემდეგ, როცა მშობლები ცოცხლები აღარ მყავდნენ, შევხვდი ჰაი-

დარ ფალავანდიშვილს — აჭარელ სეხნიასა და მოგვარეს. შეიძლება, მისი სახელიც დამარქვეს მშობლებმა. ჰაიდარი ახლაც ცოცხალია, 80-ს გადაცილებულია, ჩაქვში ცხოვრობს. ახლა, ფალავანდიშვილები დაუბრუნდნენ ისტორიულ სახელებს — კონსტანტინეს, გიორგის არქმევენ ბავშვებს.

— სულით გაუტეხელი ხალხი იყო ჩვენი წინაპრები, არა?

— ერთ ამბავს გეტყვით. ჩემს პაპიდას — ოლღას ძმა რომ დაუხვრიტეს, მასთან მიკარება არ შეიძლებოდა... მიწაში ყოფილა ჩაფლული, მაგრამ ფეხები უჩანდა თურმე. ღამით მივიდა პაპიდა, არაფერს შეუშინდა, გამოიყვანა ძმა და დაასაფლავა... ოღონდ, ასეთ ამბებს ბავშვებს არ გვიამბობდნენ. ქაქუცას სურათიც კი, რომ გავიზარდე, მხოლოდ მაშინ ვნახე — მანამ, არც მიყვებოდნენ მის შესახებ...

— როცა წინაპრებზე ფიქრობთ, არ გეჩვენებათ, რომ დღეს დაკარგულია რაღაც ისეთი, რაც მათთვის ძვირფასი იყო?

— ჩვენი წინაპრები თბილისში არ ცხოვრობდნენ, თავიანთ სამფლობელოში მრავლდებოდნენ: ციციშვილები — საციციანოში, ფალავანდიშვილები — საფალავანდოში. ისინიც და სხვა წარჩინებულებიც ახალმა ცხოვრებამ ქალაქში ჩამოიყვანა, რაკი აქ შეეძლოთ, ინტელექტით ერჩინათ თავი. საქართველოს პერიფერია კი, მათ გარეშე, გაღარიბდა — რა თქმა უნდა, გადატანითი მნიშვნელობით. რაც შეეხება თაობებს შორის სხვაობას — არ მინდა, თქვენი აზრი გავიზიარო... თქვენ ხომ გახსოვთ თქვენი ბებო? ის ადამიანური თვისებები, რაც ბებიასთან გაკავშირებთ, არ იცვლება. თაობებს შორის სხვაობა მაშინ იჩენს თავს, როცა წყობა იცვლება, მაგრამ ამაზე უფრო მაღალი, მუდმივი წესებიც ხომ არსებობს — მაგალითად, ღირსება. ახლა მე ახალგაზრდებთან ურთიერთობისას თავისუფლად ვგრძნობ თავს: რაც მათ აქვთ, მეც იგივე ინტერესები მაქვს, იმიტომ, რომ სიცოცხლე მიყვარს.

— ახლა ფილმებს მივუბრუნდეთ. თქვენთვის განსაკუთრებული რომელი იყო?

— რა ვიცი... „ალავერდობაც“ მიყვარს, „მთვარის მოტაცებაც“, „ვედრებაც“. კინოს ერთი რამ ამშვენებს: ადამიანი აღგიქვამს იმ გმირად, რომელსაც თამაშობ. ხშირად, მე მაწერენ გურამის, თარაშის, მუცალის თვისებებს. ბევრი მეუბნება ხოლმე: თარაში ზუსტად ასეთი მეგონაო, — ან — მუცალი ასეთი უნდა ყოფილიყოო... ერთი ამბავი გამახსენდა: „ვედრებას“ შატილში ვიღებდით. იმ დროს, ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტები ექსპედიციაში იყვნენ, ხევსურეთსა და ქისტეთში გადასულან. ქისტებს საკლავი დაუკლავთ და გამოუგზავნიათ — მუცალს გადაეცითო...

— მიუხედავად იმისა, რომ ასეთი წარმატებული როლები გქონდათ, მაინც ინჟინრობა არჩიეთ, კინოს თავი დაანებეთ...

— მამაჩემიცა და დედაჩემიც ტექნიკური ინტელიგენციის წარმომადგენლები იყვნენ... სხვათა შორის, მამაც იყო მიწვეული „კაკო ყაჩაღის“ სინჯებზე, მაგრამ როლზე არ დაამტკიცეს. ჩვენს გვარში გვყავდა ცნობილი რეჟისორი — სიკო ფალავანდიშვილი — „ჟუჟუნას მზითევის“ დამდგმელი. ის ფილმ „ამოკში“ ზანგს — ნატო ვაჩნაძის პერსონაჟის მკვლელს თამაშობდა. რატომღაც ფიზიკურად მამსგავსებენ კიდეც სიკო ფალავანდიშვილს. რაღაცნაირად მოხდა, რომ ჯერ კიდევ სტუდენტობისას მიმიწვია გიორგი შენგელაიამ „ალავერდობაში“. მე ვფიქრობდი, რომ კინომსახიობი თეატრის გარეშე ცოცხალი არ არის; თეატრში მუშაობა მე არ შემეძლო — არტისტის განათლება არ მქონდა მიღებული. ამიტომაც, თარაშ ემხვარის მერე, მივიღე გადაწყვეტილება და უარი ვთქვი გადაღებებზე.

— ის, რასაც აკეთებთ, რადიკალურად განსხვავებული საქმეა და კინოსთან შედარებით, არარომანტიკულია...

— ეს პრაქტიკული ხელობაა. უნდა მიიყვანო წყალი იქ, სადაც არ არის. სამგორის ველი სულ ხრიოკი იყო, არც არავინ ცხოვრობდა, არც ხე ხარობდა. ჩემმა ხელობამ დაასახლა იქ ხალხი... დიდი ემოციაა, როცა შედეგს ხედავ — უდაბნოში წყალი გაჩნდა! ამაზე დიდი რომანტიკა რაღა გინდათ?! სიცოცხლე წყალზეა დამოკიდებული...

— თქვენი ოჯახი — გურამ რჩეულიშვილის ოჯახი — დღესაც იმ ტკივილით ცხოვრობს, რაც გურამის უეცარმა დაღუპვამ გამოიწვია...

— საქმე ისაა, რომ ვინც აღარ არის, ის მაინც შენთან არის თითქოს. 40-42 წელია, ჩვენთან ყოველწლიურად იკრიბებიან გურამის მეგობრები... და ყოველწლიურად მცირდებიან... სამწუხაროდ, დრო მიდის. და მატულობს იმ ახალგაზრდების რიცხვი, ვისთვისაც გურამის სახელი არცთუ ისე ნაცნობია.

— დაბოლოს — ცოტა რამ თქვენი მრავალრიცხოვანი ოჯახის შესახებ გვითხარით. თქვენ ხომ უკვე ბაბუაც ხართ?!

— ორი შვილი მყავს, 5 შვილიშვილი. თქვენ წარმოიდგინეთ, ერთ-ერთი მათგანი — მარიამი გავათხოვე კიდეც...

— დასვენების ჟამს, როცა აღარც ოჯახურ პრობლემებზე გინდათ ფიქრი და არც საქმეზე, რას ირჩევთ?

— ჩოგბურთის თამაშს ან თხილამურებით სრიალს. ევროპული გემოვნება მაქვს ამ საკითხში...

პარაპლანი

– ახალი ხიდი, რომელსაც ქართველები არ ეტანებიან...

მას შემდეგ, რაც თბილისში პარაპლანი გამოჩნდა, მძაფრი განცდების მოყვარულმა ადამიანებმა სიმშვიდე დაკარგეს. ბუნებრივია, გაუჩნდათ სურვილი, ამ ჯადოსნური ფრთით ეფრინათ და ზემოდან ეყურებინათ ხელისგულივით გაშლილი ქალაქისათვის... პარაპლანი დელტაპლანის გამარტივებული სახეობაა — ე.წ. ფრთა, რომლის საშუალებითაც ნებისმიერ ადამიანს შეუძლია იფრინოს. მიუხედავად მოყვარულთა სიმრავლისა, სპორტის ეს სახეობა თბილისში პოპულარული ჯერ მაინც ვერ გახდა. გვესაუბრება პარაპლანისტთა კლუბის პრეზიდენტი დათო ყიფიანი.

ლელა ჭანკოტაძე

— **როდის გაჩნდა შენს ცხოვრებაში პარაპლანი?**

– მახსოვს, წლების წინ, პარაპლანი ჩემმა მეგობარმა ჩამოიტანა მოსკოვიდან. ცხადია, ძალიან დავინტერესდი. პირველად, გუდაურიდან გავფრინდი. ოცი წუთი ვიფრინე. ფრენის ხანგრძლივობა შენს უნარ-ჩვევებზეა დამოკიდებული: თუ კარგად იცი პარაპლანის მართვა, შესაძლებელია, შვიდი საათის განმავლობაში იფრინო. ფრენა ძალზე სასიამოვნოა. საოცარი განცდაა, როცა ჰაერში ხარ და მთელ სამყაროს გადმოჰყურებ... მერე პარაპლანისტთა კლუბი გავხსენით, რომელშიც 45 ადამიანი გაერთიანდა. ჩვენ ახლა ინსტრუქტორები ვართ, შეგვიძლია, ჩვენი ცოდნა და გამოცდილება სხვებს გადავცეთ. შვიდი პარაპლანი გვაქვს და მსურველებს ფრენას ვასწავლით. მაგრამ ძალიან ცოტაა ისეთი ადამიანი, რომელიც გამოთქვამს სწავლის სურვილს. ეს ალბათ ქართული მენტალიტეტის ბრალია: თავგადასავლები არ გვიყვარს და ისეთი სპორტის სახეობები მოგვწონს, რომელიც დიდ ფიზიკურ ძალას მოითხოვს.

— **პარაპლანი როგორ იმართება?**

– მთავარია, არ გეშინოდეს. თავიდანვე უნდა გააცნობიერო, რომ საშიში არაფერია და კომერციული ფრენა რისკთან არ არის დაკავშირებული. თან, ერთდროულად ორი ადამიანი მიფრინავს – ინსტრუქტორი და მოყვარული. ყველაფერი ინსტრუქტორზეა დამოკიდებული. აფრენის დროს, არავინ ყვირის, დაფრენისას კი, ემოციებს ყველა სხვადასხვაგვარად გამოხატავს. დაფრენა შედარებით რთულია – შეიძლება, მუხლები გადაიტყავო. თუ არ გაირბენ და გაჩერდები, აუცილებლად რამეს იტკენ.

— **კომერციული ფრენა ძვირი ჯდება?**

– კომერციული ფრენები გუდაურიდან ეწყობა. ნებისმიერ მსურველს შეუძლია, გარკვეული თანხის საფასურად იფრინოს. ეს თანხა, დამიჯერეთ, ძალიან მცირეა და ყველასათვის ხელმისაწვდომი. კომერციული ფრენა 10-20 წთ გრძელდება ხოლმე. აფრენამდე ყველას შიშის გრძნობა ეუფლება, მაგრამ ფრენის პროცესში ეს შიში ქრება.

— **უმეტესად, რომელი ასაკის ადამიანები გამოთქვამენ ფრენის სურვილს?**

– ზოგჯერ მშობლები გვთხოვენ ხოლმე, რომ მათი შვილები ვაფრინოთ. ყველაზე მცირე ასაკის ბავშვი, სამი წლის იყო. მან შესანიშნავად იგრძნო თავი ჰაერში. ყველაზე მხცოვანი, ვისაც ფრენით ტკბობის საშუალება მივეცით, 86 წლის გახლდათ.

— **ვინმემ ტრავმა ხომ არ მიიღო?**

– ერთხელ, ჩვენმა მეგობარმა ფეხი მოიტეხა. მაშინ ის ფრენას სწავლობდა. რამდენჯერმე, უსიამოვნო ამბავი მეც შემემთხვა. ყველაზე მეტი სიმწარე მაშინ ვიგემე, როცა ეკლებში ჩავვარდი: თბილისის ზღვას გადავუფრინე. ძალიან ცხელოდა. შორტები მეცვა. რომ ჩამოვვარდი, ეკლებისგან ფეხები სულ დამესერა. განსაკუთრებით საშიშია მთიდან აფრენა. გუდაურში ჩინელებმა მოისურვეს აფრენა. ისეთი მსუბუქები იყვნენ, რომ ერთდროულად სამი ადამიანი ავაფრინე. ხიფათი არ შეგვმთხვევია. პირიქით, ძალიან იხალისეს.

— **პარაპლანი ძვირი ღირს?**

– 1.500 დოლარი. ზოგისთვის ეს თანხა ბევრი არ არის, მაგრამ თბილისში პარაპლანი ჯერჯერობით მხოლოდ თხუთმეტ ადამიანს აქვს.

— **თუ ტარდება ჩემპიონატები პარაპლანით ფრენაში?**

– ყოველწლიურად, სხვადასხვა ქვეყანაში ტარდება ჩემპიონატები. მე სამჯერ მქონდა მიწვევა, მაგრამ ვერ წავედი – რა თქმა უნდა, ფინანსური სახსრების უქონლობის გამო... ■

ამერიკელი მსახიობი მილა იოვოვიჩი მალე ახალი როლით წარდგება მაყურებლის წინაშე. იგი განასახიერებს ელისს ფილმში — „ბოროტების სამყოფელი“, რომელიც ცნობილი კომპიუტერული თამაშების საფუძველზეა გადაღებული. მსახიობმა ფილმთან დაკავშირებული შთაბეჭდილებები გაზეთ „ლოს-ანჯელეს დეილი ნიუსის“ კორესპონდენტს გაუზიარა და მისი გმირის მთავარი მტრის მიმართ თავისი დამოკიდებულება გამოხატა: „სიქველში მე კვლავ მომიწევს თქვენთვის ცნობილ არსებასთან — ნემეზისთან შეხვედრა, რომელიც კომპიუტერულ თამაშშიც ფიგურირებს: სინამდვილეში ის, რა თქმა უნდა, მსახიობია, სპეციალური გრიმის მეშვეობით გარდასახული. თუმცა, გადაღებების დროს ვცდილობდი, ამაზე არ მეფიქრა. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ მონსტრების მოსრვა ასეთ სიამოვნებას მომგვრიდა. გადაღების ყოველი დღის ბოლოს, ენერგიის საოცარ მოზღვავებას ვგრძნობდი“, — აღნიშნა პოპულარულმა მსახიობმა, მოდელმა და მომღერალმა.

კენტაღ დარჩენილ საშინელებათა ფილმში ილებენ მილა იოვოვიჩს

მილა ნატაშა იოვოვიჩი 1975 წლის 17 დეკემბერს უკრაინის დედაქალაქ კიევში დაიბადა. მისმა მშობლებმა — საბჭოთა მსახიობმა გალინა ლოგინოვამ და ჩერნიგორიელმა ექიმმა-პედიატრმა ბოგი იოვოვიჩმა ერთმანეთი მოსკოვში გაიცნეს, სადაც ბოგი იმზანად სწავლობდა.

მილას ბავშვობის პირველი წლები მოსკოვსა და ლონდონთანაა დაკავშირებული, სადაც მამამისს ექიმად მუშაობის უფლება ჰქონდა. მაგრამ, მოგეხსენებათ, ყოფილ საბჭოთა კავშირში ამგვარი ცხოვრების წესი მიუღებელი იყო და, როცა მილა 5 წლის გახდა, მისი ოჯახი აშშ-ში გადავიდა საცხოვრებლად. თავდაპირველად ისინი საკრამენტოსა და კალიფორნიაში ცხოვრობდნენ, ხოლო მოგვიანებით, ლოს-ანჯელესში დამკვიდრდნენ.

სკოლაში გოგონა დიდად არ უყვარდათ. როგორც თავად იხსენებს, თანაკლასელები აქცენტს მის წარმომავლობასა და სახელზე აკეთებდნენ. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც, „კომუნისტს“ ეძახდნენ, მაგრამ, მილა აინუნშიც არ აგდებდა მათ გამოხდომებს. სკოლაში სწავლა დიდ სიამოვნებას არ ჰგვრიდა. სამაგიეროდ, მომავალი ვარსკვლავი, რომელიც ბავშვობიდან ოცნებობდა იმაზე, რომ დედის კვალს გაჰყოლოდა და მსახიობი გამხდარიყო, თეატრალურ სკოლაში დაჰყავდათ, სადაც იგი ქორეოგრაფიას სწავლობდა, ფორტეპიანოზე დაკვრას ეუფლებოდა და წარმოიდგინეთ, კარატეზეც დადიოდა. ასე რომ, საკმაოდ დატვირთული რეჟიმით ცხოვრობდა. 9 წლის ასაკში პირველი ნაბიჯების გადადგმა იმით დაიწყო, რომ თავის სახელს ერთი „ლ“ დაუმატა და მილლა იოვოვიჩი გახდა.

ამავე ასაკში მან უკვე კინოგადაღების გემო გაიგო, ხოლო 11 წლის მილას საგენტო Prima-ს ფოტოგრაფმა რიჩარდ ეივდონმა თანამშრომლობა შესთავაზა. სწორედ მისი წყალობით მოხვდა გოგონა ჟურნალ „მადმუაზელის“ გარეკანზე, მაგრამ როცა რედაქციაში შეიტყვეს, რომ ამ საოცარი სილამაზის პატრონი მხოლოდ 11 წლის იყო, მაშინვე უარი განაცხადეს მისი ფოტოების პუბლიკაციაზე. ბოლოს, საქმე იქამდე მივიდა, რომ მისტერ ეივდონმა, რომელიც სხვებთან ერთად, მონუსხული იყო მილას სილამაზით, არნახული სკანდალი მოაწყო და ულტიმატუმი წაუყენა ჟურნალის რედაქციას: ან გამოაქვეყნებდნენ გოგონას ფოტოებს, ან ჟურნალი ფოტოგრაფის გარეშე დარჩებოდა... ერთი სიტყვით, მილა იოვოვიჩი მათ შორის, ვინც კი ოდესმე მოხვედრილა მოდების ჟურნალის ყდაზე, ყველაზე ახალგაზრდა მოდელი გახდა. მას ვერ იტანდნენ სხვა მოდელები, ვინაიდან 11 წლის მილას 25 წლის გოგოს შესახედაობა ჰქონდა, ოღონდ — ნაოჭების გარეშე...

ამის შემდეგ მილა მონაწილეობდა Revlon-ის მიერ მოწყობილ „მსოფლიოს ყველაზე დაუვიწყარ ქალთა კონკურსში“ და დღეში 350 დოლარს უხდიდნენ. ის განაგრძობდა ჟურნალებთან თანამშრომლობას, მაგრამ მაინც სამსახიობო კარიერაზე ოცნებობდა, რაშიც ყველანაირად უწყობდა ხელს დედამისი. იმ დროს, გალინა ლოგინოვა ჰოლივუდის ერთ-ერთ ფირმაში მენეჯერად მუშაობდა.

გოგონას კვლავ გაუღიმა ბედმა და 1988 წელს, ფილმში — „კატმანდუს ღამის მატარებელი“ გადაიღეს. პოპულარობის წყალობით, მას შესთავაზეს როლი ფილმში — „ორი მთვარის შეერთება“, სადაც მილამ, შერლინ ფენის უმცროსი და განასახიერა. შემდეგ, როგორც პროფესიონალი მოდელი, იგი ნაციონალურ კონკურსში იმარჯვებს და „იგებს“ როლს ფილმში — „ცისფერ ლაგუნაზე დაბრუნება“, რომელიც „ცისფერი ლაგუნის“ (იქ მთავარ როლს ბრუკ შილდსი ასრულებდა) გაგრძელებაა. სწორედ ამ ფილმმა მოუტანა მილა იოვოვიჩს დიდი პოპულარობა. შემდეგ ის შიშვლად იხილა

მაყურებელმა რამდენიმე ეპიზოდურ როლში, მაგრამ იმ ფილმებმა, როგორც მსახიობს, ვერაფერი შემატა. ამიტომაც გადაწყვიტა, რომ სხვა რამისთვის მოეკიდა ხელი – კერძოდ, მუსიკისთვის.

1994 წელს, გამოდის მილას პირველი მუსიკალური ალბომი – „ღვთაებრივი კომედია", რომელიც 200000-იანი ტირაჟით იყიდება. 15 წლის მილა ასევე ცდილობს, სიმღერები, რომელსაც წერს, თავისივე ლექსებით გაამდიდროს. კრიტიკოსები დადებითად აფასებენ მის ნამუშევარს. დამწყები მომღერლის პირველ ალბომში შედის აგრეთვე უკრაინული ხალხური სიმღერა – „მდელოზე". მილა მას უკრაინულ ენაზე ასრულებს, ოღონდ – რუსული აქცენტით.

რამდენიმეთვიანი გასტროლის შემდეგ, იოვოვიჩი კალიფორნიაში ბრუნდება, სადაც მოდელის კარიერას აგრძელებს. იგი მდიდრდება კიდეც, მაგრამ როგორც მსახიობს, წინსვლა არა აქვს. ერთხელაც, შეიტყო თუ არა, რომ ლუკ ბესონის ხელმძღვანელობით, 100 მლნ დოლარიანი ბიუჯეტის ფილმის კასტინგი მიმდინარეობდა, იოვოვიჩმა გადაწყვიტა, არა მარტო როლი, არამედ „ბებერი" ბესონიც მოეპოვებინა. რადგან უცხოპლანეტელის როლის შემსრულებელს ეძებდნენ, იმისათვის, რომ დაემტკიცებინა, შესანიშნავად მოერგებოდა ამ როლს, ყველაზე მოდური დიზაინერების მიერ შექმნილ, არაორდინარულ ტანსაცმელში გამოწყობილი, ოქროსფრად შეღებილ წარბებსა და 20-სანტიმეტრიან პლატფორმებზე დამდგარი გამოეცხადა ბესონს, რომელმაც იგი უგემოვნოდ მორთულ-მოკაზმულ გოგონად მიიჩნია... ერთი სიტყვით, მილამ როლი ვერ მიიღო, ბესონს კი, ნერვიული მოშლილობა და უძილობა დაეწყო...

რამდენიმე თვეში, ისინი მეორედ შეხვდნენ ერთმანეთს. იოვოვიჩი ერთ-ერთ ოტელში საუზმობდა, როცა აუზთან მჯდომი ბესონი შენიშნა. ამჯერად იგი რეჟისორის წინაშე სრულიად უბრალოდ – ჯინსსა და მაისურში ჩაცმული და ყოველგვარი მაკიაჟის გარეშე წარდგა: „ჰელოუ, მე ის გოგონა ვარ, რომელსაც როლი რომ არ მიეცი", – ომახიანად მიმართა მან ბესონს. „ბებერ ლუკს" მის დანახვაზე კინაღამ გული წაუვიდა და ძლივს ამოილუღლუღა: „უკვე მოგეცი..."

მალე, ფილმის გადაღებებიც დაიწყო. მილას ჟან-პოლ გოტიეს მიერ დამზადებულ ტანსაცმელში გამოწყობილს, კაცობრიობის გადამრჩენის, ღვთაებრივი სილამაზის არსების როლი უნდა ეთამაშა. ამრიგად, დასახული გეგმის პირველი ნაწილი მან შეასრულა. რაც შეეხებოდა ბესონის მოჯადოებას – კრიზისში მყოფი, ნახევრად გამელოტებული, შუახნის რეჟისორის გულის მოსანადირებლად, რომელიც იოვოვიჩის გამო უძილობისგან იტანჯებოდა, ხელის განძრევაც კი არ დასჭირდებოდა...

მილასთვის გაცილებით რთული აღმოჩნდა ფიზიკური დატვირთვა – ბოდიბილდინგი, კრივი, ბალეტი, ტანვარჯიში და კარატე... იმისათვის, რომ მისი ხმა არაორდინარული და განსხვავებული გამხდარიყო, ყოველ საათში ერთხელ, ჩიბუხს აბოლებდა. იმავდროულად, „უცხოპლანეტელთა ენას" სწავლობდა, რომელიც მისთვის საგანგებოდ გამოიგონა ბესონმა. „მეხუთე ელემენტში" მისი პარტნიორები – ბრიუს უილისი და ჰარი ოლდმანი თურმე შიშისგან ძრწოდნენ, როცა უცხოპლანეტელი მზეთუნახავი გაურკვეველ ფრაზებს ამოიბუყბუყებდა ხოლმე და იმაზე ფიქრობდნენ – ეს ბესონი სულ გაგიჟდაო! – ვინაიდან ის, რომ იოვოვიჩი გიჟმაჟი იყო, მათთვის დიდი ხნის წინ იყო ცნობილი... ბესონი კი ირწმუნებოდა, რომ მსგავსი ნიჭის მქონე ადამიანთან მანამდე, არასდროს უმუშავია...

მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ 22 წლის მილა და მასზე 16 წლით უფროსი ლუკი დაქორწინებას აპირებდნენ. მოკლედ, მილამ საჭირო ქმარი იშოვა, ხოლო ლუკმა კვლავ მოიპოვა თავდავჯერებულობა. ბედნიერი იოვოვიჩი ინტერვიუებში გამუდმებით იმეორებდა: „თქვენ ალბათ გაკვირვებთ ის, რომ ჩემზე ბევრად უფროს ადამიანს გავყევი ცოლად. არადა, ვერასდროს შევძლებდი, მეპოვა საერთო ენა ჩემს

თანატოლთან, რომელიც შეიძლებოდა, ნაზი, ალერსიანი, ჭკვიანი და ინტელიგენტურიც ყოფილიყო, მაგრამ მასზე დაყრდნობა, ცოტა არ იყოს, გამიჭირდებოდა, ვინაიდან მას არ ექნებოდა ცხოვრებისეული გამოცდილება და მისგან საჭირო რჩევებსაც ვერ მივიღებდი".

მაგრამ მათი ქორწინება, როგორც ვარსკვლავების ცხოვრებაში ხდება ხოლმე, საკმაოდ სწრაფად დაირღვა. თუმცა, ერთად ყოფნის დროს, ბესონმა თავისი ლამაზი ცოლის კიდევ ერთხელ გადაღება მაინც მოასწრო – ისტორიულ დრამაში „ჟანა დ'არკის ამბავი". ეს ფილმი საყურადღებო იყო რეჟისორისა და მსახიობის იდეალური ტანდემის მხრივ. მოკლედ შეჭრილი, ბიჭური თმის ვარცხნილობით, მილა სავსებით შეეფერებოდა ჟანას როლს. სამწუხაროდ, ფილმმა კრახი განიცადა და ამერიკულ კინოგაქირავებაში ჩავარდა...

მილა იოვოვიჩის ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარია ფილმი – „ოტელი „მილიონი დოლარი", რომელიც ცნობილი ირლანდიელი მომღერლისა და ჯგუფ U2-ს ლიდერის – ბონოს სცენარის მიხედვითაა გადაღებული.

ახლახან კი, მილამ მეორე მუსიკალური ალბომი გამოუშვა, სადაც კვლავ სიმღერების ავტორად გვევლინება. გარდა ამისა, ის დღემდე მოღვაწეობს კელვინ კლაინთან მოდელად, ხოლო მის კინოსამსახიობო კარიერაში განსაკუთრებული არაფერი ხდება, რაზეც მილა ასეთ განმარტებას იძლევა: „მე შემოქმედი ვარ. არასოდეს მივიღებ მონაწილეობას უვარგის ფილმში იმიტომ, რომ ჩემი ძირითადი საქმიანობით საკმაო შემოსავალს ვიღებ".

რაც შეეხება მის პირად ცხოვრებას – იოვოვიჩი ერთხანს, როკ-ჯგუფის – Red Hot Reppers-ის გიტარისტს, ჯონ ფუქსიანტეს ხვდებოდა, მაგრამ ისინი ახლახან დაშორდნენ. ■

ბუფონი ფორვარდთა მომთვინიერებელი

დაბადების თარიღი: 1978 წლის 28 იანვარი
დაბადების ადგილი: კარარა
სიმაღლე: 190 სმ
წონა: 84 კგ
ყოფილი კლუბი: „პარმა“ (1995-2001)

ალექსი რეხვიაშვილი

იტალიის ეროვნული ნაკრებისა და ტურინის „იუვენტუსის“ მეკარე, ჯანლუიჯი ბუფონი უკვე რამდენიმე წელია უმაღლეს დონეზე თამაშობს და ყველა იმ თვისებას ავლენს, რაც თანამედროვე ფეხბურთში ადგილის დასამკვიდრებლად და წარმატების მისაღწევადაა საჭირო. იტალიელმა გოლკიპერმა ბრწყინვალედ იასპარეზა გასულ საფეხბურთო სეზონშიც და თავის კლუბს უდიდესი დახმარება გაუწია. მიუხედავად იმისა, რომ „იუვემ“ ჩემპიონთა ლიგაში პირველობა „მილანს“ დაუთმო, ტურინულ კლუბს 2002/03 წლების სეზონი ტიტულის გარეშე მაინც არ დაუსრულებია და

იტალიის სერია A-ში გამარჯვება იზეიმა. სხვათა შორის, იმავე ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში აშკარად გამოირჩეოდა ჯანლუიჯი, რომელმაც ფინალური შეხვედრაც უმაღლეს დონეზე ჩაატარა. სწორედ ამიტომ, ცოტა ხნის წინ მონაკოში უეფას მიერ მოწყობილ დაჯილდოების ცერემონიაზე ბუფონი 2002/03 წლების სეზონში ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო მეკარედ და ყველაზე სასარგებლო მოთამაშედ დაასახელეს.

როდესაც 2001 წელს ჯანლუიჯი ბუფონი „იუვენტუსში“ გადავიდა, იგი დიდი ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ მოექცა, რაც არც იყო გასაკვირი. ტურინულმა კლუბმა „პარმასგან“ გოლკიპერი 52 მილიონ ევროდ შეიძინა და ბუფონსაც ნდობა უნდა გაემართლებინა, რათა „იუვეს“ მესვეურებს ამხელა თანხა წყალში გადაყრილად არ ჩაეთვალათ.

„იუვენტუსში“ ჯანლუიჯი ბუფონმა მალე დაიმკვიდრა ადგილი და გუნდთან ერთად ზედიზედ ორჯერ მოიგო სკუდეტო. საგულისხმოა ისიც, რომ გასულ საფეხბურთო სეზონში, იტალიის ჩემპიონატში ასპარეზობისას ჩატარებულ 33 მატჩში, „ბებერი ქალბატონის“ კარში მხოლოდ მეტოქე გუნდებმა 26 გოლის გატანა შეძლეს, რაც ცხადია, „იუვეს“ მცველებთან ერთად, მეკარის დამსახურებაც გახლდათ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯანლუიჯიმ თავი გამოიჩინა ჩემპიონთა ლიგაშიც, რომლის ფინალური შეხვედრისას, პენალტების სერიაში ორჯერ შეძლო თერთმეტმეტრიანი დარტყმის მოგერიება, თუმცა ეს საკმარისი არ აღმოჩნდა იმისთვის, რომ მის გუნდს ევროპის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირის თასი დაესაკუთრებინა.

აღსანიშნავია ის, რომ ჯანლუიჯი ბუფონის ბაბუა, ლორენცოც ასევე ცნობილი მეკარე იყო და გასული საუკუნის 50-იან წლებში „მილანის“ ღირსებას იცავდა.

ჯანლუიჯის დებიუტი სერია A-ში 1995 წლის ნოემბერში შედგა, მაშინ ბუფონი 17 წლის იყო და „პარმას“ კარს სწორედ იმ „მილანთან“ მატჩში იცავდა, რომელმაც მანამდე, ერთი წლით ადრე, იტალიის ჩემპიონატსა და ჩემპიონთა ლიგაში გაიმარჯვა. მიუხედავად ამისა, ახალბედა მეკარემ შეხვედრა გოლის გაუშვებლად დაასრულა (0:0). ამის შემდეგ ჯანლუიჯიმ „პარმას“ ძირითადი მეკარის ადგილი დაისაკუთრა და იმ დროისთვის ერთ-ერთი საუკეთესო გოლკიპერი, ლუკა ბუჩი იმედგაცრუებული დატოვა.

„პარმაში“ ჯანლუიჯი ბუფონმა ექვსი წარმატებული სეზონი ჩაატარა. 1998/99 წლების სეზონში, უეფას თასის გათამაშების ფინალში, რომელსაც მოსკოვი მასპინძლობდა, „პარმამ“ „მარსელს“ სძლია და საპატიო ევროპულ საკლუბო ჯილდოს დაეუფლა. 1997 წლის ოქტომბერში კი, ასევე მოსკოვში გამართულ შეხვედრაში, ბუფონმა პირველად ითამაშა იტალიის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში. მაშინ იგი 19 წლის იყო. მას შემდეგ მეკარემ „სკუადრა აძურას“ რიგებში 38 მატჩი გამართა. თუმცა ტრავმის გამო გამოტოვა ევრო-2000.

2000 წელს ჯანლუიჯი ბუფონს 88-ნომრიანი მაისურით ასპარეზობის სურვილი გაუჩნდა, რის გამოც დიდი სკანდალი აგორდა. საქმე ის გახლდათ, რომ ეს რიცხვი იტალიაში ნეონაცისტების კუთვნილებად ითვლება, ამიტომ „პარმას“ გოლკიპერი იძულებული იყო, განზრახვაზე ხელი აეღო.

უეფას მიერ მოწყობილ დაჯილდოების ცერემონიაზე გოლკიპერმა განაცხადა: ჩემი ჯილდო მთელი „იუვენტუსის“ კუთვნილება და დამსახურებაა და ტურინული კლუბი მომავალში კიდევ უფრო გაძლიერებული წარდგება საფეხბურთო სამყაროს წინაშეო. სულ ცოტა ხნის წინ კი, „ბებერმა ქალბატონმა“ მინირევანში აუღო „მილანს“, „ოლდ ტრაფორდზე“ განცდილი მარცხისთვის. ნიუ-ჯერსიში გამართულ იტალიის სუპერთასის გათამაშებაში „იუვემ“ კახა კალაძის კლუბი პენალტების სერიაში დაამარცხა. ამ მატჩშიც ბუფონმა ბრწყინვალედ ითამაშა, რის გამოც ამერიკული გაზეთების ყურადღების ცენტრში მოექცა. „თუ სეზონისწინა მზადებას გავითვალისწინებთ, დავრწმუნდებით, რომ „იუვე“ ამჟამად უფრო ძლიერია, ვიდრე გასულ სეზონში, – ამბობს ჯანლუიჯი, – თუმცა ეს ჯერჯერობით არაფერს ნიშნავს. ვფიქრობ, როგორც მინიმუმი, ერთი თვე უნდა მოვიცადოთ და მხოლოდ ამის შემდეგ შევძლებთ ჩვენი გუნდის სიძლიერეზე დასკვნების გაკეთებას“.

„იუვეს“ გოლკიპერი მიესალმება თავის გუნდში ისეთი ახალი ფეხბურთელების ჩარიცხვას, როგორებიც ნიკოლა ლეგოროტალიე და სტეფან აპია არიან. „ისევე, როგორც „პერუჯადან“ დაბრუნებული ფაბრიციო მიკოლი, ისინიც ძალიან მალე შეერწყნენ გუნდს და მალევე დაამტკიცეს, რომ იმ აუცილებელი ტექნიკური და მორალური თვისებებით არიან დაჯილდოებულები, რომელიც „იუვენტუსის“ ძირითად შემადგენლობაში ადგილის დასამკვიდრებლადაა საჭირო“, – ამბობს ბუფონი, რომელსაც კარგად აქვს გაცნობიერებული ის, რომ 2003/04 წლების სეზონში უეფას ჩემპიონთა თასისთვის ბრძოლა კიდევ უფრო რთული და დაძაბული იქნება. „ჩემი აზრით, ყველა უძლიერესმა ევროპულმა გუნდმა შეინარჩუნა იგივე დონე, რომელზეც ერთი წლის წინ იმყოფებოდა, – აღნიშნავს ჯანლუიჯი, – ყოველი მათგანი კარგად არის დაბალანსებული. ამიტომ ისევე, როგორც ყოველთვის, ამჟამადაც ბრძოლის ბედს ძალიან პატარა, ძნელად შესამჩნევი ნიუანსი გადაწყვეტს“.

ჯანლუიჯი ბუფონს იმედი აქვს, რომ ჩემპიონთა ლიგის მომავალ სეზონში იტალიური კლუბები კვლავაც წარმატებულად იასპარეზებენ. „ცხადია, იტალიურ გუნდებს გასულ სეზონში მიღწეული წარმატების გამეორება ძალიან გაუძნელდებათ. ნახევარფინალში ხომ სამი იტალიური კლუბი თამაშობდა. ეს ბრწყინვალე რეზულტატია. მიუხედავად ამისა, მივიჩნევ, რომ სერია A-დან ნებისმიერ გრანდს შეუძლია ამ პრესტიჟულ ევროპულ ტურნირზე წარმატების მიღწევა“, – დასძენს „იუვენტუსის“ გოლკიპერი. ■

დონ დიეგომ კომენტატორობა დაიწყო

დიეგო მარადონამ კონტრაქტი გააფორმა იტალიურ ტელეარხ La 7-თან. არგენტინელი სუპერვარსკვლავი სერია A და B-ს მატჩებს გაუკეთებს კომენტირებას. დონ დიეგო ყოველკვირეულ პროგრამას გაუძღვება. აღნიშნულ თანამდებობაზე „ღვთის ხელით“ დაჯილდოებული ფეხბურთელის დანიშვნა იტალიელთათვის მოულოდნელი ნამდვილად არ ყოფილა. მარადონამ ხომ „ნაპოლისთან“ ერთად დიდ გამარჯვებებს მიაღწია.

ბორდელი საფეხბურთო გუნდს დაასპონსორებს

ვინ აღარ გვევლინება ბოლო წლებში, საფეხბურთო კლუბების სპონსორად?! დღეს სტადიონებზე განთავსებულ სპეციალურ დაფებზე პრეზერვატივის რეკლამირებაც კი, აღარავის უკვირს, თუმცა აღმოსავლეთ გერმანიაში მდებარე ქალაქ გალის ერთ-ერთი საროსკიპოს მეპატრონეთა მიერ გადადგმულმა ნაბიჯმა არაერთი ადგილობრივი საფეხბურთო ქომაგი ჩააგდო შოკში. საქმე ის არის, რომ მათ ქალაქის ქალთა საფეხბურთო გუნდის სპონსორობა ითავეს და მოთამაშეებს ფორმების რამდენიმე კომპლექტიც გადასცეს, რომელზეც თავიანთ დაწესებულებას უწევენ რეკლამირებას. კერძოდ, ორი ვარიაციის (წითელ და ნაცრისფერ) მაისურებზე წერია საროსკიპოს დევიზი: „ვიზიტი დახარჯულ ფულად ღირს“. კითხვაზე, – უხერხულ მდგომარეობაში ხომ არ აყენებს ფეხბურთელ გოგონებს ამგვარი „პროდუქციის“ რეკლამირება? – გუნდის მწვრთნელმა, ანდრეას დიტმანმა მოკლედ უპასუხა: „არავითარ შემთხვევაში!“

რონალდინიო – ნაკრებში?!

ქალთა გუნდ „რაიო ვალეკანოს“ ნახევარმცველი, მილენე დომინგესი, რომელიც ცნობილია, როგორც რონალდოს ყოფილი მეუღლე, ორიოდე დღის წინ, ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებში მიიწვიეს. ქალთა ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატს 24 სექტემბრიდან 11 ოქტომბრამდე აშშ უმასპინძლებს. როგორც ცნობილია, მილენეს ხშირად რონალდინიად მოიხსენიებენ, თუმცა ბრაზილიის ნაკრებში მხოლოდ ამჟამად მიიწვიეს. მის გარდა, მსოფლიო ჩემპიონატში ბრაზილიელთა გუნდის ღირსებას კიდევ სამი ლეგიონერი – როსელი, დანიელა და კატია სილენე – დაიცავს. სამივე მათგანი აშშ-ის კლუბებში თამაშობს. აქვე იმასაც გაცნობებთ, რომ მილენე დომინგესი ესპანურ ქალთა ფეხბურთში ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოთამაშეა. იგი თვეში 3 ათას ევროს გამოიმუშავებს, რაც მის პარტნიორებს არც კი დაესიზმრებათ. თუმცა ეს არც არის გასაკვირი – მათ ხომ „კიჭასთან“ არ გაუყვიათ სარეცელი.

დაგვიანებული რეისი მოსკოვი-თბილისი

რუსუდან ბერიძე

დასაწყისი იხ. „გზა“ №13-36

მომავალ ჟურნალისტს, დეა ავალიანს კანონიერი ქურდი გიგოლა თითქმის აიძულებს, მისი საყვარელი გახდეს. გიგოლა არაერთ ბნელ საქმეში, მათ შორის ნარკობიზნესშიც არის ჩაბმული. მისი წყალობით, სამართალდამცავები დეაზეც მიიტანენ ეჭვს. გიგოლა მას სასწრაფოდ მოსკოვში, თავის ძველ საყვარელთან, ელასთან გახიზნავს და მალე თავადაც ჩააკითხავს. თუმცა მანამდე, დეასა და ელას ვაჟს, დიმას ერთმანეთი მოეწონებათ და მათ დაახლოებას ელაც უწყობს ხელს.

გიგოლა მათ ურთიერთობას ეწინააღმდეგება, მაგრამ მოგვიანებით, რაღაც განზრახვით, მათ ფიქტიურ დაქორწინებას გადაწყვეტს. დეა და დიმა ამას ყველანაირად ეწინააღმდეგებიან, მაგრამ გიგოლა მათ დააშინებს: თუ მოვინდომე, „ნარკობარიგობას“ „აგკიდებთ“ და ციხეში ჩაგაყუდებენო...

საგონებელში ჩავარდნილი დეა მოულოდნელად შეიტყობს, რომ გიგოლასგან ფეხმძიმედაა და მისი გულის მოლბობის იმედი მიეცემა. მაგრამ გიგოლა მას კატეგორიულად მოსთხოვს ბავშვის მოცილებას. ამით თავზარდაცემულ და განერვიულებულ დეას მუცელი მოეშლება.

ამასობაში, გერმანიიდან მოსკოვში დეას ერთადერთი სიყვარული, ბიზნესმენი გურამ ოდიშელიძე ჩამოდის. დეა და გურამი ერთმანეთს შემთხვევით ხვდებიან. გურამთან განმარტოებული ქალი მოზღვავებულ გრძნობებს ვერ გაუმკლავდება და სასურველ მამაკაცს თითქმის უდრტვინველად დანებდება. გურამი კი, თავის მხრივ, მტკიცედ შეჰპირდება — მოსკოვში მეორედ ჩამოსვლისას, გიგოლას შეეხვდები და ჩვენს ამბავს საბოლოოდ გავარკვევო.

რამდენიმე დღეში, დეასა და დიმას ფიქტიური ქორწინებაც გაფორმდება. გვიან ღამით კი, ელას სახლში, გიგოლას სტუმრები ეწვევიან. ერთერთი მათგანი, დეას ძმა — თემოა, რომელიც ციხიდან გამოსულა...

და-ძმას ცოტა ხნით, განმარტოებით დატოვებენ, მაგრამ გიგოლას თქმით, ის და თემო გადაუდებელ საქმეზე არიან წასასვლელები. დეასთან მარტოდ დარჩენილი გიგოლა, რომელიც ბოლო დროს, ყველას გამუდმებით უღრენს, დეას აცნობებს, რომ ინფორმირებულია გურამთან მისი შეხვედრის შესახებ და იმასაც დასძენს — ამ კაცის იმედი ტყუილად ნუ გექნებაო... მისივე განკარგულებით, დეა და დიმა თბილისში გასამგზავრებლად ემზადებიან, რათა მოსკოვის უნივერსიტეტში დეას გადაყვანის საბუთები მოამზადონ.

მეორე დილით, გიგოლას მაგივრად, დეას რატომღაც, ბადრი პატარიძემ მიაკითხა. მას კარი ელამ გაუღო და გაოცებულმა სადარბაზოში მიმოიხედა:

— კი, მაგრამ გიგი სადღაა? — ჰკითხა მან ბადრის.

— გიგის მოსკოვიდან სასწრაფოდ წასვლა მოუხდა და ბავშვების გაცილება მე მთხოვა, — მხიარულად უპასუხა ბადრიმ და თან ჰოლში გამოსულ დეას მუშტრის თვალი შეაკვლო: — როგორა ხარ, ძვირფასო?.. მშვენდები და მშვენდები, ხომ?..

დაბნეულ დეას პასუხის გაცემა ელამ დაასწრო:

— მტრების ჯინაზე, ჩემო ბადრი, მტრების ჯინაზე!

— ამისთანა ანგელოზსაც რომ მტრები ეყოლება, ჩემო ელა, დანარჩენებმა რაღა უნდა ვთქვათ?

— აბა, აბა! — კვერი დაუკრა ელამაც. — მართლა — რა მითხარი, გიგი სად წავიდაო?

— სად წავიდა, არ ვიცი, მაგრამ მოსკოვში რომ ერთი-ორი კვირა არ იქნება, ეს კი ნაღდია, — უპასუხა ბადრიმ.

— მეც გკითხე, რა!.. — ხელი ჩაიქნია ელამ. — როდის იყო, გიგოლა ვინმეს უბარებდა, სად და რატომ მიდიოდა?!

— მეც სწორედ მანდა ვარ! — ახლა ბადრი დაეთანხმა ელას. — ისე, არც გაემტყუნება — ხომ იცი, რამდენი მტერი ჰყავს?..

— მერე ვისი ბრალია? — გაღიზიანდა ელა. — იქნებ, ეგეც სხვას დააბრალოს?!. აცალოს ადამიანებს მშვიდი ცხოვრება და ისინიც აღარ უმტრობენ...

— არ გეწყინოს, მაგრამ ეს კი უკვე წმინდა წყლის რიტორიკაა, ჩემო ელიჩკა, და სხვა არაფერი... — მლიქვნელური ღიმილი დაეფინა სახეზე ბადრის. — გიგოლამ თავის მტრებს თითო მილიონიც რომ ჩამოურიგოს, მაინც უმტრობენ — შენ მეტი რატომ დაგრჩაო?.. ასეა ადამიანის ტვინი მოწყობილი და რას იზამ?..

— ვერაფერსაც ვერ ვიზამ! — ამოიოხრა ელამ და დეას მიუბრუნდა: — მზადა ხარ, ბავშვო?

— კი, მზადა ვარ... — მშვიდად მიუგო დეამ.

— აბა, კეთილი მგზავრობა, — მაშინვე გადაეხვია ელა, — დიმას მიმიხედე, შენს იმედად ვუშვებ, იცოდე...

ბადრი პატარიძემ ჩემოდანი საბარგულში ჩადო, მანქანაში ჩაჯდა და გვერდით მდგარ დეას წინა კარი შიგნიდან გაუღო:

— დაჯექი, ჩემო გოგონი...

დეამ ის იყო, ჩაჯდომა დააპირა, რომ სავარძელში უდიერად მიყრილ-მოყრილი რამდენიმე საქაღალდე დაინახა და მაშინვე უკან დაიხია:

— აქ რაღაც დოკუმენტები აწყვია... მე უკან ჩავჯდები...

— მოიცა, ახლავე! — ბადრიმ საქაღალდეები სწრაფად წამოკრიფა და უკანა სავარძელზე ხელუკუღმა ისროლა. — აქ დაჯექი, ჩემ გვერდით... დოკუმენტების დედა არ ვატირე?! შენისთანა ქალი ყველა დოკუმენტს, ერთად აღებულს სჯობს!

ბადრის სიტყვები დეას არ ესიამოვნა, მაგრამ თავპატიჟი მაინც აღარ გამოუდ-

ვია და მის გვერდით უსიტყვოდ დაჯდა. ცოტა ხანს, სალონში უხერხული სიჩუმე ჩამოწვა, მაგრამ როგორც კი ელას სახლს გასცდნენ და ცენტრალურ ქუჩაზე გავიდნენ, ბადრიც მაშინვე ენად გაიკრიფა და დეას კომპლიმენტი კომპლიმენტზე დააყარა.

— ბატონო ბადრი, — მოთმინების ფიალა სწრაფად აევსო დეას, — იქნებ, ჩემი სილამაზის გარდა, სხვა რამეზეც გველაპარაკა?!.

ეშხში შესულმა ბადრიმ, დეას ერთი გაკვირვებით გადახედა, მაგრამ მაინც არ დაიბნა და სასწრაფოდ ჩაურუსულა:

— То есть, по существу, ხომ?

— დიახ, დიახ... — დაეთანხმა დეა.

— Ладно!.. по существу, так по существу!.. — ისევ დაიწყო ბადრიმ. — მომისმინე, ძვირფასო, ალბათ დამეთანხმები, რომ შენთვის მარტო კარგი მინდა...

— დიახ, ბატონო ბადრი... უფრო ზუსტად, ძალიან მინდა, მჯეროდეს, რომ ეს მართლაც ასეა.

— ასეა, ჩემო კარგო, ნამდვილად ასეა, თორემ, სხვა შემთხვევაში, იმას, რაც ახლა უნდა გითხრა, ნამდვილად არ გეტყოდი.

— მაშინ, მართლაც, მთელი გულისყურით გისმენთ.

ბადრის არ ეპიტნავა დეას ირონიანარევი სიტყვები, მაგრამ გარეგნულად არაფერი შეიმჩნია და ისევ მშვიდად განაგრძო:

— ახალგაზრდა ქალი ხარ, ჩემო კარგო, სიცოცხლით სავსე... ჭკუა არ გაკლია და გარეგნობა... თანაც, კაცის ხელიც როგორ მოგიხდა?!. როგორ დამშვენდი?!.

— ბატონო ბადრი, ისევ დაიწყეთ? — გააწყვეტინა დეამ. — ხომ შევთანხმდით!..

— ჰოდა, იმას გეუბნეოდი... — მაშინვე ახალ ტალღაზე გადაერთო ბადრი. — ჭკვიანი გოგო ხარ-მეთქი და ამ ბოლო დროს ასე უჭკუოდ რატომ იქცევი, ნამდვილად ვერ მივმხდარვარ...

— კონკრეტულად რას გულისხმობთ? — გააწყვეტინა დეამ.

— რას კი არა — ვის! — დაუზუსტა ბადრიმ. — ერთი მითხარი, ან ეს ცხვირმოუხოცავი დიმა რაში გჭირდება, ან თუნდაც, ვითომ ბიზნესმენი გურამ ოდიშელიძე?..

— რას ჰქვია, ვითომ ბიზნესმენი? — იტკიცა დეამ. — თქვენ და გიგოლამ ამ კაცის წინააღმდეგ მართლა პირი ხომ არ შეკარით?

— რა არის, იცი, ჩემო გოგონი?.. — თვალები მოჭუტა და გზას ისე გახედა ბადრიმ. — გურამი ჩემი ძმაკაცის ფირმაში მუშაობს...

— ვიცი... — გააწყვეტინა დეამ. — თქვენს ძმაკაცს რაღაც ებრაული გვარი აქვს... გიგოლამ მითხრა...

— ჰო, ბრინერია გვარად... ჰოდა, იმას გეუბნებოდი, რომ ილია ბრინერი იმის ჩიტი არ არის, ვინმეს ხეზე ასვლა ასწავლოს... შენმა გურამმა მასთან სიცოცხლის ბოლომდეც რომ იმუშაოს, თავის რეალურ ბიზნესში მაინც არ ჩაახედებს და არც ფულს გააკეთებინებს.

— კი, მაგრამ რატომ? — გულუბრყვილოდ იკითხა დეამ.

— იმიტომ, რომ არავის ენდობა.

— თუ არ ენდობა, მოსკოვში როგორღა გამოუშვა?

— სხვა გზა არ ჰქონდა და იმიტომ... ერთი თვის წინ, ილია თვითონ ჩამოვიდა მოსკოვში და კინაღამ აეროპორტშივე გასკვანჩეს... გურამ ოდიშელიძეს კი, ან აქ, ან სხვაგან ვინ იცნობს?!.

— გამოდის, რომ რაღაც-რაღაც საქმეებს გურამს მაინც ანდობს, — წყალწაღებულივით ხავსს ჩაეჭიდა დეა.

— დეა, ჩემო კარგო, დამიჯერე, რა — მაგ კაცის გულისთვის არ ღირს გიგოლას გადამტერება... შენ გიგოლას ჯერ კარგად არ იცნობ. მაგან რომ შენი და გურამის ამბავი ყურმოკვრით მაინც იცოდეს...

— არ ვიცი, რა ამბავს გულისხმობთ?.. — თავი შორს დაიჭირა დეამ.

— სასტუმრო „რასიაში“ რომ სექსი გქონდათ, იმას! — პირდაპირ მიახალა ბადრიმ.

ამ სიტყვების გაგონებაზე, დეას სახეზე ალმური მოედო. ბადრიმ კი, ვითომც აქ არაფერიაო, ისევ მშვიდად განაგრძო:

— ...მაგრამ მოდი, ნულარ დავწვრილმანდებით, რაც იყო, იყო... ჩავთვალოთ, რომ ყველაფერი ახალგაზრდობით და გამოუცდელობით მოგვივიდათ...

— მოგვივიდა? — ჩაეკითხა დეა.

— ჰო, გურამსაც ვგულისხმობ... კიდევ კარგი, რომ დამიჯერა და გიგოლას არაფერი უთხრა...

— როგორ?! — ხმა თითქმის ჩაუწყდა დეას. — გურამი გიგოლასთვის ამის მოყოლასაც აპირებდა?

— ნამდვილად აპირებდა, მაგრამ ისე კი არ გაიგო, რომ ამით თავის მოწონება უნდოდა... — შეპარვით განაგრძო ბადრიმ. — უბრალოდ, ეგონა — გიგოლას რომ ვეტყვი, მე და დეას სიახლოვე გვქონდაო, ორივეს თავს დაგვანებებსო... ეჰ, ჩემო კარგო, გიგოლა საშინელი კაცია! ეს ამბავი რომ შეეტყო, როგორც თვითონ უყვარს ხოლმე თქმა, გურამის „შნუროკებსაც“ კი ვეღარავინ იპოვიდა... აი, შენ კი... იმის გაფიქრებაც კი არ მინდა, შენ რა დღეში ჩაგაგდებდა... ასე რომ, მადლობა ღმერთს, რომ ყველაფერი ასე იოლად მოგვარდა!

ამის შემდეგ, სალონში კარგა ხანს, უხერხული სიჩუმე ჩამოწვა. ბოლოს დეამ ძალა მაინც მოიკრიბა და დაიწყო:

— ბატონო ბადრი, რამდენიც არ უნდა მიმტკიცოთ, მაინც არ დავიჯერებ, რომ თქვენ ჩემი და გურამის ან თუნდაც, გიგოლას ბედი ასე ძალიან გაწუხებთ...

— გულახდილად გეტყვი, — გააწყვეტინა ბადრიმ, — ერთი გარემოება რომ არა, თქვენი ამბავი საერთოდაც არ შემაწუხებდა... მე, ჩემო გოგონი, პირველ რიგში, ჩემი ბიზნესის დარდი მაქვს... ილიას დახმარებით მსხვილ გერმანულ ფირმაზე ვარ გასული, უზარმაზარ დოკუმენტების პაკეტზე მაქვს ხელი მოწერილი და ნამდვილად არ მინდა, უკვე საათივით აწყობილი საქმე გიგოლასა და შენი გურამის რქების ჯახანს გადავაყოლო, გასაგებია? — საჭეს კოტიტა ხელები მოუტყაპუნა ბადრიმ და შემდეგ, ალმაცერად გადახედა დეას.

— გამოდის, რომ მეც... — ენა დაება, ბადრი პატარიძის ასეთი გულახდილობით დაბნეულ დეას.

— აი, შენზე კი... — გააწყვეტინა ბადრიმ. — როგორც რუსები იტყვიან, у меня совсем другие виды...

— И какие же? — ძლივსღა ამოღერღა დეამ.

— ახლა ამაზე ლაპარაკი ძალიან ადრეა, — მშვიდად მიუგო ბადრიმ, — მაგრამ მოვა დრო და ყველაფერს გაიგებ...

— დიდხანს უნდა გელოდოთ?

— მანამ, სანამ გიგოლასთან იქნები...

— მაშინ გამოდის, რომ თქვენი გულის ხვაშიადი სამუდამოდ გულში უნდა ჩაიკლათ, ბატონო ბადრი, — უცბად ხმაში აშკარა ირონია გამოურია დეამ, — წელან ხომ ლამის ხატზე დამაფიცეთ, გიგოლას მეტად აღარ უღალატოო...

— არც უნდა უღალატო, — კვერი დაუკრა ბადრიმ. — მაგრამ ნურც ის დაგავიწყდება, რომ გიგოლას ბევრი მტერი ჰყავს და დღეს თუ არა, ხვალ ნაღდად გაგაგორებენ და ეგეც რომ არ იყოს, ცას ხომ არ გამოეკერება?.. ბოლოს და ბოლოს, თითქმის ორი შენი ხნისაა... ასე რომ, ჩემო გოგონი, შენ გიგოლას მერე ერთხელ ცხოვრებას კიდევ მოასწრებ...

— და თქვენ გჯერათ, რომ იმ მეორე ცხოვრებას აუცილებლად თქვენ გვერდით გავატარებ? — თვალი გააყოლა დეამ ბადრის პუტკუნა ლოყებს...

— იმედი მაქვს... — სიმშვიდე ბოლომდე შეინარჩუნა ბადრიმ.

ამასობაში, ვნუკოვოს აეროპორტიც გამოჩნდა. ბადრიმ ცენტრალური გზიდან გადაუხვია, რამდენიმე წუთში მანქანა აეროპორტის ცენტრალურ შესასვლელთან გაჩერა და დეასკენ მთელი ტანით მიბრუნდა:

— ჰო, მართლა, იმედზე გამახსენდა, — დასძინა მან ბოლოს. — იმედია, ეს ყველაფერი ჩვენ შორის დარჩება...

— უსათუოდ, ბატონო ბადრი, თორემ, ხომ შეიძლება, თქვენი „შნუროკებიც“ ვეღარ იპოვონ?!. — საოცრად მშვიდად უპასუხა დეამ და მანქანიდან ტანის მოხდენილი რხევით გადავიდა...

როგორც კი თვითმფრინავის ილუმინატორიდან თბილისის კონტურები გამოჩნდა, დეას აღელვებისგან გული ყელში მოებჯინა და გვერდით სავარძელში მშვიდად მფშვინავ დიმას ხელი მსუბუქად წაჰკრა:

— ჩქარა, გაიღვიძე, თბილისი გამოჩნდა!

დიმამ ჯერ უკმაყოფილოდ შეჭმუხნა შუბლი, მერე, როგორც იქნა, თვალი გაახილა და, ილუმინატორზე პატარა ბავშვივით ცხვირპირმიჭყლეტილ დეას გაკვირვებით გადახედა:

— რა მოხდა?.. ასეთი რა დაინახე?..

— თბილისი გამოჩნდა-მეთქი...

— ა-ა... მეც არა ვთქვი, რა მოხდა-მეთქი?.. — დიმამ ილუმინატორში ერთი უგულოდ გაიხედა, მერე ისევ სავარძლის საზურგეს მიესვენა და, ცოტა ხანში, ფშვინვაც ძველებურად ამოუშვა...

აეროპორტში ახალგაზრდებს კაკო და ლონდა დახვდნენ. კაკო აქეთ-იქით ფეთიანივით აცეცებდა თვალებს და გასაღებების ასხმულას ხელში ნერვიულად ატრიალებდა. საგანგებოდ მორთულ-მოკაზმულ ლონდას კი, დეას დანახვაზე ტირილი აუვარდა და სახეზე საღებავი ისე სასაცილოდ ჩამოეთხაპნა, რომ დეამ ძლივსღა შეიკავა სიცილი და ლონდას რომ არ შეემჩნია, თავი მაშინვე მის გაშლილ მკლავებს შეაფარა.

— რომ იცოდე, შე გიჟო, როგორ მომენატრე! — განაგრძობდა ქვითინს ლონდა და თან დეას ისე იხუტებდა გულში, რომ ბოლოს, ამ უკანასკნელსაც თვალები აუწყლიანდა.

ქალების ვიშვიშით გაღიზიანებული კაკო ადგილს ვერ პოულობდა. დიმა კი, მთელ ამ სანახაობას ცოტა არ იყოს, შემცბარი აკვირდებოდა...

აეროპორტიდან დეას სახლამდე, ლონდას ენა წამითაც არ გაუჩერებია და ყველა საჭირო თუ სრულიად უსარგებლო ინფორმაციაც სულ დაწვრილებით გადმოულაგა დეას.

— იცი, ჩვენი მეზობლები რა დღეში არიან? — გვერდში ხელი შინაურულად ატაკა ლონდამ ფიქრებში წასულ დეას.

— მეზობლები?.. — შეცბა დეა.

— ჰო, შენი ამბავი რომ გაიგეს, კინაღამ გარეკეს, ისე გაუხარდათ. ტასო დეიდას ამბავი ხომ იცი! — ჩვენი ეზოს ქალები მაშინვე „სმირნაზე“ დააყენა და ახლა, ალბათ შუაგულ სამზადისში არიან: ჩვენს დეას და მის ქმარს ერთი კარგი პური უნდა ვაჭამოთო...

— რად გინდოდა?.. — შეწუხდა დეა.

— რა რად მინდოდა, გოგო, აბა, არ უნდა მეთქვა?.. ხომ არ გადაირიე?! რაც შენ წახვედი, თავი წამჭამეს — სად წავიდა, რატომ და ვისთანო — და ამას დავუმალავდი?!.

— არა, დამალვით როგორ დაუმალავდი, მაგრამ... მაინც ვჯობდა, რომ მნახავდნენ, მერე გაეგოთ ყველაფერი...

— კარგი ერთი, რა, დეიკო, ნუ ახურებ... — უკან მაინც არ დაიხია ლონდამ. — რა მნიშვნელობა აქვს, ერთი საათით ადრე გაიგებდნენ თუ გვიან?! ახლა რომ მივალთ, სუფრა გაშლილი დაგვხვდება და პირდაპირ შევუბერავთ...

— არა, არა, შენ არ იცვლები... — ხელი ჩაიქნია დეამ.

— რატომ უნდა შევიცვალო?.. ასე, რა, ცუდი გოგო ვარ?! — გადაიკისკისა ლონდამ და ახლა დიმას მიუბრუნდა: — სიძე, შენ რაღას გაჩუმებულხარ? თქვი რამე...

— მორჩი ბაზარს! — შეუღრინა ლონდას კაკომ. — არა, ძმაო, მაინც რა ოფსილა აქვს?.. — გადაულაპარაკა შემდეგ მან დიმას. — ბოზიშვილი ვიყო, რადიოსავითაა: თუ არ გამორთე, არ გაჩუმდება!..

ამასობაში დეას სახლიც გამოჩნდა. მთელი სამეზობლო ეზოში იყო გამოფენილი. როგორც კი დეამ და დიმამ ჭიშკარში ფეხი შედგეს, მაშინვე ყველა მათ დაესია და ხვევნა-კოცნასა და მილოცვებს ბოლო არ უჩანდა... მოგვიანებით, დეამ მეზობლის კაცებს შეატოვა დიმა და თავად სახლში შევიდა. ლონდაც მაშინვე უკან მიჰყვა:

— ნამდვილად ვერაფერს მისაყვედურებ, დეიკო, სახლი სარკესავით გაპრიალებული დაგახვედრე. მართლა, მართლა! იცი, ყველაფერს როგორ ვუფრთხილდებოდი?..

— ვიცი, ჩემო ლონდა, — ხელი მეგობრულად ჩასჭიდა დეამ ლონდას, სასტუმრო ოთახს კმაყოფილმა მოავლო თვალი და წამით ისიც კი მოეჩვენა, რომ ამ სახლის კარი მხოლოდ გუშინ გაიხურა: ოთახში ყველა ნივთი, წვრილმანებიც კი, თავ-თავის უწინდელ ადგილზე იდგა ან იდო და სისუფთავისგან მართლა კრიალებდა...

დეა ელენეს საძინებლის კარს მიუახლოვდა და კარი ფრთხილად შეაღო.

— მანდ მარტო შედი, მე ხელს აღარ შეგიშლი, — უთხრა ლონდამ და დეა მარტო დატოვა.

დეა საძინებლის კარს ფრთხილად მიაწვა. კარი უსიამოდ გაჭრიალდა და მერეღა გაიღო. ოთახში შესულს, კედელზე დაკიდებული სურათიდან ელენემ შემოსცინა.

— გამარჯობა, დედიკო. აი, დაგიბრუნდა შენი სულელი შვილი... — ერთი ამოისლუკუნა დეამ, შემდეგ, ელენეს საწოლზე დაემხო და გულამოსკვნილი ატირდა...

ცოტა ხანში, დეას, მეზობლებისგან თავდაღწეულმა დიმამ შემოაკითხა. ქალი საწოლზე იწვა და ჭერზე ერთ ადგილს მიშტერებოდა.

— ერთი ამას დამიხედეთ!.. მე უცხო ხალხს შემატოვა და თვითონ აქ არ ნებივრობს?! — აბუზღუნდა დიმა, მაგრამ უცბად, ელენეს სურათს მოჰკრა თვალი და დადუმდა.

დეა მაშინვე წამოჯდა, საწოლის კიდეს ხელისგულებით დაეყრდნო და თავი ჩაქინდრა:

— მაპატიე... დედაჩემის სურათი რომ დავინახე, თავი ვეღარ შევიკავე... გადი და მეც ახლავე გამოვალ...

— ძალიან ლამაზი დედა გყოლია... — ელენეს სურათს თვალი ვეღარ მოაცილა დიმამ.

— კი, ძალიან... — ნერწყვი ძლივსღა გადაყლაპა დეამ. — ძალიან ლამაზი და... ძალიან უბედური...

— უბედური?

— ჰო, — ისევ გული ამოუჯდა დეას და მოსაფერებლად დახრილ დიმას თავადაც გულში ჩაეკრა.

— კარგი, კარგი — დამშვიდდი, — თავზე ხელი ალერსით გადაუსვა დიმამ, — წამო, მეზობლებს უკვე ყველაფერი მზად აქვთ და შენთან გამომგზავნეს — სუფრა ეზოში გავშალოთო თუ?..

— არა, ეზოში არა! — იუარა დეამ. — მართლა ყველას დასანახად ხომ არ გამოვეფინებით!.. რაკი აღარ იშლიან, შინ გავშალოთ...

მეზობლები გვიან დაიშალნენ. ლონდამ კარგა გვარიანად გამობრუჟული კაკო მეორე სართულზე ძლივს აიყვანა და თავისი ოთახის კარი ხმაურით მიხურა. მარტოდ დარჩენილი დეა და დიმა სუფრასთან ერთხ-

ანს უსიტყვოდ ისხდნენ. შემდეგ დეა ნელ-ნელა წამოდგა:

— ლოგინს ჩემს საძინებელში გაგიშ-ლი...

— მერე შენ? — თვალები ეშმაკურად მოჭუტა შეზარხოშებულმა დიმამ.

— მე დედაჩემის საწოლი მელოდება... — თავისთვის ჩაილაპარაკა მის წინ მდგარმა, თავდახრილმა დეამ.

დიმამ დეას ნიკაპში ხელი ამოსდო, თავი ძალად ააწევინა და თვალებში ჩახედა:

— იქნებ, მართლაც...

— არავითარი მართლაც!.. — გააწყვეტ-ინა დეამ და განზე გაიხედა. — წამო, შენს საწოლს გაჩვენებ...

— წამო, მაჩვენე! — მაშინვე ბავშვივით დაემორჩილა დიმა...

ელენეს საძინებელში განმარტოებულ დეას ძილი გაუტყდა, კარგა ხანს საწოლში ნერვ-იულად იტრიალა და ბოლოს ფეხზე წა-მოდგა.

— დეა, — მოისმა უცბად კარს იქით დიმას მავედრებელი ხმა.

დეამ ღამის პერანგზე სასწრაფოდ ხა-ლათი გადაიცვა, კარი გამოაღო და ზღურ-ბლთან ატუზული დიმა ბრაზიანად შეათვა-ლიერა.

— რა გინდა?

— არ მეძინება, — დამნაშავესავით ჩაილ-აპარაკა დიმამ.

— ცოტა ხმადაბლა, — გააწყვეტინა დეამ, — თორემ ყველას გააღვიძებ.

— ცოტა ხანს, შენთან შემოვალ, რა...

— კარგი, შემოდი, — განზე გადგა დეა.

დიმა მორიდებით შევიდა ოთახში:

— შენ რატომღა არ გძინავს? — ჰკითხა მან დეას.

— რა ვიცი, აბა... — ლოგინზე წამოჯდა დეა და თავი ხელებში ჩარგო. — იცი, როგორ დავიღალე?!.

— მეც, — მაშინვე გვერდით მიუჯდა დიმა. — ჩემს ცხოვრებაში ამდენი ტყუილი ერთად არ მითქვამს... ხანდახან მეშინია, მოთმინების ძაფი არ გამიწყდეს და ყველას ყველაფერი არ გადმოვულაგო...

— არა, არა... — შეშფოთდა დეა, მხარზე ხელი მორიდებით შეახო. — ცოტაც მოით-მინე. უნივერსიტეტში მივალ, ჩემი სწავლის ამბებს გავარკვევ, მერე მოვკიდოთ საბუთებს ხელი, ჩავსხდეთ თვითმფრინავში და მთელი ეს სისულელე, ჩემთვის თუ არა, შენთვის მაინც ნამდვილად დამთავრდება...

— შენ მართლა ეგრე მარტივად გგონია ყველაფერი?

— აბა, რა!..

— შენი არ ვიცი, მაგრამ მე ალბათ თბილისში ერთი-ორი თვე მაინც მომიწევს დარჩენა.

— ორი თვე? — გაუკვირდა დეას. — ორი თვე რა ამბავია?!.

— გიგოლამ ასე მიბრძანა.

— ა-ა... — უცნაურად გაწელა დეამ. — გიგოლამ?.. აი, მაგის არსებობა კი, მგონი, საერთოდაც დამავიწყდა... ესეც თბილისში ყოფნის პირველი დადებითი შედეგი!

— სულ ტყუილად გიხარია. ეგ ახვარი თავს არ დაგვავიწყებს! მიკვირს, დღესვე რომ არ დარეკა და რამე ახალი დირექ-ტივის შესრულება არ დაგვავალა... მაგრამ ისეთი ჯიბიდან გავარდნილია, რაღაც უარე-სი აქვს ჩაფიქრებული... ისიც კი არ გამიკვირდება, ამ შუაღამისას კარზე რომ მოგვადგეს...

ამ სიტყვის თქმა იყო და შემოსასვლელ კარზე ისეთი ბრაგაბრუგი ატყდა, რომ დაფეთ-ებული დეა, დიმას მაშინვე გულში ჩაეკრა და თავი პატარა ბავშვივით ჩამალა:

— მგონი, მართლა მოვიდა...

— გავალ ერთი, გავხედავ, მართლა ვინ მოგვადგა ამ შუაღამისას... — კარისკენ გაი-წია დიმამ.

— არა! კაკოსთან იქნებიან და თვითონ გაუღებს, — არ გაუშვა დეამ.

— კაკო რისი გამღებია?! ვერ ნახე, ლონ-დამ წეღან კიბეზე ძლივს რომ „აიტანა“?!

— დარდი ნუ გაქვს! მაგისთანები ერთ წამში ფხიზლდებიან, — უცბად, რატომღაც ნერვიულ ჩურჩულზე გადავიდა დეა.

კარზე ბრაგუნი ისევ გამეორდა და მალე კიბეზე, აბუზღუნებული კაკოს ფეხის ხმაც გაისმა:

— ახლავე, ჰო, რა შეყარეთ ქვეყანა?!

კაკომ კარი გააღო, მაგრამ მოსულები ზღურბლთანვე შეაჩერა, შემდეგ თვითონაც ეზოში გავიდა და კარი მჭიდროდ მიიხუ-რა.

— ხომ გითხარი, კაკოს ამფსონები მოა-კითხავდნენ-მეთქი... — ისევ აჩურჩულდა დეა. ეტყობა, რაღაც ბნელი საქმის გასაკეთ-ებლად წაიყვანეს...

— ისე, სულ მინდოდა მეკითხა, — ჩურ-ჩულზე გადავიდა დიმაც, — ეს კაკო და ლონდა ვინღა ეშმაკები არიან? ან შენს სახლში რატომ ცხოვრობენ?..

— რა არის, იცი?.. — ამოიოხრა დეამ. — ეს ძალიან გრძელი საუბრის თემაა და მაგის ხასიათზე ნამდვილად არა ვარ, ამიტ-ომ, მოდი, სხვა დროისთვის გადავდოთ, კარ-გი?

— როგორც შენ იტყვი... — თავზე ხელი ნაზად გადაუსვა დიმამ. — აბა, ახლა რის ხასიათზე ხარ?

— ძილის, — მშვიდად მიუგო დეამ.

— ძილი კარგია... ისევ მარტო აპირებ, თუ?..

— მარტო! — მტკიცედ უპასუხა დეამ და თვალი თვალში გაუყარა...

როგორც კი დიმა ოთახიდან გავიდა, დეა მაშინვე დაწვა და მკვდარივით ჩაეძინა, გამთენიისას კი უცნაური სიზმარი ნახა.

ვითომ დიმას ცოლად მართლა მიჰყვე-ბოდა, მაგრამ ეს ამბავი სულ არ ახარებდა. დიდად ბედნიერი არც დიმა ჩანდა, თუმცა, მაინც არაფერს იმჩნევდა და დეას გვერდით მორჩილად იდგა...

გიგოლას დაჟინებული თხოვნით, ჯვარს მოსკოვის ქართულ ეკლესიაში იწერდნენ, თანაც, დიმას მეჯვარეებად რატომღაც, გიგ-ოლა და გურამი ჰყავდა, დეას კი — ელა და ლონდა...

ნეტავ, ეს ორ-ორი მეჯვარეც რაღად გვინდოდაო?! — ფიქრობდა დეა და თან, ახალგაზრდა მღვდელს, წამითაც არ აშორებდა თვალს. მღვდელი კი, პირიქით, რატომღაც, ჯიუტად არიდებდა დეას თვალს, და თან, ჯვრისწერის ცერემონიალის დასრულებას ყველანაირად ჩქარობდა... დეა თავდახრილ მღვდელს მაინც უტიფრად ჩაშტერებოდა და როცა მან წამით თავი მაინც ასწია, დეამ მის თვალებში უძირო სევდა დაინახა...

ამასობაში, ჯვრისწერაც დასრულდა, მღვდელი ახალჯვარდაწერილებს სასწრაფოდ გაერიდა და ის იყო, დეასა და დიმასაც ეკლესია უნდა დაეტოვებინათ, რომ დეას, გიგოლა მიუახლოვდა, მხარში ხელი უჭვეუ-ლოდ ნაზად მოჰკიდა, თავისკენ შეაბრუნა და თითზე ულამაზესი, ფირუზისთვლიანი ბეჭედი წამოაცვა.

— ეს რა არის? — გაკვირვებით დახედა დეამ ბეჭედს.

— დედაშენმა გამოგიგზავნა... — მშვიდად უპასუხა გიგოლამ.

— კი, მაგრამ დედაჩემი სად ნახე?!. — გაოგნდა დეა.

— როგორ თუ სად? არ იცი, სადაც არის? — კითხვა აქეთ შეუბრუნა გიგოლამ და მაშინვე ზურგი აქცია...

დეამ დამფრთხალმა გამოიღვიძა და ირგვლივ შიშით მიმოიხედა... ოთახს მაგი-დის ნათურის მქრქალი შუქი ძლივს შესა-მჩნევად ეფინებოდა... ცოტა ხანს, დეა გაუნ-ძრევლად იწვა, შემდეგ, თითქოს რაღაცამ თავში დაჰკრაო, ფეთიანივით წამოხტა, კარა-დის კარი გამოაღო, იქვე მდგარი სკამი მიიდგა და სულ ზედა თაროზე, საგულ-დაგულოდ დაწყობილი, ქათქათა თეთრეუ-ლი ერთი ხელის მოსმით გადმოყარა იატაკზე. შემდეგ, ყელზე შებმული, პაწაწინა ოქროს გასაღები ხელის კანკალით შეიხსნა და სამალავის კარს მოარგო. კარი უხმაუროდ გაიღო და დეამაც მაშინვე შვებით ამოისუნთქა: დედის დანატოვარი საგვარეულო სამკაულები ადგილზე დახვდა. მართალია, ზუსტად აღარც კი ახსოვდა, რა და რამდენი იყო, მაგრამ სიზმარში ნანახი, ფირუზისთვლიანი ბეჭედი უმალ იცნო და ანგარიშმიუცემლად, მარ-ჯვენა ხელის არათითზე წამოიცვა; დანარ-ჩენი ძვირფასეულობა კი, ისევ სამალავში შეაბრუნა, შემდეგ, იატაკზე მიმოფანტული თეთრეულიც საგანგებოდ დაკეცა და თაროზე ფაქიზად დააწყო...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

სოფია კოპოლამ და მილ მიურეიმ ვენეციის ფესტივალზე ყვავილა დაჩრდილეს

მცირებიუჯეტიანმა რომანტიკულმა კომედიამ – „თარგმანის სირთულეები", რომელიც ლეგენდარული ფრენსის ფორდ კოპოლას ქალიშვილმა, სოფიამ გადაიღო, მთავარ როლს კი ბილი მიურეი ასრულებს, ფურორი მოახდინა ვენეციის ფესტივალზე.

სურათმა ერთნაირად მოაჯადოვა როგორც კრიტიკოსები, ისე მაყურებელი. ფილმში გადმოცემულია ორი ადამიანის სასიყვარულო ამბავი, რომელიც შემთხვევით რამდენჯერმე ხვდება ერთმანეთს იაპონიაში. მათი დიალოგები მელანქოლიური რეპლიკებისგან შედგება. მიურეის გმირი საქმიანი ვიზიტით ჩადის იაპონიაში, ხოლო მისი პარტნიორი შარლოტა, რომელსაც მსახიობი სკარლეტ იოჰანსონი ასახიერებს, ფოტოგრაფ ქმართან ერთად ტოკიოში იმყოფება. წყვილის შემთხვევითი შეხვედრები მოულოდ-

ნელად რომანში გადაიზრდება, რომელსაც მიურეის შეუდარებელი იუმორი განსაკუთრებულ ხიბლს სძენს.

როგორც რეჟისორი აღნიშნავს, სცენარზე მუშაობისას იგი მთავარ როლში სწორედ ბილ მიურეის მოიაზრებდა და ამიტომ მსახიობს სასწრაფოდ გაუგზავნა სცენარი. რიკის რამდენიმე თვე მოუხდა ლოდინი, რომ ბილისგან თანხმობა მიეღო. პრესკონფერენციაზე სოფია კოპოლამ იხუმრა კიდეც – მიურეი შამპანურითა და ხიზილალით მოვხიბლეო... ფესტივალზე ერთ-ერთმა ამერიკელმა კრიტიკოსმა განაცხადა, რომ ასეთი ფილმი ცხოვრებაში არასოდეს უნახავს. მან ორგანიზატორებს მიმართა შეკითხვით – თუ რატომ არ ჩართეს იგი ფესტივალის საკონკურსო პროგრამაში?.. ■

ენტონი ჰოპკინსი გვინეტ პელტროუს მამის როლს შეასრულებს



ენტონი ჰოპკინსი და გვინეტ- პელტროუ ახლო მომავალში რეჟისორ ჯონ მედენის ახალ ფილმში – „დამამტკიცებელი საბუთი" შეუდგებიან მუშაობას. ფილმისთვის სცენარი ცნობილი დრამატურგის, არტურ მილერის ქალიშვილმა რებეკა მილერმა დაწერა.

მათემატიკის პროფესორი (ჰოპკინსი) ისე კვდება, რომ მნიშვნელოვანი გამოკვლევის ბოლომდე მიყვანას ვერ ასწრებს. მეცნიერი მამის უცაბედი სიკვდილით შოკირებული ქალიშვილი (პელტროუ) მამის მიერ დაწყებული საქმის დასრულებას გადაწყვეტს. „დამამტკიცებელ საბუთში" გვინეტ პელტროუ და ჯონ მედენი უკვე მეორედ იმუშავებენ ერთად. პირველად გვინეტმა მის გახმაურებულ ფილმში – „შეყვარებული შექსპირი" ითამაშა, რომელმაც მსახიობს ცხოვრებაში ჯერ ერთადერთი „ოსკარი" მოუტანა. ■

ჰოლივუდი მეცმენიმის მოგრძოვემას იწყემს

რამდენიმე დღეში, კინოკომპანია Warner Bross-ი გასული საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სუპერგმირის – ბეტმენის როლზე პრეტენდენტთა ფინალურ შერჩევას იწყებს. ქალაქ ბერბენკში (კალიფორნია) ათობით ახალგაზრდა მსახიობი მამაკაცი მოიყრის თავს იმისათვის, რომ ადამიანი-ღამურის შავი კოსტიუმის მოსაპოვებლად იბრძოლოს. ძირითად პრეტენდენტთა შორის არიან: ჯეიკ გილენჰაალი, ბილი გარადაპა, ჯოშუა ჯექსონი, კრისტიან ბეილი, ჰენრი კავილი, ჰიუ დენსი. ვის მიანიჭებენ უპირატესობას პროდიუსერები, ჯერჯერობით უცნობია, ისევე, როგორც მომავალი სერიის სიუჟეტის დეტალები. სურათის რეჟისორი, კრისტოფერ ნოლანი იქნება. ■

ტომი მაგუაიერს ჯანმრთელობასთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები გაჩნდა

ტობი მაგუაიერმა კინალამ დაკარგა როლი ახალ ფილმში ადამიანი-ობობას თავგადასავლებზე მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ პროდიუსერებს არ აცნობა საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების ამბავი. როგორც გაირკვა, ტობის ზურგში საშინელი ტკივილები დაეწყო. ამის გამო, კინოსტუდიის ბოსებმა მისი დათხოვნა გადაწყვიტეს, ხოლო მისი როლი ჯეიკ გილენჰალს გადაულოცეს. მსახიობმა აღიარა, რომ უკვე დიდი ხანია აწუხებს ხერხემალი და არასწორად მოიქცა, როცა ეს ფაქტი არ გაამხილა. თუმცა, ის აჟიოტაჟი, რაც ამ ამბავს მოჰყვა, ცოტა არ იყოს, გაზვიადებულად მოეჩვენა. ბოლოს, ფილმის შემქმნელებმა მაინც დაინდვეს მაგუაიერი და გადამღებ ჯგუფში დატოვეს. თუმცა, ის სცენები, რომელშიც მას უნდა ეთამაშა, მთლიანად შესაცვლელია. ბოლო დროს, ჰოლივუდის ამომავალ ვარსკვლავს აშკარად არ უმართლებს: ჯერ იყო და, გამოტყდა, რომ ალკოჰოლიკია, ახლა კი მისი ფიზიკური მდგომარეობის შესახებ საგულდაგულოდ დაფარული ეს ფაქტი ამოტივტივდა... შეძლებს თუ არა ტობი, ასეთი უსიამოვნებების შემდეგ ჰოლივუდში დარჩენას – ეს კიდევ საკითხავია. ■



სილვესტერ სტალონეს დაცვა ჟურნალისტემს გაუსწორდა

სილვესტერ სტალონე ვენეციის მე-60 ფესტივალზე იმ მიზნით ჩავიდა, რომ რობერტ როდრიგესის ახალი ფილმისთვის — „ჯაშუშების შვილები-3: თამაში დასრულებულია“ — გაეწია რეკლამირება. ამ სურათში მსახიობი ე.წ. კიბერგენიის როლს ასრულებს. როცა იტალიელი ჟურნალისტი, ტონიო პინტო შეეცადა, ინტერვიუს ასაღებად მიახლოებოდა სუპერვარსკვლავს, სტალონეს მცველმა არა მარტო გზა გადაუღობა მას, არამედ ძალაც გამოიყენა მის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ მსახიობმა ბოდიში მოუხადა დაზარალებულს, პინტო, რომელიც ფესტივალზე სოლიდური სახელმწიფო ტელეკომპანიის — RAI-ის წარმომადგენელი იყო, ძალზე უკმაყოფილო დარჩა. ვინაიდან იმ ბეხლეწმა, ჟურნალისტებს რომ იგერიებდა, გვერდები დაუზიანა იტალიელს, რის გამოც საავადმყოფოში ამოყო თავი. ■

ჯონი დეპი: „შეცდომაში შემიყვანეს“

მსახიობმა ამ დღეებში, სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ მისი გამონათქვამები აშშ-ისა და ქვეყნის მთავრობის მიმართ უმართებულოდ იქნა გაგებული. „როგორც ამერიკელს, მიყვარს ჩემი ქვეყანა, ამიტომ ხანდახან თავს უფლებას ვაძლევ, კრიტიკული თვალით შევხედო მას. შეუძლებელია, უმადური ვიყო იმ ქვეყნის მიმართ, სადაც სრულ თავისუფლებას ვგრძნობ“. როგორც თავადვე განმარტავს, აშშ-ის დახასიათების დროს გამოყენებული ფრაზა — „დიდკბილება სულელი ლეკვი“ — მხოლოდ მეტაფორაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი ქვეყანა ძალზე ახალგაზრდაა ევროპასთან შედარებით. „არანაირი ანტიამერიკული განცხადება არ გამიკეთებია“ — აღნიშნავს ჯონი დეპი და პატიებას სთხოვს ყველას, ვისზეც მისი სიტყვების უმართებულო გაშუქებამ შეურაცხმყოფელად იმოქმედა. შეგახსენებთ, რომ ჯონი დეპი წარმოშობით კენტუკის შტატიდანაა. რამდენიმე წელია, რაც მეუღლესთან — ვანესა პარადისა და ორ შვილთან ერთად საფრანგეთში ცხოვრობს. ახლო მომავალში დეპისა და ანტონიო ბანდერასის მონაწილეობით ახალ ფილმს — „ერთხელ მექსიკაში“ — იხილავს მაყურებელი. ამჟამად კი, მსოფლიო ეკრანებზე წარმატებით მიმდინარეობს ავანტიურული კომედიის — „კარიბის ზღვის მეკობრეების“ — ჩვენება, რომელშიც მსახიობი ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს. ■

შვარცენეგერს კვერცხემი დაეშინეს

ჰოლივუდის ცნობილი მსახიობი, რომელიც კენჭს იყრის კალიფორნიის შტატის გუბერნატორის პოსტზე, საუნივერსიტეტო ქალაქში ჩავიდა იმისათვის, რათა სიტყვით გამოსულიყო ამომრჩეველთა წინაშე. სანამ გამოსვლის ადგილამდე მივიდოდა, მას ვიღაცამ ზურგში კვერცხი ესროლა. მოგვიანებით, კინოვარსკვლავმა მომხდართან დაკავშირებით ასეთი კომენტარი გააკეთა: „ახლა ამის ჩამდენს ბეკონი მართებს: ყველასთვის ცნობილია, რომ ბეკონი კვერცხის გარეშე არ არსებობს“. 15-წუთიანი გამოსვლისას, რომლის მოსასმენადაც რამდენიმე ასეული ადამიანი შეიკრიბა, შვარცენეგერმა აღნიშნა, რომ ყველაფერი, რაც გააჩნია — ოჯახი, კარიერა, ფული, — კალიფორნიის წყალობით აქვს მოპოვებული და ახლა მას სურს, „ვალი მოიხადოს მის წინაშე“. ■



ვიქტორია ბექჰემი ტელერეპორტიორი ხდება

ცნობილი ფეხბურთელის, დევიდ ბექჰემის ცოლმა ვიქტორიამ გადაწყვიტა, ჟურნალისტის ამპლუაში გამოცადოს თავი. თურმე ეს აზრი მას შემდეგ აეკვიატა, რაც დოკუმენტური ფილმი — „ვიქტორია ბექჰემად ყოფნა“ — გადაიღეს, სადაც ის თავის მძიმე ვარსკვლავურ ცხოვრებაზე მოუთხრობს მაყურებელს. როგორც ტელევიზიის ხელმძღვანელები ირწმუნებიან, ვიქტორიას საუკეთესო საეთერო დროს დაგეგმილი, შაბათის შოუს წაყვანა შესთავაზეს, მაგრამ მას უარის თქმა მოუხდა ამ მიმზიდველ წინადადებაზე. ვიკის პროდიუსერი საიმონ ფიულერი ასეთი დატვირთული სამუშაოს წინააღმდეგია, ვინაიდან იგი ხელს შეუშლის მომღერალის ისედაც უფერულ მუსიკალურ კარიერას. საბოლოოდ, კომპრომისული წინადადება იქნა მიღებული — ვიქტორია მხოლოდ რეპორტიორად იმუშავებს. მას ცნობილი ადამიანების ინტერვიუების ჩაწერა მოუწევს, რომლებსაც საამისოდ შინ მიაკითხავს ხოლმე.



სხვათა შორის, ბევრი მუსიკალური კრიტიკოსი გაკვირვებული იყო — რაზე აიძულა უნიჭიერესი პროდიუსერი საიმონ ფიულერი, რომელმაც თავის დროზე Spice Girls-ის ფენომენი შექმნა, მეურვეობა გაეწია ულიმლამო მომღერლისათვის — თუნდაც ის ერთ-ერთი შპიცე იყოს? მაგრამ ბოროტი ენები ამბობენ, რომ ეს, ფიულერმა ვიქტორიას ქმართან — დევიდ ბექჰემთან დაახლოების მიზნით გააკეთა, რადგან გამოჩენილი ფეხბურთელი საყოველთაო ყურადღების მუდმივ ობიექტს წარმოადგენს.

ასეა — შოუბიზნესში ყველა ხერხი გამოდგება, რომელსაც ფინანსური წარმატება მოაქვს!.. ■

„რკინის მაიკი“ „მხეცს“ შეერკინემა

როგორც ცნობილია, არცთუ ისე დიდი ხნის წინ, მაიკ ტაისონმა თავი გაკოტრებულად გამოაცხადა. სწორედ ამიტომ მსოფლიო ექსჩემპიონი ახალ გზებს ეძებს ფულის საშოვნელად. ამას წინათ იგი იაპონიაში იმყოფებოდა და გააფორმა კონტრაქტი ფირმა K-1-თან, იმ მატჩის ორგანიზების შესახებ, რომელიც მიახლოებული იქნება ე.წ. წესების გარეშე ორთაბრძოლასთან. რინგზე ყურიკვნეტია მძიმეწონოსან ამერიკელ ბობ საპს შეხვდება, რომელიც „მხეცის“ მეტსახელითაა ცნობილი. „მხეცი“ ადრე ამერიკულ ფეხბურთს მისდევდა, შემდეგ კი, კიკ-ბოქსინგში დაიწყო ვარჯიში და სხვადასხვა ორთაბრძოლაში მონაწილეობდა. ბობ საპი 29 წლისაა და 170 კგ-ს იწონის. „დარწმუნებული ვარ, რომ მაიკს დავამარცხებ“, – ამბობს „მხეცი“, რომელიც ერთხელ უკვე შეხვდა ტაისონს რინგზე.



ეს მას შემდეგ მოხდა, რაც „აბსოლუტური ორთაბრძოლების ჩემპიონატში“ 15 აგვისტოს ბობ საპმა „რკინის მაიკის“ კოლეგა, კიმო ლეოპოლდო დაამარცხა. გაგულისებული ტაისონი რინგზე ავარდა, თუმცა მაშინ, ცხადია, მასა და „მხეცს“ შორის ორთაბრძოლა არ შემდგარა. ამჟამად, სკანდალურ მაიკს სურს, რომ ყველას დაუმტკიცოს ორთაბრძოლის სხვა სახეობებზე კრივის უპირატესობა. თუკი ეს შეხვედრა შედგა, მაიკ ტაისონი ჰონორარის სახით 4,2 მილიონ დოლარს მიიღებს. მანამდე კი მხარეებს შორის მოლაპარაკება მიმდინარეობს ორთაბრძოლის პირობებზე შესათანხმებლად. სხვათა შორის, „რკინის მაიკს“ იმედი აქვს, რომ წესებში ზოგიერთი შეზღუდვა იქნება შეტანილი. „არ მიყვარს, როდესაც ფეხებით თავში მირტყამენ“, – ამბობს მსოფლიო ექსჩემპიონი. თავად ბობ საპისთვის კი, ალბათ უკეთესი იქნებოდა, რომ ორთაბრძოლაში დაშვებული ყოფილიყო ფეხის ხმარებაც, რათა მას კიკ-ბოქსინგიდან საკუთარი გამოცდილების გამოყენების შესაძლებლობა მიეცეს. შეგახსენებთ, რომ მაიკ ტაისონი მოკრივეთა შორის პირველი არ არის, რომელიც ფულის შოვნის მიზნით სხვა სახეობის ორთაბრძოლაში მიიღებს მონაწილეობას. ანალოგიური ნაბიჯი ადრე მუჰამედ ალის, ჯო ლუისს და იტალიელ მძიმეწონოსან, პრიმო კარნერასაც გადაუდგამთ. ■

შუმახერ–უმცროსი ჰოსპიტალშია

ცოტა ხნის წინ, რალფ შუმახერი ჰოსპიტალში მოხვდა. BMW.Williams-ის პილოტი მონაცაში (იტალია) გამართულ ტესტრბოლის დროს დაშავდა. უსიამოვნებები შუმახერ-უმცროსს დილიდანვე შეემთხვა: თავიდან, მის ბოლიდს ცეცხლი წაეკიდა, რაც ზეთის გაჟონვამ გამოიწვია, თუმცა ეს ინციდენტი პიტ-ლეინთან ახლოს მოხდა და ხანძრის ჩაქრობა წამებში მოასწრეს. დღის ბოლოს კი, პილოტი მძიმე ავარიაში მოყვა. იგი მოსახვევში ტრასიდან 200 კმ/სთ სიჩქარით გადავიდა და რამდენჯერმე ამოტრიალდა, რის შედეგადაც ავტომობილი თითქმის სრულიად დაიშალა. „რალფი თავს ნორმალურად გრძნობს, მაგრამ ჩვენ გვსურს, რომ მას თვალყური ადევნონ ექიმებმა, – განაცხადა BMW.Williams-ის წარმომადგენელმა, – მას თავისით გადაადგილება შეუძლია და მედიკოსები ირწმუნებიან, რომ ყველაფერი კარგად იქნება“. ■

კურნიკოვას ტელერეპორტიორობა მოჰმეზრდა

ანა კურნიკოვამ განაცხადა, რომ ტელევიზიაში რეპორტიორად აღარ იმუშავებს. რუსი ლამაზმანი US Open-ის მსვლელობისას მიკროფონით ხელში გასახდელებში დადიოდა, ჩოგბურთელებისგან მცირე ინტერვიუებს იღებდა, მაგრამ როგორც ჩანს, მაინცდამაინც არ მოეწონა ეს საქმიანობა. ანამ კოლეგა-რეპორტიორებს განუცხადა, რომ მას კორესპონდენტის ამპლუაში ბევრი სიარული უხდებოდა, რის გამოც საკმაოდ ბევრსაც ჭამდა და ეს უარყოფითად მოქმედებდა მის ფიგურაზე. ამასთან, მან ისიც დასძინა, რომ უბრალოდ, ტელეჟურნალისტის სამუშაოს პრაქტიკულად გაეცნო და ამ საქმიანობის გაგრძელებას მომავალში აღარ აპირებს. მიუხედავად ამისა, ამერიკულმა გამოცემებმა და ტელეარხებმა კარგი შეფასება მისცეს ანა კურნიკოვას, როგორც რეპორტიორს, როდესაც იგი მინიქვედაბოლოში, წითელ ბიუსტჰალტერსა და ტყავის ჩექმებში გამოწყობილი, კომენტირებას უკეთებდა მატჩებს. „იგი ცდილობდა, საკუთარი თავი საუკეთესოდ წარმოეჩინა. ეს ხომ ტელევიზიაში მუშაობის პირველი მცდელობა იყო მისთვის, – ამბობს USA Network-ის პრესატაშე, ტომ კარაკოლი, – უნდა ითქვას, რომ კურნიკოვა ტელემაყურებელში გამაოგნებელ ემოციას აღძრავს. იგი ნამდვილი ვარსკვლავია“. ■

ტოტი საკუთარ თავს დასცინის

ფრანჩესკო ტოტის მიერ გამოშვებული წიგნი დიდი პოპულარობით სარგებლობს იტალიაში. ნაშრომში ფეხბურთელი არც თავის ბიოგრაფიას მოუთხრობს მკითხველს და არც ბურთის ფლობის საიდუმლოებებს ხსნის. ხოლო თუ რაზეა წიგნი, რომელიც 600-ათასიანი ტირაჟით გამოიცა, თავად მისი სახელწოდება გვეუბნება: „ყველა ანეკდოტი ტოტიზე, რომელიც თავად მან შეკრიბა“. მისი გაყიდვიდან შემოსული მთელი თანხა რომაელი მოხუცებულებისა და კინშასელი (აფრიკა) ღატაკი ბავშვების დახმარების ფონდში გადაირიცხება. წიგნში შესულია ტოტის თავშესაქცევი გამონათქვამები და აზრები ინტერვიუებიდან, აგრეთვე ის შემთხვევები, როდესაც ფეხბურთელმა საუბრისას, ამა თუ იმ სფეროში უცოდინარობა გამოავლინა. მაგალითად, ერთ-ერთ სატელევიზიო პროგრამაში ჟურნალისტს ლათინური ფრაზა უთქვამს, ფრანჩესკოს კი, უპასუხია – ინგლისური არ მესმისო. „თავიდან ეს ხუმრობები მაღიზიანებდა, მაგრამ შემდეგ გადავწყვიტე, რომ მას მშვიდად მივდგომოდი, უფრო მეტიც, საკუთარ თავზე მეცინა“, – აცხადებს „რომას“ ფორვარდი, რომელიც „იუნისეფის“-ის კეთილი ნების ელჩია. ■

შუმახერ–უფროსი მულტიმილიონერია

ამერიკულმა ჟურნალმა Fortune, რომელიც სისტემატურად აქვეყნებს მდიდართა რეიტინგებს, 35 წლის მიხაელ შუმახერის ქონების საერთო ღირებულება დაადგინა. როგორც გამოცემა იუწყება, მსოფლიო ჩემპიონის სიმდიდრე 750 მილიონი დოლარის ეკვივალენტურია. მრბოლელი პლანეტის 40 წლამდე ასაკის უმდიდრეს ადამიანთა შორის მე-16 ადგილზე იმყოფება. ისე კი, Fortune-ს მიერ ჩატარებული გამოთვლები შუმახერ-უფროსის ქონების შესახებ გამოქვეყნებულ სხვა მონაცემებს არ ემთხვევა. ამ მონაცემების თანახმად, გასულ წელს მიხაელის საერთო შემოსავალს მილიარდი დოლარისთვის გადაუჭარბებია. ■

ევანდერი ლენოქსს პენსიაზე გასვლას სთავაზობს



ევანდერ ჰოლიფილდმა ლენოქს ლუისს საკრივო კარიერის დასრულებისკენ მოუწოდა. „იგი უნდა წავიდეს, რათა გზა სხვებს დაუთმოს. მათ ვისაც ნამდვილად სურს ორთაბრძოლა“, – განაცხადა ევანდერმა, რომელიც ამჟამად 40 წლისაა, მაგრამ კვლავაც განაგრძობს რინგზე გამოსვლას. როგორც ცნობილია, ბოლო დროს ლუისი კარიერის დასრულებაზე ალაპარაკდა, თუმცა მანამდე ვიტალი კლიჩკოსთან მატჩ-რევანშის გამართვაზე ან როი ჯონსთან შეხვედრაზეც ფიქრობდა. ამერიკელი მძიმეწონოსნის თქმით, ლუისი „მზად არის სპრძოლველად, ოღონდ მხოლოდ მათთან, რომელთა დამარცხებაც შეუძლია“. თავად ჰოლიფილდი ამჟამად, IBF-ის ვერსიით, ნახევრად მძიმეწონოსან მსოფლიო ჩემპიონ, ჯეიმს ტონისთან შესახვედრად ემზადება. ეს ორთაბრძოლა 4 ოქტომბერს გაიმართება. ევანდერი ასპარეზობას მანამდე აპირებს, სანამ თუნდაც მხოლოდ ერთ საჩემპიონო ტიტულს არ დაიბრუნებს. ადრე იგი ლუისსაც შეხვდა და ის მატჩი ფრედ დასრულდა, თუმცა ბრიტანელი მოკრივის უპირატესობა აშკარა იყო, განმეორებით შეხვედრაში კი, ლენოქს ლუისმა დამაჯერებლად გაიმარჯვა. ■

გერმანელი სექს-სიმბოლო ქორწინდება

ცოტა ხნის წინ, გერმანიის ყველაზე სექსუალურ სპორტსმენად აღიარებულმა, 25 წლის მაგდალენა ბრჟესკამ, რომელიც ადრე ქვეყნის ნაკრების ერთ-ერთი უძლიერესი ტანმოვარჯიშე გახლდათ, განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში, იტალიური „ვერონის“ მენეჯერ, ალენ მიჯიჩზე იქორწინებს. ეს ინფორმაცია მაგდალენას თაყვანისმცემელთა არმიისთვის მართლაც შოკისმომგვრელი აღმოჩნდა. „ჩვენი ქორწილი ძალიან ხმაურიანი იქნება, – ამბობს ბრჟესკა, – უამრავი სტუმრის მოწვევასა და დილამდე მოლხენას ვაპირებთ“. გარდა ამისა, ბედნიერი ლამაზმანი, რომლის ფოტოებიც სისტემატურად ქვეყნდება პოპულარულ გამოცემებში, მრავალშვილიანობაზეც ოცნებობს. ჯერჯერობით კი, ბედნიერ წყვილს ერთი მნიშვნელოვანი საქმე აქვს მოსაგვარებელი.

მაგდალენა ბრჟესკა ჯერაც რჩება ფეხბურთის სამყაროსთვის, ფაქტობრივად უცნობი მოთამაშის, პეტერ პეშელის კანონიერ მეუღლედ. ცნობილია ისიც, რომ პეშელი განქორწინებას სულაც არ ჩქარობს, ამიტომ მაგდალენას რჩეულმა მას თანხმობის საფასურად საკმაოდ დიდი თანხა უკვე შესთავაზა. ■

ინგლისელმა მოცურავემ ძალა ჯიბეში მოსინჯა

შვიდი წლის წინ, დიდი ბრიტანეთის ყველაზე პატარა ქალაქ Llanwrtyd Wells-ის (ცენტრალური უელსი) ერთ-ერთი ლუდხანის შეზარხოშებულ კლიენტებს ბანაობა მოუსურვებიათ და რაც ყველაზე გასაოცარია, გასაგრილებლად იქვე მდებარე ჭაობი აურჩევიათ. ამგვარი გართობა მათ იმდენად თავშესაქცევი მოეჩვენათ, რომ ჭაობში ცურვამ შემდგომში, ოფიციალური ხასიათი მიიღო და „სპორტის ამ სახეობას“ სპონსორებიც გამოუჩნდა. ახლახან კი, Llanwrtyd Wells-მა ჭაობში ცურვაში მსოფლიო ჩემპიონატსაც უმასპინძლა. უჩვეულო ტურნირში დიდი ბრიტანეთის, აშშ-ის, გერმანიისა და შორეული ავსტრალიის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. სპეციალურად შემუშავებული წესების თანხმად, მათ ჭანჭრობში 60 იარდზე მეტი

უნდა გაეცურათ ორი მიმართულებით, თანაც ერთ-ერთი მონაკვეთი არა უმეტეს წუთნახევარში უნდა დაეფარათ. ჩემპიონი გახდა ინგლისის ნაკრების წევრი პროფესიონალი მოცურავე, 16 წლის ფილიპ ჯონი, რომელმაც მთელი დისტანცია 95 წამში დაფარა. იგი ჭაობის მსოფლიო ჩემპიონატზე ბიძას, სტივ მადლინს მიუყვანია, რომელმაც ამ ტურნირში შარშან გაიმარჯვა. „ეს მართლაც გიჟური გართობაა, – ამბობს ფილიპი, რომელმაც აგვისტოს დასაწყისში, შეფილდში გამართულ მოცურავეთა ეროვნულ პირველობაშიც გაიმარჯვა, – თუმცა მე ჭაობში საცურაოდ სპეციალურად არ მოვმზადებულვარ. არ ვმალავ, რომ ჩემმა გამოცდილებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჩემს გამარჯვებაში, მაგრამ ჩვეულებრივი აუზებისგან განსხვავებით, აქ წყლის ქვეშ არაფერი ჩანს, ტემპერატურაც დაბალია, თანაც, ჭაობიდან ამოსვლის შემდეგ ისე ვყარდი, კინაღამ დავიხრჩვე. თუმცა, ეს ასპარეზობა ალბათ სწორედ ამით არის საინტერესო“. ■

რათა ცხოვრება სიხარულად გექცეთ ! ! !

პირველი ხარისხის სიმსუქნე იწვევს შურს, მეორე – ღიმილს, მესამე– დაცინვას, ხოლო მეოთხე – სინანულს. მსუქანი ადამიანები ყველგან არიან, მაგრამ ყველას როდი ესმის, რომ სრულ და მითუმეტეს მსუქან ხალხს საკმაოდ მძიმე ყოფა აქვთ, როგორც პირდაპირი ასევე, გადატანითი მნიშვნელობით. ჭარბი წონა ხომ მრავალი დაავადების საწინდარია.

ვინაიდან ჭარბი წონის წარმოქმნის ძირითად მიზეზს წარმოადგენს არასწორი კვება, ამიტომ მასთან ბრძოლის ერთ-ერთ მთავარ პრინციპს წარმოადგენს კალორიების შემცირება.

ამავე დროს უნდა გახსოვდეთ, რომ გასახდომად არ არის საკმარისი მხოლოდ საკვებით მიღებული ენერგიის შემცირება, არამედ საჭიროა მისი ხარჯვის ზრდა – ანუ ფიზიკური დატვირთვა. «ყველაზე მარტივი და ეფექტური ფორმა კი გახლავთ ჩვენი დროის სიახლე – გასახდომი ქამარი მიოსტიმულატორი **Abtronic Pro.**

Abtronic Pro საქართველოში სიახლეა, ევროპასა და ამერიკაში კი სრული ბუმია. ბუმია ქამარზე, რომელიც 21-ე საუკუნის ადამიანების ცხოვრების მეგზურად იქცა.

აბტრონიკის უამრავი ღირსებებიდან გაგაცნობთ სულ რამდენიმეს:

- იწვევს ღრმა კუნთურ შეკუმშვებს, ამაგრებს მოდუნებულ კუნთებს და აუმჯობესებს მათ ტონუსს;
- ამცირებს და შლის ცელულიტს;
- მართავს გახდომის პროცესს: პირველ რიგში მოქმედებს სხეულის იმ ნაწილებზე, რომლებიც უფრო მეტად საჭიროებენ გახდომას;
- აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას;
- აუმჯობესებს კანის სტრუქტურას;
- ეფექტურად ებრძვის ოსტეოქონდროზსა და სქოლიოზს.

ძვირად ღირებულ დარბაზებში სიარული მიუწვდომელია თქვენთვის? – მოირგეთ **Abtronic Pro!**

არა გაქვთ დრო ვარჯიშისათვის? – მოირგეთ **Abtronic Pro!**

გეზარებათ ვარჯიში? – მოირგეთ **Abtronic Pro!**

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: ☎ (995 32) 33 30 63; (995 32) 36 49 45 ან დაგვიკვეთეთ ინტერნეტ მაღაზიაში: **www.shopge.com.** ჩვენი კურიერი მოგაწვდით შეკვეთას თქვენთვის სასურველ მისამართზე თბილისში. კურიერის მომსახურება უფასოა.

ავტოდიზაინის სახელგანთქმული ატელიე პატარა იუბილეს აღნიშნავს



მსოფლიოში ერთ-ერთ წამყვან სადიზაინერო ფირმას – Italdesign-ს დაფუძნებიდან 35 წელი შეუსრულდა. მისმა დამაარსებელმა – ჯორჯეტო ჯუჯარომ ისეთი საავტომობილო შედევრები დააპროექტა, როგორიცაა პირველი თაობის Volkswagen Golf (1974 წ.), Lancia Delta, Fiat Panda და Uno, Seat Ibiza. იტალიელი ოსტატის მიერ შექმნილი დიზაინით გამოშვებული და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მიმოფანტული მანქანების საერთო რაოდენობა 40 მილიონს შეადგენს!

ჯუჯარომ კარიერა 1960-იან წლებში, ძარების ატელიეში – Bertone – დაიწყო. მაშინ, ახალგაზრდა დიზაინერმა BMW 3200 CS და Fiat Dino Coupe დააპროექტა. 1968 წელს, ჯორჯეტო ჯუჯარომ, ინჟინერ ალდო მანტოვანისთან ერთად, Italdesign დააფუძნა. შემოქმედთა დუეტის პირველი პროექტი გახლდათ კონცეპტუალური ავტომობილი – Bizzarini Manta – 12-ცილინდრიანი ძრავათი აღჭურვილი მანქანა, რომელსაც საჭე შუაში ჰქონდა მოთავსებული.

1990 წლის დამდეგს, Italdesign-ში ჯორჯეტოს შვილი – ფაბრიციო იწყებს საქმიანობას. სწორედ მან შეიმუშავა Alfa Romeo Brera-ს რევოლუციური პროექტი. დიდი წარმატება ხვდა წილად აგრეთვე ფირმის სპორტულ ხაზს, რომლის ნიმუშებს შორის, განსაკუთრებით აღსანიშნავია მოდელები: Lotus Esprit, Maserati Merak, VW Scirocco. ფირმის დიზაინერებმა სულ 200-ზე მეტი მოდელი შექმნეს. ბოლო წლებში კი, Italdesign-ის მუდმივ დამკვეთთა რიგს კორეული კომპანიები შეემატნენ. მაგალითად, იტალიელმა დიზაინერებმა დააპროექტეს Daewoo Matiz და Kalos.

ამჟამად, ფირმაში, რომელიც ქალაქ ტურინში მდებარეობს და ბარსელონასა და პარიზში აქვს ფილიალები, 1100 კაცი მუშაობს. საავტომობილო დიზაინის გარდა, ისინი აგრეთვე მობილური ტელეფონების, საკერავი მანქანებისა და საათების კორპუსებსაც აპროექტებენ. ■

Ford Mondeo ჯიდევ უფრო დაიხვეწება

კორპორაცია „ფორდი“ იმ მოდელის დახვეწაზე მუშაობს, რომელიც უკვე 3 წელია, რაც წარმოებაშია ჩაშვებული. თავიდან, ახალი „მონდეო“ შეშხეფების პრინციპზე აგებული, 4-ცილინდრიანი ბენზინის ძრავათი იქნება აღჭურვილი, რომელიც ალუმინის შენადნობისგანაა დამზადებული. 1,8 ლ მოცულობის აგრეგატი 130 ცხ.ძ. სიმძლავრეს ავითარებს. ამ ძრავათი აღჭურვილი „მონდეო“ 100 კმ/სთ სიჩქარეს 10,5 წმ-ში „აკრეფს“, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი, 207 კმ/სთ იქნება. მანქანა 6-საფეხურიანი გადაცემათა კოლოფით აღიჭურვება. საწვავის საშუალო ხარჯი, გავლილ 100 კმ-ზე სულ 7,2 ლ-ს შეადგენს.

ტექნიკური განახლების გარდა, Mondeo დიზაინის თვალსაზრისითაც შეიცვლება. სალონის მოპირკეთებისას გამოიყენებენ ძვირად ღირებულ მასალებს, ხისგან დამზადებულ, დეკორატიულ ჩანართებს; გაუმჯობესდება ხმის იზოლაცია, ხოლო კონდიციონერი და ელექტრონული პროგრამა, საბაზო კომპლექტაციაში შევა. საერთოდ, Ford Mondeo, რომელიც ამჟამად, ბიზნეს-კლასის კატეგორიას მიეკუთვნება, განახლების შემდეგ, წარმომადგენლობითი კლასის ბევრ ატრიბუტს შეიძენს – მაგალითად, ქრომირებულ დეტალებს, რადიატორის მოდერნიზებულ ცხაურს, „ბროლის“ უკანა მაშუქებს. ამასთანავე, როგორც კორპორაციის მესვეურები გვპირდებიან, საბაზო მოდელის ფასი არ შეიცვლება. მაგალითად, Ambiente-ს კომპლექტაციის „მონდეო“, ისევე, როგორც წინათ, 20.125, Trend – 21.025, უფრო მდიდრული Ghia – 22.825, ხოლო მისი ახალი, ლუქს-ვერსია – Ghia X – 26.325 ევრო ეღირება. ■

„ინტრას“ ბიჭებს, ბოუცლელობის გამო, შეყვარებულები არ ყყავთ

ჯგუფ „ინტროს“ სიმღერა „ვერ დაგეგმავ დღეს“ და მასზე გადაღებული კლიპი ეკრანზე გამოსვლისთანავე პოპულარული გახდა. ორმა ახალგაზრდა ბიჭმა ტინეიჯერთა ყურადღება მაშინვე მიიპყრო. ახლა გარკვეული პაუზის შემდეგ, რომლის მიზეზადაც ბიჭები მოუცლელობას ასახელებენ, „ინტრომ“ ერთდროულად ორი კლიპი გადაიღო. ერთი ქეთა თოფურიასთან ერთად ჩაწერილ დუეტზე (რომელზეც „გზის“ წინა ნომერში გაცნობეთ), ხოლო მეორე დათო ხუჯაძესთან ერთად.

მინიდოსიე:

გიორგი ქავთარაძე. 24 წლის. დაამთავრა თეატრალური ინსტიტუტი მუსიკალური თეატრის განხრით.

ვანო ფირცხალაიშვილი. 24 წლის. დაამთავრა თეატრალური ინსტიტუტი სამსახიობო განხრით. შტატით არც ერთ თეატრში არ უმუშავია, თუმცა ნათამაშევი აქვს რამდენიმე სპექტაკლში, მათ შორისაა „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“.

ვანო:

— დათო ხუჯაძესთან ერთად, სიმღერაზე — „არ დამტოვო მარტო“ (ტექსტიცა და მუსიკაც ჩვენ და დათოს გვეკუთვნის) გადაღებული კლიპის რეჟისორია გიორგი კიკალეიშვილი (კიკალა). კლიპის შინაარსს ჯერჯერობით ვერ მოგიყვებით, გეტყვით მხოლოდ იმას, რომ მასში მოდელი კრისტი ყიფშიძე მონაწილეობს.

გიორგი:

— პარალელურად ახლა, მეორე ალბომზე ვმუშაობთ, რომელშიც ათი ან თორმეტი სიმღერა შევა. ალბომის სახელწოდება ჯერ არ მოგვიფიქრებია. რამდენიმე სიმღერაღა დაგვრჩა ჩასაწერი. ერთ-ერთ მათგანზე კლიპსაც გადავიღებთ.

— ძალიან მაინტერესებს, ვინ ასრულებს ბელადის როლს თქვენს პირველ კლიპში — „ვერ დაგეგმავ დღეს“?

ვანო:

— ე.წ. ბელადი, ჩემი ჯგუფელი, კახა სამუშია, პროფესიით მსახიობია, ხოლო გოგონები „იმიჯ-ცენტრის“ მოდელები არიან, რომელთა შერჩევაც კასტინგის მეშვეობით მოხდა.

— რატომღაც ამ ბოლო დროს გამართულ კონცერტებში თითქმის არ მონაწილეობთ. რა არის ამის მიზეზი?

ვანო:

— ძალიან დაკავებულები ვართ. თითქმის სულ სტუდიაში გვიწევს ხოლმე ყოფნა, რის გამოც ბევრ რამეს ვერ ვახერხებთ: ვერც კონცერტებში ვმონაწილეობთ და ვერც საკლუბო საღამოებში. ჩვენი სიმღერების გარდა, სხვა მომღერლებსაც ვუწერთ სიმღერებს.

— მაგალითად?

— ამჯერად, თაკო გაჩეჩილაძისა და დათო კუკულაძის სიმღერებზე ვმუშაობთ. აქამდეც, ბევრი მომღერლისთვის დაგვიწერია სიმღერები.

— ფონოგრამით სიმღერაზე რა აზრის ხართ?

— საკმაოდ ხშირად გვიწევს ფონოგრამით სიმღერა. თუმცა ამის მომხრეები არა ვართ, მაგრამ ჩვენთან არ არის საქმე ისე აწყობილი, ყველა დარბაზში უფონოგრამოდ სიმღერა რომ იყოს შესაძლებელი.

გიორგი:

— აქ შოუბიზნესი იმ დონეზე არ დგას, რომ ფონოგრამით სიმღერა საჭირო არ იყოს. თუმცა, იმედი გვაქვს, რომ ამის დროც მოვა.

— თავად მაქვს მოსმენილი, რა კარგად ასრულებთ ხალხურ სიმღერებს...

— მე და ვანო ბავშვობიდან, ხალხურ სიმღერებს ვსწავლობდით, ვმღეროდით ანსამბლებში — „ნუკრი“ და „მართვე“...

ვანო:

— საერთოდ, გვიყვარს ქართული სუფრა და ტრადიციები. რა თქმა უნდა, ტრადიციულებიც ვართ, რადგან ყველაფერი ეროვნული ფესვებიდან იწყება...

— პირად ცხოვრებაზე რას იტყვით?

გიორგი:

— რა გაინტერესებთ?

— როგორ არის საქმე?

— გმადლობთ, კარგად! *(იცინის).*

ვანო:

— გულახდილად გეტყვით, რომ შეყვარებულები არ გვყავს. სადა გვაქვს მაგის დრო?!. შეყვარებულებს ყურადღების მიქცევა სჭირდებათ. ხანდახან, სტუდიიდან „გაძრომასაც“ ვახერხებთ, ამიტომ მეგობარი გოგონები გვყავს.

გიორგი:

— ჩვენი გეგმების თანახმად, ერთ წელიწადში, ცოტას მოვიცლით და შეყვარებულების საქმესაც მივხედავთ...

ვანო:

— ამ ალბომსაც გამოვუშვებთ და განმუხტვის პერიოდში შევარჩევთ ვინმეს. ხომ იცით — „იმას“ ბევრი ძებნა უნდა...

— თაყვანისმცემლები თუ გაწუხებენ ხოლმე?

— რეკავენ ხოლმე, მაგრამ დიდად შეწუხებულები არა ვართ. ვერ ვიტყვით, რომ გვაგიჟებენ. ზოგს ჩვენი მუსიკა უყვარს, ზოგს ჩვენ ვუყვარვართ.

— ქუჩაში თუ გცნობენ ხოლმე?

გიორგი:

— გვცნობენ, მაგრამ ჩვენ ამაზე რეაქცია აღარ გვაქვს — ასეთია პოპულარობა...

— როგორი?

ვანო:

— რთული არ არის. მას როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები აქვს: მაგალითად, ისეთ ადგილას ვერ წავალთ, სადაც ყველა დადის, რადგან გვცნობენ და მერე, ათას კუდს გამოაბამენ...

„ისინი“ დაშლასაკენ ბრუნავს

ჯგუფის — „ისინი“ — ახალი ეროტიკული კლიპი სიმღერაზე — „ძიდი, მალე გაიხადე“ — სულ ახლახან გამოჩნდა ტელეეკრანზე. კლიპის რეჟისორი ლევან ტორონჯაძეა, მუსიკა ლეგენდარულ ბობ მარლის ეკუთვნის, ხოლო ტექსტი, ჯგუფის წევრებმა დაწერეს. ჯგუფმა დაასრულა აგრეთვე მუშაობა ახალ სიმღერაზე — „დილამდე შენთან“, რომლის მუსიკის ავტორია ამავე „ისინის“ წევრი დათო მჭედლიშვილი (დავი), ხოლო ტექსტზე, ჯგუფმა კოლექტიურად იმუშავა. ბიჭები მოუთმენლად ელიან ტელეწამყვან ნატო ნიჟარაძის შვილის დაბადებას, რის შემდეგაც, „ისინი“ და ჟურნალისტი ერთობლივად ჩაწერილ სიმღერაზე — „შენს მახლობლად მეც ვიყო“ — კლიპის გადაღებას განაგრძობენ.

„ვიაიპიმ“ საცვლების ამარა...

სულ ცოტა ხნის წინ, საპროდიუსერო კომპანია 5 Lines Production-ის გოგონათა ჯგუფმა „ვიაიპიმ“ დაასრულა კლიპის გადაღება ირინა მაისურაძის ახალ სიმღერაზე – „სად მიდის დრო“. ახალი კლიპი, რომლის რეჟისორიც ლევან ტორონჯაძე გახლავთ, საკმაოდ ინტიმური შინაარსისაა. მასში ჯგუფის წევრები მხოლოდ ღამის საცვლების ამარა ჩნდებიან.

„ვიაიპიმ“, დათო ხუჯაძესთან ერთად, დუეტიც ჩაწერა. სიმღერის ავტორები, თავად დათო და მისი პროდიუსერი, მიკი, არიან. აღნიშნულ სიმღერაზე სულ მალე კლიპსაც გადაიღებენ.

ჯგუფის ერთ-ერთი წევრი, ნათია დუმბაძე მომღერლობას აღარ სჯერდება. სულ მალე, იგი ტელეკომპანია „იბერიის“ სტუდიიდან, გადაცემის – „სამარცხვინო ათეული“ – წამყვანად მოგვევლინება. ნათია ორი საათის მანძილზე, პირდაპირ ეთერში შეეცდება გაარკვიოს, თუ „ვინ არცხვენს ქართულ ესტრადას“. ამასთანავე, მომღერალი სილამაზის კონკურსში – „მის საქართველო“ ცდის ბედს.

ვერიკო ტურაშვილმა კლიპი გადაიღო

გასულ კვირას, კლუბში – „ნოა-ნოა“ ახალგაზრდა მომღერლის, ვერიკო ტურაშვილის ახალი კლიპის პრეზენტაცია გაიმართა. სიმღერის – „შენზე“ – მუსიკა ავთო ბადუაშვილს ეკუთვნის, ტექსტი – მომღერალ მაია დარსმელიძეს; კლიპი, „არტ-იმედის“ დაკვეთით, სტუდია „აუდიენციის“ ბაზაზე რეჟისორებმა ბესო სოლომონაშვილმა და ზვიად ალხანაიძემ გადაიღეს. მოქმედება თბილისის აეროპორტში ვითარდება. შინაარსი კი ასეთია: მომღერალი, რომელმაც საყვარელი ადამიანი მიატოვა, საქართველოდან მიემგზავრება. მისი ერთადერთი მეგზური და გამცილებელი, აკვარიუმში მოთავსებული ოქროს თევზია, რომელსაც მომღერალი გულში ჩახუტებულს ატარებს. აეროპორტში გავლილი რეგისტრაციის შემდეგ, მომღერალი თავსხმა წვიმაში ადის თვითმფრინავის ტრაპზე და სევდიანი თვალებით გადმოხედავს თბილისს... კლიპში გამოყენებულია დიზაინერ გვანცა ჯანაშიას კოსტიუმები. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ვერიკოს ალბომი უკვე ჩაწერილია და თიითქმის მზადაა გამოსაცემად, მაგრამ ალბათ ყველამ იცის, რომ მომღერალი ორსულად არის და დღე-დღეზე, პატარა ლიზის დაბადებას ელოდება და ამის გამო, ალბომის გამოსვლა დროებით შეფერხდება.

სალომე გასვიანის საზაფხულო მოსაყვალი

სულ ახლახან სალომე გასვიანის ორი ახალი ალბომი გამოვიდა, რომელიც კომპაქტდისკზეა ჩაწერილი. ერთ-ერთი მათგანი ინგლისურენოვანია, მასში 12 სიმღერა შევიდა, ხოლო მეორეში – 19 ქართული სიმღერაა თავმოყრილი. სალომემ ორენოვან აუდიოკასეტაზეც დაასრულა მუშაობა. ნორჩი მომღერლის ფანებს ახალ კასეტაზე 19 ინგლისური და ქართული სიმღერის მოსმენის საშუალება ექნებათ. ყველა სიმღერა „სანო-სტუდიაში“ ჩაიწერა.

სალომემ და მისმა უფროსმა დამ – გვანცამ ლოს-ანჯელესის საზაფხულო უნივერსიტეტში გაიარეს სასწავლო კურსი, სექტემბრიდან კი, სახელმწიფო სკოლასა და კოლეჯში განაგრძობენ სწავლას. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამერიკაში გამგზავრებამდე, სალომე ფილმშიც გადაიღეს – მან შეასრულა ერთ-ერთი მთავარი როლი სოსო ჯაჭვლიანის ფილმში „პირველი სიყვარული“, რომელსაც ალბათ მალე ვიხილავთ ეკრანზე.

„აფხაზეთი ჩვენი ტკივილია!“

27 სექტემბერს, სრულდება ათი წელი სოხუმის დაცემიდან. ამ დღესთან დაკავშირებით, ჯგუფ „საუნდის“ თაოსნობით, რესპუბლიკის მოედანზე საღამოს 8 საათზე, აქცია-კონცერტი გაიმართება. კონცერტის მიმდინარეობისას, დიდ ეკრანზე ნაჩვენები იქნება ჯგუფ „საუნდის“ ახალი კლიპი სიმღერაზე – „ჩვენი ვარსკვლავი“, რომლის ტექსტი ნანა ცინცაძეს, მუსიკა – თავად „საუნდს“, ხოლო რეჟისურა – თემურ დიდბერაშვილს ეკუთვნის. კლიპში გამოყენებულია გოგა ხაინდრავას მიერ აფხაზეთის ომის დროს გადაღებული, ექსკლუზიური კინოკადრები.

რამდენიმე რჩევა მიტოვებულ ქალებს

სამწუხაროდ, მოვლენები, ყოველთვის ისე არ ვითარდება, როგორც ჩვენ გვინდა. ზოგჯერ, მამაკაცი ქალს მოულოდნელად გამოუტყდება, რომ სხვა შეუყვარდა, რომ მათ შორის ყველაფერი დამთავრდა და თავის მოტყუებას აზრი აღარ აქვს. აიკრავს გუდა-ნაბადს და ისე გაქრება, თითქოს არც ყოფილა.

მაშ ასე: ყველაზე საყვარელი ადამიანი თქვენგან წავიდა და გეჩვენებათ, რომ ცხოვრებამ აზრი დაკარგა. როგორ უნდა მოიქცეთ, რომ თვითგვემას და დეპრესიას თავი დააღწიოთ? ფსიქოლოგების აზრით, შექმნილი მდგომარეობიდან მხოლოდ ერთი გამოსავალი არსებობს: თუ თქვენს რჩეულს უკვე სხვა უყვარს, ბედს უნდა შეურიგდეთ და შეეცადოთ, ის ადამიანი დაივიწყოთ, რომელმაც მიგატოვათ. ამას ადვილად შეძლებთ, თუ ქვემოთ შემოთავაზებულ რჩევებს გაითვალისწინებთ.

● *ამოშალეთ ეს ადამიანი თქვენი ცხოვრებიდან*

დიახ, დიახ, ამოშალეთ ეს ადამიანი თქვენი ცხოვრებიდან. არ ახსენოთ მისი სახელი მეგობრებთან საუბრისას. თუ საერთო ნაცნობები გყავთ, სთხოვეთ მათ, არაფერი გაცნობონ მის შესახებ. ყველანაირად ეცადეთ, შემთხვევითაც კი არ შეხვდეთ მას ქუჩაში. ნუ აცეცებთ თვალებს, რომ სადმე შეამჩნიოთ მისი მანქანა — ხომ შეიძლება, მოულოდნელად „იმ“ ქალბატონსაც მოჰკრათ თვალი? რა, გინდათ იმ დღეს საბოლოოდ გაგიფუჭდეთ ხასიათი? ეს თქვენ ნამდვილად არ გჭირდებათ!

● *გათავისუფლდით იმ ნივთებისგან, რაც მის თავს გახსენებთ*

შეძლებისდაგვარად გათავისუფლდით მისი ნაჩუქარი ნივთებისგან. ძვირფასი სამკაულების სანაგვე ყუთში გადაყრას კი არ გირჩევთ, უბრალოდ გადამალეთ ისინი ისეთ ადგილას, თვალში ზედმეტად რომ არ მოგხვდეთ. მოკლედ, ძვირფასეულობა სეიფში გადამალეთ, შედარებით მსუბუქი ნივთები, ვთქვათ, მისი ფოტოსურათები და წერილები კი ურნაში მოისროლეთ. აი, ასე!

● *შეცვალეთ ინტერიერი*

სახლში — თუკი იქ ლამაზი საღამოები ერთად გაგიტარებიათ — აუცილებლად შეცვალეთ ინტერიერი, გადააადგილეთ ავეჯი, შეცვალეთ ფარდები, მაგიდისა და საწოლის გადასაფარებლები, შეიძინეთ ხალისიანი ფერებით მოჩითული თეთრეული, ადგილი შეუცვალეთ ნივთებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი სახლი კიდევ დიდხანს მოგაგონებთ „გაქცეულ“ სიყვარულს.

● *გაიმრავალფეროვნეთ ცხოვრება*

შეეცადეთ, იშვიათად დარჩეთ მარტო. გამოსასვლელ დღეებში იარეთ აუზზე, წადით თეატრში, მუზეუმში, ივარჯიშეთ, გაიკეთეთ მასაჟი — სწორედ ეს გჭირდებათ. თუ არ მუშაობთ, მაშინ უფრო მეტი მონდომებით შეეცადეთ, რაიმე საქმე წამოიწყოთ, ახალი ნაცნობები გაიჩინოთ. აქტიური ცხოვრება დროებით მაინც დაგავიწყებთ პირად პრობლემებს.

● *არასოდეს შეადარეთ ახალგაცნობილი მამაკაცი ძველ სიყვარულს*

ნუ იქნებით უყურადღებო და გულგრილი საწინააღმდეგო სქესის მიმართ. ნუ იტყვით, რომ მათ დანახვაზე გული გერევათ. იფიქრეთ იმაზე, რომ დროა ახალი, შესაფერისი პარტნიორი მონახოთ, მაგრამ გახსოვდეთ: არასოდეს შეადაროთ ახალგაცნობილი მამაკაცი ძველ სიყვარულს. თუ მასში რაღაც არ მოგეწონათ, არ არის აუცილებელი, მაშინვე სადღაც შორს, მოუსავლეთში გააგზავნოთ. ნუ დაივიწყებთ, რომ ბევრი რამ ძველი პარტნიორისაც არ მოგწონდათ, მაგრამ ეს ხელს არ გიშლიდათ, გყვარებოდათ სწორედ ისეთი, როგორიც იყო.

ასე რომ, შეიმშრალეთ ცრემლი და შეუდექით ახალ ცხოვრებას. ახლა ჩამოგითვლით იმ პუნქტებს, რისი გაკეთებაც კატეგორიულად გეკრძალებათ. მთელი შრომა, რომელსაც მის დასავიწყებლად გასწევთ, წყალში ჩაგეყრებათ და პრაქტიკულად, წარმატების მიღწევის არანაირი შანსი არ გექნებათ თუ:

● გააგრძელებთ მის იდეალიზებას, თუ თავიდან არ ამოიგდებთ აზრს, რომ მის გარეშე ვერასოდეს იქნებით ბედნიერი. მიმოიხედეთ ირგვლივ. თქვენ გარშემო უამრავი ადამიანია. უყვართ ერთმანეთი, ქორწინდებიან, წყვილდებიან... თქვენც შეძლებთ იყოთ ბედნიერი, უფრო ბედნიერიც კი, ვიდრე იყავით (ადამიანი ხომ შეცდომებზე სწავლობს...), თუ, რა თქმა უნდა, მოინდომებთ.

● იცხოვრებთ იმედით, რომ იგი ოდესღაც უკან მობრუნდება;

● იოცნებებთ თემაზე: როგორ გაატარებდით ერთად დროს, რომ არ დაშორებულიყავით;

● დროდადრო მოიგონებთ, რა კარგად იყავით ერთად, როგორ ავსებდით და როგორ გესმოდათ ერთმანეთის. გახსოვდეთ: მეხსიერება ამ ეტაპზე თქვენი უსასტიკესი, ვერაგი მტერია და თუ ვერ შეძლებთ, მასზე რომ არ იფიქროთ, შეეცადეთ გაიხსენოთ ყველაფერი ცუდი, რაზეც ადრე თვალს ხუჭავდით.

სიყვარულიდან სიძულვილამდე მართლაც ერთი ნაბიჯია. დაიმახსოვრეთ — თქვენ ის კი არ უნდა შეიძულოთ, უბრალოდ უნდა დაივიწყოთ. უნდა დაივიწყოთ და დაუმტკიცოთ, რომ მის გარეშეც შეგიძლიათ ცხოვრება.

გისურვებთ წარმატებას და სულ მალე ახალ სიყვარულთან შეხვედრას! ■

სალათი მაიონეზით

4 კარტოფილი და 3 ჭარხალი კანიანად მოხარშეთ მარილწყალში. შემდეგ კანი მოაცილეთ და მსხვილ სახეხზე გახეხეთ. კარტოფილს მოაფრქვიეთ შავი პილპილი და ფრთხილად აურიეთ.

ოდნავ გაფხიკეთ 2 უმი სტაფილო და გახეხეთ. ჩაუმატეთ მარილი, შესაფერის ჭურჭელში ფენა-ფენა ჩააწყვეთ კარტოფილის ნაწილი, მოაყარეთ წვრილად დაჭრილი ხახვი, შემდეგ ჭარხალი, სტაფილო. მერე ისევ კარტოფილი და ა.შ. ზემოდან მოაყარეთ წვრილად დაჭრილი მწვანილი — ოხრახუში, კამა, ქინძი და ბროწეულის მარცვლები. ბოლოს კი მოასხით ერთმანეთში არეული ნახევარ-ნახევარი ჩაის ჭიქა მაიონეზი და არაჟანი. თუ მარხულობთ, შეგიძლიათ სალათს მხოლოდ სამარხვო მაიონეზი მოასხათ. ■

რა უნდა იცოდეთ ქათმის შეწვისას

ცხიმიანი ქათამი მომზადებამდე ცხელი წყლით არ გარეცხოთ, ის გემოს დაკარგავს.

თუ ქათამი შეწვამდე გინდათ შეკაზმოთ, მას ჯერ მარილი მოაყარეთ, შემდეგ კი ცხიმი ან არაჟანი წაუსვით. თუ პირიქით, შეწვის შემდეგ კაზმავთ, ჯერ ცხიმი ან არაჟანი წაუსვით, შემდეგ კი მარილი მოაყარეთ.

ასე მომზადებული კერძი მართლაც გემრიელია.

■

თუ თმა გცვივათ...

დღეისათვის მრავალი ადამიანისათვის ყველაზე საჭირბოროტო პრობლემად რჩება თმის ცვენა. თითოეულ ადამიანს ყოველდღიურად 100 ღერამდე თმა ცვივა. ეს ბუნებრივი პროცესია, მაგრამ როდესაც თმის ცვენა კატასტროფულ ხასიათს იღებს, მაშინ კი სჭირდება განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა.

როგორც წესი, თმა ცვივათ მათ, ვისაც არასწორად აქვს შელებილი ან ქიმიური დახვევა გაუკეთეს უხარისხოდ. თუმცა, ამის მიზეზი შეიძლება იყოს ავადმყოფობა, არასწორი კვება ან წამლების გადამეტებული დოზით მიღება.

რჩევა 1. დიდი ოდენობით თმის ცვენის შემთხვევაში, აუცილებლად მიმართეთ ექიმს.

რჩევა 2. ზოგიერთ შემთხვევაში ეს პრობლემა შინაურ პირობებშიც გადაიჭრება. ამისთვის კი შემდეგი პროცედურების ჩატარებას გირჩევთ:

რეცეპტი 1: ერთ ჭიქა წყალზე 10-20 გრამი ოროვანდის ფესვი 15 წუთის განმავლობაში დაბალ ცეცხლზე ხარშეთ. მიღებული სითხე თმაში შეიზილეთ, შემდეგ კი თავი თბილი წყლით ჩამოიბანეთ.

რეცეპტი 2: აიღეთ ნახევარ-ნახევარი ლიტრი წყალი და ძმარი და ჩაყარეთ მასში 100 გრამი ჭინჭარი. ხსნარი 30 წუთის განმავლობაში ადუღეთ. როდესაც მიღებული ხსნარით ისარგებლებთ, შამპუნის გამოყენებისაგან თავი შეიკავეთ.

რეცეპტი 3: გახეხილი ხახვის წვენში აურიეთ კვერცხის გული. ჩაამატეთ შიგ 1 ს/კ ზეითუნის ზეთი, 2 ს/კ თაფლი და 2 ს/კ შამპუნი. მიღებული სითხე წაისვით თავზე და დაიხურეთ პოლიეთილენის პარკი. 1-2 სთ-ის შემდეგ თავი ჩამოიბანეთ.

■

როცა ქალი იცინის...

გამოჩენილი რუსი მწერალი ფეოდორ დოსტოევსკი ამბობდა, რომ სიცილის მიხედვით შესაძლებელია, ყველაფერი შევიტყოთ უცნობი ადამიანის შესახებ. ამ აზრს თანამედროვე ფსიფოლოგებიც იზიარებენ. მაშ, რას „გვეუბნება“ ქალის სიცილი?

● **თუ ქალი სიცილის დროს, თითით ეხება ტუჩებს** – ეს ნიშნავს, რომ მას კარგი ტონის, გრაციის, ქალურობის შესახებ საკუთარი მოსაზრება აქვს და ამ მოსაზრებას ყველგან და ყოველთვის შეუპოვრად დაიცავს.

● **სიცილის დროს პირზე ხელს იფარებს** – ე.ი. მორიდებული ქალია და მაინცდამაინც დარწმუნებული არ არის საკუთარ თავში; ხშირად მორცხვობს, ცდილობს, ჩრდილში დარჩეს და სხვებისთვის არ გაიხსნას.

● **სიცილისას ხშირად, თავს უკან წევს** – მიმნდობი და გულუხვია; ახასიათებს მოულოდნელი, მხოლოდ გრძნობებით ქმედები ნაკარნახევი. არადა, ურიგო არ იქნებოდა, რომ ზოგჯერ, გონებისთვის დაეგდო ყური.

● **სიცილისას, ხელით სახეს ან თავს ეხება** – მეოცნებე და ფანტაზიორია; მას ცხოვრებისეული პრობლემების ფხიზელი თვალით დანახვა და გაანალიზება მართებს.

● **სიცილისას ცხვირს მანჭავს** – გრძნობები და შეხედულებები სწრაფად და ხშირად ეცვლება; ადვილად ემორჩილება წუთიერ განწყობას, რაც სიძნელეებს უქმნის მასაც და მის ირგვლივმყოფთაც.

● **იცინის ხმამაღლა, ფართოდ გაღებული პირით** – განეკუთვნება ტემპერამენტიან ადამიანთა რიგს; კარგად ლაპარაკობს, მაგრამ კარგს იზამს, თუ სხვასაც მოუსმენს.

● **სანამ ჩაიცინებს, თავს ხრის** – გულკეთილი, წესიერი ადამიანია; არ უჭირს ხალხთან კონტაქტის დამყარება და ადვილად ეგუება გარემოს; ყოველთვის აკოტროლებს საკუთარ გრძნობებსა და ქცევებს; ხასიათს ადვილად ვერავინ წაუხდენს.

● **სიცილისას, ნიკაპზე ივლებს ხელს** – რა ხნისაც არ უნდა იყოს, ნათელია, რომ ახალგაზრდულ ხასიათს ინარჩუნებს და ალბათ ამიტომ, ხშირად, წინდაუხედავად იქცევა ხოლმე.

● **სიცილისას თვალებს ჭუტავს** – გაწონასწორებული და თავდაჯერებულია; მახვილი ჭკუის პატრონია; შემოქმედი ბუნებისაა და იმაზე უფრო მეტად ჟინიანია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს; უნდა ვურჩიოთ, რომ გვერდიდან შეხედოს საკუთარ თავს.

● **არ გააჩნია სიცილის გარკვეული მანერა** – ბუნებით ინდივიდუალისტია; ყველგან და ყველაფერში საკუთარი აზრებითა და შეხედულებებით ხელმძღვანელობს. ხშირად, სხვის აზრსაც არ უწევს ანგარიშს, მაგრამ მის გვერდით მყოფთ ეს არ აღიზიანებთ.

■

პანკრეატიტი თუ ფერმენტთა ნაკლებობა?

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

წლების მატებასთან ერთად, ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმშიც კი ხდება ორგანოებისა და მათი ფუნქციების კანონზომიერი ინვოლუცია. ასევე ქვეითდება საჭმლის მომნელებელი ყველა ჯირკვლის ფუნქციაც, რაც გამოიხატება კუჭისა და პანკრეასის სეკრეციის, ნაწლავური ფერმენტების, ნაღვლის გამოყოფის შემცირებაში. შედარებით ცუდად მუშაობს კუჭქვეშა ჯირკვალიც. თუ 20 წლის ადამიანის ორგანიზმში დღე-ღამეში საშუალოდ, 1,5 ლ პანკრეასის წვენი გამოიყოფა, 40 წლისათვის, ეს რაოდენობა 20-25%-ით, ხოლო 50 წლისათვის უკვე 50%-ით მცირდება.

მონელების პროცესების ასეთ ბუნებრივ შესუსტებას ინვოლუციური მალდიგესტია ეწოდება და იგი სულაც არ არის ქრონიკული ანთებითი დაავადების მიმანიშნებელი.

როგორ განვასხვავოთ ასაკობრივი ცვლილებები და დაავადება?

მათ შორის განმასხვავებელი ნიშანია, ტკივილი, რომელიც იმის მაჩვენებელია, რომ ორგანიზმში ანთებითი პროცესი მიმდინარეობს — ე.ი. ვითარდება დაავადება. ინვოლუციური მალდიგესტიისათვის კი, დამახასიათებელია დისკომფორტი, მაგრამ არა ტკივილი. ტკივილის გარდა, მნიშვნელოვანი დიაგნოსტიკური კრიტერიუმია კუჭქვეშა ჯირკვლის ერთ-ერთი ძირითადი ფერმენტის — ელასტაზის განსაზღვრა. თუ მისი დონე დაქვეითებულია, მაშასადამე, სახეზეა კუჭქვეშა ჯირკვლის სეკრეტორული ფუნქციის შესუსტება და არა დაავადება.

თუმცა, უნდა ვიცოდეთ, რომ საჭმლის მონელების ფუნქციური დარღვევა, ადრე თუ გვიან, სერიოზულ დაავადებამდე მივვიყვანს, ამიტომ ინვოლუციური მალდიგესტია უყურადღებოდ არ უნდა დავტოვოთ.

მოვიწესრიგოთ მიკროფლორა

ინვოლუციური მალდიგესტიის დროს, საჭმლის მონელების დარღვევას მუდამ თან სდევს დისბაქტერიოზი, რადგან ცუდი მონელების დროს, პირველ რიგში ზარალდება სასარგებლო მიკროფლორა — ნაწლავში დაყოვნებული საკვების მასა ნოყიერი ნიადაგია პათოგენური (დაავადების გამომწვევი) მიკროფლორისათვის, რომლის აქტიურობა აძლიერებს ლპობის პროცესებს. ამ დროს გამოიყოფა ბევრი ტოქსიკური ნივთიერება — დაშლის პროდუქტები, რომელიც უამრავი დაავადების განვითარებას უწყობს ხელს.

მუცელში ყურყურსა და დისკომფორტს, ყაბზობასა და ფაღარათს ბევრი ექიმი შეცდომით, ქრონიკული პანკრეატიტის, გასტრიტის, კოლიტის გამოვლინებად მიიჩნევს და ნიშნავს მკურნალობას, რომელიც საერთოდ არ არის საჭირო.

ადამიანის ნაწლავში ბინადრობს 500 სახეობის ბაქტერია, რომლის საერთო წონაც 2 კგ-ია! დისბაქტერიოზის დიაგნოსტირებისათვის მათგან მხოლოდ 20 სახეობას იკვლევენ. რას წარმოადგენს დანარჩენი 480 და რა ფუნქციას ასრულებს ის — ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია. თუმცა, ერთი რამ ცხადია: ნორმალური თვითშეგრძნების შესანარჩუნებლად, ადამიანმა აუცილებლად უნდა იზრუნოს საკუთარ მიკროფლორაზე.

მივიღოთ თუ არა დამატებითი ფერმენტები

აზრი იმის შესახებ, რომ სეკრეციის ნორმალიზება შესაძლებელია ფერმენტული პრეპარატების დამატებით მიღების გზით, ბევრს უჩნდება, მაგრამ თუ ორგანიზმში გარედან შეგვაქვს ფერმენტები, უკუკავშირის კანონის შესაბამისად, კუჭქვეშა ჯირკვალი იწყებს მათი ნაკლები რაოდენობით გამომუშავებას.

თუმცა, იქმნება ისეთი სიტუაცია, როდესაც ჩვეული კვების რეჟიმის მკვეთრი დარღვევა გვიწევს ხოლმე — მაგალითად, წვეულებაზე ყოფნისას. ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, უნდა დავეხმაროთ კუჭქვეშა ჯირკვალს, ფერმენტული პრეპარატის 1-2 აბის მიღებით.

კვების რეჟიმი

ფუნქციური კვება, დიეტოლოგიაში ახლებური მიდგომაა. დღემდე არსებული, ტრადიციული თეორია დღის რაციონში ცილების, ცხიმებისა და ნახშირწყლების საჭირო რაოდენობის შეტანას გულისხმობდა. ახალი თეორია კი, ორიენტირებულია ისეთი ფუნქციონალური პროდუქტების მოხმარებაზე, რომელიც ხელს უწყობს სასარგებლო მიკროორგანიზმთა არსებობას, აძლევს მათ საკვებს.

ყოველგვარი საკვები, განსაკუთრებით კი ცილოვანი, რომელიც კუჭქვეშა ჯირკვლის ფუნქციის დაქვეითებისას, ცუდად აითვისება, უნდა დავანამცეცოთ. ეს გაადვილებს ფერმენტთა შეღწევას მის კომპონენტებამდე — ანუ ისინი უფრო ეკონომიურად იქნება გამოყენებული. კუჭისა და პანკრეასის წვენის გამოყოფის სტიმულაციისათვის, რაციონში უნდა ჩავრთოთ სანელებლები, ნიორი, ხახვი, მდოგვი (თუ ამის უკუჩვენება არა გაქვთ).

ინვოლუციური მალდიგესტიის დროს, როგორც წესი, ადამიანს აქვს მიდრეკილება ყაბზობისადმი, რადგან სეკრეტორული უკმარისობის გამო, კუჭ-ნაწლავის ტრაქტში საკვების გადაადგილება შენელებულია. ნაწლავის მოტორიკას ააქტიურებს უჯრედისით მდიდარი პროდუქტები, პირველ რიგში — ხილი და უმი ბოსტნეული. სასარგებლოა აგრეთვე კანგაუცლელი მარცვლეული.

ძალზე მნიშვნელოვანია კვების რეჟიმი და საკვების მოცულობა. არ შეიძლება ზედმეტი ჭამა, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის გადატვირთვა, რადგან ეს კიდევ უფრო აღრმავებს დისკომფორტს ნაწლავებში, ამასთანავე, იწვევს შაქრიანი დიაბეტის, ათეროსკლეროზისა და სხვა დაავადებათა განვითარებას.

ინვოლუციური მალდიგესტიის სიმპტომები მკვეთრად მცირდება, ზოგჯერ კი, მთლიანად ქრება, მცირე ულუფებად დაყოფილი კვების დროს. დააკვირდით, რომელი პროდუქტები იწვევს გაზების წარმოქმნას, დისკომფოტს ან ყაბზობას და შეამცირეთ ის რაციონში. ■

ქალის 4 ასაკი



ქალის ყოველ ასაკს თავისი სიხარული, დარდი და პრობლემები ახლავს. რამდენად გაფურჩქნილი იქნება ქალი თავის „გაზაფხულზე“, ნაყოფიერი — „ზაფხულში“ და უდარდელი — „შემოდგომაზე“, ეს ქალის ორგანიზმის უხილავ „დირიჟორებზე“ — ჰორმონებზეა დამოკიდებული. სწორედ ის განსაზღვრავს ქალის ჯანმრთელობის „მელოდიას“.

გაზაფხული: სქესობრივი მომწიფების პერიოდი

იგი პირველი მენსტრუაციის მოსვლით იწყება. ამ დრომდე, გოგონას ორგანიზმში ჰორმონები „მწიფდება“. პირველი მენსტრუაცია იმაზე მეტყველებს, რომ ჰორმონთა რაოდენობა საკმარისია საიმისოდ, რომ საშვილოსნოსა და საკვერცხეებში ციკლური ცვლილებები დაიწყოს. პირველი მენსტრუაციის დადგომის საშუალო ასაკი ამჟამად, „გაახალგაზრდავდა“ და 11-12 წლამდე ჩამოვიდა. თუმცა, იგი ინდივიდუალურია და 15 წლამდე მენსტრუაციის არარსებობა საგანგაშო არ არის. პირველი მენსტრუაციის შემდეგ, ერთი წლის განმავლობაში, ორგანიზმში მიმდინარეობს დაძაბული მუშაობა ციკლის ჩამოსაყალიბებლად.

ჰორმონულმა დისბალანსმა ამ ასაკში შეიძლება, თავისებური გავლენა მოახდინოს ფიგურის ფორმირებაზე. მაგალითად, ქალური ჰორმონების სიჭარბე, როგორც წესი, მომრგვალებულ ფორმებში იჩენს ხოლმე თავს, ნაკლებობა კი — „ბიჭური“ ფიგურის (ვიწრო მენჯი, სარძევე ჯირკვლების განუვითარებლობა) ჩამოყალიბებას იწვევს. კანთან დაკავშირებული, ტრადიციული პრობლემები — ჩირქიანი გამონაყარი, მუწუკები, ჭარბთმიანობა („ულვაში“) — ჩვეულებისამებრ, მამაკაცური სასქესო ჰორმონების მომატებასთანაა დაკავშირებული. მათი „წარმომადგენელი“ — ტესტოსტერონი მნიშვნელოვან როლს თამაშობს, ქალის ორგანიზმში ლიბიდოს ჩამოყალიბებაში. ჰორმონული დარღვევები შეიძლება გახდეს მიზეზი იმისა, რომ პირველი მენსტრუაციის მოსვლიდან ერთი წლის შემდეგაც, არ ყალიბდება ციკლი.

ზაფხული: რეპროდუქციული პერიოდი

18-იდან 30 წლამდე ასაკი, ოპტიმალურია ქალისთვის პირველი ბავშვის გასაჩენად. ესტროგენების, პროგესტერონისა და სხვა ჰორმონების ბალანსი, ორგანიზმის საერთო მდგომარეობა, ნორმალური ორსულობის საფუძველს ქმნის.

უნაყოფობა — ძირითადი მიზეზია, რომლის გამოც ქალი ამ ასაკში ექიმს აკითხავს. გინეკოლოგები გამოყოფენ ქალთა უნაყოფობის ორ ძირითად მიზეზს:

● სასქესო ორგანოების ანთებითი დაავადებები და ამის შედეგად განვითარებული, საშვილოსნოს მილების გაუვალობა.

● ჰორმონული დარღვევები. ქალური და მამაკაცური ჰორმონების გარდა, არსებობს, მაგალითად, ჰორმონი პროლაქტინი, რომელიც განსაზღვრავს რძის რაოდენობას მეძუძურ დედებში. მისი მომატება, უშვილობის მიზეზი შეიძლება გახდეს. მნიშვნელოვან როლს ასრულებს აგრეთვე ფარისებრი ჯირკვალი.

წონის მატება მშობიარობის შემდეგ ახალგაზრდა, რეპროდუქციული ასაკის ქალებში კიდევ ერთი გავრცელებული ჩივილია. ამასთან, სპეციფიკური მდგომარეობა — ე.წ. „მშობიარობის შემდგომი სიმსუქნე“ შეიძლება განვითარდეს არა მარტო მშობიარობის, არამედ აბორტის შემდეგაც. წონის მატება კი, საკმაოდ საგრძნობია — 15-20 კგ! ამის მიზეზი, ისევ და ისევ ჰორმონული დისბალანსია.

პროლაქტინი მოქმედებს არა მხოლოდ რძის გამომუშავებაზე, არამედ ცხიმოვანი უჯრედების რაოდენობის ზრდასაც უწყობს ხელს. ამიტომ, რაც უფრო დიდხანს აწოვებს დედა ჩვილს ძუძუს, გასუქების მით მეტი შანსი აქვს მას. ასეთ დროს ექიმი განსაზღვრავს მეძუძურობის ოპტიმალურ ვადას და ნიშნავს პრეპარატებს, რომელიც აქვეითებს პროლაქტინის დონეს და აკომპენსირებს მეტაბოლურ დარღვევებს.

შემოდგომის დამდეგს: მენოპაუზის დაწყებამდე

საშუალო ასაკი, რომელშიც ქალი თავისი „შემოდგომის“ პერიოდში შეაბიჯებს — 45 წელია. ამ დროს იწყება საკვერცხეების ფუნქციის ჩაქრობა, ესტროგენებისა და პროგესტერონის დონე თანდათან ქვეითდება. მენსტრუაცია იშვიათი და არარეგულარული ხდება. ქალები უჩივიან „ალებს“, ოფლიანობას, ხასიათის შეცვლას, გულის ფრიალს, გუნება-განწყობის ცვალებადობას. ყველა ეს ჩივილი ძირითადად, ესტროგენების ნაკლებობასთანაა დაკავშირებული. ეს არის უნივერსალური ჰორმონები, რომლის მიმართ მგრძნობიარე რეცეპტორები მოთავსებულია ორგანიზმის ნებისმიერ ქსოვილში — ძვლებიდან დაწყებული — გულით, ნერვული სისტემითა და ნაწლავებით დამთავრებული. ესტროგენების დონის შემცირება იწვევს ცვლილებებს ყველა ორგანოსა და ქსოვილში:

● კანი დუნდება, ჩნდება ახალი ნაოჭები (ესტროგენები კანში კოლაგენის სინთეზზე მოქმედებს).

● იზრდება გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკი — ინფარქტის, ინსულტის,

ჰიპერტონიის შემთხვევათა რაოდენობა 50 წელზე მეტი ასაკის მქონე ქალებში მკვეთრად მომატებულია.

● შესაძლოა დეპრესიები (ესტროგენები გავლენას ახდენს ტვინზე).

კლიმაქსური დარღვევებისადმი კომპლექსური მიდგომაა საჭირო. რთული პერიოდის გადალახვაში ქალს ჰორმონული პრეპარატები ეხმარება, რომელიც აუმჯობესებს ცხოვრების ხარისხს, ქალის ფსიქოემოციურ მდგომარეობას, აჩერებს სერიოზულ გართულებათა განვითარებას.

შემოდგომა – მენოპაუზის შემდეგ

მენსტრუაცია წყდება: ესტროგენისა და პროგესტერონის დონე აღარ არის საკმარისი, საშვილოსნოსა და საკვერცხეებში ციკლური ცვლილებებისათვის.

კლიმაქსური სიმპტომები შეიძლება გაგრძელდეს. თუ ისინი ბოლო მენსტრუაციიდან ორი წლის განმავლობაში არ მოიხსნა, მაშინ შემდგომში, კიდევ უფრო გაძლიერდება და შეიძლება, მეორეული ცვლილებებიც (გულში, საშარდე სისტემაში, ძვლებში) გამოიწვიოს. ამ პრობლემებთან ბრძოლა ძნელია, რთულია მათი დიაგნოსტირებაც.

შარდის შეუკავებლობის ან ძილის დარღვევის ჩივილით ქალი მიმართავს ხოლმე თერაპევტს, უროლოგს, ნევროლოგს. მკურნალობა შეიძლება, ხანგრძლივი და უშედეგო იყოს, თუ ქალი დროულად არ გაივლის კონსულტაციას გინეკოლოგთან, რომელიც დაუნიშნავს მას ჰორმონულ პრეპარატებს და უსიამოვნო სიმპტომებიც მალევე გაქრება. ოსტეოპოროზი – ხანდაზმულ ქალბატონთა კიდევ ერთი გავრცელებული პრობლემაა, რომელიც ჰორმონთა უკმარისობასთანაა დაკავშირებული. ოსტეოპოროზი ხანგრძლივად მიმდინარეობს უმტკივნეულოდ და უსიმპტომოდ, მაგრამ ერთხელაც, ქალს, სულ უმნიშვნელო ტრავმისას ემართება მოტეხილობა და რენტგენოგრამაზე ჩანს, რომ მისი ძვლები „გამჭვირვალეა". ოსტეოპოროზზე – ძვლების გამოფიტვაზე მეტყველებს ტანში მომხდარი ცვლილებაც: მალები პატარავდება, ქალის სიმაღლე მცირდება, ვითარდება მახასიათებელი „კლიმაქსური კუზი".

ჰორმონულ პრეპარატთა მიღება ამ ასაკობრივი დაავადების პროფილაქტიკასაც წარმოადგენს. ■

მედიცინის სიახლეები

ასვით ბავშვებს წყალი

სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ 5 წლის ბავშვმა დღეში საშუალოდ 1,5 ლიტრი სითხე უნდა მიიღოს, ხოლო 10 წლისამ – 1,8 ლიტრამდე. ვარაუდობენ, რომ ბავშვების ცუდი ქცევისა და დაბალი აკადემიური მოსწრების მიზეზი შეიძლება დეჰიდრატაცია იყოს. სითხის ნაკლებობა ბავშვებს ადუნებს, აღიზიანებს და ასუსტებს. ამ თეორიის შესამოწმებლად ბრაიტონში ჩატარდა გამოკვლევა: მოსწავლეებს უფლება მისცეს, მთელი დღის განმავლობაში ესვათ იმდენი წყალი, რამდენსაც მოისურვებდნენ. ღონისძ-

იების დაწყებიდან 2 კვირის შემდეგ, მოსწავლეების საერთო დონე საგრძნობლად გაუმჯობესდა და ბავშვებიც გაცილებით მხნედ გამოიყურებოდნენ.

ჰერპესი მემკვიდრეობითი ყოფილა

ამერიკელმა გენეტიკოსებმა დაადგინეს, რომ ყველა ადამიანი ერთნაირად მგრძნობიარე არ არის ტუჩებზე ე.წ. „გაცივების" სიმპტომის გაჩენის მიმართ. ეს თავისებურება გენებშია „ჩადებული". იგი დამოკიდებულია 21-ე ქრომოსომაზე განლაგებული გენების 6 ჯგუფზე. მათი გარკვეული შეთავსება ვირუსული ინფექციისადმი ადამიანის მგრძნობელობას 2500-ჯერ ზრდის და მაშინ ყოველი გაცივება არასასიამოვნო გამონაყარის თანხლებით მიმდინარეობს. ამის გარეშე ჰერპესის განვითარების ალბათობა იმდენად მცირეა, რომ ადამიანი მან შესაძლოა მთელი ცხოვრება არ შეაწუხოს.

მეცნიერები ცდილობენ, მოახდინონ იმ გენების იდენტიფიცირება, რომელიც ჰერპესის მიმართ ადამიანის მომეტებულ მგრძნობელობას განსაზღვრავს და ამ მოვლენის ბიოქიმიური მექანიზმები დაადგინონ. ეს აუცილებელია, რათა შეიქმნას ახალი მედიკამენტები, რომელიც არა მარტო მარტივი ჰერპესის, არამედ მისი რთული ფორმის წინააღმდეგ საბრძოლველად იქნება განკუთვნილი.

რძის დიეტა ასთმის წინააღმდეგ

რძის დიეტას შეუძლია მომავალში ასთმის განვითარებისაგან დაგვიცვას. ჰოლანდიის ჯანდაცვის ინსტიტუტის მკვლევარებმა 3000-მდე ადამიანი გამოიკვლიეს და დაადგინეს: მათში, ვინც ბავშვობაში ყოველდღიურად სვამდა რძეს, ჭამდა რძის პროდუქტს და ნაღების კარაქს, ბრონქული ასთმის განვითარების ალბათობა მნიშვნელოვნად ნაკლებია. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ასეთი ეფექტი შესაძლოა განპირობებული იყოს ზოგიერთი სახის ცხიმოვანი მჟავათი, რომელსაც ცხიმიანი რძის პროდუქტები შეიცავს.

ახლომხედველობის ლაზერული კორექცია გართულებებს იწვევს

კანადელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მხედველობის ლაზერულ კორექ-

ციას გარკვეული გვერდითი მოვლენები ახლავს თან, კერძოდ მკურნალობის აღნიშნული მეთოდი იწვევს მხედველობის დარღვევას სიბნელეში, რაც განსაკუთრებით საშიშია მძღოლებისათვის საღამოს საათებში მოძრაობისას.

ინგლისელმა ოფთალმოლოგებმაც განაცხადეს, რომ ახლომხედველობის ლაზერული კორექცია სერიოზულ გართულებებს იწვევს. მათი თქმით, ლაზერული ქირურგიის მრავალ შემთხვევას გართულება მოჰყვა. ამიტომ ავადმყოფებმა უნდა იცოდნენ მოსალოდნელი საფრთხის შესახებ, ხოლო მკურნალობის ახალი მეთოდის შეფასებისათვის აუცილებელია შემდგომი გამოკვლევები. ■

ვინაკენ ცხოველთა ეროს ავგვანი ჯიების კატები ყველაზე კვირაღ ლიკეგულები და ეკესტიკელები არიან

იდუმალებით მოცული შიშველი სფინქსები



მათ კამპანიაში ყოფნას შოუბიზნესის ვარსკვლავები და სახელგანთქმული რეჟისორებიც ნატრობენ. გაიხსენეთ თუნდაც ფილმები – „ვარსკვლავური ომები“ და „უცხოპლანეტელი“. მათში ხომ სწორედ სფინქსები მონაწილეობენ. სტილისტები და კუტიურიეებიც ვერ გაექცნენ შიშველი კატებით გატაცებას – საკმარისია, თვალი შეავლო პოდიუმს, უმალ მიხვდები, რომ სფინქსები პოპულარულები არიან.

ცოცხალი სათბურა

გარკვეულ ქვეყნებში ყველა დროში იბადებოდნენ შიშველი, ანუ სრულიად უბეწვო კატები. ეს უჩვეულო თვისება შესაძლოა, ყველა ჯიშის კატას ჰქონდეს გენიდან გამომდინარე, მაგრამ ამ ნიშან-თვისების განმტკიცება და ჯიშის გამოყვანა ადამიანის ჩარევის გარეშე ვერ მოხდება.

ერთ დროს მსგავსი კატები მოშენებული ჰყავდათ აცტეკებს, რომლებიც მათ წმინდანებად მიიჩნევდნენ. ნილოსის ხეობაში აღმოჩენილი ზოგიერთი ქანდაკება კი იმაზე მეტყველებს, რომ ძველი ეგვიპტელები ამ ჯიშის კატების ჭეშმარიტი დამფასებლები იყვნენ.

საგულისხმოა, რომ სფინქსებს ნივთიერებათა ცვლის ერთი შესანიშნავი თვისება აქვთ: მათი უნაზესი ხავერდოვანი კანის ტემპერატურა სხვა დანარჩენი ჯიშის კატებთან შედარებით ოდნავ მაღალია. შიშველი კატების ზოგიერთი მფლობელი ირწმუნება, რომ ეს სითბო სასიკეთოდ, ანუ დამამშვიდებლად მოქმედებს ადამიანის ნერვულ სისტემაზე.

სასწრაფოდ პლაჟზე

ისე, სფინქსებს ადამიანის მსგავსად ეკიდებათ მზე, თუმცა მათი ნამზეურის ფერთა პალიტრა გაცილებით მდიდარია, ვიდრე ადამიანისა (გშურდეთ, მოდის მიმდევრებო!): ტერაკოტის, მარენგოს, რძიანი შოკოლადის, კაშკაშა კუსფერი და კიდევ სხვა მრავალი ელფერი დაჰკრავთ. ნამზეური მათ ბუნებრივ პიგმენტაციას აძლიერებს. ამ ყველაფერზე იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ სფინქსს პლაჟზე შესანიშნავი პარტნიორობა შეუძლია გაუწიოს თავის პატრონს, მაგრამ, გახსოვდეთ, რომ მზის აბაზანების დოზირებული მიღება არა მარტო თქვენთვისაა აუცილებელი, არამედ თქვენი საყვარელი ფისუნიასთვისაც. ზღვაზე ყოფნის პირველ დღეებში ურიგო არ იქნება, კატას კანზე არაჟანი გადაუსვათ, რომელიც მზის დამცველისგან განსხვავებით, ალოკვის შემთხვევაში, სრულიად უვნებელია ცხოველისთვის.

ასე რომ, დასასვენებლად ან სამოგზაუროდ თქვენს საყვარელ არსებებთან ერთად გაეშურეთ, რამეთუ ისინი ჩინებულ კომპანიონობას გაგიწევენ. ■

შავ-თეთრი სფინქსი

კაუნასის სფინქსი

დევონის სფინქსი

mocurave tvigi

როგორ ფიქრობთ, ადვილია ასწავლო სპილოს ცეკვა ან კიდევ ციყვს წყლის თხილამურებზე დგომა? ზოგი იტყვის, – რაც შეეხება სპილოს, სავსებით შესაძლებელია – ისინი ხომ ცირკში ცეკვავენ, მაგრამ ციყვი აიძულო ტრიუკები გააკეთოს თანაც წყლის ზედაპირზე, დაგვეთანხმებით, ფანტასტიკის სფეროს უფრო ჰგავს.

გვინდა დაგარწმუნოთ, რომ მწარედ ცდებით! თურმე ზოგიერთ ახირებულ ადამიანს ყველაფერი შეუძლია, ტყის ცხოველის წყლის ტრასაზე დაყენებაც კი. აბა, ყურადღებით დააკვირდით სურათს. ფოტომონტაჟი არ გეგონოთ. მოქმედება ფლორიდის პალმ-ბიჩის პოპულარულ პლაჟზე მიმდინარეობს. წყალზე თქვენ სწორედაც რომ გაბედულ ციყვს ხედავთ, რომელსაც ტვიგი ჰქვია. იგი იქ

მიმდინარე წყლის შოუს სრულყოფილი მონაწილეა. შოუ დამსვენებელთათვის ყოველწლიურად საგანგებოდ იმართება.

ტვიგი ჩვეულებრივი ციყვი გახლავთ, მაგრამ მისმა დაუცხრომელმა პატრონმა გადაწყვიტა, მისგან ნამდვილი სპორტსმენი აღეზარდა. ის თითქმის სამი დღის ასაკიდან აგუებდა პატარას წყალს. ეტყობა, ტვიგი წინა ცხოვრებაში ოკეანის ნაპირას ცხოვრობდა ან დელფინი იყო, ვინაიდან მას მგზნებარედ შეუყვარდა წყლის ვარჯიშები და აი, როგორც ხედავთ, შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ტვიგი დამაჯერებლად დგას თხილამურებზე და სრულებით არ ეშინია წყლის და საერთოდ, მისი პატრონი „იმუქრება“, რომ მომავალ წელს თავისი აღზრდილის მონაწილეობით პუბლიკას ახალ ნომერს წარუდგენს. ეს იქნება წყალქვეშა ცურვა (რა თქმა უნდა, სპეციალურად ციყვებისთვის). ■

კვირის (15-21 სექტემბერი) ასტროლოგიური პროგნოზი

ძაღნული – 24/VIII-23/IX

ქალი: ახლობელ ადამიანებს თხოვნაზე უარს ნუ ეტყვით. ამ კვირის განმავლობაში, მათ აუცილებლად დასჭირდებათ თქვენი დახმარება. შეეცადეთ, მყუდრო გარემოში დაისვენოთ.

მამაკაცი: ამ კვირას, თქვენს ოჯახში დიდი სტუმრიანობაა მოსალოდნელი. მოიმარაგეთ ნუგბარი და გამაგრილებელი სასმელები. მეგობრებისგან ბევრ სახალისო ამბავს მოისმენთ.

სასწორი – 24/IX-23/X

ქალი: სამსახურში თავს კომფორტულად იგრძნობთ. მიიღებთ ახალ საქმიან წინადადებებს. ხელმძღვანელობა თქვენს დაწინაურებას აპირებს. მეტი ყურადღება მიაქციეთ ფინანსურ საკითხებს და გამოიჩინეთ ყაირათიანობა.

მამაკაცი: ბიზნესში და ფინანსური საკითხების გადაწყვეტისას, ენერგიულად იმოქმედეთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას და მოერიდეთ დაძაბულ სიტუაციებს. ყველაფერზე მძაფრად ნუ რეაგირებთ.

ღრიანკალი – 24/X-22/XI

ქალი: არაჩვეულებრივი განწყობილება დაგეუფლებათ და საქმესაც ბრწყინვალედ გაართმევთ თავს. თქვენს ოჯახში სიმშვიდე და ჰარმონია სუფევს, ადამიანებთან ურთიერთობებიც ნორმალურად გაქვთ აწყობილი.

მამაკაცი: ვიღაც არ შეგისრულებთ დანაპირებს, მაგრამ ამის გამო ნერვიულობა ნამდვილად არ ღირს. შეეცადეთ, აკონტროლოთ საკუთარი ემოციები და თქვენი პრობლემები ახლობლებს არ მოახვიოთ თავს.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

ქალი: შესაძლებელია, უსიამოვნო ინფორმაცია მიიღოთ, რომელიც მთლიანად შეცვლის თქვენს გეგმებს. არც საყვარელ ადამიანთან ურთიერთობის გართულებაა გამორიცხული, მაგრამ ნუ დაიძაბებით – ყველაფერი მალე მოგვარდება.

მამაკაცი: თუ რემონტს ან ინტერიერის შეცვლას აპირებთ, რჩევა მეგობრებსაც ჰკითხეთ. სამსახურში მხოლოდ უფროსობის მფარველობის იმედად ნუ იქნებით – წარმატების მიღწევა დამოუკიდებლადაც უნდა შეძლოთ.

თხის რქა – 22/XII-20/I

ქალი: ამ კვირაში, თქვენს მოქმედებაში ეგოიზმი ჭარბობს. ოჯახში და ბავშვებთან ურთიერთობისას, თითქოს საკუთარი ძალაუფლების დემონსტრირებას ცდილობთ. ასე თუ გააგრძელებთ, პრობლემები არ აგცდებათ.

მამაკაცი: შეეცადეთ, საკუთარი გრძნობები აკონტროლოთ და მკვეთრად გამიჯნოთ საქმე და პირადი ურთიერთობები. ამ კვირაში, დიდი ხნის უნახავი მეგობრის გამასპინძლება მოგიწევთ.

მერწყული – 21/I-19/II

ქალი: საკმაოდ შინაარსიანად გაატარებთ ამ კვირას. შეეცადეთ, იზრუნოთ ახალი იმიჯის დასაკვიდრებლად და ცხოვრების სტილის შესაცვლელად. გააახლეთ გარდერობი და დაელოდეთ „პრინცის“ გამოჩენას.

მამაკაცი: გაუფრთხილდით ჯანმრთელობას. სასიყვარულო ფრონტზე ეჭვიანობა და აგრესია ჭარბობს. შეეცადეთ, დაარეგულიროთ ურთიერთობები ადამიანებთან, რომლებსაც წარსულში გული ატკინეთ.

თევზები – 20/II-20/III

ქალი: მოჭარბებული ენერგია და ბრწყინვალე განწყობა, ამ კვირაში პროფესიონალურ საქმიანობასა და ბიზნესში თქვენი წარმატების გარანტია იქნება. მოერიდეთ დისკუსიებს კულტურისა და რელიგიის თემებზე.

მამაკაცი: ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს და ეცადეთ, არ იყოთ სხვაზე დამოკიდებული. ახალი ნაცნობებისაგან ყურადღებასა და მხარდაჭერას იგრძნობთ.

ვერძი – 21/III-20/IV

ქალი: საქმიან პარტნიორებთან პრობლემების მოსაგვარებლად სასიკეთო დღეებია. თქვენს ტალანტსა და შესაძლებლობებს ყველა სფეროში თავისუფლად ავლენთ.

მამაკაცი:

საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობისათვის სასიკეთო კვირა გელით. მოერიდეთ ხმაურიან გარემოს, ეძიეთ სიმშვიდე და სიმყუდროვე. მოერიდეთ აზარტულ თამაშებს.

კურო – 21/IV-21/V

ქალი: სასიყვარულო ურთიერთობაში წარმატება გელით. კვირის მეორე ნახევარში, რომანტიკული თავგადასავლისთვის მოემზადეთ. ყველაფერი ისე იქნება, როგორც თქვენ გსურთ.

მამაკაცი: მოულოდნელმა ამბავმა შესაძლოა, თქვენი გეგმები ჩაშალოს. საქმიანი საუბრებისთვის ეს კვირა არ არის შესაფერისი. აკონტროლეთ ახლობლებთან ურთიერთობა.

მარჩხეზი – 22/V-21/VI

ქალი: ინიციატივა და გამომგონებლობა პროფესიონალურ საქმიანობაში უთუოდ მოგიტანთ წარმატებას. კარგი დროა ფინანსების, დაზღვევისა და მემკვიდრეობასთან დაკავშირებული საკითხების მოსაგვარებლად.

მამაკაცი: ყველაფერი ისე როდი მიდის, როგორც თქვენ გინდათ, მაგრამ რას იზამთ – თქვენ ირგვლივ სიცრუემ და ორპირობამ დაისადგურა. თუმცა, ეს დროებითი მოვლენაა და სულ მალე, ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

ქალი: თქვენი ოპტიმიზმით გაფუჭებულ საქმეს ვერ უშველით. შეეხმიანეთ მეგობრებს და გაითვალისწინეთ მათი რჩევები. ამ ეტაპზე, ისინი უფრო რეალურად შეაფასებენ შექმნილ სიტუაციას.

მამაკაცი: თავი აარიდეთ ემოციურ გამოსვლებსა და კამათს ოჯახში. თუმცა, საკუთარ სურვილებს წინ არ უნდა აღუდგეთ. შეეცადეთ, მშვიდი ტონით დაარწმუნოთ ოპონენტები თქვენი მოსაზრებების უპირატესობაში.

ლომი – 23/VII-23/VIII

ქალი: სიყვარულში გიმართლებთ. წინ დიდი სიურპრიზი გელით. შეიძლება, სადღესასწაულო სუფრაზეც მოხვდეთ. ყური დაუგდეთ გულის კარნახს, მიენდეთ ინტუიციას და ფულსაც იშოვით.

მამაკაცი: იაქტიურეთ. მანდილოსნები ყოველთვის აქტიური მამაკაცებით იხიბლებიან. იყავით გულუხვი ოჯახის წევრების მიმართ. გაისეირნეთ ბუნებაში მეგობრებთან ერთად.

კართ-აგენელი მხედართ-მთავარი

კარდინალ რიშელიეს მეკვიდრე თანამდებობაზე

აშშ-ის ატომური ავიამზიდი

ალმოდო-ვარის ფილმი

ფრანგული ცხენსიმფონ სატელევიზ-იო შოუში

მთავარი ძალების წინ მმყოლი ჯა-რის ნაწილი

სასტამბო ასოთ-ამწყობი მანქანა

ინგლი-სელი მსახიობი ვივიენ ...

ქალის სამოსი

რუსეთის უმცა-ლესი სასულ-ლრო ფორმა

ინდ. ეპოსი

ქართლის ერთ-ერთი უძველესი ქალაქი

სახე-ლმწიფო ევროპაში

საქრ. პოლი-ტიკური ინსტ. (პრე-ზიტურა)

კრისკაცი სასტუმროში

მელოდეიეთა ანსამბლი

სპარტაკის სოცია-ლური სტატუსი

სანთლის-მაგვარი ნივთიერება ნავთობიდან

რუსი მეფის ტიტული

ბრაზი-ლიური ქათამი

სახელმ-წიფოში შესვლის ნებართვა

ქუთაისი ძველად

ნიავი

სადგური ბამ-ზე

მოკლე სწორი ხმალი

ორი წერტილი კამა-თელზე

თაქთაქი-შვილის ოპერა

რუსული თვითმ-ფრინავი

როტერ-დამელი ჰუმანისტის სახელი

ტოლს-ტოი რომანი „... კარენინა“

პატარა მდინარე არხში

ტბა საქართვე-ლოში

სასიცოცხლო სუსტანცია ინდურ ფი-ლოსოფიაში



რაიონული ცენტრი საქართვე-ლოში

ტროპ. ხილი

ბანდის ლიდერ-ი

ალკოგენ-ი

გოგირდის ნაერთი ლითონთან

შოტლანდ-იელის ეროვნული სამოსი

ჯაჭოჩანილი ადამიანების მოსწრებული ჯაჭოსათქვამები

ყურები

სახელგანთქმულ ვენელ კომიკოს ბეკმანს მოზრდილი ყურები ჰქონდა, რისთვისაც ერთმა ავყია ჟურნალისტმა მასხრად აიგდო.

— თქვენი ყურები ერთი ადამიანისათვის დიდია, — უთხრა მან.

— მართალი ბრძანდებით, — მიუგო ბეკმანმა, — ჩემი ყურები ერთი ადამიანისათვის ნამდვილად დიდია, მაგრამ ისიც აღიარეთ, რომ თქვენი ყურები ერთი ვირისათვის პატარაა.

მილოცვა

როდესაც ცნობილი გერმანელი მსახიობი ადელე ზანდროკი იმ ასაკის გახდა, ქალი თავის წლებზე დუმილს რომ არჩევს ხოლმე, დაბადების დღისათვის ერთი ენაჭარტალა ნაცნობისაგან ამგვარი მილოცვა მიიღო:

„გულითადად გილოცავთ დაბადების ოცდაათი წლისთავის მეოცედ დაბრუნებას!“

დახასიათება

— ვინ არის ის კაცი, ახლა რომ გამოელაპარაკე?

— მსახიობია.

— ქუჩაში სულ არ ეტყობა თუ მსახიობია.

— არც სცენაზე.

აჩრდილი

„ჰამლეტის“ წარმოდგენის დროს მსახიობს, რომელიც ჰამლეტის მამის აჩრდილს თამაშობდა, სცენაზე ხველა აუტყდა, რისთვისაც კულისებიდან კოლეგებმა უსაყვედურეს.

მან ცივად მიუგო:

— აჩრდილს თუ ლაპარაკი შეუძლია, მაშინ დახველების უფლებაც აქვს.

მოულოდ და გასაგებად

ავსტრიელმა კინოკრიტიკოსმა ამერიკული ფილმი — „დოქტორ დესმონდის მეცამეტე მსხვერპლი“ რომ ნახა, ერთწინადადებიანი რეცენზია „ექსპრესის“ რედაქციას გაუგზავნა. კრიტიკოსი წერდა: „მეთოთხმეტე მე ვიყავი!“

თავის დაზღვევა

ოპერა „რიგოლეტოში“ ჯილდას პარტიას უნიჭო მომღერალი ასრულებდა. მაყურებელმა დაუსტვინა.

— როგორი უხეში და უკულტურო ხალხია, — აღშფოთდა მომღერალი. — წარმოგიდგენიათ, დიდ ვერდს უსტვენენ!

ჯატეგორიებად დაყოფა

მომღერლები სამ კატეგორიად იყოფიან, — თქვა ჯოაკინო როსინიმ. — პირველს განეკუთვნებიან ისინი, რომლებსაც ხმა აქვთ, მაგრამ სიმღერა არ იციან; მეორეს — ისინი, რომლებმაც სიმღერა იციან, მაგრამ ხმა არა აქვთ; ხოლო მესამეს — ისინი, არც ხმა რომ აქვთ და არც სიმღერა იციან. ■

ანექდოტები

***

პარკში სკამზე ზის პატარა ბიჭი და კანფეტებს ჭამს. როცა მეექვსე კანფეტი ჩაიდო პირში, მოპირდაპირე სკამიდან მამაკაცმა შენიშნა მისცა:

— ბიჭი, ნუ ჭამ ამდენ კანფეტს, კბილებს გაიფუჭებ, გასუქდები...

— ბაბუაჩემმა 106 წელი იცოცხლა.

— რა, მთელი დღე კანფეტებს ჭამდა?

— არა, სხვის საქმეში არ ერეოდა.

***

ფრანგი ქალი გასათხოვარ ქალიშვილს ეკითხება:

— სად მიდიხარ?

— პალმაზე.

— სჯობია, შიგნიდანაც ახლები ჩაიცვა.

— რა საჭიროა?

— ეჰ, შვილო, მე შენს ასაკში ასეთი პესიმისტი არ ვყოფილვარ.

***

ინსპექტორმა ძალიან დიდი სიჩქარით მიმავალი მანქანა გააჩერა:

— სენიორ, უნდა დაგაჯარიმოთ, საათში 150 კილომეტრი სიჩქარით მიდიოდით.

— კარგია, იოლად გადავრჩი. მანქანაში იარაღი და ნარკოტიკები მაქვს.

ინსპექტორმა მაშინვე რაცია ამოიღო და 15 წუთში სპეცრაზმის ჯგუფი მოვარდა. მთელი მანქანა გაჩხრიკეს, მაგრამ ვერაფერი იპოვეს.

— იხუმრე? — გაბრაზებულები მიაჩერდნენ მძღოლს.

— მე კი არა, ინსპექტორმა იხუმრა. სულელია ვიღაცა, ახლა იმასაც იტყვის, საათში 150 კმ სიჩქარით მიდიოდიო.

***

პატარა ბიჭუნა მშობლებს ეკითხება:

— მე ხომ ზამთარში დავიბადე, როდესაც არც წეროები დაფრინავენ და კომბოსტოც აღებულია. ამიხსენით, საიდან გავჩნდი?

***

მიტინგზე დეპუტატობის კანდიდატს ლაყე კვერცხები დაუშინეს!

— გავიგე, აპლოდისმენტებიც იყო...

— კი, როდესაც ახვედრებდნენ...

***

ცოლი ვიოლინოზე უკრავს. ქმარი ეუბნება:

— კარგი, გეყოფა, გიყიდი ახალ კაბას.

***

ქმარი:

— ამ საზიზღარმა სტუდენტმა, ორი კვირის წინ ჩვენს მეზობლად რომ გადმოვიდა, ყველა ამ ბინაში მცხოვრები ქალი ლოგინში ჩაიწვინა, რა თქმა უნდა, ერთის გარდა — და ცოლს სიამაყით გადახედა.

ცოლი:

— აბა რა, იმ მახინჯს, მეხუთე სართულზე რომ ცხოვრობს, არც შენ იკადრებდი.

***

ფსიქოთერაპევტს ლამაზი პაციენტი ქალი ესაუბრება:

— ექიმო, წარმოგიდგენიათ, სახლში მეზობლის ქმარი შემომივარდა და იმ ნაძირალამ მოფერება დამიწყო.

— წარმოდგენა გამიჭირდება, პრაქტიკულად განვიხილოთ. აი, ასე?

— დიახ, შემდეგ გახდა დამიწყო.

— ასე?

— დიახ, შემდეგ იატაკზე დამაწვინა.

— ასე?

— დიახ და „ის საქმე“ დაიწყო.

— ასე?

— დიახ. მერე ყველაფერს რომ მორჩა, მეუბნება, სიფილისი მაქვსო. ■

სწორად იცავთ თუ არა დიეტას?

თუ ზაფხულის მანძილზე, წონაში მოიმატეთ და მოხდენილი ფიგურის დაბრუნება გსურთ, სწორად უნდა შეარჩიოთ დიეტა და ისე დაიცვათ, რომ მან თქვენს ორგანიზმს, სარგებლობის ნაცვლად, ზიანი არ მოუტანოს. უპასუხეთ ტესტის შეკითხვებს, გაეცანით შედეგებს და გამოიტანეთ დასკვნა: სწორად იცავთ თუ არა დიეტას?

1) დღეში რამდენჯერ ჭამთ?

ა) სამჯერ ან მეტჯერ – 2;

ბ) ორჯერ – 1;

გ) ერთხელ – 0.

2) საუზმობთ თუ არა სისტემატურად?

ა) ყოველდღე – 2;

ბ) კვირაში ერთხელ – 1;

გ) იშვიათად – 0.

3) რისგან შედგება ჩვეულებრივ, თქვენი საუზმე?

ა) ფაფისა და წვენისგან – 2;

ბ) შემწვარი ძეხვისა და კვერცხისგან – 1;

გ) ყავისგან – 0.

4) მიირთმევთ თუ არა საუზმეს, სადილსა და ვახშამს შორის რამეს?

ა) არასდროს – 2;

ბ) ნამცხვარს და თხილს – 1;

გ) რაღაც სასუსნავი მუდამ თან გაქვთ და დღის განმავლობაში, პირს არ აჩერებთ ხოლმე – 0.

5) ხშირად მიირთმევთ თუ არა ხილს, ბოსტნეულსა და სალათებს?

ა) უმეტესად, დღეში სამჯერ – 2;

ბ) დღეში ერთხელ – 1;

გ) კვირაში ორჯერ-სამჯერ – 0.

6) ხშირად მიირთმევთ თუ არა შემწვარ კერძს?

ა) კვირაში ერთხელ – 2;

ბ) კვირაში სამჯერ-ოთხჯერ – 1;

გ) თითქმის ყოველდღე – 0.

7) ხშირად მიირთმევთ თუ არა კრემიან ნამცხვარს ან ტორტს?

ა) კვირაში ერთხელ, ისიც – ძალიან მცირე ოდენობით – 2;

ბ) უმეტესად, კვირაში სამჯერ – 1;

გ) თითქმის ყოველდღე – 0.

8) რას მიირთმევთ დილით, საუზმეზე პურთან ერთად?

ა) ნაკლებად კალორიულ მარგარინს – 2;

ბ) ყველს – 1;

გ) კარაქსა და ყველს – 0.

9) კვირაში რამდენჯერ მიირთმევთ თევზს?

ა) ერთხელ ან მეტჯერ – 2;

ბ) ერთხელ – მხოლოდ დათქმულ დღეს – 1;

გ) თევზი არ გიყვართ – 0.

10) მიირთმევთ თუ არა პურს?

ა) მხოლოდ სადილზე, დღეში ერთხელ, ერთ ნაჭერს – 2;

ბ) საუზმეზე, სადილსა და ვახშამზე – 1;

გ) პური ძალიან გიყვართ და მასზე უარს ვერ ამბობთ – 0.

11) როგორ იქცევით ხორციანი კერძის მომზადების წინ?

ა) ხორცის ნაჭერს ქონს მთლიანად აჭრით – 2;

ბ) თუ ქონის სქელი ფენა აქვს, ნაწილს აჭრით – 1;

გ) ქონიანი ხორცი უფრო გემრიელია – 0.

12) დღეში რამდენ ფინჯან ჩაის ან ყავას მიირთმევთ?

ა) ერთსა ან ორს – 2;

ბ) სამიდან ხუთამდე – 1;

გ) ექვსს ან მეტს – 0.

13) ხშირად მიირთმევთ თუ არა ლუდს?

ა) ძალზე იშვიათად – 2;

ბ) მხოლოდ სიცხეში, მცირე რაოდენობით – 1;

გ) ყოველდღე – 0.

დაანგარიშეთ ქულები

23-26: საუცხოო დიეტა გაქვთ შერჩეული, მას კარგად იცავთ და ამიტომაც შედეგს აუცილებლად მიაღწევთ.

18-22: თქვენ მიერ შერჩეული დიეტა კარგია, ოღონდ — შეიძლება, თქვენთვის მეტისმეტად მკაცრია, მისი დაცვა გიჭირთ, ნებისყოფა გღალატობთ და ამიტომაც, შედეგის მიღწევა ცოტა გიჭირთ.

13-17: თუ წონაში დაკლება მართლა გსურთ, სჯობს, უფრო მკაცრი დიეტა შეარჩიოთ.

0-12: ან თქვენი დიეტა არ ვარგა, ან წონაში დაკლება არ გსურთ და თავს იტყუებთ. ალბათ მოგწონთ იმაზე წუწუნი, რომ მუდამ დიეტაზე გიწევთ ყოფნა, შინ მისული კი, სუფრასთან ჯდებით და გემრიელად მიირთმევთ ყველაფერს, რაც გსურთ.

იოკო ონო ხიდევ ეითხელ გაშიშვლება

ჯონ ლენონის ქვრივი თავისი ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური არტ-პროექტის გამეორებას აპირებს. ქვეყნად მშვიდობის დამყარების მიზნით, ის ყველა მსურველს შესთავაზებს, მოაჭრან მის კაბას პატარა ნაჭერი და ეს პროცესი მანამდე გაგრძელდება, სანამ 70 წლის იაპონელი ქალბატონი სრულიად შიშველი არ დარჩება...

იოკომ ეს პროექტი, რომელსაც Cut Piece („მოაჭერით ნაჭერი") ერქვა, პირველად, 1964 წელს იაპონიაში განახორციელა. ის მაშინ ჯერ არ გახლდათ ლენონის მეუღლე. თეთრ სამოსში გამოწყობილი, მაკრატლით შეიარაღებული იოკო სცენაზე ავიდა და მაყურებელს შესთავაზა, სამახსოვროდ, მისი კაბისთვის თითო ნაჭერი მოეჭრათ. ბოლოს და ბოლოს, ის სცენაზე სრულიად შიშველი დარჩა. ამ პროექტს თავის დროზე, დიდი რეზონანსი მოჰყვა, ის მუდამ ექსტრავაგანტური ონოს მიერ მოწყობილ, ერთ-ერთ ყველაზე ოდიოზურ აქციად დარჩა. ახალი Cut Piece იოკოს პარიზის თეატრში – Le Ranelagh – 15 სექტემბრისთვის აქვს დაგეგმილი. „ეს აქცია, ქვეყნად მშვიდობის დამკვიდრების იმედს გამოხატავს. პირველად, ის მრისხანებისა და პროტესტის გრძნობით აღვსილმა ჩავატარე. ახლა, ადამიანებისადმი, კაცობრიობისადმი სიყვარული მამოძრავებს. მოდით, ჩამოაჭერით ჩემს კაბას თითო ნაჭერი და გაუგზავნეთ მას, ვინც ძალზე გიყვართ", – დასძინა იოკომ საგანგებოდ მოწყობილ პრესკონფერენციაზე.

გამელოტების სანინაალმდეგო შამპუნი



ტაილანდელმა მეცნიერმა ბრინჯის ერთ-ერთი სახეობის ექსტრაქტიდან შექმნა შამპუნი, რომელიც ადამიანებს გამელოტებისგან დაიცავს. ახალი საშუალება ამაგრებს თმას და ასტიმულირებს მის ფესვებში სისხლის მიმოქცევას. გარდა ამისა, ბრინჯში შემავალი პიგმენტები თმის ფერს ამუქებს. როგორც მეცნიერმა ჟურნალისტებს განუცხადა, ის არ კმაყოფილდება მიღწეულით და ბრინჯის გამოყენებით, სხვა კოსმეტიკური პროდუქტების დამზადებასაც აპირებს. როგორც ცნობილია, სიმელოტეს სხვადასხვა ხერხით ბევრ ქვეყანაში ებრძვიან. მაგალითად, სულ ცოტა ხნის წინ, ბრიტანელმა მკვლევარებმა გააკეთეს დასკვნა, რომ თმის ფესვებს სითბო უხდება, ამიტომ გამელოტების სამკურნალოდ, აქტიურად უნდა გამოვიყენოთ ელექტრობა.

ფულის ნვიმა გზატკეცილზე

გერმანიის ერთ-ერთ გზატკეცილზე დიდი საავტომობილო საცობი იმის გამო გაჩნდა, რომ სავალ ნაწილზე უამრავი ფულადი კუპიურა გადმოცვივდა. როგორც შემდგომ გაირკვა, 42 წლის მაქსმა თავისი მანქანის სახურავის საბარგულზე მოათავსა ჩემოდანი, რომლითაც 100 ათასი ევრო მიჰქონდა. ჩემოდანი გზაზე გადმოვარდა, მას მაქსის უკან მიმავალმა მანქანამ გადაუარა და ამის შედეგად, კუპიურები ირგვლივ მიმოიფანტა. მაქსმა, რომელმაც თავისი გვარი არ გაუმხილა ადგილზე მისულ ჟურნალისტებს, მათ და პოლიციელებს აცნობა, რომ ჩემოდნით თავისი კომპანიის თანამშრომელთა ხელფასები მიჰქონდა, მობილური ტელეფონით საუბრისას ყურადღება მოადუნა და ვერ შეამჩნია, რომ ის სახურავიდან გადავარდა. პოლიციელებმა, რომლებიც მაქსს კუპიურების მოგროვებაში ეხმარებოდნენ, მხოლოდ 3 ათასი ევროს პოვნა მოახერხეს...



ნოჩვეგიელი მოზახდი სარეცხ მანქანაში გაიჭედა

ერთი ბოთლი თხევადი საპონი დასჭირდა იმას, რომ სარეცხ მანქანაში გაჭედილი, 15 წლის ბიჭი გაეთავისუფლებინათ. როგორც გაირკვა, საზოგადოებრივი სამრეცხაოს მანქანაში მას კარის გასაღები ჩაუვარდა, მის ამოსაღებად ჯერ ხელი შეყო, შემდეგ ტანითაც შეძვრა, მაგრამ გამოსვლა ვეღარ მოახერხა და თითქმის მთელი საათი, ასეთ უხერხულ მდგომარეობაში გაატარა. მის დასახმარებლად გამოძახებულმა მეხანძრეებმა თხევადი საპონი გადაასხეს და რის ვაივაგლახით გაათავისუფლეს. საინტერესოა, რომ ეს ინციდენტი რამდენიმე თვის წინ მოხდა, მაგრამ მხოლოდ ახლა გახმაურდა – მას შემდეგ, რაც ამის შესახებ თავის მკითხველს სახანძრო სამსახურის სპეციალიზებულმა ჟურნალმა აცნობა.

ფოტოკუთხეები



6/153/30

იმედგამოცარიელი კომპანია „რეიტინგ ჯგუფი“ დევუფაფოგის მაქორიფარ კანდიდატებს წარმატებული საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად გთავაზობთ!

- ✓ წინასაარჩევნო კამპანიის ეფექტური სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებას;
- ✓ მედია სტრატეგიის შემუშავებას;

ეფექტური

- საგაზეთო პუბლიკაციებისა და რეკლამის დამზადებასა და განთავსებას;
- ვიდეო და აუდიორგოლების (კლიპების, მათ შორის ანიმაციური) მომზადებას და ეთერში განთავსებას;
- ✓ სრულ პოლიგრაფიულ მომსახურებას;
- ✓ ბუკლეტების, ჟურნალ-გაზეთების, პლაკატების და სხვ. მომზადებას, ბეჭდვას და გავრცელებას.

«რეიტინგ ჯგუფი»



ტელ: 38-68-77
877 46-58-49

თქვენი კარიერის პარტნიორია!